

პატრიკ ზიუსკინდი

სუნამო

დიოგენე
ET CETERA

პატრიკ ზიუსკინდი

სუნამო

ამბავი ერთი მკვლელისა

პატრიკ ზიუსკინდი
სუნამო
ამბავი ერთი მკვლელისა

Patrick Süskind
DAS PARFUM
Die Geschichte eines Mörders

გერმანულიდან თარგმნეს ნატალია ნადირაშვილმა და ეკა რაისნერმა

გარეკანზე: ანტუან ვატოს „იუპიტერი და ანტიოპე“ (ფრაგმენტი)

© 1985 Diogenes Verlag AG Zürich
All rights reserved
© გამომცემლობა „დიოგენე“, 2006, 2016
ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-11-522-6

www.diogene.ge

ნაწილი პირველი

1

მეთვრამეტე საუკუნეში საფრანგეთში ცხოვრობდა კაცი, რომელიც გენიალური და საზიზღარი ადამიანებით სავსე ეპოქაში ერთ-ერთი ყველაზე გენიალური და საზიზღარი იყო. აქ სწორედ მისი ამბავი უნდა მოგითხროთ. მას ჟან-ბატისტ გრენუი ერქვა. და თუ ეს სახელი სხვა ისეთი გენიოსი ურჩხულების ფონზე, როგორებიც იყვნენ, ვთქვათ, დე სადი, სენ-ჟიუსტი, ფუკე, ბონაპარტი და სხვები, დღეს დავიწყებასაა მიცემული, იმიტომ კი არა, რომ გრენუი ამ ბნელით მოცულ ცნობილ ხალხს ქედმაღლობით, კაცთმოძულეობით, უზნეობით, მოკლედ, უღმერთობით, ჩამოუვარდებოდა. არა, ეს იმიტომ მოხდა, რომ მისი გენია და ფენომენალური პატივმოყვარეობა იმ სფეროთი შემოიფარგლებოდა, რომელიც ისტორიაში კვალს არ ტოვებს – სუნების წარმავალი სამყაროთი.

ეს ის დრო იყო, როცა ჩვენთვის, თანამედროვე ადამიანებისთვის, ქალაქებში წარმოუდგენელი სიმყრალე სუფევდა. ქუჩები ყარდა ნაკელით, ეზოები – შარდით, სადარბაზოები – დამპალი ხით და ვირთხის ცურცლით, სამზარეულოები – დამპალი კომბოსტოთი და თხის ქონით. გაუნიავებელი სასტუმრო ოთახები – აქოთებული მტვერის, საძინებლები გაზინთული ზეწრების, ნესტიანი საბნებისა და ღამის ქოთნების ცხვირში საცემი მოტკბო სუნით ყარდა. ბუხრებიდან გოგირდის სუნი გამოდიოდა, სათრიმლავებიდან – მწვავე ტუტეების, სასაკლაოებიდან – შედედებული სისხლისა. ადამიანები

ოფლისა და გაურეცხაეი ტანსაცმლის სუნად ყარდნენ. პირიდან ჩამპალი კბილების სიმყრალე ამოსდიოდათ, კუჭებიდან – ხახვისა, სხეულზე, თუკი აღარც ისე ახალგაზრდები იყვნენ, ძველი ყველის, აჭრილი რძისა და ჩირქოვანი სიმსივნეების სუნი ასდიოდათ. ყარდა მდინარეები, მოედნები, ეკლესიები, სიმყრალე იდგა ხიდებქვეშ და სასახლეებშიც. გლეხი ისევე ყარდა, როგორც მღვდელი, ხელოს-ნის შეგირდი კი ისევე, როგორც ხელოსნის ცოლი. მთელი თავა-დაზნაურობა ყარდა, მეფეც კი ნადირივით ყარდა და დედოფალს ზამთარ-ზაფხულ ბებერი თხის სუნი უდიოდა. მე-18 საუკუნეში ბაქტერიების გამხრწნელი ზემოქმედების შეჩერება ჯერ კიდევ არ შეეძლოთ. ამგვარად, არ არსებობდა ადამიანის რაიმე საქმიანობა – გინდ აღმშენებლური და გინდ დამანგრეველი, არ იყო არც ერთი გამოვლინება ახალჩასახული თუ მიმავალი ცხოვრებისა, ეს სიმ-ყრალე თან რომ არ ხლებოდა.

რა თქმა უნდა, პარიზი ყველაზე მეტად ყარდა, რადგან პარიზი საფრანგეთის უდიდესი ქალაქი იყო. პარიზში კი იყო ერთი ადგი- ლი, სადაც განსაკუთრებით ჯოჯოხეთური სიმყრალე სუფევდა. ეს იყო „უმანკოთა სასაფლაო“ ფერისა და ფერონრის ქუჩებს შორის. რვაას წელს მოასვენებდნენ მკვდრებს აქ „ოტელ დიოდან" – მთა- ვარი საავადმყოფოდან და ახლომახლო სამრევლოებიდან, რვაას წელს ყოველდღიურად მოჰქონდათ საზიდრებით ათეულობით გვამი და გრძელ საფლავებში ყრიდნენ, რვაას წელს ალაგებდნენ ძვალს ძვალზე საგვარეულო აკლდამებსა და საერთო სამარხებში. და მხოლოდ მოგვიანებით, საფრანგეთის რევოლუციის დაწყების წინ, როცა ზოგიერთი მათგანი სახიფათოდ ჩაინგრა და გადავსე-ბული სასაფლაოს საშინელმა სუნმა მოსახლეობის უბრალოდ უკმა-ყოფილება კი არა, უკვე აჯანყებები გამოიწვია, ეს სასაფლაო, რო-გორც იქნა, დახურეს და გააუქმეს. მილიონობით ძვალი და თავის ქალა ჩაყარეს მონმარტრის კატაკომბებში, სასაფლაოს ადგილას კი ბაზრის მოედანი მოაწყვეს.

სწორედ აქ, მთელი სამეფოს ყველაზე მყრალ ადგილას, 1738 წლის 17 ივლისს დაიბადა ჟან-ბატისტ გრენუი. ეს დღე ივლისის

ერთ-ერთი ყველაზე ცხელი დღე იყო. სიცხე ტყვიასავით ჩამოწოლილიყო სასაფლაოს თავზე და ხრწნის სუნით გაჟღენთილ ბუღს, დამპალი ნესვისა და დამწვარი რქის ერთმანეთში შერეულ სუნად რომ ყარდა, თითქოს მიმდებარე ვიწრო ქუჩებში ტენიდა. გრენუის დედა, ჭინთვები რომ დაეწყო, ფერის ქუჩაზე თევზის ფარდულის დახლთან იდგა და უკვე გამოშიგნულ თევზს ქერცლს აცლიდა. თევზი, რომელიც, მისი თქმით, სენაში დილას დაიჭირეს, მძორის სუნზე მეტად ყარდა. მაგრამ გრენუის დედა ვერც თევზის სუნს გრძნობდა და ვერც მკვდრისას, რადგან ყნოსვა სრულიად დაჩლუნგებული ჰქონდა. თანაც მუცელი სტკიოდა და ეს გარე სამყაროს აღქმის ყოველგვარ უნარს უკლავდა. მარტო ის უნდოდა, რომ ტკივილი შეწყვეტილიყო და ეს საზიზღარი მშობიარობა რაც შეიძლება მალე მორჩენილიყო. მეხუთედ მშობიარობდა. მანამდე ოთხივე მშობიარობამ აქ, თევზის ფარდულში ჩაიარა. ის მკვდარ ან ცოცხალ-მკვდარ ბავშვებს აჩენდა. ეს სისხლიანი ხორცი, რომელსაც ქალი შობდა, დიდხანს არ ცოცხლობდა და მაინცდამაინც არ განსხვავდებოდა თევზის შიგნეულისაგან, იქვე რომ ეყარა. სა- ღამოს ყველაფერს ერთად ნიჩბით მოხვეტდნენ და სასაფლაოსკენ ან მდინარისკენ წაიღებდნენ ხოლმე. დღესაც ასე უნდა ყოფილიყო. და გრენუის დედას, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ოცდახუთიოდე წლის ქალს, რომელიც კვლავაც სასიამოვნოდ გამოიყურებოდა, თითქმის ყველა კბილი ჰქონდა შერჩენილი და თავზეც – მცირეოდენი თმა და რომელსაც ნიკრისის, სიფილისისა და სუსტად გამოხატული ჭლექის გარდა სერიოზული არაფერი სჭირდა, იმედი ჰქონდა, რომ დიდხანს, ასე, ხუთ ან ათ წელს კიდევ იცოცხლებდა. იქნებ გათხოვილიყო კიდეც, თქვათ, რომელიმე დაქვრივებულ ხელოსასზე და, როგორც მის პატივცემულ ცოლს, ნამდვილი შვილები გაეჩინა, ან რაღაც ამგვარი... გრენუის დედას უნდოდა, ყველაფერი მალე დასრულებულიყო. ჭინთვები რომ დაეწყო, დახლის უკან ჩაცუცქდა და იქ გააჩინა და, როგორც მანამდე, ოთხჯერ, თევზის საჭრელი დანით, ჭიპლარი გადაჭრა. სიცხე და სიმყრალე, რომელსაც ვერ გრძნობდა, ისევე აუტანლად და გამაბრუებლად მოქმედებდა მას-

ზე, როგორც შროშნებით სავსე მინდორი ან ვიწრო ოთახი, სადაც ბევრი ნარგიზი დგას. გული წაუვიდა, გეერდზე გადაქანდა, მაგი- დის ქვეშიდან შუა ქუჩაში გამოგორდა და ასევე დარჩა გაშხლარ- თული – დანით ხელში.

ატყდა ერთი ყვირილი, სირბილი. ხალხი გარს შემოეხვია. პო- ლიციას უხმეს. ქალი დანით ხელში ისევ ქუჩაში ეგდო. ნელ-ნელა მოვიდა გონს.

ჰკითხეს, რა მოგივიდაო.

– არაფერი.

– დანა რად გინდოდა?

– არაფრისთვის.

– საიდან გაჩნდა სისხლი შენს ქვედატანზე?

– თევზებისაა.

ადგა, დანა დააგდო და დასაბანად წავიდა.

მოულოდნელად დახლის ქვეშ ახალშობილმა იყვირა. შეიხე- დეს და ბუზებს, შიგნეულობასა და თევზის მოჭრილ თავებს შო- რის ახალშობილი იპოვეს და ამოიყვანეს. მერე ძიძას გადასცეს, დედა კი დააპატიმრეს და, რადგან დანაშაული აღიარა და ისიც თქვა, არც ამ ბავშვს მივაქცევდი ყურადღებას, როგორც აქამდე უკვე ოთხჯერ ვქენიო, გაასამართლეს, დამნაშავედ ცნეს ბავშვების არაერთგზის მკვლელობაში და რამდენიმე კვირაში დე გრევის მოე- დანზე თავი მოჰკვეთეს.

ამასობაში ბავშვმა მესამედ შეიცვალა ძიძა. არავის უნდოდა მისი რამდენიმე დღეზე მეტხანს თავისთან დატოვება, რადგან ძა- ლიან ხარბი იყო, ორი ბავშვის სამყოფ რძეს წოვდა, სხვა ჩვილებს რძეს ართმევდა და ძიძებს საარსებო საშუალებას უსპობდა. მარ- ტო ერთი ჩვილის წოვება ხომ მომგებიანი არ არის. პოლიციის პასუხისმგებელ ოფიცერს, ვინმე ლა ფოსს, მალე მოაბეზრა თავი ამ ყველაფერმა და უკვე უნდოდა, ბავშვი სენტ-ანტუანის ქუჩის ბოლოს, მიგდებულ და ობოლ ბავშვთა თავშესაფარში მიეყვანა. ბავშვები აქედან ყოველდღე რუანში, უპატროსო ბავშვთა სახელ- მხიფო თავშესაფარში გადაჰყაედათ. მზიდავებს ისისი ფეხით მიჰ-

ყავდათ დაწნული კალათებით და, რადგან ასე უფრო ხელსაყრე-ლი იყო, ერთ კალათში ერთდროულად ოთხ-ოთხ ჩვილს აწვენ-დნენ. ამის გამო ბევრი პატარა იღუპებოდა. ამიტომ მზიდავებს მითითება ჰქონდათ, მხოლოდ მონათლულები წაეყვანათ, ისინი, რომლებსაც წესის მიხედეით გამოწერილი გადასაყვანი დოკუმენ- ტი ექნებოდათ. ამ დოკუმენტზე რუანში ბეჭედი უნდა დაერტყათ. რადგან გრენუი არც მონათლული იყო და არც სახელი ერქვა, და იმის გამოც, რომ პოლიციას ნება არ ჰქონდა, შესაკრები პუნქტის კართან ბავშვი უსახელოდ მიეგდო, თუმცაღა ეს დანარჩენი ფორ- მალობების შესრულების აუცილებლობას თავიდან ააცილებდა... – მოკლედ, სხვადასხვა ბიუროკრატიული და ტექნიკური სახის სიძ- ნელეების გამო, რომლებსაც ბავშვის გადაყვანა გამოიწეევდა და დრო კი არ ითმენდა, პოლიციის ოფიცერმა ლა ფოსმა გადაიფიქრა და ბრძანება გასცა, ბავშვი რომელიმე საეკლესიო დაწესებულე- ბაში ჩაებარებინათ, იქიდან კი ცნობა აეღოთ და მისი შემდგო-მი ბედი გადაეწყვიტათ. ბავშვის მიბარება სენ-მარტენის ქუჩაზე, სენ-მერის მონასტერში მოხერხდა. იქ ის ჟან-ბატისტად მონათლეს და რადგან პრიორი იმ დღეს კარგ გუნებაზე ბრძანდებოდა და მონასტრის საქველმოქმედო ფონდიც ჯერ ამოწურული არ იყო, მან ბავშვი რუანში კი არ გაუშვა, არამედ მონასტრის ხარჯზე გა-დაწყვიტა მისი გაზრდა. ჩვილი სენ-დენის ქუჩაზე მცხოვრებ ძიძა ჟანა ბიუსის მიუყვანეს, რომელიც გაწეული შრომისათვის კვირაში სამ ფრანკს მიიღებდა.

2

ერთი კვირის თავზე ძიძა ჟანა ბიუსი კალათით ხელში სენ-მე-რის მონასტრის კართან მივიდა და პატერ ტერიეს, ორმოცდაათ წელს მიტანებულ თავმოტვყლეპილ, ოდნავ ძმრისსუნიან კაცს, რო-მელმაც კარი გაუღო, უთხრა:

– აი! – და კალათი კარის ზღურბლზე დადგა.

– რა არის? – ჰკითხა ტერიემ, კალათისაკენ დაიხარა და დაყ-ნოსა, რადგან შიგ საჭმელი ეგონა.

– ეს იმ ბავშვების მკვლელის ნაბუშარია, ფერის ქუჩაზე რომ ცხოვრობდა!

პატერმა კალათში თითები მოაფათურა და მძინარე ბავშვს სა- ხე გამოუჩინა.

– რა გინდა, მშვენიერ ფერზეა და ნაკვებიცა ჩანს.

– ეგ იმიტომ, რომ მე გამოვაძღე. ისე გამომცალა, ძვლებიღა დავრჩი. მაგრამ მორჩა, ახლა თქვენ თვითონ აჭამეთ თხის რძე, ფა-ფა და ჭარხლის წვენი. ეს ნაბიჭვარი ყველაფერს თქელეფს.

პატერი ტერიე კეთილი კაცი იყო. მონასტრის საქველმოქმე-დო ფონდის გამგებლობა და ღარიბებისათვის ფულის განაწილება ებარა. მოელოდა, რომ მადლობას ეტყოდნენ და სხვა მხრივ კი არ შეაწუხებდნენ. დეტალებში ჩაძიება არ უყეარდა, იმიტომ, რომ დეტალები სიძნელეებს ნიშნავდა, სიძნელეები კი სულის სიმშვი- დეს ურღვევდა, ამას კი ვერ იტანდა. გაბრაზდა, რომ კარი გააღო. უნდოდა, რომ ამ დედაკაცს აეღო თავისი კალათი, სახლში წასუ-ლიყო და ძუძუმწოვარა ბავშვის პრობლემებით მისთვის თავი არ მოებეზრებინა. ტერიე ნელ-ნელა გაიმართა და ღრმად შეისუნთქა რძისა და ყველის სუნით გაჟღენთილი მატყლის სურნელი, რომელ-საც ძიძა აფრქვევდა. სასიამოვნო სუნი იყო.

– ვერ გავიგე, რა გინდა. მართლა არ მესმის. ერთი ის ვიცი, რომ ამ ბავშვს შენი ძუძუს ჭამა ერთხანს კიდევ არ აწყენდა.

– სამაგიეროდ მე მასწყენს, – შეეპასუხა ძიძა, – ათი გირვანქა დავიკელი, და ამასობაში სამი კაცის სამყოფს კი ვჭამდი. და მერე რისი გულისთვის? კვირაში სამი ფრასკისთვის!

– აა, მესმის! – თქვა ტერიემ და გულზე თითქმის მოეშვა, – გასაგებია. ისევ ფული. თუ ვინმე ამ კარზე დააკაკუნებს, ესე იგი, ფული უნდა. როგორ მინდა, ერთხელაც გავაღო კარი და იდგეს ვინმე, ვისაც სხვა რამე ენდომება. ვინმე პატარა ძღვენს მაინც მოგვიტანდეს, ვთქვათ, ხილს ან ერთი-ორ კაკალს. რამდენი რამეა შემოდგომაზე, მაგალითად, ყვავილები. ანდა, ვთქეათ, ვინმე მო-

ვიდოდეს და იმას მაინც მეტყოდეს, ღმერთი გწყალობდეთ, პატერ ტერიე, კარგ დღეს გისურვებთო, მაგრამ ალბათ ვერ მოვესწრები. თუ მათხოვარი არ არის, მაშინ ვაჭარია. თუ ვაჭარი არ არის, მაშინ ხელოსანია, და თუ ისიც რამეს არ ითხოვს, მაშინ ანგარიშს წარმომიდგენს. ქუჩაში ვეღარ გავსულეარ, რომ მივდიეარ, სამი ნაბიჯის მერე უკვე ის ხალხი მახვევია, ვისაც ფული უნდა.

– მე არა! – თქვა ძიძამ.

– იცი, რას გეტყვი, შენ არა ხარ ერთადერთი ამ სამრევლოში. ასობით საუკეთესო ძიძა ამ საყვარელ ბავშეს კვირაში სამ ფრანკად სიამოვნებით მოაწოვებდა ძუძუს, აჭმევდა ფაფას, წვენებს ან, რა ვიცი, რასაც გინდა...

– ჰოდა, იმათ მიუყვანეთ!

– არ ივარგებს ბავშვის ასე აქეთ-იქით ტარება. ვინ იცის, მიიღებს კია სხვის რძეს ისე კარგად, როგორც შენსას? მიჩვეულია შენი ძუძუს სუნს და შენს გულისცემას, რომ იცოდე.

და ისევ შეისუნთქა ის თბილი სურნელი, ძიძა რომ აფრქვევდა. მერე, რომ შეატყო, ჩემს სიტყვებს დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენიაო, განაგრძო:

– ახლა შენ ბავშვი სახლში წაიყვანე, მე პრიორს ვეტყვი და იქნებ კვირაში ოთხი ფრანკი მოგცეს.

– არა, – თქვა ძიძამ.

– ჰო, კარგი, ჯანი გავარდეს, – ხუთი!

– არა!

– აბა რამდენი გინდა? – შვუყვირა ტერიემ. – ხუთი ფრანკი დიდი ფულია მაგ საქმისთვის!

– ფული სულ არ მინდა, – უპასუხა ძიძამ, – მე მინდა, რომ ეს ნაბუშარი მომაშოროთ.

– კი მაგრამ, რატომ, გეთაყვა? – ჰკითხა ტერიემ და ისვე ააფათურა ხელი კალათში. – უსაყვარლესი ბავშვია; ნახე, რა ვარდისფერია, თან არ ტირის, კარგად სძინავს და მონათლულია.

– ეშმაკითაა შეპყრობილი!

ტერიემ სასწრაფოდ მოაცილა ხელი კალათს.

– შეუძლებელია! გამორიცხულია, რომ ძუძუმწოვარა ბავშვი ეშმაკით იყოს შეჰყრობილი. ჩვილი ბავშვი ადამიანი კი არა, ადამიანის წინა საფეხურია და ჯერ ბოლომდე ჩამოყალიბებული სული არა აქვს. ამიტომ ეშმაკს არც აინტერესებს. უკვე ხომ არ ლაპარაკობს? კრუნჩხეები ემართება? იქნებ საგნებს ამოძრავებს ოთახში? ცუდი სუნი ხომ არ უდის?

– სუნი სულ არა აქვს, – თქვა ძიძამ.

– აი, ხომ ხედავ! სრულიად ნათელია. ეშმაკით რომ იყოს შეპყრობილი, უნდა ყარდეს.

და, ძიძა რომ დაემშვიდებინა და საკუთარი გამბედაობაც გამოეცადა, ტერიემ კალათი ასწია და ცხვირთან მიიტანა.

– განსაკუთრებულს ვერაფერსა ვგრძნობ, – თქვა მან მას შემდეგ, რაც ცოტა ხანს ყნოსავდა, – ნამდვილად ვერაფერს. აი სახვევებიდან კი, მგონი, მართლაც ყარს. და ძიძას კალათი ახლოს მიუტანა თავისი შთაბეჭდილების დასადასტურებლად.

– მაგას არ ვამბობ, – უთხრა ძიძამ უხეშად და კალათი გასწია, – სახვევებში რაც არის, იმაზე არ გეუბნებით. მის განავალს, რა თქმა უნდა, სუნი აქვს. თვითონ ეს ნაბუშარია უსუნო.

– იმიტომ, რომ ჯანმრთელია! – იყვირა ტერიემ. – ჯანსაღი რომ არის, იმიტომაც არა აქვს სუნი. სუნი მხოლოდ ავადმყოფ ბავშვებს ასდით, ეს ხომ ცნობილია. ყველამ იცის, რომ ყვავილიან ბავშვს ცხენის ჩონჩორიკის სუნი ასდის, ქუნთრუშიანს – ძველი ვაშლის და ჭლექიან ბავშვს კი – ხახვისა. ეს კიდევ ჯანმრთელია. ეს არის და ეს, რატომ უნდა ყარდეს? რა, შენი შვილები ყარან?

– არა, – უთხრა ძიძამ, – ჩემს შვილებს ჩვეულებრივი ადამია- ნის სუნი აქვთ.

ტერიემ კალათი ფრთხილად დადგა მიწაზე, რადგან გრძნობ- და, რომ თანდათან სიბრაზე ემატებოდა ამ ქალის სიჯიუტის გამო. გამორიცხული არ იყო, რომ ამ დისკუსიის დროს ჟესტიკულაციისთვის ორივე ხელი დასჭირდებოდა და არ უნდოდა, ამის გამო ბავშვისთვის რამე დაეშავებინა. მაგრამ ხელები ჯერ უკან დაიწყო, ძიძას მუცელი მიუშვირა და მკაცრად ჰკითხა:

– ესე იგი, შენ ამტკიცებ, რომ იცი, როგორი სუნი უნდა ჰქონ- დეს ადამიანის ნაშიერს, რომელიც, უნდა შეგახსენო, რომ მონათ- ლულია და ამავე დროს ღვთის შვილია!

– დიახ, – უპასუხა ძიძამ.

– გარდა ამისა, შენ, სენ-დენის ქუჩაზე მცხოვრები ძიძა, ჟანა ბიუსი, ამტკიცებ, რომ, თუ ამ ბავშვს ისეთი სუნი არა აქვს, რო- გორიც შენი აზრით უნდა ჰქონდეს, მაშინ ეს ბავშვი ეშმაკის ნა- შიერია?

ზურგს უკან წაღებული მარცხენა ხელი გამოიშვირა და მაღლა აწეული საჩვენებელი თითი ცხვირწინ კითხვის ნიშანივით მოუკაკ- ვა. ძიძა დაფიქრდა, არ უნდოდა, საუბარი თეოლოგიურ დისკუსია- ში გადაზრდილიყო. იცოდა, წააგებდა.

– ეგ თითქოს არ მითქვამს, – უპასუხა მან, – ეშმაკთან ამ ბავშვს რამე კავშირი აქვს თუ არა, თქვენ უფრო გეცოდინებათ, პატერ ტერიე, მე მაგისი არაფერი გამეგება. მე მარტო ის ვიცი, რომ ამ ბავშვისა მეშინია, რადგან ისეთი სუნი არა აქვს, როგორიც სხვა ბავშვებს.

– აჰა, – კმაყოფილებით თქვა ტვრიემ და მარცხენა ხელი ისევ დამალა, – ესე იგი, ეშმაკზე არაფერი გითქვამს. კარგი. მაშინ მითხარი, გეთაყვა, როგორი სუნი უნდა ჰქონდეს, შენი აზრით, ძუ- ძუთა ბავშვს? აბა!

– კარგი სუნი უნდა ჰქონდეს, – უპასუხა ძიძამ.

– რას ჰქვია, კარგი?! – დაუღრიალა ტერიემ. – კარგი სუნი ბევრ რამესა აქვს: ლავანდის კონას, მაგალითად, ხორცს – წვნიან- ში, კიდევ არაბეთის ბაღებში დგას შესანიშნავი სურნელი. როგორი სუნი აქვს პატარა ბავშეს? ძალიან მაინტერესებს!

ძიძა დაიბნა. ზესტად იცოდა, როგორი სუნი აქვს ჩვილ ბავ- შვებს. მას ხომ ათობით ბავშვისათვის მოეწოვებინა ძუძუ, უვლიდა, არწევდა, კოცნიდა. ღამე ყნოსვით მიაგნებდა. აი ახლაც კი მკაფიოდ გრძნობდა მათ სუნს, მაგრამ ეს არასოდეს გამოუთქვამს სიტყვებით.

– აბა?! – უღრიალა ტერიემ და თითები მოუთმენლად გაატ- კაცუნა.

– ახსნა ძალიან მიჭირს, – დაიწყო ძიძამ, – იმიტომ, რომ ყველ-გან ერთნაირი სუნი არ ასდით, თუმცა ყველგან კარგი აქვთ. იცით, პატერ, პატარა ფეხებზე, მაგალითად, გლუვი, თბილი კენჭების სუ-ნი აქვთ, არა, უფრო ხაჭოსი ან ახალშედღვებილი კარაქისა. ტან- ზე... რძეში ჩამბალი ნამცხვრის სუნი ასდით, თავზე კი, მაღლა, უკან, სადაც თმა იხვევა, აი, მანდ, შეხედეთ, პატერ, საცა თქვენ აღარა გაქვთ... – და ხელი დაადო მოტვლეპილ თავზე ტერიეს, რო- მელიც ამ სულელური დეტალების გამო ერთი წუთით დამუნჯდა და მორჩილად დაუხარა თავი, – ჰო, აქ, აი ზუსტად აქ, ყველაზე კარგი სუნი აქვთ – კარამელისა, ისეთი ტკბილი, საოცარი, პატერ, ვერც წარმოიდგენთ. იქ რომ უყნოსოთ, შეგიყვარდებათ. სულერ-თია, თქვენი საკუთარი შვილი იქნება თუ სხვისი. აი ასეთი სუნი უნდა ჰქონდეთ ბავშვებს და მეტი არანაირი. და თუ ასეთი სუნი არა აქვთ, თუკი ამ ნაბუშარივით მანდ, ზემოთ საერთოდ არა აქვთ სუნი, როგორც ცივ ჰაერს, მაშინ... თქვენ შეძლებთ ამის ახსნას, პატერ, მე – ვერა, და გულხელი დაიკრიფა და ისეთი ზიზღით და-ხედა დაბლა კალათს, თითქოს შიგ გომბეშო მჯდარიყოს.

– მე, ჟანა ბიუსი, ამას აღარ წავიყვან!

პატერმა ტერიემ ნელა ასწია თავი და მოტვლეპილ ადგილზე რამდენჯერმე გადაისვა თითები, თითქოს თმების გასწორება უნ-დაო. მერე, ვითომ შემთხვევით, თითი ცხვირთან მიიტანა და ჩა-ფიქრებით დაყნოსა.

– კარამელისო? – იკითხა და ისევ მკაცრ ტონზე გადავიდა, – კარამელისა! რა იცი შენ კარამელის სუნი? გიჭამია თუ რა?

– არა, – უპასუხა ძიძამ, – მაგრამ ერთხელ სენტ-ონორეს ქუ-ჩაზე ერთ დიდ სასტუმროში ვიყავი და იქა ვნახე, როგორ აკეთებენ დამწვარი შაქრისა და საღებისაგას. ისეთი სუნი ჰქონდა, რა დამა-ვიწყებს!

– ჰო, კარგი, კარგი, – უთხრა ტერიემ და თითი ცხვირიდან მოიცილა, – მორჩი! ძალიან მიძნელდება შენთან ამ დონეზე ლაპა-რაკი, ვხედავ, უარს ამბობ, არ კი ვიცი, რა მიზეზით, შენთვის მო-ბარებული ჩვილის, ჟან-ბატისტ, გრეხუის გამოკვებაზე და ბავშვს

მის დროებით მეურევს, სენ-მერის მონასტერს უბრუნებ. საწყენია, მიმაჩნია, მაგრამ ვერაფერს შევცვლი. წადი, დათხოვნილი ხარ!

მან ხელი დაავლო კალათს, ერთხელ კიდევ შეისუნთქა თბილი რძის სურნელი, ნელ-ნელა რომ შორდებოდა და ჭიშკარი დაკეტა, მერე კი თავისი სამუშაო ოთახისკენ გაეშურა.

3

პატერი ტერიე განათლებული კაცი იყო. მას მხოლოდ თეოლოგია კი არ ჰქონდა შესწავლილი, ფილოსოფოსთა თხზულებებიც წაეკითხა და ბოტანიკასა და ალქიმიასაც იყო ნაზიარები. საკუ- თარი კრიტიკული გონების დიდი იმედი ჰქონდა. თუმცა ზოგიერ- თებივით ისე შორს არ მიდიოდა, რომ ბიბლიური ტექსტების სას- წაულებში, წინასწარმეტყველებებსა და ჭეშმარიტებებში ეჭვი შეჰ- პარვოდა, მაშინაც კი, როცა მათი გონივრული ახსნა შეუძლებელი იყო. ამგვარ პრობლემებს ერიდებოდა. არ სიამოვნებდა, რადგან ისინი სიმტკიცეს სამარცხვინოდ ურყევდა და აფორიაქებდა, მაშინ, როცა გონების მოსაკრებად სწორედ თავდაჯერებულობა და სიმ- შვიდე იყო საჭირო. მაგრამ უბრალო ხალხის ცრუმორწმუნეობას მტკიცედ ებრძოდა: ჯადოქრობას და კარტით მკითხაობას, ამუ- ლეტების ტარებას, ავი თვალის საწინააღმდეგო შელოცვებს, სავ- სე მთვარეობისას ჩატარებულ სისულელეებს და სხვა ამნაირებს – სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანული რელიგია ათას წელზე მეტი ხნის დამკვიდრებული იყო, ამ წარმართული ზნე- ჩვეულებების აღმოფხერა ვერ მოხერხდა. ეგრეთ წოდებული ეშმა- კით შეპყრობისა და სატანასთას კავშირის ფაქტებზე ახლო დაკ- ვირვებით აღმოჩნდებოდა ხოლმე, რომ, როგორც წესი, ყველაფერი ცრურწმენული სპექტაკლები იყო. თუმცაღა ტერიე ისე შორს არა- სოდეს წავიდოდა, რომ სატანის არსებობა უარეყო ან მის ძალაში ეჭვი შეეტანა. თეოსოფიის საფუძვლებთან დაკავშირებული პრობ- ლემების გადაწყვეტა სხვა ინსტანციების საქმე იყო და არა ერთი

პატარა, უბრალო ბერისა. მეორე მხრივ, სრულიად ნათელი იყო რომ, თუ ისეთი ჩვეულებრიეი ადამიანი, როგორიც ძიძა გახლდათ, დაიწყებდა მტკიცებას, ეშმაკის კვალს მივაგენიო, მაშინ ამ საქმეში სატანის ხელი ვერანაირად ვერ იქნებოდა გარეული. რახან ქალს ასე სჯეროდა საკუთარი აღმოჩენისა, ეს უფრო იმას ამტკიცებდა, რომ აქ არაფერი იყო სატანური. სატანა ისეთი სულელი ხომ არ იქნებოდა, რომ ძიძა ჟანა ბიუსის მიერ თავისი გამოაშკარავება დაეშვა და ისიც ცხვირით – ყველაზე პრიმიტიული გრძნობის – ყნოსვის – ორგანოთი! გეგონება, ჯოჯოხეთს მართლა გოგირდის, სამოთხეს კი საკმევლისა და მურის სუნი ჰქონდეს! ეს ხომ ისეთივე ცრუმორწმუნეობაა, როგორიც უბნელეს წარმართულ წარსულში ჰქონდათ, როცა ადამიანი ცხოველივით ცხოვრობდა, ცუდი მხედ- ველობა ჰქონდა და ფერებს ვერ არჩეედა, მაგრამ ეგონა, სისხლის სუნს ვგრძნობ და მტერ-მოყვარეს სუნით ვარჩევო. ადამიანები თვლიდნენ, რომ კაციჭამია გოლიათები, მაქცია მგლები და ერი- ნიები მათ სუნით აგნებდნენ. ამიტომ კოცონებზე ახრჩოლებდნენ თავიანთი საძაგელი კერპებისათვის შეწირულ მყრალ მსხეერპლს. რა საშინელებაა! ნათქვამია, „გიჟი ცხვირით უკეთ ხედავს, ვიდ- რე თვალებითო“. ალბათ ღვთის ბოძებული გონების ნათელს კი- დევ ერთი ათასი წელი მაინც დასჭირდება, ვიდრე ეს პრიმიტიული რწმენის ნაშთები აღმოიფხვრებოდეს.

– არა, რა დაუშავა ამ საცოდავმა პატარა ბავშვმა? წევს თა- ვისთვის კალათში უცოდველი არსება და სძინავს. არც კი იცის, რა საშინელებას სწამებენ. ადამიანის შვილისნაირი სუნი არა გაქვსო, ეს უსირცხვილო დედაკაცი ამტკიცებს. გესმის? აღუ, აღუ, აღუ, – ამბობდა ტერიე და მუხლებზე დადგმულ კალათს არწევდა, ჩვილს თავზე ეფერებოდა და შიგადაშიგ „აღუ, აღუს“" ჩასძახოდა. ეგონა, ეს ბავშვებზე ნაზად და დამამშვიდებლად მოქმედებსო.

– კარამელის სუნიო, – ეს რა თქვა! აღუ, აღუ, აღუ!

ცოტა ხნის მერე ბავშეს თითი მოაცილა, ცხვირთან მიიტანა და უყნოსა, მაგრამ ვერაფერი იგრძნო მჟავე კომბოსტოს სუნის გარ- და, სადილად რომ მიირთვა.

ერთი წუთით შეყოყმანდა, მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ მითვალთეალებსო, მერე კალათი ასწია და თავისი სქელი ცხვირი შიგ ჩაყო. ისე მიუახლოვდა, რომ ბავშვის მოწითალო თმები ნესტოებში უღიტინებდა. ჩვილის თავს სუნავდა, იქნებ რაიმე შევიგრძნოო, ზუსტად კი არ იცოდა, როგორი სუნი უნდა ჰქონდეთ ჩვილებს თავზე. არა, კარამელისა არა, რა თქმა უნდა, რადგან კარამელი დამწვარი შაქარია. როგორ შეიძლება, ჩვილს, აქამდე მხოლოდ რძე რომ ჰქონდა ნაჭამი, დამწეარი შაქრის სურნელი ჰქონოდა. რძის სუნი კიდევ ჰო, ძიძის რძისა, მაგრამ ამ ბავშეს რძის სუნი არ ასდიოდა. შეიძლება თმის სუნი ჰქონოდა, კანის, თმების და იქნებ ოდნავ – ბავშვის ოფლისა. ტერიე სუნავდა და ეგონა, რომ კანის, თმებისა და ცოტათი ბავშვის ოფლის სუნს იყნოსავდა, მაგრამ ვერაფერს გრძნობდა, როგორ არ ცდილობდა, მაგრამ მაინც ვერაფერს. ალბათ, ჩვილს სუნი არა აქვსო, იფიქრა. კი, ასე იქნება. ჩვილს, თუკი სუფთად ჰყავთ, სუნი არა აქვს ისევე, როგორც თავიდან ლაპარაკის, სიარულის, წე- რის უნარი არა აქვს. ეს ყველაფერი მერე, ასაკთან ერთად მოდის. უფრო სწორად კი, ადამიანი სუნს მხოლოდ მაშინ გამოსცემს, როცა სქესობრივი მომწიფების დრო დაუდგება. ჰო, ასეა. ჰორაციუსი არ წერს, „ყმაწვილი ჭირეეულობს, ქალწული იფურჩქნება და თეთრი ნარგიზების სუნს აფრქვევსო?" რომაელებს ამისა ნამდვილად გაეგებოდათ. ადამიანის სუნი ყოველთვის ხორციელი სუნია, ესე იგი ცოდვის სუნი. აბა, რა სუნი უნდა ჰქონდვს ჩვილს, რომელსაც ხორციელი ცოდვა არც კი დასიზმრებია? რა სუნი უნდა ჰქონდეს? აღუ, აღუ, – საერთოდ არანაირი.

მან კალათი ისევ მუხლებზე დაიდგა და ფრთხილად დაარწია. ბავშვს ისევ ღრმად ეძინა. მარჯვენა მუქი გადასაფარებლიდან გამოეყო და პატარა წითელ ლოყაზე ხახდახან საყვარლად იდებდა. ტერიეს გაეღიმა და უეცრად საოცარი სიმყუდროვე იგრძნო. ერთი წუთით თავს უფლებაც კი მისცა, ფანტასტიკური რამე წარმოედგინა: თითქოს ბავშვის მამა თვითონ იყო.

აი, ვითომ ბერად კი არ შემდგარა, ჩეეულებრივი მოქალაქეა, მაგალითად, პატიოსანი ხელოსასი, ცოლი შეირთო, თბილი, რბი-

ლი, რძის სუნით გაჟღენთილი დედაკაცი, ბიჭი ეყოლათ და ახლა კალთაში არწევს თავის შვილს. აღუ, აღუ, აღუ. მოეწონა ეს აზრი, კარგი აზრი იყო, რაღაცნაირი დამამშვიდებელი. მამა შვილს კალა-თით არწევს. აღუ, აღუ. ეს ხატება სამყაროსავით ძველია და, თა- ნაც, მას აქეთ, რაც სამყარო არსებობს, მუდამ ახალი და სწორია. ტერიეს გული გაუთბა და სენტიმენტალურ გუნებაზე დადგა.

ამ დროს ბავშემა გამოიღვიძა, ჯერ–ცხვირით: პაწაწინა ცხვირი ამოძრავდა, ზემოთ აიწია და ყნოსვა დაიწყო, ჯერ ჰაერს ჩაისუნ-თქავდა და მერე, თითქოს ცხვირს არასრულად აცემინებსო, მოკლე ბიძგებით ამოისუნთქაედა. შემდეგ ბავშემა ცხვირი შეიჭმუხნა და თვალები გაახილა. თვალები გაურკეეველი ფერისა ჰქონდა – რუხი თუ ოპალისფერ-მოთეთრო-მოკრემისფრო, ზედ ლორწოვანი ლიბ-რით. აშკარად ჯერ კიდევ ვერ ხედავდა. აი, ცხეირი კი სხვა საქმეა; თუკი ბავშვის დაბინდული თვალები სადღაც, გაურკეეეელი მიმარ-თულებით იყურებოდნენ, მისი ცხვირი თითქოს კონკრეტულ სამიზ-ნეს ეძებდა. ტერიეს უცნაური გრძნობა გაუჩნდა, თითქოს ეს სამიზნე თვითონ იყო, თავად ტერიე. სახის ცენტრში პაწია ცხვირის პანაწინა ნესტოები კვირტებივით ებერებოდა, უფრო კი იმ პატარა მტაცებე-ლი მცენარის ჯამივით, სამეფო ბოტანიკურ ბაღში რომ იზრდება. და თითქოს ბავშვის ნესტოებიც ამ მცენარესავით საშინელი მიტაცების უნარით იყვნენ დაჯილდოებულნი. ტერიეს ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს ბავშვი მას ნესტოებით ხედავდა, თითქოს გამომცდელად უყურებდა, იმაზე გამჭოლად, ვიდრე ეს თვალს შეუძლია. თითქოს ბავშვი ცხვირით რაღაც ისეთს ისრუტავდა, რაც ტერიეს ეკუთვნოდა და რის შეკაეება და დამალვაც არ შეეძლო. უსუნო ბავშვი თავხე-დურად ყნოსავდა, დიახ, ყნოსავდა. და უცებ ტერიეს მოეჩვენა, რომ ოფლის, ძმრის, მჟავე კომბოსტოსა და გაურეცხავი ტანსაცმლის სუ-ნად ყარდა. თავს შიშველი მახინჯივით გრძნობდა, თითქოს ვიღაც უხილავი უთვალთვალებდა, თითქოს ის ვიღაც მის კანქვეშაც აღწევ-და, მის შიგანშიც; ეჩვენებოდა, რომ თავისი უნაზესი გრძნობებითაც და უბინძურესი ფიქრებითაც შიშველი იყო ამ პატარა ხარბი ცხვირის წინაშე, ჯერ წესიერად ცხეირიც რომ არ ერქვა და მხოლოდ რაღაც

მოძრავი პაწაწინა ნახვრეტებიანი ორგანო იყო, სულ რომ იბერებოდა და მოძრაობდა. ტერიეს გააჟრჟოლა. ზიზღის გრძნობა მოერია. ახლა თვითონ შეიჭმუხნა, თითქოს ცხვირში რაღაც საშინელი სიმყრალე ეცა, რომელთანაც არ უნდოდა, რამე საერთო ჰქონოდა. გამოეთხოვა ილუზიას, რომ ეს ბავშვი მისი სისხლი და ხორცი იყო. გაქრა სენტიმენტალური იდილიური სურათი მამისა, შვილისა და სურნელოვანი დედისა, თითქოს ვიღაცამ გაუწყვიტა ის ალერსიანი ფიქრების შლეიფი, რომელშიც თავის თავსა და ბავშვს ხედავდა. უცხო, ცივი არსება ეწვა კალთაში, მტრული ცხოველი. ის რომ ასეთი მშვიდი, ღვთისმოშიში და გონიერი ადამიანი არ ყოფილიყო, ალბათ ზიზღით მოისვრიდა რაღაც ობობასავით.

ტერიე სწრაფად წამოდგა და კალათი მაგიდაზე დადგა. ამ ბავშვის თავიდან მოცილება მოუნდა. სასწრაფოდ, ახლავე, ამ წუთ- შივე.

და ამ დროს ბავშვი აღრიალდა. თვალები მოჭუტა, წითელი ხახა დააღო და ისე საშინლად აკივლდა, რომ ტერიეს ძარღვებში სისხლი გაეყინა. კალათს განზე გაწვდილი ხელით იქნევდა და თან „აღუ, აღუს“ გაიძახოდა, რომ ბავშვი როგორმე გაეჩუმებინა, მაგ- რამ ის ჩხავილს უმატებდა და უმატებდა. სულ გალურჯდა. ტირი- ლისაგან ლამის გამსკდარიყო.

თავიდან უნდა მოვიცილო! ფიქრობდა ტერიე, ახლავე უნდა მოვიშორო ეს... უნდოდა ეთქვა „ეშმაკიო,“ მაგრამ თავი შეიკავა... ეს ურჩხული, ეს აუტანელი ბავშვი! ჰო, მაგრამ როგორ? ათობით ძიძას იცნობდა, უპატრონო ბავშვთა სახლებიც იცოდა ამ კვარ- ტალში, მაგრამ ყველაფერი ძალიან ახლო იყო. ეს არსება უფრო შორს უნდა გაესტუმრებინა, რომ მისი ხმა აღარ გაეგო, ისე შორს, რომ ყოველ წუთს ვიღაცას უკან არ მოეგდო. შეძლებისდაგვარად სხვა სამრევლოში უნდა წასულიყო, სულაც სენის გაღმა აჯობებ- და, ქალაქგარეთ ხომ სულმთლად უკეთესი იქნებოდა, გარეუბან სენტ- ანტუანში. კი, სწორედ იქ. ჰო, ეგრე. იქ უნდა წაეყვანა ეს მყვირალა, შორს, აღმოსაელეთისკენ, ბასტილიის იქით, სადაც ღამ- ღამობით ჭიშკარს კეტავდნენ.

ტერიემ სუტანის კალთები აიკრიფა, აღრიალებულ კალათს ხელი დაავლო და ვიწრო მისახვევ-მოსახვევებით გარეუბან სენტ-ანტუანისკენ გაქანდა. სენის გასწერივ მირბოდა აღმოსავლეთისაკენ. შემდეგ შარონის ქუჩაზე, თითქმის ბოლომდე. აქ, მაგდალინას მონასტრის ახლო, ვინმე მადამ გაიარის მისამართი იცოდა. ის ყველანაირ და ნებისმიერი ასაკის ბავშეს იღებდა, ოღონდ კი ვინმეს შენახვის ფული გადაეხადა. ტერიემ იქ ჩააბარა ბავშვი, რომელიც ჯერ ისევ ჩხაოდა, ერთი წლის საფასური წინდაწინ მისცა და ისევ უკან, ქალაქისკენ გამოიქცა. როცა მონასტერში დაბრუნდა, სამოსი გაიძრო, გეგონება, წაბილწულიაო, გულდაგულ დაიბანა და თავის სენაკში საწოლში შეძვრა, პირჯვარი ბევრჯერ გადაიწერა, დიდხანს ილოცა და, როგორც იქნა, დამშვიდებულს ჩაეძინა.

4

მადამ გაიარს ცხოვრება უკვე მოთავებული ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ოცდაათისაც არ იყო. გარეგნობით ასაკის შესაბამისად კი გამოიყურებოდა, მაგრამ ამავე დროს ორჯერ, სამჯერ და ასჯერ უფროსს ჰგავდა დამუმიებული გოგოსავით. შინაგანად უკვე კარგა ხნის მკვდარი იყო. ბავშვობაში მამამისმა შუბლში ასტამი ჩასცხო და ყნოსვის შეგრძნება დააკარგვინა, და მარტო ყნოსვისა კი არა, ყოველგვარი ადამიანური სითბოსი თუ სიცივი- საც, მოკლედ, ყველანაირი გრძნობა. ამ ერთი დარტყმით სინაზე მისთვის ისევე უცხო გახდა, როგორც ზიზღი, სიხარული ისევე უცხო, როგორც სასოწარკვეთა. არც მაშინ გრძნობდა რამეს, რო- ცა, მოგვიანებით, კაცთან წვებოდა და არც მაშინ, როცა შვილებს აჩენდა. არც ბავშვების სიკვდილს განიცდიდა და არც ცოცხლად გადარჩენილებს შეჰხაროდა, თუ ქმარი სცემდა, არც კი ინძრეოდა და არც მაშინ უგრძვნია შვება, "ოტელ-დიოში" ქმარი ქოლერით რომ მოუკვდა. ორად ორი გრძნობა, რომელსაც იცნობდა იყო გუნების ოდნავი გაფუჭება, როცა შაკიკი ეწყებოდა და ხასიათის ოდ-

ნავი გამოსწორება, როცა შაკიკი გაუვლიდა. ეს შინაგანად მკვდარი ქალი სხვას ვერაფერს გრძნობდა.

მეორე მხრივ... ან იქნებ სწორედ ემოციების სრული უქონლობის გამო მადამ გაიარი დაუნდობლად წესრიგიანი და სამართლიანი იყო. მისთვის მიბარებული ბავშვებისგან არც არჩევდა რომელიმეს და არც ჩაგრავდა. აღსაზრდელებს დღეში სამჯერ აჭმევდა. არც ერთი ლუკმით მეტს. დღეში სამჯერ უცვლიდა საფენებს, მხოლოდ ორ წლამდე. თუ რომელიმე ბავშვი ორი წლის მერეც ჩაისვრიდა, არ უსაყვედურებდა. ერთს გულგრილად გასცხებდა და ერთი ჯერით ნაკლებს აჭმევდა. ბავშვების შესანახი ფულის ნახევარს მათ ახმარდა, მეორე ნახევარს კი თავისთვის იტოვებდა. არც იაფობის დროს ცდილობდა თავისი მოგების გაზრდას და არც მძიმე დროში მოუმატებდა იმათ ხარჯებს არც ერთ სუს, მაშინაც კი, სიკვდილ სიცოცხლის საქმე რომ ყოფილიყო. ასე რომ არა, მის საქმიანობას აზრი აღარ ექნებოდა. ფული სჭირდებოდა. ყველაფერი ზუსტად ჰქონდა გათვლილი. უნდოდა, სიბერეში რენტა ეყიდა და თან იმ- დენი ფულიც დაეგროვებინა, რომ უფლება ჰქონოდა, თავისი ქმა- რივით „ოტელ-დიოში“ არ ჩაძაღლებულიყო და შინ მომკვდარიყო. ქმრის სიკვდილს კი გულგრილად შეხვდა, მაგრამ სხვა ასეულობით უცხოსთან ერთად საერთო, „საზოგადოებრივი“ სიკვდილისა ეშინოდა. უნდოდა, რომ „კერძო“ სიკვდილის საშუალება ჰქონოდა და ამისათვის ბავშვების ფულიდან მთელი მოგება სჭირდებოდა. მართალია, ზოგჯერ ზამთრობით ოცი ბავშვიდან სამი-ოთხი უკვდებოდა, მაგრამ ამ მხრივ სხვა კერძო აღმზრდელებთან შედარებით საგრძნობლად უკეთესი მდგომარეობა ჰქოსდა და ბევრად სჯობდა დიდ სახელმწიფო და საეკლესიო უპატრონო ბავშვთა სახლებსაც, სადაც ბავშვების ცხრა მეათედი იღუპებოდა. უპატრონო ბავშვები კი საკმარისად იყვნენ. პარისი წელინადში ათი ათასზე მეტ უპატრონოს, ნაბუშარსა და ობოლს ითვლიდა. ასე რომ, ზოგიერთ დანაკარგს ადვილაღ ურიგდებოდნენ.

პატარა გრენუისათვის მადამ გაიარის დაწესებულება ღვთის წყალობა იყო. სხვაგან ალბათ ვერსად გადარჩებოდა. აქ კი, ამ გულ-

ქვა ქალთან მშვენიერად იზრდებოდა. ძალიან გამძლე იყო, იმას, ვისაც მის მსგავსად ნაგავში დაბადება გადაეტანა, ასე ადვილად ვერავინ და ვერაფერი გაისტუმრებდა ამ ქვეყნიდან. შეეძლო გამუდმებით ეხვრიპა წყალწყალა სუპები, წყალგარეული რძე ესვა, დამპალზე დამპალი ბოსტნეული და გაფუჭებული ხორცი ეჭამა. ბავშეობაში გადაიტანა წითელა, დიზენტერია, ჩუტყვავილა, ქოლერა, ცოცხალი გადაურჩა ექვსმეტრიან ჭაში ჩავარდნას და მდუღარე წყლით მკერდის დაფუფქვას. მართალია, ამ ყველაფრისაგან ჭრილობები, ნაიარევები, ფუფხები, ოდნავ დამახინჯებული ფეხი დარჩა და კოჭლობდა, მაგრამ ცოცხალი იყო. გამძლეობა გარემოს შეჩვეული ბაქტერიისა და იმ ტკიპისა ჰქონდა, ხეზე ჩუმად რომ ზის და წლების წინ მოპოვებული სისხლის პაწაწინა წვეთით იკვებება. ხორცისთვის საჭმლისა და ტანსაცმლის მინიმუმი უნდოდა, სულისათვის – არაფერი. უსაფრთხოება, ყურადღება, ალერსი, სიყვარული და სხვა ასეთები, რაც თითქოს ბავშვებს სჭირდებათ, პატარა გრენუისათვის სრულიად ზედმეტი იყო. უფრო მეტიც, ვფიქრობთ, რომ მან თავისი თავი იმთავითვე არასაჭიროდ აქცია, რათა საერთოდ გადარჩენილიყო.

საჭრელი მაგიდის ქვეშიდან საკუთარი დაბადების მაუწყებელი ყვირილი, რომლითაც დედა ეშაფოტზე გაისტუმრა, არ იყო ინსტინქტური ყვირილი, შემიბრალეთ და შემიყვარეთო. ეს იყო მოფიქრებული, შეიძლება ითქვას, კარგად გააზრებული ყვირილი, რომლითაც ახალშობილმა სიცოცხლის სასარგებლოდ გადაჭრით უარყო სიყვარული. თუმცა ამ პირობებში სხვაგვარად ვერც იქნებოდა – ბავშვს ორივე რომ მოეთხოვა, სულ მალე საცოდავად ამოხდებოდა სული. მართალია, შეეძლო, მეორე გზითაც წასულიყო – ჩუმად ყოფილიყო და დაბადებიდან სიკვდილამდე სიცოცხლეზე გამავალი გზა არ აერჩია, ამით სამყაროსაც და საკუთარ თავსაც დიდ ბოროტე- ბას ააცილებდა. მაგრამ ასეთი თავმდაბლური სიკვდილისთვის სულ ერთი ბეწო თანდაყოლილი კეთილგანწყობა მაინც იყო საჭირო, რაც გრენუის არ გააჩნდა, ის თავიდანეე ურჩხული იყო და სიცოცხლის გზა მხოლოდ და მხოლოდ ჯიბრისა და ბოროტების გამო აირჩია.

რა თქმა უნდა, ეს გადაწყეეტილება ზრდასრული ადამიანივით არ მიუღია, რომელიც საკუთარ მეტ-ნაკლებად ძლიერ გონებასა და გამოცდილებას იყენებს იმისათვის, რომ საშუალებათაგან ერთ-ერთი ამოირჩიოს. მაგრამ მან ეს არჩევანი მაინც გააკეთა – ვეგეტაციურად, როგორც გადაგდებული ლობიოს მარცვალი ირჩევს ხოლმე, აღმოცენდეს თუ სულ არ ამოვიდეს. ანდა ტკიპასავით, რომელსაც ცხოვრება ხეზე მუდმივი გამოზამთრების გარდა არაფერს უქადის. პატარა, რუს-ტყვიისფერი მახინჯი ტკიპა ბურთულად იქცევა, რომ გარე სამყაროს რაც შეიძლება ნაკლები ზედაპირი მოუშვიროს. ის კანს იგლუვებს და იმაგრებს, რომ არაფერმა გამოჟონოს, არაფერი აორთქლდეს მისი სხეულიდან; ტკიპა, რომელიც საგანგებოდ პატარავდება და შეუხედავი ხდება, რომ არავინ შენიშნოს და გასრისოს; მარტოსული ტკიპა, რომელიც ხეზე ზის, ბრმა, ყრუ, მუნჯი და წლობით მხოლოდ ყნოსავს და რამდენიმე მილის იქით შეიგრძნობს ცხოველების სისხლს: მათ დამოუკიდებლად ვერასდროს მისწვდება. ტკიპას შეუძლია, ტყეში მიწაზე ჩამოვარდეს და ექვსი პაწაწინა ფეხით ან იქით გახოხდეს რამდენიმე მილიმეტრით, ან აქეთ და ჩაწვეს სადმე ფოთლებქვეშ სიკვდილის მოლოდინში. და არავინ იდარდებს. იცის ღმერთმა, რომ არავინ. მაგრამ ტკიპა, ჯიუტი, შეუპოვარი, საზიზღარი, ხეზეა გარინდებული, ცოცხლობს და იცდის. იქამდე იცდის, ვიდრე სრულიად წარმოუდგენელი შემთხვევა მას ზუსტად იმ ხის ქვეშ ცხოველის სახით სისხლს არ მიუგზავნის. და აი, მაშინ დაავიწყდება თავშეკავება – დაეცემა, ჩაებღაუჭება, ჩაერჭობა, და იწყებს უცხო სხეულიდან სისხლის წოვას.

ასეთი ტკიპა იყო პატარა გრენუი. ცხოვრობდა თავის ნაჭუჭში ჩაკეტილი და უკეთეს დროებას ელოდა. გასავლის გარდა სამყაროს არაფერს აძლევდა: არც ღიმილს, არც ყვირილს, არც თვა- ლების ციმციმს და არც თავის სუნს, ნებისმიერი სხვა ქალი ასეთ საზარელ ბავშვს მოიშორებდა, მაგრამ არა მადამ გაიარი. მას ხომ ყნოსვა არ ჰქოსდა. ვერაფრის სუნს ვერ გრძნობდა და ბავშვისაგან არანაირი გრძნობების გამოხატვას არ ელოდა, რადგანაც საკუთა- რი სულიც დახშული ჰქოხდა.

მადამ გაიარისაგან განსხვავებით, სხვა ბავშვებმა იმ წუთშივე იგრძნეს, რომ გრენუის რაღაც სჭირდა. პირველი დღიდანვე გაუცნობიერებელი შიში გაუჩნდათ. ერიდებოდნენ მის საწოლ ყუთს და თავიანთ საწოლებზე ერთმანეთს ისე ეკვროდნენ, თითქოს ოთახში აცივდაო. უფრო პატარები ხანდახან ღამღამობით ყვიროდნენ, ეჩვენებოდათ, რომ საძინებელში უბერავდა. ზოგს ესიზმრებოდა რომ სუნთქვას რაღაც უხშობდა. ერთხელ უფროსმა ბავშვებმა გრენუის დახრჩობა გადაწყვიტეს, სახეზე ძონძები, გადასაფარებ- ლები და ჩალა დააყარეს და თან ეს ყველაფერი აგურებითაც დაამ- ძიმეს. მეორე დღეს, მადამ გაიარმა რომ ამოთხარა, ის დაჭმუქნი- ლი, დაჟეჟილი და გალურჯებული იყო, მაგრამ ცოცხალი. ბავშვებ- მა კიდევ რამდენჯერმე სცადეს მისი მოკვლა, მაგრამ ამაოდ. მის დახრჩობას ყელში ხელის წაჭერით ან ცხვირ-პირში რამის ჩატენით – რაც, რა თქმა უნდა, უფრო საიმედო ხერხი იქნებოდა – ვერ ბე- დავდნენ. არ უნდოდათ შეხებოდნენ, ზარავდათ, როგორც დიდი ობობა, რომლის ხელით გასრესაც კაცს საშინელ ზიზღს ჰგვრის.

როცა გრენუი წამოიზარდა, მის მოკვლაზე ხელი აიღეს. ალ- ბათ მიხვდნენ, რომ მისი განადგურება შეუძლებელი იყო. ამიტომ უბრალოდ ერიდებოდნენ, გაურბოდნენ და ყოველი შემთხვევის- თვის არ ეკარებოდნვნ. ის არ სძულდათ, არც კი შურდათ მისი, არც საჭმელი ენანებოდათ მისთვის – მადამ გაიარის სახლში ამ- გვარი რამისთვის არანაირი საბაბი არ არსებობდა – უბრალოდ, მისი არსებობა არ მოსწონდათ. ისინი მის სუნს ვერ გრძნობდნენ. მათ გრენუისა ეშინოდათ.

5

ამასთან, სამართლიანობა მოითხოვს, ისიც ვთქვათ, რომ მას არაფერი ჰქონია ისეთი, რაც შიშს გამოიწვევდა. როცა წამოიზარ- და, არც განსაკუთრებით მაღალი იყო, არც ღონიერი. შეუხედავი კი იყო, მაგრამ არც ისე, რომ მისი შეგშინებოდა. არც აგრესიული

იყო, არც მოუხეშავი, არც გაიძვერა. გამომწვევადაც არ იქცეოდა. ერჩივნა, განზე მდგარიყო. თითქოს არც მისი ინტელექტი იწვევდა შიშს. მხოლოდ სამი წლისამ გაიარა, პირველი სიტყვა ოთხი წლისამ წარმოთქვა. ეს იყო სიტყვა „თევზები“, რომელიც უცაბედი აღელ-ვების მომენტში აღმოხდა – შორიდან თევზის გამყიდველის ხმა შემოესმა, რომელიც შარონის ქუჩას მოუყვებოდა და ყვირილით თავის საქონელს აქებდა. მის მიერ წარმოთქმული შემდეგი სიტყვე-ბი იყო „გერანი“, „თხის სადგომი", „სავოიის კომბოსტო“, ბოლო სიტყვა „ჟაკ საფრთხობელა" – მებაღის დამხმარე ბიჭის სახელი იყო, რომელიც იქვე მეზობლად ჯვრის ასულთა მონასტერში მუ- შაობდა (მადამ გაიარი ხანდახან ქირაობდა ხოლმე ყველაზე მძიმე სამუშაოებისთვის და იმით იყო ცნობილი, რომ თავის სიცოცხლეში ერთხელაც არ ებანავა). გრენუი ზმნებს, ზედსართავებსა და ნაწი-ლაკებს არა სწყალობდა. „კი“-სა და „არა“-ს გარდა, რომლებიც, სხვათა შორის, ძალიან გვიან წარმოთქვა, პირველად მისთვის მხო-ლოდ არსებითი სახელები არსებობდა, უფრო სწორად კი, კონ-კრეტული საგნების, მცენარეების, ცხოველებისა და ადამიანების სახელები, და ისიც მხოლოდ მაშინ, თუკი ეს საგნები, მცენარეები, ცხოველები ან ადამიანები მასზე თავიანთი სუნით უეცრად მოახ-დენდნენ შთაბეჭდილებას.

მარტის მზის ქვეშ ერთმანეთზე დაწყობილ წიფლის შეშის გრო-ვაზე იჯდა. სითბოში ხე ტკაცუნებდა. სწორედ მაშინ წარმოთქვა პირველად სიტყვა „შეშა“. მანამდე შეშა ათასჯერ ენახა, სიტყვაც ათასჯერ ჰქონდა გაგონილი. ამ სიტყვის აზრი ესმოდა კიდეც, რად-გან ზამთარში ხშირად გზავნიდნენ გარეთ მეშის მოსატანად. მაგ- რამ თვითონ შეშა არასდროს ყოფილა მისთვის ისე საინტერესო, რომ მის წარმოსათქმელად თავისთვის ძალა დაეტანებინა. ეს მხო- ლოდ მარტის იმ დღეს მოხდა, როცა დაწყობილ შეშაზე იჯდა. ეს შეშა მადამ გაიარის ფარდულის სამხრეთ კედელთან საჩიხის ქვეშ სკამივით იყო დალაგებული. ზედა ნაჭრებს დამწვრის მოტკბო სუნი ჰქონდა. მისი სიღრმიდან ხავსის სუნი ამოდიოდა, ხოლო ფარდუ- ლის ნაძვის კედელი სითბოში გამომშრალი ფისის სუნს აფრქვევდა.

გრენუი ფეხებგაშლილი იჯდა შეშაზე, ზურგით ფარდულს ეყრდნობოდა, თვალები დახუჭული ჰქონდა და არ ინძრეოდა. ვერაფერს ხედაედა, არც ესმოდა და ვერც რამეს გრძნობდა, მხოლოდ, ხის სუნს აღიქვამდა, მის გარშემო რომ ტრიალებდა და სახურავ- ქვეშ ქუდივით ეკიდა. ის ამ სურნელს სვამდა, შიგ იხრჩობოდა, უკანასკნელ შინაგან ფორამდე იწოვდა. ხის თოჯინად იქცა, პინოქიოსავით იწვა ამ ნაპობებზე მკვდარივით იქამდე, ვიდრე დიდი ხნის, ალბათ, ასე, ნახევარი საათის შემდეგ არ ამოღერღა სიტყვა „შეშა“. თითქოს ყურებამდე ხით იყო სავსე, თითქოს ხე ყელამდე ედგა, თითქოს მუცელი, ხახა, ცხვირი ხით ჰქონდა ამოვსებული, ისე ამოარწყია ეს სიტყვა. ამან გონს მოიყვანა და შეშისგან მიღებული შთაბეჭდილებებით, მისი სუნით დახრჩობისაგან გადაარჩინა, წამოდგა, ჩამოძვრა შეშიდან და გეგონება ფეხები ხისა ჰქონდა, ისე გაეცალა იქაურობას. რამდენიმე დღის შემდეგაც კი დარეტიანებული იყო ხის მძაფრი სუნისაგან და როცა ეს მოგონება ძალიან შემოაწვებოდა, თავისთვის შელოცვასავით ბუტბუტებდა ხოლმე: „შეშა, შეშა.“

ასე ისწავლა ლაპარაკი. ყველაზე უფრო იმ სიტყვების სწავლა უძნელდებოდა, რომლებიც სუნიან საგანს არ აღნიშნავს, ანუ აბსტრაქტული, უპირველესად კი ეთიკური და მორალური ცნებებისა. მათ ვერ იმახსოვრებდა, ერთმანეთში ურეედა და მერე, დიდობაშიც კი, უხალისოდ და ხშირად არასწორად ამბობდა სიტყვებს: სამართალი, სინდისი, ღმერთი, სიხარული, პასუხისმგებლობა, თავმდაბლობა, მადლიერება და ა. შ, რა უნდა გამოეხატა ამ სიტყვებით, მისთვის გაუგებარი იყო და გაუგებრადვე დარჩა, მეორე მხრივ კი, მალე ენა აღარც კი ჰყოფნიდა იმ საგნების გამოსახატად, რომლებსაც ის ყნოსვით ცნებებად იგროვებდა, მალე უბრალოდ ხის სუნს კი აღარ გრძნობდა, არამედ განასხვავებდა ხის სახეობებს: ნეკერჩხალს, მუხას, ფიჭვს, თელას, მსხალს, აგრეთვე ძველს, ახალს, დამძალს, დაობებულს, ხავსიანს და სხვადასხვა ხის ღერებს, ნაფოტებს. და ნამცეცებსაც – და მათ განსხვავებული სუნის მქონე საგნებად აღიქვამდა. სხვები ამას თვალითაც ვერ შეძლებდნენ. იგივე

ემართებოდა სხვა საგნებზეც. იმ თეთრ სასმელს, მადამ გაიარი დი-ლაობით თავის აღსაზრდელებს რომ ასმევდა და ყოველთვის რძეს რომ ეძახდნენ, გრენუის გაგებით, ყოველ დილას სხვადასხვა სუნი და გემო ჰქონდა იმისდა მიხედეით, თუ რამდენად თბილი იყო, რო- მელი ძროხისა იყო, რა ჰქონდა ამ ძროხას ნაჭამი, რამდენი ნაღები მოხადეს... კვამლს, რომელიც ასობით ცალკეული არომატისაგან შედგებოდა, ყოველ წუთს, ყოველ წამსაც კი იცვლებოდა და ახალ სურნელებად გარდაიქმნებოდა, და ცეცხლის კვამლს ერთადერთი სახელი ჰქონდა – კვამლი... მიწა, ბუნება, ჰაერი, რომლებიც ყო-ველ ნაბიჯზე, ყოველი ჩასუნთქვისას სხვა სუნებით ივსებოდა და ამით სხვა შინაარსს იძენდა და მაინც მხოლოდ ამ სამი მოუხეშავი სიტყვით აღინიშნებოდა – ყველა ამ გროტესკულმა შეუსაბამობამ ყნოსვით აღქმულ სამყაროსა და ენის სიღატაკეს შორის ყმაწვილ გრენუის ენის საჭიროების მიმართ ეჭვი გაუჩინა და მას მხოლოდ მაშინღა იყენებდა, როცა სხვებთან ურთიერთობისათვის აუცილებ-ლად სჭირდებოდა.

ექვსი წლისთვის სამყარო თავის ირგვლივ თითქმის მთლია-ნად აითვისა. მადამ გაიარის სახლში აღარ დარჩა აღარც ერთი საგანი, შარონის ქუჩის ჩრდილოეთ მხარეს არც ერთი ადგილი, ადამიანი, ქვა, ხე, ბუჩქი თუ ღობე, არც სულ ერთი ბეწო კუნჭუ-ლი, რომელიც სუნით არ სცნობოდა და რომელთა ერთადერთობა მის გონებაში მტკიცედ არ ყოფილიყო შენახული. ათიათასობით, ასიათასობით სპეციფიკური სუნი ჰქონდა მოგროვილი და ისე მკა-ფიოდ და ცოცხლად, რომ დაყნოსვისას მარტო მათი გახსენება კი არ შეეძლო, მაშინვე თითოეულ სუსს ხელახლა შეიგრძნობდა. უფ- რო მეტიც, თავის ფანტაზიაში ამ სუხების ახლებურ შეთავსებასა და ისეთი სურნელების შექმნას ახერხებდა, სისამდვილეში რომ არ არსებობს, მალე დაეუფლა სუნების უზარმაზარ ლექსიკონს, რო-მელიც საშუალებას აძლევდა, სუნებისაგან ახალი ფრაზების ნე-ბისმიერი რაოდენობა შეედგისა. და ეს იმ ასაკში, როდესაც სხვა ბავშვები გაჭირეებით დამახსოვრებული სიტყვებით გარემოს აღ-საზერად საჭირო პირველი გაუგებარი მარტივი წისადადებების ჩა-

მოყალიბებას ძლივს აბამდნენ თავს. მისი ნიჭის შედარება ყველაზე მეტად ალბათ იმ ვუნდერ კინდი მუსიკოსის ნიჭთან შეიძლებოდა, რომელსაც მელოდიებისა და თითოეული ტონის ანაბანა შეუცნია და ახლა თვითონვე ქმნის სრულიად ახალ მელოდიებსა და ჰარმონიებს, ცხადია, იმ განსხვავებით, რომ სუნების ანბანი შეუდარებლად დიდია და უფრო დიფერენცირებული, ვიდრე ტონების, და კიდევ იმითაც, რომ ვუნდერკინდ გრენუის შემოქმედებითი წვა მხოლოდ მის შიგნით ხდებოდა და ამის შემჩნევა არავის შეეძლო თვითონ მის გარდა.

ის კიდევ უფრო გულჩათხრობილი გახდა. ყველაზე უფრო გარეუბან სენტ-ანტუანის ჩრდილოეთით, ბოსტნებში, ვენახებსა და მინდვრებში მარტო ხეტიალი უყვარდა. ხანდახან ღამე სახლში არ ბრუნდებოდა და მთელი დღეები სადღაც გადაიკარგებოდა ხოლმე. ამისათვის დაწესებულ სასჯელს – ჯოხით ცემას – უსიტყვოდ იტანდა. ვერც ჩამწყვდევამ, ვერც შიმშილმა, ვერც საჯარიმო სამუშაომ ვერ გამოასწორა. წელიწად-ნახევარს ნოტრ-დამ-დე-ბონ-სეკურის სამრევლო სკოლაში დადიოდა არარეგულარულად, მაგრამ ამას არანაირი საგრძნობი შედეგი არ გამოუღია. ცოტა ჩათვლით კითხვა და თავისი სახელის დაწერა ისწავლა, მეტი არაფერი. მასწავლებელი მას გონებასუსტად თვლიდა.

სამაგიეროდ მადამ გაიარმა შეამჩნია, რომ გრენუის გარკვეული მონაცემები და უცნაური, რომ არა ვთქვათ ზებუნებრივი, თავისებურებები ჰქონდა. მაგალითად, სხვა ბავშვებივით სიბნელისა არ ეშინოდა. ყოველთვის შეიძლებოდა რამის ამოსატანად სარ- დაფში მისი ჩაგზავნა, სადაც სხვა ბავშვები ჭრაქითაც ვერ ბედავ-დნენ ჩასვლას, ან ღამით გარეთ, უკუნეთ სიბნელეში ფარდულიდან შეშის მოსატანად გაშვება, არასოდეს არ მიჰქონდა სანთელი და მაინც მშვენივრად აგნებდა. მაშინვე მოიტანდა, რაც საჭირო იყო. ერთს არ წაიბორძიკებდა ან გადააყირავებდა რამეს. კიდევ უფრო უცნაური ის იყო, რომ, როგორც მადაც გაიარმა არაერთგზის შენიშნა, ქაღალდის, ნაჭრის, ხის, აგურის პედლებისა და დახურული კარის მიღმაც შეეძლო ყველაფრის დანახვა და გაგება.

საძინებელში შეუსვლელად იცოდა, რამდენი და რომელი აღსაზ-
რდელი იყო იქ. ჭია რომ იჯდა ყვავილოვან კომბოსტოში, იქამდე
იცოდა, ვიდრე კომბოსტოს გაჭრიდნენ. ერთხელ კი, როცა მადამ
გაიარმა ფული ისე კარგად გადამალა, რომ თვითონვე ველარ მიაგ-
ნო (ხშირად ცვლიდა ხოლმე სამალავებს), გრენუიმ დაუფიქრებ- ლად
მიუთითა ბუხართან ერთ ადგილზე და ფული მართლაც იქ აღმოჩნდა.
ის მომავალსაც ხედავდა. მაგალითად, დიდი ხნით ადრე იცოდა, რომ
ვიღაც მოვიდოდა, ან ავდრის მოახლოებას შეუცდომ- ლად
იწინასწარმეტყველებდა ხოლმე ჯერ კიდევ მაშინ, როცა ცა-
ზე ღრუბლის ჭაჭანებაც არ იყო. იმას, რომ ბიჭი ამ ყველაფერს
ვერ ხედავდა – თვალით ვერ ხედავდა – ვერც ჭიას კომბოსტოში,
ვერც ფულს ბუხრის კოჭს უკან, ვერც ადამიანებს კედლებს მიღმა და
რამდენიმე ქუჩის იქითაც – ეს ყველაფერი მადამ გაიარს არც
დაესიზმრებოდა, თუნდაც რომ ასტამს მისთვის ყნოსვა არ წაერ-
თმია. დარწმუნებული იყო, რომ ეს ბიჭი, მიუხედავად იმისა, საღი
გონება ჰქონდა თუ არა, ორსახოვანი იყო და, რადგანაც გაეგო-
ნა, ორსახოვანი ადამიანი უბედურებასა და სიკვდილს იზიდავსო, მის
მიმართ შიში გაუჩნდა. კიდევ უფრო საშიში და აუტანელი იყო იმის
წარმოდგენა, რომ ისეთ ვინმესთან ერთად ცხოვრობდა, ვისაც
კედლებსა და კოჭებს უკან საგულდაგულად დამალული ფულის
დანახვა შეეძლო. იმ დღიდან, რაც მისი ნიჭი აღმოაჩინა, გრენუის
თავიდან მოშორება უნდოდა. ამიტომ ხელსაყრელიც კი გამოდგა,
რომ ზუსტად იმ დროს – გრენუი რვა წლისა იყო – სენ-მერის
მონასტერმა მიზეზების აუხსნელად ყოველწლიური თანხის გზავნა
შეუწყვიტა. მადამმა გაფრთხილების წერილი არ მისწერა, ზრდი-
ლობისათვის ერთ კვირას დაელოდა და, დათქმული თანხა რომ არ
ჩამოვიდა, ბავშვს ხელი მოჰკიდა და ქალაქში წაიყვანა.

მორტელრის ქუჩაზე, მდინარესთან ახლოს ერთ მთრიმლავს
იცნობდა, გვარად გრიმალს, რომელსაც მუდამ აკლდა ბიჭები – შე-
გირდები და ქარგლები კი არა, იაფფასიანი შავი მუშები. მის ხელო-
ბაში იყო ისეთი სახიფათო და მავნე სამუშაოები, როგორიცაა, მა-
გალითად, ტყავისათვის გახრწნილი ხორცის მოცილება, მომწამლა-

ვი სათრიმლავი და საღებავი ხსნარების არევა, მწვავე ფერჭერის ამოყვანა, რაც ისე საშიში იყო ჯანმრთელობისათვის, რომ პატიოსანი ოსტატი ამისთვის, ჩვეულებრივ, თავის გაწვრთნილ თანაშემწეებს კი არ იყენებდა, არამედ უმუშევარ მაწანწალებსა და ობოლ, ბავშვებს, რომლებსაც უბედურების შემთხვეეაში მომკითხავი არ გამოუჩნდებოდათ. მადამ გაიარმა, ცხადია, იცოდა, რომ გრენუის გრიმალის სახელოსნოში, ადამიანური საზომით, გადარჩენის არანაირი შანსი არ ექნებოდა, მაგრამ ის ქალი არ იყო, ვინც ამაზე ფიქრით თავს შეიწუხებდა. მას თავისი ვალი მოხდილი ჰქონდა. მეურვეობა დასრულებული იყო. ამიერიდან მის აღსაზრდელს თუ რამე მოუვიდოდა, აღარ ეხებოდა. თუ გადარჩებოდა, ხომ კარგი, თუ არა და, კიდევ უკეთესი. მთავარი იყო, ყველაფერში წესი და რიგი ყოფილიყო დაცული. ამიტომ მან ბატონ გრიმალს წერილობითი დასტური ჩამოართვა, თავის მხრივ ხელი მოაწერა საკომისიო თხუთმეტი ფრანკის მიღების ქვითარს და ისევ სახლისაკენ მიმავალ შარონის ქუჩას გაუდგა. სინდისს ოდნავადაც არ შეუწუხებია. მეტიც, სჯეროდა, რომ მარტო კანონიერად კი არა, სამართლიანადაც მოიქცა, რადგანაც ბავშვი, რომლისთვისაც აღარავინ უხდიდა, სხვა ბავშვების ხარჯზე უნდა ერჩინა და ამას კი შეიძლება საფრთხე შეექმნა როგორც ბავშვების, ისე თავისი საკუთარი მომავლისთვისაც, უფრო სწორად, საკუთარი, სხვისი თვალისაგას დაფარული, „კერძო“ სიკვდილისათვის, ერთადერთი რამისათვის, რასაც ცხოვრებაში ნატრობდა.

რაკი მადამ გაიარს აქ ვეთხოვებით და აღარც მერე შეეხედებით, გვინდა, რამდენიმე სიტყვით მისი სიცოცხლის ბოლო აღვწეროთ. მართალია, ბავშვობაში შინაგანად უკეე მკედარი იყო, მაგრამ მადამ გაიარმა, თავისდა საუბედუროდ, ძალიან, ძალიან დიდხანს იცოცხლა. 1782 წელს, თითქმის სამოცდაათი წლისამ, თავისი საქმე დატოვა. როგორც უნდოდა, რენტა იყიდა, თავის პატარა სახლში იჯდა და სიკვდილს ელოდა. სიკვდილი კი არა და არ მოდიოდა. მის მაგივრად მოვიდა ის, რასაც არავინ ელოდა და რაც მანამდე არასოდეს არ ყოფილა ქვეყანაში, კერძოდ, რევოლუცია, სწრაფი

ცვლა ყველა საზოგადოებრივი, მორალური და ტრანსცენდენტური ურთიერთობისა. თავიდან ამ რევოლუციას მადამ გაიარის ბედზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია. მაგრამ მერე – თითქმის უკვე ოთხმოცისა ხდებოდა – უცებ შეატყობინეს, რომ ის კაცი, რომე- ლიც რენტას უხდიდა, ემიგრაციაში წავიდა. მას ქონება ჩამოარ- თვეს და ვიღაც შარვლების ფაბრიკანტმა შეიძინა აუქციონზე. ერ- თხანს ისე ჩანდა, თითქოს მადამ გაიარისათვის არც ამ ცვლილე- ბებს უნდა ჰქონოდა ფატალური შედეგი, რადგანაც ფაბრიკანტიც დროულად უხდიდა რენტას. მაგრამ შემდეგ დადგა დრო, როცა ფულს მყარი მონეტებით კი არა, პატარა დაბეჭდილი ქაღალდებით იღებდა და ეს იყო მისი მატერიალური დასასრულის დასაწყისი. ორი წლის მერე რენტა შეშის საყიდლადაც კი აღარ ჰყოფნიდა. მადამი იძულებული გახდა, სახლი ძალიან იაფად გაეყიდა. უცებ ძალიან ბევრს მოუწია მასავით სახლის გაყიდვა. და მათაც საფა- სურად ისეთივე უაზრო ქაღალდები მიიღეს. ორ წელიწადში ისი- ნიც გაუფასურდა. 1797-ში, როცა ოთხმოცდაათს უახლოვდებოდა, მთელი თავისი გაჭირვებით, ნაწილ-ნაწილ, მძიმე შრომით შეგრო- ვილი ქონება დაკარგა. კოკიის ქუჩაზე პატარა ავეჯიანი ოთახი ჰქონდა ნაქირავები. მხოლოდ ახლა, ათი თუ ოცი წლის დაგვიანე- ბით მოვიდა სიკვდილი და მოვიდა ხანგრძლივი სიმსივნის სახით, რომელმაც მადამს ჯერ ყელში წაუჭირა, მერე მადა წაართვა და ბოლოს ხმაც. ასე რომ, ერთი სიტყვითაც კი ვერ გააპროტესტა, „ოტელ-დიოში" რომ წაიყვანეს, სადაც ასობით სასიკვდილოდ გან- წირული სხვაც იყო სწორედ იმ დიდ დარბაზში, სადაც ოდესღაც ქმარი მოუკვდა. საერთო საწოლში ხუთ სხვა უცხო ბებერ ქალთან ერთად ჩააწვინეს. ასე ერთმანეთზე მჭიდროდ მიკრულები იწვნენ სამი კვირის განმაელობაში და სიკვდილს ელოდსენ საქვეყნოდ. შემდეგ ტომარაში გამოკერეს, დილის ოთხ საათზე ორმოცდაათ სხვა მიცვალებულთან ერთად საზიდარზე დააგდეს, პატარა ზარის წკარუნის თანხლებით კლამარის სასაფლაოზე წაიღეს, ქალაქის კა- რიბჭიდან ერთი მილის დაშორებით და იქ ჩაუმქრალი კირის სქელი ფენის ქვეშ ჩააწვყნეს საერთო სამარეში.

ეს 1799 წელს მოხდა. მადლობა ღმერთს, მადამ გაიარმა თა- ვისი მომავალი ბედის შესახებ არაფერი იცოდა, როცა 1747 წლის ამ დღეს შინ ბრუნდებოდა და ბიჭუნა გრენუი და ჩვენი მოთხრობა დატოვა. მას ალბათ დაეკარგებოდა სამართლიანობის რწმენა და ამით ერთადერთი მისთვის გასაგები ცხოვრების აზრი.

6

ბატონი გრიმალის პირველი დანახვისთანავე, არა, მისი პირვევ- ლი დაყნოსვისთანავე, როგორც კი მისი აურა შეისუნთქა, გრენუიმ იგრძნო, რომ ამ კაცს სულ ერთი ბეწო ურჩობისთვისაც კი შეეძ- ლო, ცემით მოეკლა. მისი სიცოცხლე ზუსტად იმდენი ღირდა, რამ- დენიც მისი ნამუშევარი, მისი სიცოცხლე მხოლოდ იმ სარგებლო- ბის ტოლი იყო, რომლითაც მას გრიმალი ზომავდა. ამიტომ გრენუი სრულიად უდრტვინველად დაემორჩილა. იმ დღიდანვე ნაჭუჭში ჩა- კეტა თავისი სიჯიუტე და ენერგია და მას ტკიპასავით იყენებდა მოსალოდნელი გამყინვარების გადასატანად. გამძლე, უპრეტენ- ზიო და შეუმჩნეველი იყო. გადარჩენის იმედის ცეცხლი დაბალზე ენთო, მაგრამ ის მუდმივად აქცევდა ყურადღებას. მორჩილების, უპრეტენზიოობისა და გამრჯეობის სანიმუშო მაგალითი იყო, ყვე- ლაფერს უჯერებდა და ნებისმიერ საჭმელს სჯერდებოდა. საღა- მოობით თვინიერად აკეტვინებდა თავს სახელოსნოზე მიშენებულ ფარდულში, სადაც ხელსაწყოები ინახებოდა და დამარილებული დაუმუშავებელი ტყავები ეკიდა. აქ მას პირდაპირ მიწურ იატაკ- ზე ეძინა. დაღამებამდე მუშაობდა, ზამთარში – რვა, ზაფხულში – თოთხმეტ, თხუთმეტ, თექვსმეტ საათს: საშინლად მყრალ ტყავებს ხორცს აცლიდა, ალბობდა, ბალანს აშორებდა, კირში წვავდა, არ- ბილებდა, შეშას აპობდა, არყის ხეებსა და ურთხელს ქერქავდა. მწველი კვამლით სავსე სათრიმლავ ორმოში ჩადიოდა. ქარგლების ბრძანებით ტყავებსა და ხის ქერებს ფენა-ფენა აწყობდა, ზედ აყ- რიდა ასრესილ მელსისგუნდებს და ამ საშინელ კოცოსს ურთხელის

ტოტებითა და მიწით ფარავდა. რამდენიმე წლის შემდეგ ამ ნაყარს ისევ თხრიდა და სამარხიდან გათრიმლულ ტყავს იღებდა.

თუ ტყავებს არ მარხაედა ან ისევე არ თხრიდა, მაშინ წყალს ეზიდებოდა. თვეობით დაათრევდა წყალს მდინარიდან, დღეში ასობით ვედროს, ყოველთვის წყვილ-წყვილს, რადგან ეს საქმე უამრავ წყალს მოითხოვდა გასარეცხად, ჩასალბობად, მოსახარმად, შესაღებად. წყლის ზიდვისაგან თვეობით ტანზე ერთი ძაფიც კი არ ჰქონდა მშრალი. საღამოობით წყალი წურწურით ჩამოსდიოდა ტანსაცმლიდან და კანი ნატივით ცივი, რბილი და დაჯირჯვებული ჰქონდა.

ერთი წლის ასეთი არაადამიანური, უფრო პირუტყვული არსებობის შემდეგ მთრიმლავებისათვის დამახასიათებელი საშინელი ავადმყოფობა – ჯილეხი, ანუ ციმბირის წყლული, დაემართა, რომელიც, როგორც წესი, კაცს კლავს ხოლმე. გრიმალს უკვე ჩამოწერილიც კი ჰყავდა და მის შემცვლელს ეძებდა. სხვათა შორის, გული კი სწყდებოდა, რადგან ამ გრენუივით უპრეტენზიო და მშრომელი დამხმარე მანამდე არ ჰყოლია. მაგრამ ყველასდა გასაოცრად გრენუიმ ავადმყოფობას სძლია. მხოლოდ დიდი შავი ნაიარევები დარჩა ყურებს უკან, ყელსა და ლოყებზე, რომლებმაც ძალიან დაამახინ- ჯა. მაგრამ შეიძინა ფასდაუდებელი რამე – ჯილეხის მიმართ შეუვალობა. ახლა უკვე დამსკდარი და დასისხლიანებული ხელებითაც შეეძლო ტრყავისთვის ხორცის მოცილება ისე, რომ ავად გახდომის საშიშროება აღარ ემუქრებოდა. ახლა ამით მარტო დანარჩენი შეგირდებისა და ქარგლებისაგას კი არ განსხვავდებოდა, არამედ თავისი პოტენციური შემცვლელებისაგანაც, და, რადგანაც მისი შეცვლა არცთუ ისე ადვილი იყო, მისი შრომისა და, შესაბამისად, სიცოცხლის ფასმაც უცებ იმატა. ამიერიდან მიწაზე აღარ უნდა დაეძინა, უფლება მისცეს, ფარდულში თავისთვის ხისგას საწოლი შეეჭედა, ზედ ჩალაც დაუფარეს და საკუთარი საბანიც მისცეს. ძილის დროს ფარდულში აღარ ამწყვდევდნენ. საჭმელიც უკეთესი ჰქონდა. გრიმალი მას უბრალოდ პირუტყვივით კი არა, სასარგებ- ლო შინაური პირუტყვივით ეპყრობოდა.

თორმეტისა რომ შესრულდა, გრიმალმა კვირადღის ნახევარი გაუთავისუფლა, ცამეტი წლისას კი უკვე შეეძლო, საღამოობით საითაც უნდოდა, იქით წასულიყო და, რაც უნდოდა, ის ეკეთებინა. მან გაიმარჯვა, რადგან ცოცხლობდა და თან სულ ერთი ბეწო თავისუფლებაც ჰქონდა. ეს კი არსებობისათვის სრულიად კმარ-და. გამოზამთრება დასრულდა. ტკიპა გრენუი ისევ აჩუჩუნდა. ის ხვალინდელი დღის ჰაერს გრძნობდა. ნადირობის ჟინი გაუჩნდა. მისთვის ღია იყო სუნების უდიდესი ადგილი მსოფლიოში – ქალაქი პარიზი.

7

ეს მისთვის ზღაპრული ქვეყანა იყო. ახლომდებარე სენ-ჟაკ-დე-ლა-ბუშრის და სენტ-ევსტაქის ეკლესიის რაიონები ზღაპრულად სამყაროდ ეჩეენებოდა. სენ-დენისა და სენ-მარტენის ქუჩებიდან განტოტვილი ვიწრო ქუჩაბანდები ისე მჭიდროდ იყო დასახლებუ-ლი, ხუთ-ექვსსართულიანი სახლები ისე ახლო-ახლო იდგა ერთმა-ნეთთან, რომ ცა აღარ ჩანდა. ჰაერი ისე დაბლა იდგა, როგორც წყალი ნესტიან არხებში და სუნებით იყო გატენილი. ერთმანეთში ირეოდა ადამიანებისა და ცხოველების, საჭმლისა და ავადმყოფო- ბების, წყლის, ქვის, ფერფლისა და ტყავის, საპნისა და ახალგა- მომცხვეარი პურის, ძმარში მოხარშული კვერცხების, მაკარონისა და გაპრიალებული თითბრის, სალბის, ლუდისა და ცრემლების, ცხიმისა და სველი თუ მშრალი ჩალის სუნი. ათასობით სუნი ქმნი- და უხილავ ფაფას, რომელიც ვიწრო ქუჩების ღრმულებს ავსებ-და, სახურავებს იშვიათად ასცდებოდა, დაბლა, ქვაფენილზე კი არასდროს ქრებოდა. იქ მცხოვრები ადამიასები განსაკუთრებულს ვერაფერს გრძნობდსენ, ეს სუნების ფაფა ხომ მათგან იყო წარ-მოქმნილი და ისევ მათვე ჟღენთდა. ეს ჰაერი, რომლითაც სუნ-თქავდნენ, რომლითაც ცოცხლობდსნენ, დიდხასს ნაცვამი თბილი ტანსაცმელივით იყო, რომელსაც ვეღარც ტანზე გრძნობ და ვე-

ღარც მის სუნს აღიქვამ. მაგრამ გრენუი ამ ყველაფერს პირველად შეიყნოსავდა. ის ამ სუნებს ერთობლიობაში კი არ აღიქვამდა, არამედ წვრილ-წერილად ანაწევრებდა. მისი მგრძნობიარე ცხვირი ამ სიმყრალისა და ანაორთქლის გორგალს სუნების ძირითად, უფ- რო უხრწნელ ძაფებად შლიდა, სადამდეც კი შესაძლებელი იყო. საოცრად სიამოვნებდა ამ გორგლის დაშლა და ძაფის წვერების გამოცალკევება.

ხშირად ან სახლის კედელს მიეყრდნობოდა, ან ბნელ კუთხეში გაჩერდებოდა ხოლმე თვალდახუჭული, ნახევრად პირღია, დაბერილი ნესტოებით, ჩუმად, როგორც მტაცებელი თევზი დიდ, ბნელ და მდორე წყალში. და ჰაერი ნაზი სურნელის ძაფის ბოლოს რომ მოუფრიალებდა, იჭერდა და სხვას აღარაფერს ყნოსავდა, იმ ერ- თის გარდა. მაგრად ეჭირა, ისუნთქავდა და საუკუნოდ ინახავდა. ეს შეიძლება ნაცნობი სუნი ან მისი რომელიმე სახესხვაობა, ანდა შეიძლება სულაც ახალი სუნი ყოფილიყო, რომელსაც ძალზე მცი- რე ან საერთოდ არანაირი მსგავსება არ ექნებოდა უკვე ნაცნობ სუნებთან, მაგალითად, დაუთოებული აბრეშუმის, ბეგქონდარას ჩაის, ვერცხლით მოსირმული ფარჩის ნაჭრის, იშვიათი ღვინის ბოთლიდან ამოღებული საცობის ანდა კუს ბაკნის სავარცხლისა. ასე ეძებდა თავისთვის უცნობ სუნებს გრენუი, დიდი აზარტითა და მეთევზის მოთმინებით ნადირობდა მათზე და შიგნით იგრო- ვებდა.

ქუჩაბანდების სუნით რომ გაძღებოდა, უფრო გაშლილ ადგილებში მიდიოდა, იქით, სადაც სუნები უფრო თხელდებოდა, ქარში ირეოდა და თითქმის სუნამოსავით იშლებოდა, მაგალითად, ბაზრის მოედანზე, სადაც საღამოსაც ცოცხლობდნენ სუნები, უჩინრად, მაგრამ ისე აშკარად, თითქოს ვაჭრები ისევ იქ ირეოდნეს, თითქოს ისევ ეწყო ბოსტნეულითა და ვცერცხით სავსე კალათები, ღვინიანი და ძმრიანი კასრები, სანელებლებით, კარტოფილითა და ფქვილით გატენილი ტომრები, ლურსმნებიანი და ქანქიკებიანი ყუთები, ხორცის დახლები, ქსოვილები, ჭურჭელი, ფეხსაცმლის ლანჩები და ყველაფერი, რაც დღისით იყიდებოდა... მთელი ეს ფუსფუსი და

ორომტრიალი წერილ-წვრილად იგრძნობოდა ჰაერში, გრენუი ამ ბაზრის მოედანს, ასე ვთქვათ, ცხვირით „ხედავდა". ყნოსვით უკეთესად ხედაედა ყველაფერს, ვიდრე სხვები თვალით დაინახავდნენ, რადგან აქაურობას „კვალდაკეალ" აღიქვამდა და, უფრო ამაღლებულადაც: როგორც ესენციას, როგორც რაღაც გარდასულ, სუნს, რომელსაც არ არღვევს აწმყოს ჩვეულებრივი ატრიბუტები: ხმაური, კაშკაშა შუქი. ხალხის რია-რია.

ანდა იქით გასწევდა ხოლმე, სადაც დედამისს მოჰკვეთეს თავი – გრევის მოედნისკენ, რომელიც უშველებელ ენასავით იყო შეყ- რილი მდინარეში. აქ იდგა ნაპირზე ამოთრეული ან ბოძკინტებზე მიბმული გემები და იქიდან ნახშირის, მარცვლეულის, თივის და ნესტიანი ბაგირების სუნი მოდიოდა.

ამ ერთადერთი თავისუფალი ადგილიდან, საიდანაც მდინარეს ქალაქში კალაპოტი ჰქონდა გაკვალული, დასავლეთის ქარის, ფართო ნაკადი შემოიჭრებოდა ხოლმე და სოფლის სუნი მოჰქონდა და კიდევ ნეიის ახლომახლო ველ-მინდვრებისა, სენ-ჟერმენს, და ვერსალს შორის გადაჭიმული ტყეებისა, რუანივით და კანივით შორეული ქალაქებისა და ხანდახან ზღვისაც კი. ზღვას გაბერილი იალქნის სუნი ჰქონდა, რომელშიც წყლის, მარილისა და ცივი მზის სურნელი იყო შეზავებული. ეს უბრალო და ამავე დროს დიდი და განსაკუთრებული სუნი იყო. გრენუი ყოყმანობდა, არ უყვარდა მისი დაშლა თევზის, მარილის, წყლის, წყალმცენარეების, სუფთა და სხვა სუნებად. ესენი ერთად ერჩია, მეხსიერებაში მთლიანად ინახავდა და ასე ტკბებოდა. ზღვის სუნი ისე მოსწონდა, რომ ოცნებობდა, ოდესმე სუფთა, ხალასი და ისე ბევრი შეეყნოსა, რომ დამთვრალიყო. მერე კი, როცა სხვების მონაყოლიდან შეიტყო, ზღვა იმხელაა, ხმელეთს თვალსაც კი ვერ მოჰკრავ, ისე იცურებ გემით მთელი დღეებიო, ყველაზე დიდი სიამოვნებით იმას წარმოიდგენდა ხოლმე, როგორ ჩაჯდებოდა მაღლა, ყეელაზე მაღალ ძელზე ჩამოკიდებულ კალათში ამნაირ გემზე და ასე ილიელიეებდა ზღვის უსასრულო სუნში, რომელსაც სუნიც კი არ ეთქმოდა არამედ სუნთქვა, ამოსუნთქვა, ყველა სუნის მწვერვალი, და ნე-

ტარებისაგან ამ სუნთქვაში გადნებოდა. მაგრამ ამ ოცნებას ასრულება არ ეწერა, რადგან გრენუი, გრევის მოედანზე სენის ნაპირზე რომ იდგა და ხარბად იყნოსავდა ცხვირში მოხვედრილი ზღვის ქარის ნაგლეჯებს, ვერასდროს ნახავდა ზღვას, ნამდვილ ზღვას, დასავლეთის დიდ ოკეანეს და ვერასდროს შეუერთდებოდა მის სურნელს.

უბანი სენტ-ევსტაქის ეკლესიასა და ქალაქის მერიას შორის ყნოსვით ისე ახლოს გაიცნო, რომ ღამის უკუნეთშიც არ გაუჭირდებოდა გზის გაგნება. ამის მერე გაიფართოეა ნადირობის არეალი, ჯერ დასავლეთისაკენ, გარეუბან სენტ-ონორესაკენ, მერე სენტ-ანტუანის ქუჩიდან ბასტილიამდე, ბოლოს კი მდინარის გადაღმა სორბონის უბნისა და მდიდრების უბან სენ-ჟერმენისაკენ. ჭიშკრების რკინის გისოსებიდან კარეტების ტყავისა და პაჟების პარიკე- ბის პუდრის სუნი მოდიოდა და ბაღების მაღალ ღობეებს ზემოდან კურდღლისცოცხასა და ვარდების, ახალგაკრეჭილი კვიდოს სუნი იფრქვეოდა. აქ პირველად იგრძნო გრენუიმ ნამდვილი სუნამოს სუნი: უბრალო ლავანდისა და ვარდის წყლისა, საზეიმო დღეებში შადრევნებში რომ ასხამდნენ, აგრეთვე უფრო რთული, ძვირფასი სურნელები მუშკის ნაყენისა, რომელიც შერეული იყო ნეროლის, ტუბეროზის, ჟონკილის, ჟასმინისა და დარიჩინის ზეთთან. ეს სურნელები საღამოობით მძიმე შლეიფად სდევდა თან ეკიპაჟებს. ის ამ არომატებს ინტერესით, მაგრამ დიდი აღფრთოეანების გარეშე აღიქვამდა. მართალია, ხვდებოდა, რომ სუნამოს დანიშნულება აღგზნება და მიმზიდველობის შექმნა იყო, აღიარებდა კიდეც, რომ ცალკეულ ესენციებს, რომლისგანაც ეს სუნამოები მზადდებოდა, არა უშაედა, მაგრამ მთლიანობაში ეს მისთვის სურნელთა მოუხეშავი შეხამება იყო, უფრო შეთქვეფილი, ვიდრე შერწყმული, და იცოდა, თვითონ რომ იგივე კომპონენტები ჰქონოდა, სულ სხვა სურნელის შეთხზვეას შეძლებდა.

ამ კომპონენტებიდან ადრე ბევრს ყვავილებისა და სანელებლების რიგებში შეხვედროდა ბაზარში, დანარჩენებს არ იცნობდა. მათ; სუნების ნაერთებიდან გამოყოფდა და მეხსიერებაში უსასრუ-

ლოდ ინახავდა: ამბრის, ციბეთინის, პაჩულის, სანდალოზის ხის. ბერგამოტის, ვეტივერის, ოპოპონაქსის, გუნდრუკის, სვიის ყვავილის, ბიბერგაილისა...

წუნია არ იყო. იმას, რაც საყოველთაოდ კარგ ან ცუდ სუნად ითვლებოდა, ის არ განასხვავებდა – ჯერ არ განასხვავებდა. ხარბი იყო. ნადირობის მიზანი ერთი ჰქონდა: სამყაროში არსებული ყველა სუნის მოგროვება, ერთადერთი პირობით – სუნი ახალი უნდა ყოფილიყო. ცხენის ოფლის სუნს მისთვის ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორიც ვარდის დაბერილი მწვანე კოკრების ნაზ არომატს, რწყილის მკვეთრ სუნს ისეთივე, როგორიც მდიდრის სახლიდან გამოსული ღორის ქონით დატენილი შემწვარი ხბოს ხორცისას. სუყველაფერს შთანთქავდა, იწოვდა. მაგრამ მისი ფანტაზიის სუნების კრებსით სამზარეულოში, სადაც გამუდმებით ადგენდა ახალი სუნების კომბინაციებს, ჯერ კიდევ არ არსებობდა არავითარი ესთეტიკური პრინციპი. ეს იყო უცნაური ფანტაზიები, აღმშენებლობითი და დესტრუქციული, რომლებსაც კუბებით მოთამაშე ბავშვივით აწყობდა და ანგრევდა – რაიმე განსაკუთრებუ- ლი შემოქმედებითი პრინციპის გარეშე.

8

1753 წლის პირველ სექტემბერს, მეფის ტახტზე ასვლის წლისთავზე პარიზში, სამეფო ხიდთან, ფოიერვერკი მოეწყო. ეს არ იყო ისეთი განუმეორებელი სანახაობა, მეფის ქორწინების დღეს რომ გაიმართა, ანდა ისეთი ლეგენდარული ფოიერვერკი, დოფინის დაბადების აღსანიშნავად რომ მოაწყვეს, მაგრამ მაინც ძალიან შთამბეჭდავი ფოიერვერკი იყო. გემების ანძებზე მზის ბორბლები დაამაგრეს. ეგრეთ წოდებული „ცეცხლოვანი ხარები“ ხიდიდან მდინარეში, ალმოდებული ვარსკვლავების წვიმას აფქვევნდნენ. ყველგან პეტარდები ფეთქდებოდა გამაყრუებელი ხმაურით და ქვაფენილზე პატარა ტკაცუნები სკდებოდა, რაკეტებს უშვებდნენ და ცის შავ

ფონზე თეთრი შროშნები იხატებოდა. როგორც ხიდზე, ისე მდინარის ორივე ნაპირზე შეკრებილი აუარებელი ხალხი ამ სპექტაკლს აღფრთოვანებით ადევნებდა თვალს და „ბრავოს“ და „ვივატსაც" კი იძახდა, მიუხედავად იმისა, რომ მეფე ტახტზე 38 წლის წინ იყო ასული და მისი პოპულარობის ზენიტიც კარგა ხნის გადასული იყო. აი, რამდენი შეუძლია ფოიერვერკს!

გრენუი ჩუმად იდგა ფლორას პავილიონის ჩრდილში მარჯვენა სანაპიროზე, სამეფო ხიდის პირდაპირ, საერთო აღტაცებაში არ მონაწილეობდა. ტაშს არ უკრავდა, ერთხელაც არ აუხედავს მაღ- ლა, რაკეტებისაკენ. იმისთვის მოვიდა, რომ ეგონა, რამე ახალს ვიყნოსავო. მაგრამ მალე მიხვდა, რომ ფოიერვერკი სუნის თვალ— საზრისით ახალს ვერაფერს მისცემდა. ის, რაც ხელგაშლილი მრავალფეროვნებით ბრწყინავდა, იღვრებოდა, სკდებოდა და უსტვენდა, მისთვის მხოლოდ გოგირდის, ზეთისა და გვარჯილის სუნების მოსაწყენი ერთფეროვანი ნაზავი იყო.

ის-ის იყო, უკვე ამ თავმომაბეზრებელი საღამოს დატოვებასა და ლუვრის გალერეის გაყოლებით სახლში დაბრუნებას აპირებდა, რომ ქარმა სულ ერთი ბეწო, ოდნავ შესამჩნევი სურნელის ნამცეცა ატომი, არა, კიდევ იმაზე ნაკლებიც – უფრო სურნელის შეგრძნება, ვიდრე ნამდვილი სურნელი და თანაც აქამდე შეუყნოსავი სუნის მყარი განცდა მოუტანა. ღობესთას დაბრუნდა, თვალები დახუქა და ნესტოები დაბერა, სურნელი ისეთი არაჩვეულებრივად ნაზი და წმინდა იყო, რომ მისი შეკავებაც კი გაუჭირდა. ისევ და ისევ ეკარგებოდა ეს სუნი. მის აღქმას პეტარდების ფხვნილის ბოლი უშლი- და, ადამიანების სუნები ახშობდა, ქალაქის სხვა ათასობით სუნისა- განიშლებოდა და ისრისებოდა, მაგრამ მერე უცებ ისევ ჩნდებოდა, პატარა ნაკუწი წამიერად გაიელვებდა დიდებულ მინიშნებად და ისევ ეკარგებოდა, გრენუი საშინლად იტანჯებოდა. რაღაც უცნაუ- რად გრძნობდა, რომ ეს სურნელი ყველა დანარჩესის მოწესრი- გების გასაღები უნდა გამხდარიყო. სხვებს ვერაფერს გაუგებდა, თუკი ამ ერთს ვერ შეიცნობდა. ის, გრენუი, თავის ცხოვრებას ფუ- ჭად გალევდა, თუკი ამ ერთ სუნს ვერ დაეპატროსებოდა. იმიტომ

კი არა, რომ მისი დაუფლება სწყუროდა, არამედ იმისათვის, რომ გული მშვიდად ჰქონოდა.

აღელვებისაგან კინაღამ ცუდად გახდა. ჯერ ისიც კი ვერ გაერკვია, რომელი მხრიდან მოდიოდა ეს სურნელი. ვიდრე ქარი სუნის ნაგლეჯს მოუტანდა, კარგა ხანი გადიოდა და ყოველ ჯერზე მისი სამუდამო დაკარგვის საშინელი შიში იპყრობდა. ბოლოს, როგორც იქნა, დაადგინა, რომ სურნელი მდინარის მეორე ნაპირიდან, ალბათ სამხრეთ-აღმოსაელეთიდან მოდიოდა.

გრენუი ფლორას პავილიონის კედელს მოსწყდა, ხალხს შეერია და ხიდისკენ გაიკვლია გზა. რამდენიმე ნაბიჯს გადადგამდა, ჩერდებოდა, ყელყელაობდა, რომ ხალხის თავებს ზემოთ დაეყნოსა ჰაერი. თავიდან საშინელი აღელვეებისგან ვერაფერს გრძნობდა, შემდეგ რაღაცას დაიჭერდა, ადრინდელზე მეტად შეიგრძნობდა იმ სურნელს, ჩაებღაუჭებოდა, დარწმუნდებოდა, სწორ გზას ვადგავარო, ისევ ბრბოს შეერეოდა, გზას ისევ მიიკვლევდა სეირის მაყურებლებსა და პიროტექნიკოსებს შორის, ყოველ წუთს ჩირაღდნები რომ მიჰქონდათ პატრუქებთან. თუ ფხვნილის მწვავე კეამლში სურნელი დაეკარგებოდა, პანიკაში ვარდებოდა, ხელის კერით, მუჯლუგუნებით მიძვრებოდა წინ. და უსასრულო წუთების მერე როგორც იქნა, გადააღწია მეორე ნაპირზე, ოტელ დე მაიის, მალაკეს სანაპიროზე, იმ ადგილზე, სადაც სენის ქუჩა მდინარეს უერთდება.

აქ გაჩერდა, გონება მოიკრიბა და ყნოსვას შეუდგა. გრძნობდა, რომ სურნელი სენის ქუჩის გასწვრივ გაცილებით მკაფიოდ და თანაც ჯერ კიდევ ძვლივს შესამჩნევად და ძალზე ნაზად მოედინებოდა. გრენუი გრძნობდა, როგორ უცემდა გული. იცოდა, რომ ეს გულის ამოვარდნა სირბილის ბრალი კი არ იყო, არამედ ამ სურნელის წინაშე მისი უსუსურობისა. ცდილობდა, რამე ამგვარივე გაეხსენებინა, მაგრამ ვერაფერს ადარებდა. ამ სურნელს სიგრილე ჰქონდა, მაგრამ ლიმეტის ან ნარინჯის – არა, არც ქაფურის ან ნაძვის წიწვების, არც მაისის წვიმის ან ყინვიანი ქარის, ანდა წყაროს წყლისა. ამას სითბოც ჰქონდა, მაგრამ არც ბერგამოტის,

კვიპაროსის და მუშკის, არც ჟასმინისა და ნარგიზის, არც ვარდის ხისა და და არც ზამბახის. ეს სურნელი ორივეს ნაერთი იყო – რა- ღაც ძალიან მსუბუქის და მძიმისა ერთად. არა, ნაერთი კი არა, ერთდროულად ცოტათი სუსტი და ამავე დროს მტკიცე, თხელი მბზინავი აბრეშუმის ქსოვილივით იყო... არა, მაინცდამაინც აბრე- შუმივით კი არა, უფრო თაფლივით ტკბილ რძესავით, შიგ ბისკვიტი რომ ჩადნება. მაგრამ რძე და აბრეშუმი ერთად რა მოსატანია! ეს წარმოუდგენელი სურნელი იყო, ენით აუწერელი, დაუნაწევრებე- ლი. ასეთი სუნი არც კი შეიძლება არსებობდეს. და მაინც ეს სურ- ნელი უმშვენიერესი თვითმყოფადობით არსებობდა. გრენუი მას შიშით გულაძგერებული მიჰყვებოდა, რადგან იცოდა, რომ თვითონ კი არ მისდევდა სურნელს, არამედ იმას ჰყავდა დატყვევებული და დაუძლევლად იზიდავდა.

გრენუი სენის ქუჩას აუყვა. ქუჩა უკაცრიელი იყო. სახლები ცარიელი ჩანდა და ჩამიჩუმი არ ისმოდა. მთელი ხალხი დაბლა, მდინარესთან ფოიერვერკს უყურებდა. არც აღგზნებული ბრბოს სუნი უშლიდა ხელს, არც საფანტის მწვავე სუნი. ქუჩა ჩვეულებ- რივად წყლის, განავლის, ვირთხებისა და ბოსტნეულის სუნად ყარ- და. ამ ყველაფრის თავზე კი სურნელის ნაზი და მკაფიო შლეიფი მილივლივებდა და გრენუის წინ მიუძღოდა. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ მაღალმა სახლებმა ღამის ცის მცირე შუქიც კი შთანთქეს და გრენუი ისევ სიბნელეში აღმოჩნდა. რაში სჭირდებოდა დანახვა, როცა სურნელი მტკიცედ მიუძღოდა სინ.

ორმოცდაათი მეტრის მერე მარჯვნივ შეუხვია, უფრო ბნელ- სა და ძალიან ვიწრო მარეს ქუჩაზე, საოცარია, მაგრამ სურნე- ლი ძალიან არ გაძლიერებულა, უბრალოდ, უფრო გამოიკვეთა და, რადგან სულ უფრო იწმინდებოდა, მიმზიდველობაც ემატებოდა და ემატებოდა. გრენუი თითქოს ფეხებს მიჰყავდა. ერთ ადგილას სურნელმა მკვეთრად მოახვევინა მარჯვნივ. ის იყო მოეჩვენა, რო- მელიღაც სახლის კედელს მივებჯინეო, რომ უკანა ეზოსკენ გასას- ვლელის დაბალი თაღი გამოჩნდა. გრენუიმ ეს გასასვლელი მთვა- რეულივით გაიარა, მოუხვია და სხვა, უფრო პატარა ეზოში აღმოჩ-

ნდა, სადაც, როგორც იქნა, სინათლე დახვდა. ეზოში რამდენიმე ნაბიჯზე კვადრატი იყო განათებული. ერთ კედელთან დამრეცი ხეს, საჩიხი მიეშენებინათ. მის ქვეშ მაგიდაზე სანთელი ენთო. მაგიდას. თან გოგონა იჯდა და ქლიავს არჩევდა. მარცხენა მხარეს კალათი, ედგა, ამოიღებდა ქლიავს, ყუნწს მოაცლიდა, კურკას დანით ამოაჭ-რიდა და ვედროში აგდებდა. გოგონა ცამეტი-თოთხმეტი წლისა იქ-ნებოდა. გრენუი შეჩერდა. უკვე იცოდა, რომ იმ სურნელის წყარო, ნახევარი მილის იქით მდინარის გადაღმა რომ იყნოსა, ეს ჭუჭყიანი ეზო და ქლიავი კი არა, ეს გოგონა იყო.

სულ დაიბნა. ერთი წამით იფიქრა, ცხოვრებაში ამ გოგონაზე ლამაზი არავინ მინახავსო, მიუხედავად იმისა, რომ მის სილუეტს მარტო ზურგიდან ხედავდა სანთლის შუქზე. რა თქმა უნდა, გუ-ლისხმობდა, რომ ასეთი სუნი არასოდეს შეეყნოსა. მაგრამ რად-გან ადამიანის სუნს მაინც ცნობდა – კაცების, ქალების, ბავშვების ათასნაირ სუნს, – ვერ იჯერებდა, რომ მას შეიძლება ასეთი არაჩ-ვეულებრივი სურნელი ჰქონოდა. როგორც წესი, ადამიანებს უბად-რუკი ან საშინელი სუნი უდიოდათ: ბავშვებს – უგემური, კაცებს – შარდის, მძაფრი ოფლის და ყველისა, ქალებს – მძაღე ცხიმის და გაფუჭებული თევზისა. სრულიად უინტერესო, საზიზღარი სუ-ნი ჰქონდათ ადამიანებს... და აი, პირველად თავის სიცოცხლეში გრენუიმ თავს არ დაუჯერა და თვალები მოიხმო, რათა დარწმუნე-ბულიყო, რომ ცხვირი არ ატყუებდა. გრძნობების აღრევა დიდხანს არ გაგრძელებულა. მართლაც წამები დასჭირდა, რომ ყნოსვითი შთაბეჭდილებები ოპტიკურად განემტკიცებინა და თავდავიწყებით მისცემოდა თავის ყნოსვისმიერ აღქმას. ახლა გრძსობდა, რომ მის წინ ადამიანი იყო. გრძნობდა მისი იღლიის ოფლს, თმების ცხიმს, მისი საშოს თევზის სუნს და დიდი სიამოვნებით იყნოსავდა. გოგო- ნას ოფლი ზღვის ქარივით ნორჩი ჰქონდა, თმის ცხიმი – ნიგვზის ზეთივით ტკბილი, მისი საშო წყლის შროშნების თაიგულივით იყო, კანი – გარგარის ყვავილივით... და ყველა ეს კომპონენტი ისეთ მდიდარ, გაწონასწორებულ და არაჩვეულებრიე ნელსურხელებას ქმნიდა, რომ მანამდე შესუნთქული ყველა არომატი, ყველაფერი,

რაც კი მეხსიერებაში სუნებისაგან აწყობილ ნაგებობებად ჰქონდა შენახული. უცებ სრულ უაზრობად ექცა. ათიათასობით სურნელი აღარაფრად უღირდა ამ ერთის წინაშე. ეს ერთადერთი იყო ის უმაღლესი პრინციპი, რომლის მიხედვითაც დანარჩენები უნდა დაელაგებინა. ეს თვით სილამაზე იყო.

გრენუიმ მტკიცედ იცოდა, რომ, თუ ამ სურნელს არ დაეუფლებოდა, მისი ცხოვრება აზრს დაკარგაედა. სულ უმცირეს წვრილ–მანამდე, უნაზეს ელფერამდე უნდა შეეცნო. ამ სურნელის მხოლოდ მთლიანობაში მოგონება საკმარისი არ იქნებოდა. მას თავისი პირადი დაღი უნდა დაესვა ამ აპოთეოზური არომატისათვის, თავისი სულის შავ მორევში უნდა ჩაებეჭდა, ძირისძირობამდე გამოეკვლია და ამიერიდან მხოლოდ ამ ჯადოსნური ფორმულის შინაგანი სტრუქტურის მიხედვით ეყნოსა, ეფიქრა და ეცხოვრა. ნელა უახლოვდებოდა გოგონას. სულ უფრო ახლოს მიდიოდა. საჩიხის ქვეშ აღმოჩნდა და მისგან ერთ ნაბიჯზე გაჩერდა. გოგონას არაფერი გაუგია.

წითური თმა ჰქონდა, რუხი, უსახელო კაბა ეცვა. ქათქათა მკლავები და ქლიავის წვენისაგან გაყვითლებული ხელები ჰქონდა. გრენუი იდგა და, გოგონასაკენ გადახრილი, მის ახლა უკვე სრულიად დაწმენდილ უმანკო სუნს ისრუტავდა კეფიდან, თმიდან, გულამოჭრილი კაბიდან. არასოდეს უგრძნია თავი ასე კარგად. მაგ- რამ გოგონას შეამცივნა.

გრენუის ვერ ხედავდა, მაგრამ შიშმა აიტანა, უცნაურად გააჟრჟოლა, თითქოს ადრე განცდილმა უკვე მივიწყებულმა შიშმა შეიპყროო. ეგონა, ზურგში ცივმა ჰაერი დამიბერათო, თითქოს ვიღაცას უზარმაზარ სარდაფში ჩამავალი კარი გაეღოს. დანა დადო, ხელები მკერდთან მიიტანა და შემოტრიალდა.

გოგონა გრენუის დანახვაზე შიშისაგან ისე გაშეშდა, რომ მას საკმაო დრო დარჩა ყელში ხელების წასაჭერად. გოგონას ყვირილი არ უცდია, არც წინააღმდეგობა გაუწევია. არც კი განძრეულა. არც გრენუის შეუხედავს. არ დაუნახავს მისი დაჭორფლილი სახე, წითელი ტუჩები, დიდი მბრწყინავი მწვანე თვალები. როცა ახრჩობ-

და, თვალები მაგრად ჰქონდა დახუჭული და მარტო იმის ეშინოდა, სურნელის ერთი მისხალიც არ დავკარგოო.

როცა მოკვდა, გრენუიმ გოგონა მიწაზე, ქლიავის კურკებზე დააწვინა და კაბა შემოახია. ერთ დიდ ნაკადად ქცეულმა სურნელ- მა ლამის წალეკა. სახე მის კანში ჩარგო და გაბერილი წესტოებით იყნოსავდა მუცელს, მკერდს, ყელს, სახეს და თმებს, მერე ისე მუცელს, საშოს, ბარძაყებსა და თეთრ ფეხებს; თავიდან ფეხებამ- დე შეისუნთქა, მერე მისი სურნელის ბოლო ნარჩენებიც შეისრუტა ნიკაპიდან, ჭიპიდან და იდაყვებიდან.

როცა ყველაფერი გამოაცალა და გოგონა დაჭკნა, იმდენად იყო სურნელით გამაძღარი, რომ გონს მოსასელელად ერთხან დევ შეყოვნდა ჩაცუცქული. მისი სუნისგან არაფრის დაკარგვა არ უნდოდა, ჯერ თავისი შინაგანი ტიხრები მჭიდროდ უნდა ამოეგმა- ნა. მერე ადგა და სანთელი ჩააქრო.

ამ დროს ხალხი უკვე სიმღერითა და ვივატის ძახილით ბრუნ- დებოდა სენის ქუჩით. გრენუიმ სიბნელეში გზა ყნოსვით გაიგნო და პტიზ-ოგიუსტენის ქუჩაზე გავიდა, რომელიც სენის ქუჩის პა- რალელურად მდინარეზე ჩადიოდა. ცოტა ხანში მკედარი გოგონაც აღმოაჩინეს. ატყდა ყვირილი. აანთეს ჩირაღდნები. გუშაგებიც მო- ვიდნენ. გრენუი კი ამასობაში უკვე მდინარის გადაღმა იყო.

იმ ღამეს ფარდული სასახლედ და ხმელა ფიცრები მდიდრულ საწოლად ექცა. ბედნიერება რა იყო, აქამდე არ იცოდა. მხოლოდ გაუგებარი კმაყოფილების იშვიათი მომენტები გამოეცადა. ახლა კი ბედნიერებისაგან კანკალებდა და ეს გრძნობა არ აძინებდა. ასე ეგონა, მეორედ დავიბადეო, არა, მეორედ კი არა, პირველად, რად- გან აქამდე ცხოველივით არსებობდა და საკუთარ თავზე ბუნდო- ვანი წარმოდგენა ჰქონდა. ამიერიდან თითქოს შეიცნო, ვინც იყო. ვინ იყო და – გენიოსი! მიხვდა, რომ მის ცხოვრებას აზრი, მიზესი, მიზანი და კიდევ უფრო დიდი დანიშნულება ჰქონდა – მხოლოდ და მხოლოდ სურნელთა სამყაროს გადატრიალება. რომ მარტო მას ჰქონდა ამის საშუალება – იშვიათად მგრძნობიარე ცხვირი, ფენო- მენალური მეხსიერება და, რაც ყველაზე მთავარია, მარესქუჩელი

გოგონას წარუშლელი სურნელი, რომელიც იმ ჯადოსნურ ფორმულას ჰგავდა, რომელიც დიადი სურნელის, კეთილსურნელების შესაქმნელად საჭირო ყველა კომპონენტს შეიცავს: სინაზეს, ძალას, მდგრადობას, მრავალფეროენებას და შიშისმომგვრელ, განუმეორებელ სილამაზეს. მან თავისი მომავალი ცხოვრების კომპასი იპოვა. და, ყველა იმ გენიალური ნაძირალას მსგავსად, რომელთა სულის სპირალების ქაოსშიც რაიმე გარე მოვლენა პირდაპირ მიმავალ გზას გაჭრის ხოლმე, აღარც გრენუის გადაუხვევია იმისგან, რაც თავის ბედისწერად მიიჩნია. ახლაღა მიხვდა, რატომ ცდილობდა ასე გამწარებით ცოცხლად გადარჩენას: ის ნელსურნელების შემ- ქმნელი უნდა გამხდარიყო, ვიღაც უბრალო კი არა, ყველა დროის საუკეთესო მენელსაცხებლე!

იმავე ღამეს მან ჯერ ცხადში და მერე ძილშიც გადაამოწმა თავისი მოგონებების უზარმაზარი ნანგრევები. შეამოწმა მილიონობით და უფრო მეტი სურნელის ასაშენებელი კუბიკი და მოაწესრიგა: კარგი – კარგთან, ცუდი – ცუდთან, ნაზი – ნაზთან, უხეში – უხეშთან, მყრალი – მყრალთან, ღვთიური – ღვთიურთან. მომდევნო კვირის მანძილზე ეს წესრიგი კიდევ უფრო დაიხვეწა, სურნელების კატალოგი უფრო მდიდარი და დიფერენცირებული, იერარქია კი უფრო ნათელი გახდა. სულ მალე მან შეძლო სურნელთაგან თავისი პირველი შენობების აგება: სახლების, ღობეების, კიბეების, კოშკების, სარდაფების, ოთახების, იდუმალი საკნებისა... ეს იყო უმშვენიერეს სურნელთა კომპოზიციების შინაგანი ციხესიმაგრე, რომელიც ყოველდღიურად ფართოვდებოდა, ლამაზდებოდა და იხვეწებოდა.

ამ მშვენიერებას სათავეში მკვლელობა რომ ედო, მისთვის სულერთი იყო. ვეღარც იმ მარესქუჩელი გოგონას სახეს იგონებდა, ვეღარც ტანს. მას ხომ გოგოსას ყველაზე საუკეთესო რამ ჰქონდა შენახული და მითვისებული – მისი სურსელის არსი.

იმ დროისათვის ჰარიზში ცამეტი მენელსაცხებლე ცხოერობ- და: ექვსი – მარჯვენა სანაპიროზე, ექვსი – მარცხენაზე და ერთიც კიდევ – ზუსტად მათ შორის, ზარაფების ხიდზე, მარჯვენა სანა- პიროს სიტეს კუნძულთან რომ აერთებდა. ამ ხიდის ორიეე მხარეს ოთხსართულიანი სახლები ისე მჭიდროდ ჩაედგათ, რომ ზედ გადასვლისას მდინარეს ვერსაიდან დაინახავდი, გეგონება, ჩვეუ- ლებრივ, საფუძვლიან და კარგად მოკირწყლულ, მეტიც, ელეგან- ტურ ქუჩაზე იყავი. მართლაც, ზარაფების ხიდი ქალაქის ყველაზე მოდურ უბნად ითვლებოდა. აქ ნახავდით ყველაზე ცნობილ მა- ღაზიებს, სადაც თავის საქონელს გთავაზობდნენ ოქრომჭედლები, აბანოზის ხეზე კვეთის ოსტატები, საუკეთესო მეპარიკეები, ტყა- ვის ხელჩანთების, უნაზესი საცვლებისა და წინდების მკერავები, სურათების მომჩარჩოებლები, მეწაღეები, რომლებიც საცხენოსნო ჩექმებს კერავდნენ, ეპოლეტების მქარგავები, ოქროს ღილების ჩა- მომსხმელები, ბანკირები. აქვე იყო მენელსაცხებლისა და მეხელ- თათმანის, ჯუზეპე ბალდინის მაღაზია და საცხოვრებელი სახლი. მის ვიტრინაზე გადაჭიმული იყო მშვენიერი მწვანე ჩარდახი, რო- მელსაც გვერდით ბალდინის გერბი ეკიდა – ფლაკონი სუფთა ოქ- როსგან, საიდანაც ოქროსავე ყვავილების თაიგული ამოზრდილი- ყო, კარის წინ კი წითელი ხალიჩა იყო დაგებული, რომელზეც ასევე ბალდინის გერბი იყო ამოქარგული ოქრომკედით. კარი რომ გაი- ღებოდა, სპარსული ზარები აწკრიალდებოდა და ორი ვერცხლის წერო ნისკარტებიდან სურნელოვანი იის წყლის გადმოსხმას იწყებ- და მოოქროვილ ფიალებში, რომლებსაც, თავის მხრივ, ბალდინის გერბის ფორმა ჰქონდათ.

ღია ფერის ბზის კანტორულასთან იდგა თვით ბებერი ბალდი- ნი ბოძივით გახევებული, ვერცხლისფრად დაპუდრულ პარიკსა და ოქრომკედით მოსირმულ ლურჯ სერთუკში გამოწყობილი; დილაო- ბით ფრანჟიპანის წყალს იპკურებდა ხოლმე, რომლის ნაზი ღრუ- ბელი ლამის, ხელშესახებად ერტყა გარს და მის პერსონას რაღაც

გამჭვირვალე-ნისლოვან შორეთში სწევდა. ამ უძრაობით თავისივე თავის მანეკენს ჰგავდა. სიცოცხლის ნიშანწყალი მხოლოდ მაშინ დაეტყობოდა ხოლმე, როცა ზარები აწკარუნდებოდა და წეროები წყლის გადმოფრქვევას იწყებდნენ – რაც არც ისე ხშირად ხდებო- და. წამსვე დაპატარავდებოდა, ამოძრავდებოდა და წელში ხშირ- ხშირი მოხრით კანტორულას წინ ისე გამოვარდებოდა, რომ თავისი სურნელოვანი ღრუბელი ძლივსღა ეწეოდა; მყიდველს უმორჩილესად სთხოვდა დაბრძანებას, რათა ის საუკეთესო სურნელებით დამტკბარიყო და შემდეგ ნაირ-ნაირ ინანთეულს სთავაზობდა.

ბალდინის ასორტიმენტი ათასობით დასახელების საქონელს მოითვლიდა. მარტო სუფთა ესენციები, ყვავილის ზეთები, ხსნარები, ნაყენები, ექსტრაქტები, ბალზამები, ფისები და სხვა მშრალი, თხევადი და ცვილის სააფთიაქო ნაწარმი კი არ ჰქონდა, არამედ სხვადასხვა საცხი, პასტა, პუდრი, საპონი, კრემი, მშრალი სუნამო, თმის ჟელე, წვერის საცხი, მეჭეჭის მოსაშორებელი წვეთები და სილამაზის სალბუნები, აგრეთვე აბაზანის ქაფები, ლოსიონები, სურნელოვანი მარილები, ტუალეტის სითხეები და უამრაეი ნამდვილი სუნამო. მაგრამ ბალდინი არ სჯერდებოდა თავის მოვლის მხოლოდ ამ კლასიკურ საშუალებებს. ის თავს ვალდებულად რაცხდა, მაღაზიაში თავი მოეყარა ყველაფრისათვის, რასაც სურნელი ჰქონდა ან რაც სურნელის შესაქმნელად იყო საჭირო. ასე რომ, აქ იყო სურნელოვანი პასტილები, სანთლები, ლენტები და ყველანაირი სანელებელი, ანისულის თესლიდან დაწყებული და დარიჩინის ქერქით დამთავრებული, სიროფები, ლიქიორები, შარბათები, ღვინოები – კვიპროსიდან, მალაგიდან და კორინთიდან, თაფლი, ყავა, ჩაი, ხმელი და დაშაქრული ხილი, ლეღვი, კანფეტები, შოკოლადი, წაბლი, დამარილებული კაპარი, კიტრი, ხახვი და დაბასტურმშებული თუნუსიც კი. და კიდევ: ბეჭდების სურნელოვანი ლუქი, სუნამონაპკურები საწერი ქაღალდი, ვარდის ზეთისსუნიანი მელანი სასიყვარულო წერილებისთვის, ესპანური ტყავის საქაღალდეები – ბივუარები, თეთრი სანდალოზის ხის საკალმეები, კედრის ხის კოლოფები და ზარდახშები ფიალები ყვაყილების ფურცლებისათვის, თითბრის სასაკმევლეები,

ბროლის ფლაკონები, ქარვის თლილი საცობები რომ ჰქონდათ მორგებული, სურნელოვანი ხელთათმანები, ცხვირსახოცები, ჯავზის ყვავილებით გატენილი სანემსე ბალიშები, მუშკით გაჟღენთილი შპალერი რომლის სურნელიც საუკუნეზე მეტხანს გაძლებდა.

ცხადია, მთელი ეს საქონელი ქუჩაში (ანუ ხიდზე) გამავალ მდიდრულ მაღაზიაში ვერ დაეტეოდა, და რადგან სარდაფიც არ ჰქონდა, მარტო საწყობი კი არა, მთელი მეორე და მესამე სართული და პირველი სართულის მდინარეზე გამავალი ყველა ოთახიც საწყობად იყო გადაქცეული. ამის გამო ბალდინის სახლში სუნების წარმოუდგენელი ქაოსი ტრიალებდა. რამდენადაც თითოეული პროდუქტი სულ რჩეული ხარისხისა იყო – ბალდინი კი მხოლოდ საუკეთესო ხარისხის საქონელს იძენდა – იმდენად აუტანელი იყო მათი სუნები ერთად, იმ ათასკაციანი ორკესტრისა არ იყოს, რომელშიც თითოეული მუსიკოსი ცალ-ცალკე მელოდიას fortissimo უკრავს თვითონ ბალდინისა და მის მსახურებს ამ ქაოსის მიმართ ყნოსვა დაჩლუნგებული ჰქონდათ იმ მოხუცებული დირიჟორებივით, ყურთ რომ აკლიათ. მეოთხე სართულზე მცხოვრებ ბალდინის ცოლსაც კი, ამ სართულს საქონლის შემოჭრისაგან გამწარებით რომ იცავდა სუნები უკვე აღარ აწუხებდა. სულ სხვანაირად იყო პირველად მოსული მყიდველის საქმე, ეს არეული სუნები მუშტივით რომ ხევდებოდა სახეში. აგებულების მიხედვით, ან აღიგზნებოდა, ან მშვიდდებოდა, მაგრამ, ორივე შემთხვევაში, ისე ებნეოდა აღქმის უნარი, რომ ხშირად აღარც კი იცოდა, რისთვის იყო მოსული. შიკრიკებს შეკვეთა ავიწყდებოდათ, ზორბა კაცებს შიში იპყრობდა, ზოგიერთ ქალბატონს კი ნახევრად ისტერიკის, ნახევრად კლაუსტროფობიის შეტევა ემართებოდა და გული მისდიოდა; მათი გონს მოყბანა მხოლოდ მიხაკის ზეთის, ამონიაკისა და ქაფურის სპირტისაგან დამზადებული საყნოსი მარილითღა ხერხდებოდა.

ამ ვითარებაში გასაკვირიც აღარ იყო, რომ ბალდინის მალღაზიის კარის სპარსული ზარების წკარუნი სულ უფრო იშვიათადღა ისმოდა და წეროებიც თანდათანობით ნაკლებად აფრქეევდნენ წყალს.

– შენიე! – იყვირა ბალდინიმ კანტორულას უკნიდან, სადაც უკვე რამდენიმე საათს გაუნძრევლად იდგა და კარს მისჩერებოდა. – პარიკი დაიხურეთ!

და ზეითუნის ზეთის კასრებსა და ჩამოკიდებულ ბაიონის ლორებს შორის გამოჩნდა შენიე, ბალდინის ქარგალი, მასზე ოდნავ ახალგაზრდა, მაგრამ ისიც უკვე ხნიერი, მაღაზიის უკეთესად მოწყობილ ნაწილში გამოვიდა, სერთუკის ჯიბიდან პარიკი ამოიღო და თავზე ჩამოიფხატა:

– გადიხართ, ბატონო ბალდინი?

– არა, – უპასუხა ბალდინიმ, – რამდენიმე საათით ჩემს სამუ- შაო ოთახში განვმარტოვდები და მსურს, რომ არავინ შემაწუხოს.

– ა, მესმის! ახალი სუნამოს გამოგონებაზე მუშაობთ.

ბალდინი: სწორედ ასეა. გრაფი ვერამონი ესპანური ტყავის სრულიად ახლებურ კეთილსურწელებას მოითხოვს... როგორც... როგორც... მე მგონი, „ამური და ფსიქეა“ ერქვა, რასაც ის მოითხოვდა, და თურმე იმ... იმ... ფინაჩისგან იყო სენტ-ანდრე-დეზ-არის ქუჩიდან, იმ... იმ...

შენიე: პელისიესაგან.

ბალდინი: ჰო, პელისიესაგან, სწორია. ასე ჰქვია იმ ფინაჩს. „ამური და ფსიქეა" პელისიესაგან. იცნობთ ამ სურნელს?

შენიე: დიახ, დიახ, რა თქმა უნდა... ყველგან იყნოსავთ მას, ყოველ კუთხეში. მაგრამ, მე თუ მკითხავთ, დიდი არაფერია! ის ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეედრება იმას, რასაც თქვენ შექმნით, ბატონო ბალდინი.

ბალდინი: რა თქმა უნდა, ვერა.

შენიე: ძალიან ჩვეულებრივი სუნი აქვს ამ „ამურს და ფსიქეას".

ბალდინი: ვულგარული?

შენიე: დიახაც, ვულგარული, როგორც სხეა ყველაფერს პელისიესაგან. მე მგონი, შიგ მწვანე ლიმოსის ზეთი უნდა იყოს.

ბალდინი: მართლა? კიდეე რა?

შენიე: ალბათ, ფორთოხლის ყვავილის ესენცია, შეიძლება როზე... რინის ნაყენიც. მაგრამ ზუსტად ვერ გეტყვით.

ბალდინი: ჩემთვის ისედაც სულერთია.

შენიე: რა თქმა უნდა!

ბალდინი: სავსებით სულერთია ჩემთვის, რით შეაზავა თავისი სუ-ნამო ამ ფინაჩმა პელისიემ. მე მისგან შთაგონების მიღება.- საც კი არ ვაპირებ!

შენიე: რა თქმა უნდა, მართალი ბრძანდებით, ბატონო.

ბალდინი: როგორც იცით, მე სხვისი შთაგონება არ მჭირდება, მე ჩემს სუნამოებს ვქმნი.

შენიე: ვიცი, ბატონო.

ბალდინი: ისინი მხოლოდ ჩემი შექმნილია!

შენიე: ვიცი.

ბალდინი: გრაფ ვერამონისთვის ისეთი რამის შექმნას ვაპირებ, რაც მართლა ფურორს გამოიწვევს.

შენიე: დარნმუნებული ვარ, ბატონო ბალდინი.

ბალდინი: თქვენ მაღაზიას მიხედეთ, მე სიწყნარე მჭირდება. ყვე-ლაფერს ამარიდეთ, შენიე.

ამის მერე ის ქანდაკებასავით გაქვავებული კი არა, უფრო ასა-კის შესაფერისად მოხრილი, თითქოს ნაბეგვიც კი, ნელი ნაბიჯით აუყვა კიბეებს მეორე სართულზე, თავისი სამუშაო ოთახისაკენ.

შენიე კანტორულასთან დადგა, ზუსტად ისე, როგორც მანამდე ოსტატი იდგა და კარს მიაშტერდა. იცოდა, რაც მოხდებოდა მაღა-ზიაში მომდევნო საათების მასძილზე – არაფერი. ზემოთ, ბალდი- ნის სამუშაო ოთახში კი ჩვეული კატასტროფა დატრიალდებოდა. იცოდა, ბალდინი გაიხდიდა თავის ფრანჟიპანის წყლით გაჟღენთილ სერთუკს, მაგიდას მიუჯდებოდა და შთაგონებას დაელოდებოდა. შთაგონება კი არ მოვიდოდა. მერე მიუახლოვდებოდა ცდებისათვის განკუთვნილი ბოთლებით სავსე კარადას და რაღაცას უბრალოდ შეაზავებდა. ნაზავი არ გამოუვიდოდა, დაინყებდა ლანძღვას, ფან-

ჯარას გამოაღებდა და ამ ნაზავს მდინარეში გადაუძახებდა, მერე სხვა რამეს მოსინჯავდა, არც ის გამოუვიდოდა, იყვირებდა, იბობოქრებდა და გამაბრუებელი სუნით გაჟღენთილ ოთახში ტირილი აუვარდებოდა. საღამოს შვიდი საათისათვის საშინელ მდგომარეობაში მყოფი, აკანკალებული, ატირებული დაბლა ჩამოვიდოდა და ეტყოდა: „შენიე, მე ყნოსვა აღარა მაქვს, ვეღარ შევქმნი სუნამოს ესპანური ტყავისათვის, ჩემი საქმე წასულია, შინაგანად მკვდარი ვარ, მინდა, მოვკვდე, გეხვეწებით, შენიე, დამეხმარეთ, რომ მოვკვდე!“ შენიე შესთავაზებდა, გაეგზავნათ ვინმე პელისიესთან „ამურისა და ფსიქეას" მოსატანად, ბალდინი დასთანხმდებოდა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამას ვერავინ გაიგებდა, შენიე დაიფიცებდა და ღამე სხვისი სუნამოთი ჩუმად გაჟღენთდნენ გრაფის ტყავს. სწორედ ასე იქნებოდა და არა სხვაგვარად. შენიე ნატრობდა, რომ მთელი ეს წარმოდგენა უკვე ჩამთავრებული ყოფილიყო, ბალდინი აღარ იყო დიდი მენელსაცხებლე. კი, ადრე, ახალგაზრდობაში, ოცდაათი, ორმოცი ნლის წინ გამოიგონა „სამხრეთის ვარდი“ და „ბალდინის გალანტური თაიგული“, ორი მართლაც საუცხოო სუნამო, რომლებმაც მას სიმდიდრე მოუტანა. მაგრამ ახლა მოხუცდა, გამოიფიტა, ფეხს ვეღარ უწყობდა ახალი დროის მოდას, არ იცნობდა ახლებურ გემოვნებას. თუკი საერთოდ მოახერხებდა რაიმე სუნამოს შექმნას, ისეთი უვარგისი გამოსდიოდა, რომ არ ეყიდებოდა და ერთი ნლის მერე, მრავალგზის გაზავებულს, შადრევნის წყალში შესარევ სითხედ ასაღებდნენ. „რა საცოდაობაა,“ გაიფიქრა შენიემ და სარკეში პარიკი შეიმოწმა, „ბალდინიც ცოდოა, აფსუსია ასეთი ლამაზი მაღაზიაც, რომელსაც ის ნელ-ნელა სპობს, და მეც ცოდო ვარ, სანამ ეს მაღაზია სულ მოისპობა, დავბერდები იმისათვის, რომ გადმომაბარონ."

11

ჯუზეპე ბალდინიმ თავისი სურნელოვანი სერთუკი კი გაიხადა, მაგრამ ესეც ძველი ჩვეულების გამო. ფრანჟიპანის წყლის სურონე-

ლი უკვე დიდი ხანია აღარ აწუხებდა. ამ სუნს წლობით დაატარებ- და და ვეღარც კი გრძნობდა. სამუშაო ოთახის კარიც ჩაკეტა, მშვი- დი გარემოც მოიწყო, მაგრამ ფიქრისთვის მაგიდას არ მისჯდომია. ისედაც კარგად იცოდა, რომ შთაგონება არ მოვიდოდა და ის არც არასოდეს სწვევია. მართალია, მოხუცი და გამოფიტული იყო, მაგრამ დიდი პარფიუმერი რომ არასოდეს ყოფილა, თვითონვე მშვენივრად მოეხსენებოდა. „სამხრეთის ვარდი“ მამისგან დარჩა, „ბალდინის გალანტური თაიგულის“ რეცეპტი კი ერთი გენუელი მოგზაურისაგან იყიდა. მისი სხვა სუნამოები უკვე კარგა ხნით ად- რე ცნობილი ნარევები იყო. არასდროს არაფერი არ გამოუგონია. არ იყო გამომგონებელი. ის უკვე მრავალგზის ნაცად სუნამოებს ამზადებდა იმ მზარეულივით, თავისი გამოცდილებითა და სხვისი კარგი რეცეპტებით დიდ სამზარეულოს რომ უძღვება, მაგრამ სა- კუთარი კი ვერ შეუქმნია. მთელ ამ ფოკუსებს ლაბორატორიით, ექსპერიმენტებით, შთაგონებითა და იდუმალებით მხოლოდ იმი- ტომ ატარებდა, რომ მენელსაცხებლესა და ხელთათმანების ოს- ტატს ასე მოეთხოვება. პარფიუმერი ხომ ნახევრად ალქიმიკოსია, რომელიც სასწაულებს უნდა ახდენდეს – ხალხს ასე უნდა. ჰოდა, მით უკეთესი! მისი ხელოვნება რომ ჩვეულებრივი ხელობაა, რო- გორც ყველა დანარჩენი, ეს მარტო თვითონ იცოდა და ძალიანაც ეამაყებოდა. არც უნდოდა, გამომგონებელი ყოფილიყო. გამოგო- ნებებს ეჭვის თვალით უყურებდა, რადგანაც ეს ყოველთვის წესის დარღვევას ნიშნავს. არც უფიქრია გრაფ ვერამონისთვის ახალი სუნამოს გამოგონება. ყოველ შემთხვეეაში, საღამოს შენიეს არც მისი დაყოლიებისათვის ზრუნვა დასჭირდება, არც პელისიესგან „მურის და ფსიქეას“ მოპოვება. ეს სუნამო უკვე ჰქონდა. აი, აქ, მაგიდაზე, პატარა, თლილსაცობიანი მუშის ფლაკონით ედგა. რამ- დენიმე დღის წინ იყიდა. რა თქმა უნდა თვითონ არ უყიდია, თა- ვად ხომ არ მივიდოდა პელიესთან მის შესაძენად. ეს შუამავლის დახმარებით მოახერხა და ამ შუამავალმაც კიდევ სხვა შუამავლის საშუალებით. სიფრთხილე იყო საჭირო, რადგან ბალდინი ამ სუნამოთი მარტო ესპანური ტყავის გაჟღენას არ აპირებდა – ასე

ცოტა რას ეყოფოდა. უფრო უარესი განზრახვა ჰქონდა – ამ სუნა-მოს გადაღება უნდოდა.

სხვათა შორის, ეს აკრძალული არც არის. უბრალოდ, ძალიან უკადრისი საქციელია. კონკურენტის სუნამოს ჩუმად გადაღება და საკუთარი სახელით გაყიდვა ძალიან არასაკადრისი რამეა. და ამა- ზე უარესი იქნება, თუკი ამ ამბავს ვინმე შეიტყობს, ამიტომ შენიემ არ უნდა გაიგოს, რადგან შენიეს ზედმეტი ლაპარაკი უყვარს.

რა საშინელებაა, რომ პატიოსანი კაცი იძულებულია, ასეთ გზას დაადგეს. რა საშინელებაა, რომ ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასი რამ – ღირსება – ასე ილახება. მაგრამ რა ქნას, გრაფ ვერამონის გარდა კლიენტები თითქმის აღარც კი დარჩა და მისი დაკარგვა არაფრით არ შეიძლება. მყიდველები ახლაც თვითონვე უნდა ეძებოს, როგორც მაშინ, როცა ოციან წლებში თავის კარიე- რას ის-ის იყო იწყებდა და გულზე ჩამოკიდებული პატარა ხონჩით ქუჩა-ქუჩა დადიოდა. ღმერთია მოწამე, რომ ის, ჯუზეპე ბალდინი, პარიზის საუკეთესო ადგილზე სურნელოვანი საქონლის უდიდესი სავაჭროს მფლობელი, მხოლოდ იმით ირჩენს თავს, რომ პატარა ჩემოდნით ხელში სახლში აკითხავს კლიენტებს. ეს სრულებითაც არ მოსწონს, რადგან სამოცს კარგა გადაცილებულია და საშინ-ლად ეზარება გაყინულ შესასვლელებში ლოდინი, ბებერი მარკი-ზებისათვის ფარსმანდუკზე დაყენებული ტუალეტის წყლის, ძმარ „ოთხი ავაზაკისა“ და შაკიკის უებარი მალამოს დემონსტრირება და მათთვის ქება-დიდების შესხმა. თანაც ამ შესასვლელებში სა-ზიზღარი კონკურენციაა გაჩაღებული, აქ შეხედებით იმ მეტიჩარა კარიერისტ ბრუეს დოფინის ქუჩიდან, რომელიც ამტკიცებს, ევრო-პაში ნელსაცხებლების ყველაზე ფართო არჩევანი მე მაქვსო, ან კი-დევ კალტოს მოკონსეის ქუჩიდან, რომელიც გრაფინია დ'არტუას კარზეც კი შემძვრალა ნელსურნელების მიმწოდებლად, ანდა კიდევ ის სიურპრიზებით აღსავსე ანტუან პელისიე ავიღოთ სენტ-ასდრე-დეზ-არის ქუჩიდან, რომელსაც ყოველ სეზონზე ახალი სუნამო გა-მოაქვს, რომლისთვისაც მთელი მაღალი საზოგადოება ჭკუას კარ-გავს.

პელიეს ასეთ სუნამოს მთელი ბაზრის არევ-დარევა შეეძლო, ერთ წელს უნგრული წყალი იყო მოდაში და ბალდინიმაც მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ლავანდი, ბერგამენტი და როზმარინი შეისყიდა. ამ პელიემ კი „მუშკის სიო“ გამოუშვა – მუშკის ძალიან მძიმე სურნელი. ყველა უცებ ცხოველივით აყროლდა. ბალ-დინი იძულებული გახდა, როზმარინი თავსაბან წყალში გამოეყენე-ბინა, ლავანდი კი საყნოს ბალიშებში ჩაეკერებინა. მომავალი წლის-თვის სათანადო რაოდენობით მუშკი, ციბეთინი და კასტორეუმი – თახვის სასქესო ჯირკვლის გამონაყოფი – შეუკვეთა, პელიემ კიდევ სუნამო „ტყის ყვავილი“ შეთხზა, რომელმაც იმ წუთშივე დიდი მოწონება დაიმსახურა. თუ დიდი ქრთამის გაღებით ბოლოს და ბოლოს გაარკვევდა „ტყის ყვავილის“ შემადგენლობას, პელისიე უკვე ახალ-ახალი სუნამოებით უგებდა: „თურქული ღამეებით“ თუ „ლისაბონური არომატით“, „სამეფო კარის თაიგულით“ და, ეშმაკმა უწყის, კიდევ რით. ეს კაცი თავისი შეუზღუდავი მრავალფეროვანი იდეებით მართლად მთელი პარფიუმერული სამყაროსთვის იყო საშიში. არ სჯობდა ამას ძველი გილდიის წესების სიმკაცრე?! ამ მეტიჩარას მიმართ სასტიკი ზომების გატარება მოგინდებოდა კაცს: პატენტის წართმევა, მუშაობის აკრძალვა... და საერთოდ, ჯობდა ამ ვაჟბატონს ჯერ ესწავლა! ეს პელისიე ნასწავლი პარფიუმერი და ხელთანთმანების ოსტატი კი არ იყო. მამამისი ერთი ვიღაც ძმრის გამომხდელი იყო და პელისიეც ეგ არის და მეტი არაფერი. უბრალოდ, როგორც ძმრის მხდელს, სპირტის პროდუქტებთან მუშაობის უფლება ჰქონდა და ამით მოახერხა მენელსაცხებლეთა წრეში შეძვრომა და ახლა იქ იქცევა უწესოდ ეგ მყრალი ქრცვინი. ვის რაში სჭირდება ყოველ სეზონზე ახალ-ახალი სუნამოები? რა საჭიროა? ადრე ხალხი ხომ ძალიანაც კმაყოფილი იყო და იის წყალსა და უბრალო ყვავილების ნარევებს სკერდებოდა, რომლებსაც ათ წელიწადში ერთხელ თუ შეცვლიდნენ. ხომ ჰყოფნიდა ხალხს საუკუნეების მანძილზე საკმეველი და მური, რამდენიმენაირი ბალზამი, ზეთი და ხმელი ბალახის სანელებელი და მას

მერეც კი რაც კოლბებსა და სახდელ ქეაბებში წყლის გამოხდა, ორთქლით ბალახების, ყვავილებისა და ხის მერქნის სხვადასხვა ჯიშებისგან მათი არსის – სურნელოვანი ეთერზეთების მიღება ის-წავლეს და მაშინაც, როცა მუხის წნეხებით შეძლეს მათი გამო- წურვა თესლებიდან, კურკებიდან და ხის ქერქიდან, ანდა საგულ- დაგულოდ გაფილტრული ცხიმებით ყვავილების ფურცლებიდან მათი გამონაცენის მიღება, ნელსურნელება მაინც არც ისე ბევრი იყო. იმ დროში პელისიესნაირი ვინმე ვერც კი გაჭაქანდებოდა, რადგან უბრალო ნელსაცხებლის შესაქმნელადაც კი ისეთი უნარი იყო საჭირო, რომელზეც ეს ძმრის გამზავებლები ვერც კი იოც-ნებებდნენ. მაშინ მარტო გამოხდა კი არ უნდა გცოდნოდა, მალა-მოების მკეთებელი, აფთიაქარი, ალქიმიკოსი, ხელოსანი, ვაჭარი, ჰუმანისტი და მებაღე – ყველაფერი ერთად უნდა ყოფილიყავი. უნდა შეგძლებოდა ცხერის თირკმლების ცხიმის გარჩევა ძროხის ქონისაგან და „ვიქტორიას“ ჯიშის ია პარმიდან ჩამოტანილი იისა- გან უნდა გაგერჩია. მაშინ ლათინური იყო საჭირო. ბევრი რამე უნდა გცოდნოდა: როდის იშლება ჰელიოტროპები, როდის ყვავის გერანი, რომ ჟასმინი მზის ამოსვლასთან ერთად თავის სურნელს კარგავს. ამგვარებზე კი პელისიეს წარმოდგენაც არა აქეს. ალბათ, პარიზს არც გასცილებია და აყვავებული ჟასმინი თავის დღეში თვალითაც არ უნახავს. ალბათ არც დასიზმრებია, რა ჯაფა სჭირ-დება ასიათასობით ჟასმინის ყვავილის ფურცლიდან პატარა მყარი კოშტის ან რამდენიმე წვეთი სუფთა ესენციის მიღებას. ჟასმინს ალბათ მხოლოდ კონცენტრირებულ მუქყავისფერ სითხედ იცხობს, სეიფში რომ უდგას პატარა ფლაკონით დანარჩენ ფლაკოსებთან ერთად, რომლებითაც თავის მოდურ სუნამოებს აზავებს. არა, პე-ლისიესნაირი თავხედი უწინდელ კარგ დროში მიწას ფეხსაც ვერ დააკარებდა. ამისათვის არაფერი გააჩნდა: არც ხასიათი, არც გა-ნათლება, არც თავმდაბლობა და არც პროფესიული უფროს-უმ-ცროსობის შეგნება. თავის წარმატებებს პარფიუმერიაში მარტო ერთადერთ აღმოჩენას უნდა უმადლოდეს, აი, უკვე ორასი წლის წინ რომ გააკეთა გენიალურმა მაურისიუს ფრანჟიპანიმ, სხვათა

შორის, იტალიელმა! ეს აღმოჩენა კი იმაში მდგომარეობს, რომ სურნელოვანი პროდუქტები ღვინის სპირტში იხსნება. როდესაც ფრანჟიპანიმ თავისი საყნოსი ფხვნილები სპირტს შეურია და მათი სურნელი აქროლად სითხეზე გადაიტანა, ამით სუნი მატერიისა-გან გაათავისუფლა, სუნი გაასულიერა, აღმოაჩინა ის, როგორც სუფთა სუნი. მოკლედ, სუნამო გამოიგონა. რა დიდებული მიღწევა იყო! რა ეპოქალური აღმოჩენა! ნამდვილად ისეთ აღმოჩენებს შეედრება, როგორიცაა დამწერლობის გამოგონება ასირიელების მიერ, ევკლიდეს გეომეტრია, პლატონის იდეები და ბერძნების მიერ ყურძნის ღვინოდ გარდაქმნა. ნამდვილად პრომეთესეული გმირო- ბა იყო! მაგრამ, როგორც ყველა დიდმა მიღწევამ, ამანაც მარტო სინათლე კი არ მოიტანა, არამედ ჩრდილიც და კაცობრიობას სი-კეთესთან ერთად სადარდებელიც გაუჩინა. ფრანჟიპანის მშვენიერ აღმოჩენასაც მოჰყვა ცუდი შედეგები: როცა უკვე ყველამ გაიგო, როგორ შეიძლებოდა ყვავილებიდან, ბალახებიდან, ხეებიდან, ფი-სებიდან და ცხოველური სეკრეტებიდან სუნების ნაყენად ქცევა და ფლაკონებში ჩამოსხმა, სულ რამდენიმე უნივერსალურად დახე-ლოვნებულ ოსტატს ნელსურნელების ხელოვნება ნელ–ნელა ხელი-დან გაუსხლტა და ისეთ არაპროფესიონალებს გაეხსნათ გზა, რო-გორიც ეს აქოთებული პელისიეა, კაცი, რომელსაც, სამწუხაროდ, მხოლოდ მგრძნობიარე ცხვირი აქვს. არც კი ადარდებს, როგორ არის შექმნილი მისი ფლაკონების არაჩვეულებრივი შიგთავსი, ისე შეუძლია აჰყვეს საკუთარი ცხვირის კაპრიზებს და იმისდა მიხედ-ვით ურიოს ერთმანეთში რაღაც-რაღაცეები, რაც თავში მოუვა ან რაც ხალხს უნდა.

ამ ნაბუშარ პელისიეს უკვე ოცდათხუთმეტი წლის ასაკში აქვს იმაზე დიდი ქონება, რაც მას, ბალდინის, როგორც იქნა, სამი თაობის თავდაუზოგავი შრომით დაუგროვდა. პელისიეს ქონება დღითიდღე იზრდება, მისი, ბალდინისა კი ყოველდღიურად მცირდება. უწის ხომ არ მოხდებოდა, რომ ღირსეულ ხელოსანსა და პატიეცემულ კო-მერსანტს საკუთარი არსებობისათვის დასჭირდებოდა ბრძოლა. ეს მხოლოდ ამ ბოლო ათხლეულებმში დაიწყო! მას შემდეგ, რაც ყველ-

გან. ყველა სფეროში განახლების მანიამ დაისადგურა, მოქმედების ამ შეუნელებელმა ჟინმა, ექსპერიმენტების ჩატარების სიგიჟემ, ამ განდიდების მანიამ ვაჭრობაში, მოგზაურობასა და მეცნიერებაში!

ან კიდევ ეს სიჩქარის აკვიატება რაღა უბედურებაა! რაში სჭირდებათ ამდენი ახალი ქუჩა და ხიდი, ყველგან რომ აშენებენ! რისთვის? რა სარგებლობა მოაქვს იმას, რომ ლიონში ერთ კვირაში ჩახვალ? ვის აძლევს ხელს? ვის ადარდებს? იმისთვის გარბიან თავქუდმოგლეჯით ატლანტიკის იქით, რომ ერთ თვეში ამერიკაში ამოყონ თავი? გეგონება, საუკუნეების მანძილზე ამ კონტინენტის გარეშე არც კი ეცხოვროთ! რა დაჰკარგვია ცივილიზებულ ადამიანს უღრან ტყეში ინდიელებთან ანდა ზანგებთან? ლაპლანდიაშიც კი მიდიან, ჩრდილოეთში, მუდმივ ყინულებში, სადაც ველურები ცხოვრობენ და უმ თევზს ჭამენ. ახლა კიდევ სხვა კონტინენტის აღმოჩენა მოინდომეს. ამბობენ, ვითომც სამხრეთის ზღვაში იყოს. ეს ზღვა კიდევ სადღაა? ჰოდა, რისთვის იყო ეს სიგიჟე? იმისთვის, რომ თურმე, ბატონო, სხვებიც ასე შვრებოდნენ: ესპანელები, წყეული ინგლისელები, თავხედი ჰოლანდიელები, რომლებთანაც მერე ბრძოლა გადავიტანეთ. 300 000 ლივრი ნაღდი ფული – აი, რა ჯდება ერთი სამხედრო გემი, ზარბაზნის ერთი გასროლით კი ხუთ წუთში ჩაიძირება და, კარგად მენახეთ, ვითომც სულ არა ყოფილა! ამ ყველაფერს კი ჩვენი ჯიბიდან ვიხდიდით. ახლა ბატონი ფინანსთა მინისტრი ყველა შემოსავლის მეათედ ნაწილს მოითხოვს, და სულაც რომ არაფერი გადაიხადო, მაინც სრული დაქცევაა. სულ გადაგვარდა ზნეობა.

პასკალი ამბობს, ყოველგვარი უბედურება იქიდან მოდის, რომ ადამიანს არ შეუძლია, ერთ ადგილზე დაეტიოს თავის სახლში და წყნარად იყოსო. პასკალი კი დიდი ადამიანი იყო, სულის ფრანჟიპანი, თავისი საქმის დიდოსტატი, მაგრამ ეგეთებს დღეს ვიღა უსმენს. ახლა ჰუგენოტების ან ინგლისელების წამქეზებლურ წიგნებს კითხულობენ. ანდა ტრაქტატებს და ეგრეთ წოდებულ დიდ სამეცნიერო ნამრომებს წერენ, სადაც ყველას და ყველაფერს საეჭვოდ ხდიან. თურმე ნუ იტყვით, სწორი აღარაფერია, ყველაფერი სულ სხვანაირად არის, ერთ ჭიქა წყალში თურმე პაწაწინა ცხო-

ველები დაცურავენ, რომლებსაც ადრე ვერ ხედავდნენ, სიფილისი კი ჩვეულებრივი ავადმყოფობა ყოფილა და არა ღვთის წყრომა. თურმე ღმერთს სამყარო შვიდ დღეში კი არა, მილიონობით წლის, მანძილზე შეუქმნია, თუკი ღმერთი საერთოდ არსებობსო. ველურე- ბი ჩვენსავით ადამიანები არიანო, შვილებს არასწორად ვზრდითო და დედამიწა მრგვალი კი არა, გოგრასავით ზემოდან და ქვემოდან დაჭყლეტილიაო, გეგონება, ამას რამე მნიშვნელობა ჰქონდეს! ვი- საც არ ეზარება, ყველა კითხვებსა სვამს, არის ერთი ჩაკირკიტება კვლევა-ძიება და ექსპერიმენტების ჩატარება. ის აღარ ჰყოფნით, რა არის და როგორ – კეთილი ინებეთ და მოწმეები მოიყვანეთ, ყველა- ფერი ციფრებითა და რაღაცა ცდებით დაამტკიცეთო. სასაცილოა. ამ დიდროებმა და დალამბერებმა, ვოლტერებმა და რუსოებმა და რა ვიცი, კიდევ ვინ აღარ – მათ შორის თურმე სასულიერო პირებიც და კეთილშობილი თავადებიც კი ყოფილან – თავისას მიაღწიეს: იმდენი ქნეს, მთელი თავიანთი ვერაგული მოუსვენრობა, დაუკმაყოფილებ- ლობის გარყვნილი ჩვევა და დედამიწის ზურგზე ყველაფრის მიმართ უკმაყოფილება, მოკლედ, მთელი ქაოსი, რაც იმათ თავებში ტრია- ლებდა, მთელ საზოგადოებაზე გაავრცელეს!

საითაც არ გაიხედავ, ყველას აციებს და აცხელებს. ხალხი წიგ- ნებს კითხულობს, ქალებიც კი! სასულიერო პირები ყავის სახლებ- ში არიან დაყუდებულები. და როცა ერთხელ პოლიცია ჩაერია და რომელიღაცა ამ ნაძირალას ციხეში უკრა თავი, გამომცემლებმა ისეთი აურზაური და პეტიციების გზავნა ატეხეს, გავლენიანი ბა- ტონები და ქალბატონები თავიასთი გავლენის გამოყენებას იქამდე ცდილობდნენ, ვიდრე ის დაპატიმრებული ორ კვირაში ისევ არ გამოუშვეს და საზღვარგარეთ არ გაისტუმრეს, სადაც თავისუფ- ლად გააგრძელა თავისი პამფლეტების ჯღაბნა, სალონებში მარტო კომეტების ტრაექტორიებზე და ექსპედიციებზე ლაყბობენ, კიდევ – ბერკეტებსა და ნიუტონზე, არხების მშენებლობაზე, სისხლის მი- მოქცევასა და დედამისის დიამეტრზე,

თვით მეფემაც კი მისცა ნება, მისთვის რაღაც ახალმოდ- რი სისულელე წარედგინათ, ხელოვნური ჭექა-ქუხილის მსგავსი.

ელექტრობა ჰქვია თურმე. მთელი სამეფო კარის წინაშე ვიღაცამ ბოთლზე ხახუნით ნაპერწკალი გააჩინა. ამბობენ, მის უდიდებულე-სობაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინაო. წარმოუდგენელია, რომ მეფის დიდ პაპას, იმ ჭეშმარიტად დიდ ლუის – ბალდინის ჰქონდა ბედნიერება, მის დალოცვილ მეფობას მოსწრებოდა – თავის თვალწინ ასეთი მასხარაობა დაეშვა. მაგრამ ეს ხომ ახალი დროის სულია. ეს ყველაფერი კი ცუდად დამთავრდება.

თუკი უკვე შეიძლება ასე მოურიდებლად და თავხედურად უფ-ლის ეკლესიის ავტორიტეტში ეჭვის შეტანა; და თუკი არანაკლებ ღვთივკურთხეულ მონარქიასა და მეფის წმინდა პიროვნებაზეც ისე ლაპარაკობენ, როგორც ცვლად პოზიციებზე მართვის სხვა ფორმების მთელ კატალოგში, საიდანაც უბრალოდ სურვილისა- მებრ შეიძლება არჩევა; და ბოლოს, თუკი იქამდეც კი მიეიდნენ, რომ ღმერთს, თავად უფალს, ზედმეტად აცხადებენ და მთელი სერიოზულობით ამტკიცებენ, რომ წესრიგი, ზნეობა და ბედნიერე- ბა დედამიწაზე უიმისოდაც შესაძლებელია, მარტო თანდაყოლილი მორალისა და ადამიანების გონების წყალობითო... ღმერთო, ღმერ-თო! – მაშინ რაღა გასაკვირია, რომ ყველაფერი თავდაყირა იდგეს. ზნეობა საბოლოოდ გაირყვნა და კაცობრიობამ იმისი რისხვა დაი-ტეხა თავს, ვისაც უარყოფს. ყველაფერი ცუდად დამთავრდება. 1681 წლის დიდი კომეტა, რომელსაც დასცინოდნენ და ვარსკელა- ვების უბრალო გროვად სახავდნენ, ღვთის გამაფრთხილებელი ნი- შანი იყო. ახლა ხომ უკვე ცხადი გახდა, რომ ის დაცემის საუკუნეს მოასწავებდა, სულიერ, პოლიტიკურ და რელიგიურ ჭაობს მიანიშ-ნებდა, რომელსაც კაცობრიობა თვითონ იქმნის და შიგ თვითონვე ჩაეფლობა, და სადაც მხოლოდ ისეთი მყრალი ჭაობის ყვავილები გაიფურჩქნება, როგორიც ეს პელისიე გახლავთ!

ბებერი ბალდინი ფასჯარასთან იდგა და მძულვარე მზერით მზის ალმაცერ სხივებში გახვეულ მდინარეს გადაჰყურებდა. იქ, ქვემოთ, სატვირთო ნავები მოჩანდა. ისინი ნელა მისრიალებდნეს დასავლეთისკენ, ახალი ხიდისა და ლუვრის წინ ნავმისადგომისაკენ. დინების სანისააღმდეგოდ არც ერთი არ მიცურაედა, კუნძულის

მეორე მხარეს მდინარის შესართაეში უხვეედნენ. ბალდინის ყველა-ფერი გვერდს უვლიდა: ცარიელი და დატვირთული გემები, მეთევ-ზეთა ბრტყელძირა ნავები, ჭუჭყიანი და ოქროსფრად მოლივლივე წყალი. ყველაფერი ნელა, გაშლილად და შეუჩერებლად მიედინნებო-და. და როცა ბალდინი კედლის გასწვრივ სულ ქვემოთ ჩაიხედავდა, ისეთი გრძნობა ეუფლებოდა. თითქოს წყალი ხიდს ბურჯებს ურეცხაედა და თან მიჰქონდა. ბალდინის თავბრუ ესხმოდა.

შეცდომა იყო ხიდზე მდგარი სახლის შეძენა, ხიდის დასავლეით მხარეს სახლის ყიდვა კი ორმაგი შეცდომა. მდინარე სულ თვალ-წინ ჰქონდა და ისეთი შეგრძნება ეუფლებოდა, თითქოს თვითო-ნაც, მისი სახლიც და წლების მანძილზე დაგროვილი სიმდიდრეც წყალს მიჰქონდა და რომ ამ ძლიერი დინებისათვის წინააღმდეგო- ბის გასაწევად ბებერი და უღონო იყო. ხანდახან, როცა მარცხენა სანაპიროზე საქმე ჰქონდა, სორბონის უბანში ან სენ-სიულპისის ახლოს კუნძულს კი არ გადაკეეთდა და სენ-მიშელის ხიდს კი არ გადაივლიდა, გრძელი გზით ახალი ხიდის გავლით მიდიოდა, რად- გან ამ ხიდზე სახლები არ იდგა. აღმოსავლეთის პარაპეტთან დად-გებოდა ხოლმე და მდინარეს აღმა აჰყურებდა, რომ ერთხელ მაინც დაენახა, როგორ მოედინებოდა მისკენ წყალი. იმ წუთებში ტკბილ ოცნებებს ეძლეოდა, წარმოიდგენდა ხოლმე, რომ ცხოვრება შე-მობრუნდა, რომ მისი საქმეები იფურჩქნება, ოჯახი ყვავის, ქალები მისკენ მოილტეიან და მისი ქონება, იმის მაგიერ, რომ დაილიოს, სულ უფრო იზრდება და იზრდება.

მაგრამ მალე, თვალებს ოდნავ რომ ასწეედა, სულ რაღაც ას მეტრში, მაღლა, ზარაფების ხიდზე, თავის სახლს დაინახავდა – მორყეულსა და ვიწროს. ხედავდა თავისი სამუშაო ოთახის ფან-ჯარას მეორე სართულზე და თავის თავს ფანჯარასთან მდგარს, მდინარეს რომ დაჰყურებს, ისევე, როგორც ახლა. აქ მისი ლამაზი ოცნება ქრებოდა და ახალ ხიდზე მდგარი ბალდინი მას ზურგს აქ-ცევდა. კიდევ უფრო დათრგუნული, ვიდრე ადრე, უფრო დათრგუ-ნული, ვიდრე ახლა, როცა ფანჯარას მოსცილდა, საწერ მაგიდას- თან მივიდა და დაჯდა.

წინ პელისიეს სუნამოს ფლაკონი ედგა. კრიალა, მოოქროს- ფრო-მოყავისფრო სითხე მზის შუქზე ლივლიეებდა. გამჭვირვალე იყო, შეუმღვრეველი. ღია ფერის ჩაივით უმანკოდ გამოიყურებო- და. და მაინც. ოთხი მეხუთედი წილი სპირტის გარდა, კიდევ ერთ მეხუთედ იმ საიდუმლო ნაზავს შეიცავდა, რომელსაც მთელი ქა- ლაქის აფორიაქება შეეძლო. ეს ნაერთი შეიძლება სამი, შეიძლება ოცდაათი ნივთიერებისაგანაც ყოფილიყო შედგენილი, უთვალავი- დან ერთ კონკრეტულ თანაფარდობაში რომ იყო ერთმანეთთან. ეს იყო სუნამოს სული, თუკი საერთოდ შეიძლება ამ ყინულივით ცივი საქმოსნის, პელისიეს სუნამოს სულზე ლაპარაკი. აი მისი შედგენი-ლობის გარკვევა იყო ახლა საჭირო.

ბალდინიმ საგულდაგულოდ მოიხოცა ცხვირი და ჟალუზი ცო-ტათი ჩამოსწია, რადგანაც მზის პირდაპირი სხივები მავნეა ყველა-ნაირი სუნიანი ნივთიერებისა და ნებისმიერი მეტ-ნაკლებად ფაქიზი სურნელის კონცენტრაციისათვის. საწერი მაგიდის უჯრიდან სუფ-თა, თეთრმაქმანებიანი ცხვირსახოცი ამოიღო და გაშალა. შემდეგ საცობის ოდნავი შემოტრიალებით ფლაკონი გახსნა. ამ დროს თავი უკან ჰქონდა გადაწეული და ნესტოებზე ხელს იჭერდა, რომ, ღმერთმა არ ქნას, წინასწარი ყნოსვითი შთაბეჭდილებები არ მიეღო პირდაპირ ფლაკონიდან. სუნამოს შეყნოსვა მხოლოდ გაშლილ, აი-როვან მდგომარეობაში შეიძლება და არავითარ შემთხვევაში – კონ-ცენტრირებულში. მან რამდენიმე წვეთი დააპკურა ცხვირსახოცზე, სპირტის გასადევნად ჰაერში გაიქნია და მხოლოდ ამის შემდეგ მიი-ტანა ცხვირთან. სამჯერ მოკლედ, მკვეთრად შეისუნთქა, თითქოს ფხვნილიაო და მაშინვე ამოისუნთქა, ხელი გააქნია, ჰაერი მიიახ-ლოვა, ისევ სამ ტაქტში შეისუნთქა, და ბოლოს, თითქოს გრძელ, ბრტყელ კიბეზე ეშვებაო, ნელა და პაუზებით ამოისუნთქა. შემდეგ ცხვირსახოცი მაგიდაზე დადო და სავარძლის საზურგეს მიეყუდა.

სუნამო საშინლად კარგი იყო. ხამწუხაროდ, ამ უბადრუკმა პე-ლისიემ თავისი საქმე ძალიან კარგად იცოდა. ოჰ, ღმერთო, ნამ-

დვილი ოსტატი იყო, იმის მიუხედაეად, რომ უსწავლელი გახღდათ. ბალდინი ნატრობდა, რომ ეს სუნამო, ეს „ამური და ფსიქეა“ თავისი შექმნილი ყოფილიყო. ეს არ იყო უბრალო რამ, ეს იყო კლასიკური, დასრულებული და ჰარმონიული და ამავე დროს არაჩვეულებრივად ახალი სურნელი. გრილი იყო, მაგრამ არა დამბნედი. ყვავილსა მაგრამ არა მოტკბო. მუქყავისფერი სიღრმე ჰქონდა – დიდებული, მიმზიდველი, მაგრამ არც გადატვირთული იყო და არც მაღალფარდოვანი.

ბალდინი თითქმის მოწიწებით ადგა და ცხვირსახოცი კიდევ ერთხელ მიიტანა ცხვირთან.

– მშვენიერია, მშვენიერი... – ბუტბუტებდა და ხარბად ყნოსავდა, – მხიარული ხასიათი აქვს, მელოდიასავით მშვენიერია, პირდაპირ გუნებას გამოგიკეთებს... რა სისულელეა, გუნებას! – და ბრაზით მოისროლა ცხვირსახოცი მაგიდაზე, შეტრიალდა და ოთახის ყველაზე შორეული კუთხისაკენ წავიდა, თითქოს საკუთარი აღფრთოვანებისა შერცხვაო.

რა სასაცილოა ასეთი უადგილო აღტაცების გამოხატვა: „მელოდია“, „მხიარული“, „მშვენიერი“, – რა სისულელეებია! ბავშვური სისულელეა, წამიერი შთაბეჭდილება. სულ ერთი და იგივე შეცდომაა. ალბათ იტალიური ტემპერამენტის ბრალია. ნუ შეაფასებ პირველივე შთაბეჭდილებით! ეს ხომ უპირველესი წესია, ბალდინი, შე ბებერო ვირო! თუ ყნოსავ, დაყნოსე და მერე თქვი! არა, „ამური და ფსიქეა“ ურიგო სუნამო არ არის, ნამდვილად ხარისხიანი პროდუქტია თვალის ასახვევად, კარგად შეთითხნილი რამეა, სიყალბე რომ არა ვთქვათ... სხვას რას უსდა მოელოდე ისეთი ვინმესგან, როგორიც ეს პელისიეა. რა თქმა უნდა, პელისიესნაირებისგან რას უნდა ელოდე, სიყალბის მეტს. ეგ უბრალო რამეს არ შექმნიდა. ეს თაღლითი ყველას თვალს უხვევს თავისი ხელობით, ვისაც გინდა. თავგზას აუბნევს სუნების ჰარმონიით. პარფიუმერიის კლასიკური ხელოვნების ცხვრის ტყავში გახევული მგელია, ერთი სიტყვით. ნიჭიერი ურჩხულია. ეს კი გაცილებით უარესია, ეიდრე ვიღაც უვიცი, რომელიც საკუთარ არარაობას ვერა გრძნობს.

მაგრამ, ბალდინი, შენ კი ვერ გაგაცუცურაკებს! შენ პირველმა მოჩვენებითმა შთაბეჭდილებამ დაგაბნია ცოტათი, თორემ, აბა ვნახოთ ერთი, რა სუნი ექნება ერთ საათში, როცა აქროლდება და იქიდან მარტო გულისგულიღა დარჩება! ანდა კიდევ საღამოს რაღა იქნება, მარტო ის მძიმე, მუქი კომპონენტებიღა რომ შემორჩება, ახლა ყვავილების სასიამოვნო საფარველს რომაა ამოფარებული! ჯერ მოიცა, ბალდინი!

მეორე წესი გვაუწყებს: სუნამო დროში ცოცხლობს, აქვს ახალ-გაზრდობა, სიმწიფე და სიბერე. კარგი მაშინ ეთქმის, თუ სამივე საფეხურზე ერთნაირად სასიამოვნო იქნება. რამდენჯერ ყოფილა, ნაზავს პირველი სინჯისას სასიამოვნო სურნელი ჰქონია, მერე მა-ლევე დამპალი ხილის სუნი მისცემია, ბოლოს კი საზიზღარი სუფ- თა ციბეთინისა, იმიტომ, რომ დოზა მეტი მოსვლიათ. ციბეთინთან საერთოდ დიდი სიფრთხილეა საჭირო. ერთი ზედმეტი წვეთიც და... მორჩა. მუდამ ერთი და იგივე შეცდომა მეორდება. რა იცი, ეგებ პელისიემ ზედმეტი ციბეთინი უქნა? ეგებ საღამომდე მაგისი თავმომწონე „ამურისა და ფსიქეასგან“ მარტო კატის ფსელიღა დარჩეს? ვნახოთ.

ჯერ დავყნოსოთ. როგორც მჭრელი ნაჯახი აპობს კუნძს წვრილ-წვრილ ნაფოტებად, ისე დაანაწევრებს ჩვენი ცხვირი ამ სუ- ნამოს. მერე აღმოჩნდება, რომ ეს ვითომც ჯადო-სუნამო სრულიად ჩვეულებრივი, საყოველთაოდ ცნობილი წესებით არის შექმნილი. ჩვენ, პარფიუმერ ბალდინების მესამე თაობის წარმომადგენელი, ამ ვიღაც ძმრისმხდელ პელისიეს სააშკარაოზე გამოვიყვანთ. მის მახინჯ სიფათს ნიღაბს ჩამოყგლეჯთ და დავანახვებთ ერთი ამ სიახლეების მოყვარულს, რა შესძლებია გამოცდილ ოსტატს. ზუს-ტად იმასვე შევაზავებთ, მის მოდურ სუნამოს. ჩვენი ხელით ისე სრულყოფილად გადავიღებთ, რომ მათი ერთმანეთისგან გარჩევა ეშმაკმაც ვერ შეძლოს. არა! ეს არ კმარა! ჩვენ მას გავაუმჯო- ბესებთ! ჯერ შეცდიომებს დავუმტკიცებთ, აღმოვფხვრით და მერე წარვუდგენთ: შენ ფინაჩი ხარ, პელისიე! შე პატარა მყრალო ქრცვინო! სუნამოების საქმეში კარიერისტი ხარ და მეტი არაფერი!

ახლა კი მუშაობას შეეუდგეთ, ბალდინი! ცხვირი მოვიმარ- ჯვოთ და ყოველგვარი სენტიმენტების გარეშე ვყნოსოთ! დავშა-ლოთ სუნამო ხელოვნების ყველა წესის მიხედვით! ამ საღამომდე ფორმულის მფლობელი უნდა გავხდეთ!

ისევ მივარდა მაგიდას, ამოიღო ქაღალდი, მელანი და სუფთა ცხვირსახოცი, ყველაფერი მოიმზადა და კვლევით მუშაობას მიჰყო, ხელი. ეს კი შემდეგში მდგომარეობდა: სუნამონაპკურები ცხვირ-სახოცი სწრაფად მიჰქონდა ცხვირთან, რომ ამ მიმქროლავი სურ-ნელოვანი ღრუბლის რომელიმე კომპონენტი ამოეცნო, თანაც ისე, რომ შემადგენლობის ერთიანობას არ მიეტაცა მისი ყურადღება. ცხვირსახოცი გაშლილი ხელით განზე ეჭირა და გამოცნობილ ნიე-თიერებათა სახელებს ჩქარ-ჩქარა იწერდა, მერე სურნელის რომე-ლიმე ახალი ფრაგმენტის დასაჭერად ცხვირსახოცი ისევ ცხვირთ მიჰქონდა და ასე შემდეგ...

13

ორ საათს შეუსვენებლივ მუშაობდა. სულ უფრო გამალებთ მოძრაობდა, კალამს უფრო და უფრო ენერგიულად აწრიპინებდა და ფლაკონიდან ცხვირსახოცზე გადმოსხმული და ცხვირთან მი-ტანილი სუნამოს დოზებიც მატულობდა.

თითქმის ვეღარაფერს გრძნობდა – არადა, ცდების დასაწყის- ში თითქოს ყველაფერი საბოლოოდ გაანალიზებული ეგონა – აღა-რაფრის ამოცნობის თავი აღარ ჰქონდა. უკვე დიდი ხნის გაბრუე-ბული იყო შესუნთქული ეთეროვანი სივთიერებებისაგანს. იცოდა, რომ ყნოსვის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. ვერასოდეს ვერ ამოიცნობდა, რისგან შედგებოდა ეს ახალმოდური სუნამო. დღეს ხომ ნამდვილად და ვეღარც ხვალ შეძლებდა, ცხვირს ღვთის ნებით კიდე რომ დაესვენა, ვერაფრით აითვისა ეს დანაწევრებული ყნოს- ვა. სძულდა ეს საქმე – ერთი მთლიანის, ავად თუ კარგად შეერთე-ბულის – ფრაგმენტებად დაშლა. არ აინტერესებდა. აღარ სურდა

მაგრამ ხელს მექანიკურად ამოძრაეებდა, ათასგზის გამეორებული მოხდენილი მოძრაობით ასველებდა მაქმანიან ცხვირსახოცს და სწრაფად ინიავებდა სახესთან, მერე მექანიკურადვე ჩაისუნთქავდა ხოლმე ყოველი ასეთი განიავებისას სუნამოთი გაჯერებული ჰაერის ულუფას, რომ მერე ისეე ნელ-ნელა, ხელოვნურად ამოესუნთქა. ეს ყველაფერი იქამდე გრძელდებოდა, ვიდრე თავისიეე ცხვირმა არ იხსნა ამ სატანჯველისგან – თითქოს შიგნიდან ალერგიულად შეუსივდა და ცვილის საცობებით დაეხშო. ახლა კი ვეღარაფრის სუნს ეელარ გრძნობდა, სუნთქვაც კი უჭირდა. ცხვირი ისე ჰქონდა გაჭედილი, როგორც მძიმე სურდოს დროს და თვალები ეცრემლებოდა. მადლობა ღმერთს! უკვე სუფთა სინდისით შეეძლო მუშაობის შეწყვეტა. ახლა ვალი მოხდილი ჰქონდა. რაც შეეძლო, გააკეთა ხელოვნების ყველა წესის დაცვით და როგორც თითქმის ყოველთვის, არაფერი გამოუვიდა. Ultra posse nemo obligatur[1] მორჩა! ხვალ დილით გაგზავნის ვინმეს პელისიესთან ერთი დიდი ფლაკონი „ამურისა და ფსიქეასთვის“ და გრაფ ვერამონის შეკვეთისამებრ დანამავს ესპანური ტყავის ბიუვარს ამ სუნამოთი. მერე ისევ აიღებს ძველმოდური საპნებით, შესაზელი მალამოებით, პომადებითა და საშვებით სავსე თავის პატარა ჩემოდანს და ისევ დაუყვება დიდგვაროვანი დედაბრების სალონებს. ერთ დღეს კი უკანასკნელი ჰერცოგინიაც მოკვდება და, ესე იგი, მისი ბოლო კლიენტიც. იმ დროს თითონაც მიხრწნილი მოხუცი იქნება და მოუწევს თავისი სახლის მიყიდვა პელისიეს ან სხვა ახალგამომცხვარი ვაჭრისათვის, იქნებ ერთი-ორი ათასი ლიერიც კი მიიღოს. მაშინ ჩაალაგებს ერთი-ორ ჩემოდანს და თავის ცოლთან ერთად, თუკი ისიც მანამდე არ წაიღებს წერილს, იტალიას მიაშურებს. ამ მგზაერობას თუ გადაურჩა, მაშინ მესინის ახლომახლო პატარა სახლს იყიდის, იქ, სადაც უფრო იაფობაა. და ერთ დღესაც ის, ჯუზეპე ბალდინი, პარიზის უდიდესი პარფიუმერი, მოკვდება იქ ღვთის ნებით, სასტიკ სიღარიბეში ამოხდება სული. იქნებ ასე აჯობებდეს კიდეც.

---

[1] Ultra posse nemo obligatur - არავის დავალდებულება არ შეიძლება თავის შესაძლებლობებზე მეტად (ლათ.)

ფლაკონებს თავი დაუცო, კალამი დადო და გაჟღენთილი ცხვირსახოცით შუბლი ბოლოჯერ მოიწმინდა. აქროლებული სპირტის სიგრილე იგრძნო, სხვა არაფერი. მერე მზეც ჩავიდა.

ბალდინი წამოდგა. ჟალუზი ასწია და მისი ფიგურა ჩამავალი მზის შუქით განათდა ჩამწვარი ჩირაღდანივით, რომლის ბოლო ნაპერწკლებიც უკანასკნელი სხივებით ანთია.

ლუვრის უკან, ქალაქის შიფერის სახურავებზე ხედაედა ჩამავალი მზის მუქწითელ არშიასა და მის უფრო ღია ფერის ანარეკლი, ქვემოთ მდინარე ოქროსფრად ლივლივებდა, გემები გამქრალიყო. ეტყობა ქარმაც დაუბერა, იმიტომ, რომ წყალი აიჭრა, თითქოს ზედაპირზე ქერცლი გაუჩნდაო, აქა-იქ, სულ უფრო და უფრო ახლოს რაღაც გაიბრწყინებდა ხოლმე, თითქოს უზარმაზარი ხელი მილიონობით ლუიდორს აბნევდა წყალში, მდინარემ თითქოს ერთი წამით, იცვალა მიმართულება და ახლა ის ბალდინისაკენ მოედინებოდა – ბაჯაღლო ოქროს მბრწყინავი ნაკადი. ბალდინის ნამიანი და დაღონებული თვალები ჰქონდა. ცოტა ხანს ჩუმად იდგა და ამ დიდებულ სურათს გასცქეროდა. შემდეგ უცებ დარაბა ფართოდ გამოაღო და პელისიეს სუნამო შორს გადაისროლა. დაინახა, როგორ გაადინა ტყაპანი ფლაკონმა და როგორ გაარღვია სულ ერთი წამით წყლის მოლივლივე ზედაპირი.

ოთახში სუფთა ჰაერი შემოიჭრა. ბალდინიმ შეისუნთქა და შეიცადა, ვიდრე ცხვირი დაუცხრებოდა. შემდეგ ფანჯარა დახურა თითქმის იმავწამს დაღამდა. ქალაქისა და მდინარის ოქროსფრად მბრწყინავი სურათი რუხ სილუეტად გაქვავდა. ოთახში ერთბაშად დაბნელდა. ბალდინი ისევ იმავე პოზაში იდგა და ფანჯრიდან იყურებოდა.

– ხვალ პელისიესთან არ გავგზავნი, – თქვა მან და ორივე ხელით სკამის საზურგეს ჩაეჭიდა, – არა, არ დავივლი სალონებს. ხვალ ნოტარიუსთან წავალ და სახლს და მაღაზიას გავყიდი. აი რას ვიზამ. მორჩა!

ჯიუტი ბავშვის გამომეტყველება გაუჩნდა და უცებ ძალიან ბედნიერად იგრიძნო თავი. ახლა ისევ ის ძველი ბალდინი იყო–ახალ-

გაზრდა, გამბედავი და მამაცი, ბედთან მებრძოლი – თუმცა კი ბედთან ბრძოლა უკან დახევა იყო ამ შემთხვევევაში. მერე რა, თუნდაც! მეტი რაღა დარჩენია. ამ სულელურ დროში სხვა გამოსავალი აღარც არის. ღმერთი ხან კარგ დროს გვარგუნებს, ხან ცუდს, მაგრამ მისი ნებაა, რომ ცუდ დროში კი არ ვიწუწუნოთ და ვივაგლახოთ, კაცურად მოვიქცეთ. უფალმა კი ნიშანი მისცა: ქალაქის სისხლისფერ-ოქროსფერი მირაჟით გააფრთხილა: გაინძერი, ბალდინი, ვიდრე გვიანი არ არის! შენი სახლი ჯერ კიდევ მყარად დგას, ჯერ კიდევ სავსე გაქვს საწყობები, შენი უკან-უკან წასული მაღაზიის კარგად გაყიდვა კიდევ შეიძლება. არჩევანი ჯერ კიდევ შენს ხელშია. მესინაში სიდუხჭირეში დაბერება, რა თქმა უნდა, ცხოერების მიზნად არ გქონია, მაგრამ, რა, ეს უფრო პატივსაცემი და ღვთის მოსაწონი არ არის, ვიდრე პარიზში პომპეზურად გაღატაკება? დაე, იზეიმონ ბრუეებმა, კალტოებმა და ჰელისიეებმა. ჯუზეპე ბალდინი ბრძოლის ველს ტოვებს, მაგრამ ნებაყოფლობით და ქედუხრელად!

ახლა კი პირდაპირ ამაყობდა საკუთარი თავით. უსაზღვრო შვებას გრძნობდა. წლების მანძილზე პირველად იგრძნო, როგორ მოეშვა წელში პირმოთნედ მოხრისაგან მუდმიეად დაჭიმული კეფა და დაკრუნჩხული ხერხემალი. ახლა წელში თავისუფლად გაი- მართა, გახსნილი, გახარებული. თავისუფლად სუნთქავდა. კარგად შეიგრძნობდა „ამურის და ფსიქეას“ სუნს, რომლითაც სავსე იყო ოთახი, მაგრამ ეს სუნი უკვე ვეღარაფერს დააკლებდა. ბალდინიმ ცხოვრება შეიცვალა და ძალიან ბედნიერად გრძნობდა თავს. ახლა თავის ცოლთან ავა და გადაწყვეტილებას გააცნობს, მერე ნოტრ-დამისაკენ გაემართება და სანთელს დაანთებს, რომ მადლობა შესწიროს უფალს ამ ნიშნისა და იმ არაჩევულებრივი მტკიცე ხასიათისათვის, რომლითაც მან იგი – ჯუზეპე ბალდინი – დააჯილდოვა.

თითქმის ახალგაზრდული სილაღით დაიმხო პარიკი მოტვლეპილ თავზე, შემოიცვა ლურჯი სერთუკი, მაგიდაზე მდგარ შან- დალს ხელი დაავლო და სამუშაო ოთახიდან გავიდა. ის იყო, კიბეზე საცხოვრებელი სახილისკენ მიმავალი გზის გასანათებლად ქოსის სანთლის ნამწვიდან თავის სანთელს მოუკიდა, რომ პირველ საო-

თულზე ზარის ხმა გაისმა. ეს მაღაზიის კარის ლამაზი, სპარსული ზარების წკარუნი კი არა, მოსამსახურეების შემოსასვლელის ზა- რის საძაგელი ღრიალი იყო, რომელიც ყოველთვის აღიზიანებდა. სულ აპირებდა ამ ზარის მოშორებას და მისი უფრო სასიამოვნო ზარით შეცვლას, მაგრამ ყოველ ჯერზე ფული დაენანებოდა ხოლ- მე. ახლა კი უცბად გაახსენდა, რომ უკვე ყველაფერი სულერთი იყო. ამ თავმომაბეზრებელ ზარს სახლთან ერთად გაყიდის. მერე ახალმა პატრონმა იხალოს თავში!

ზარი ისევ დაირეკა. ბალდინიმ მიაყურადა. ეტყობა, შენიე უკვე წასულიყო. მოსამსახურე ქალიც არსად ჩანდა. ასე რომ, ბალდინი თვითონ ჩავიდა კარის გასაღებად.

მან ურდული გადასწია, მძიმე კარი გამოაღო და ვერაფერი დაინახა. სიბნელე სრულად შთანთქავდა სანთლის შუქს. შემდეგ ნელ- ნელა გაარჩია ბავშვის თუ ყმაწვილის პატარა ფიგურა, რო- მელსაც ხელზე რაღაც ჰქონდა გადაკიდებული.

– რა გინდა?

– მეტრ გრიმალმა გამომგზავნა. თხის ტყავი მოვიტანე, – უთხ- რა არსებამ, ახლოს მივიდა და ერთმანეთზე გადაფენილი ტყავე- ბით დატვირთული იდაყვში მოხრილი ხელი დაანახვა. სინათლეზე ბალდინიმ შეშინებულთვალებიანი ბიჭი დაინახა. მოხრილი იდგა, თითქოს ცემის მოლოდინში თავისი გამოწეული ხელის უკან იმა- ლებაო. ეს გრენუი იყო.

14

თხის ტყავი! ბალდინის გაახსენდა. გრიმალს რამდენიმე დღის წინ ტყავები დაუკვეთა – ნაზი, რბილი ლაიკა გრაფ ვერამოსის ბიუვარისთვის, თითო თხუთმეტ, ფრანკად. მაგრამ ახლა რაღა ჯან- დაბად უნდა ეს ტყავი. შეუძლია ფული დაზოგოს. მეორე მხრივ, ბიჭს უკან ხომ არ გააბრუნებს?.. ვინ იცის, ვაითუ არასასურვე- ლი შთაბეჭდილება მოახდინოს, დაიწყებენ მერე ჭორაობას, ხმებს

დაუყრიან, ბალდინი არასაიმედო გახდაო, ბალდინის შეკვეთები აღარა აქვს. ბალდინის გადახდა აღარ შეუძლიაო. არა, არა, ასე არ ივარგებს. ამან შეიძლება მაღაზიის გასაყიდი ფასი დააგდოს. ჯობია, ეს გამოუსადეგარი ტყავი აიღოს. ჯუზეპე ბალდინიმ ცხოვე- რების წესი რომ შეიცვალა, ჯერ არავინ არ უნდა გაიგოს.

– შემოდი!

მან ბიჭი შემოუშვა და ორივე მაღაზიისაკენ გაემართა, ბალდი- ნი წინ მიდიოდა შანდლით ხელში, გრენუი ტყავით – უკან. გრენუიმ პირველად შეაბიჯა პარფიუმერიის მაღაზიაში, იქ, სადაც სურნელს რაღაც დამატებითი კი არა, უმთავრესი ადგილი ეჭირა, ის, რა თქმა უნდა, ქალაქის ყველა პარფიუმერიის მაღაზიასა და აფთიაქს იც- ნობდა. ღამღამობით მათ ვიტრინებთან იდგა ხოლმე კარზე ცხვირ- მიდებული. ყველა ნელსურნელებას იცნობდა, იქ რომ იყიდებოდა და ეს სურნელები უმშვენიერეს სუნამოებად ჰქონდა თავისთვის შეზავებული. ასე რომ, აქ ახალი არაფერი ელოდა, მაგრამ, რო- გორც მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვი ლამობს ხოლ- მე ორკესტრის ახლოდან ნახვას, ან ეკლესიაში, ქორედზე, მაღლა ასვლას და ორგანის დაფარულ კლავიატურასთან მიახლოებას, ისე უნდოდა გრენუის პარფიუმერიის მაღაზიის შიგნიდან ნახვა. როცა გაიგო, ბალდინისთან ტყავია მისატანიო, ყველაფერი იღონა, რომ ეს საქმე მისთვის დაევალებინათ.

და აი, ბალდინის მაღაზიაში იდგა, პარიზის იმ ადგილას, სა- დაც პროფესიული სუნების უმეტესობა იყო თავმოყრილი. მოციმ- ციმე სანთლის შუქზე ბევრს ვერაფერს ხედავდა, სულ ერთი წამით შეავლო თვალი კანტორულისა და სასწორის ჩრდილს, ორივე წე- როს შადრევნის თავზე, მყიდველების დასაბრძანებელ სავარძელს, კედლებზე მუქ თაროებს, ზედ თითბირის ხელსაწყოების ელვარე- ბას, ქილებისა და ტიგელების თეთრ ეტიკეტებს. ვერც იმაზე მეტ სუნს გრძნობდა, ვიდრე აქამდე ქუჩიდან შეეყნოსა. მაგრამ მაშინვე შეიგრძნო ამ კედლებში გამეფებული სერიოზულობა („წმინდა“ სერიოზულობას ვიტყოდით, გრენუისთვის ამ სიტყვას რამე მნიშ- ვნელობა რომ ჰქონოდა); იგრძნო ცივი სიდინჯე, ხელოსხისათვის

დამახასიათებელი ანგარიშიანობა, მშრალი საქმიანი ალღო, ავეჯიდან, ჭურჭლიდან, შუშებიდან, ბოთლებიდან და ქვაბ-ქოთნიდან მოდიოდა. და ვიდრე ბალდინის მისდევდა მისსავე ჩრდიში (ბალდინის არც კი უფიქრია, მისთვის გზა გაენათებინა), მტკიცედ გადაწყვიტა, რომ მისი ადგილი აქ იყო და სხვაგან არსად, რომ აქ დარჩებოდა და სამყაროს აქედან დააყენებდა თავდაყირა.

ეს აზრი მართლაცდა სასაცილო თავხედობა იყო. არაფერი, სულ არაფერი ჩანდა ისეთი, რაც გაურკვეველი წარმოშობის, ნაცნობობის, პროტექციისა და წოდებრივი მდგომარეობის არმქონე მთრიმლავის შეგირდს პარიზის ყველაზე ცნობილ პარფიუმერიის მაღაზიაში ფეხის მოკიდების იმედს მისცემდა. მით უფრო, რომ, როგორც ვიცით, მაღაზიის ლიკვიდირება უკვე გადაწყვეტილი საქმე იყო. მაგრამ აქ ლაპარაკი გრენუის მოკრძალებულ იმედზე კი არა, მის რწმენაზაა. მან იცოდა, რომ ამ მაღაზიას მხოლოდ ერ- თხელღა დატოვებდა – როცა გრიმალისგან თავის ტანსაცმელს წა- მოიღებდა. ტკიპამ სისხლის სუნი იკრა. წლების მანძილზე თავის თავში ჩაკეტილი წყნარად ელოდა. ახლა კი გაბედა და ჩამოვარდა. მართალია, უიმედო საქმე იყო, მაგრამ რწმენა დიდი ჰქონდა.

მათ მაღაზია გადაჭრეს. ბალდინიმ მდინარეზე გამავალი უკანა ოთახი გააღო, საწყობად, სახელოსნოდ და ლაბორატორიად რომ იყენებდნენ. აქ საპონს ხარშავდნენ, პომადებს ურევდნენ, ბოთლებში საყნოს მარილს აზავებდნენ.

– აგე იქ, – უთხრა მან და ფანჯარასთან მდგარ დიდ მაგიდაზე მიუთითა, – იქ დააწყვე!

გრენუი ბალდისის ჩრდილიდან გამოვიდა, ტყავები მაგიდაზე დადო, მერე უცებ ისვე უკან გადახტა და ბალდინისა და კარს შუა ჩადგა. ბალდინი ცოტა ხანს იდგა, სანთელი ოდსავ განზე ეჭირა, რომ ცვილი მაგიდაზე არ დაღვენთილიყო, თან ტყავის გლუვ ზე- დაპირს ხელის ზურგს უსვამდა, მერე ზემოთა ტყავი გადაკეცა და ახლა მის ხავერდოვან უკუღმა პირს გადაუსვა ხელი. ძალიან კარ- გია, ლაიკისთვის ზედგამოჭრილი. რომ გაშრება, შეიძლება ოდნავ კი შედგეს, მაგრამ მერე, თუ კარგად გაასწორებ, ისევ დარბილდე-

ბა. ეს მაშინვე იგრძნო, როგორც კი საჩვენებელსა და ცერს შუა მოიქცია· ეს ტყავი სურნელს ერთი ხუთ-ათ წელს მაინც შეინახავს. ძალიან კარგი ტყავია. იქნება ამისგან ხელთათმანებიც შეკეროს, სამი წყვილი თავისთვის, სამიც – ცოლისათვის. მესინაში წასასვლელად გამოადგებათ.

ხელი ისევ უკან წაიღო და გულაჩუყებით შეავლო თვალი სამუშაო მაგიდას: ყველაფერი ზედ არის გაშლილი: შუშის ავზი არომატიზაციისათვის, მინის ფირფიტა გასაშრობად, თასები ნაყენების შესარევად, ფილთაქვა და შპატელი, ფუნჯი, მაკრატელი და საუთოო. ბნელა და ამ საგნებს თითქოს სძინავთ. ხვალ კი ისევ გამოცოცხლდებიან. ეგებ ეს მაგიდაც თან წაიღოს მესინაში? და ხელსაწყოების ნაწილიც, მარტო ყველაზე მწიშენელოვანი ხელსაწყოები?.. რა კარგია ამ მაგიდასთან ჯდომა და მუშაობა. მუხისაა თვითონაც და ზედ დამაგრებული ჩარჩოც – არც ინძრევა ზედ რა- მე და არც ვარდება, ვერც მჟავა და ზეთი აკლებს რამეს და ვერც დანის დასმა – მაგრამ მესინაში წაღება ძალიან ძვირი დაჯდება! გემითაც კი! ამიტომ ესეც გაიყიდება, ხვალ ეს მაგიდაც გაიყიდება და სხვა ყველაფერიც, რაც ზედ დევს, მის ქვეშ და მის გვერდით აწყვია. რადგან ის, ბალდინი, მართალია, გულჩვილია, მაგრამ ხა- სიათის სიმტკიცე არ აკლია, ამიტომ თავის ნათქვამს შეასრულებს, თუმცა კი ძალიან უჭირს. ყველაფერს თვალცრემლიანი გაყიდის, მაგრამ მაინც ასე იზამს, რადგან იცის, რომ სწორად იქცევა, მან ხომ ზეგარდმო ნიშანი მიიღო.

წასასვლელად შეტრიალდა, მაგრამ ის დაბალი კაცი ისვე კარ- ში იდგა. კინაღამ გადაავიწყდა,

– კარგი, – უთხრა ბალდინიმ, – შენს ოსტატს გადაეცი, რომ კარგი ტყავია. ამ დღეებში გამოვივლი და ფულს გადავუხდი.

– დიახ, გადავცემ, – უპასუხა გრენუიმ და არც განძრეულა, გზას უღობავდა ბალდინის, რომელიც სახელოსნოდან გასვლას აპირებდა. ბალდინი, ცოტა არ იყოს, გაშტერდა, მაგრამ ეჭვი არ აუღია და ბიჭს საქციელი თავხედობად კი არა, მორიდებად ჩაუთ- ვალა.

– რა იყო? – ჰკითხა მან, – კიდევ დაგაბარეს რამე? თქვი აბა!

გრენუი თავჩაღუნული იდგა და ბალდინის ისე უყურებდა თითქოს ეშინოდა, სინამდვილეში კი მის გაფაციცებულ გამოხედვაში დაძაბულობა იმალებოდა.

– თქვენთან მინდა მუშაობა, მეტრ ბალდინი. თქვენთან, თქვენს, მაღაზიაში მინდა მუშაობა.

ეს თხოვნით კი არა, მოთხოვნით ამოთქვა, თანაც, ამოთქვა კი არა, ამოისისინა, გველივით ამოისისინა. ბალდინი ისევ შეცდა და გრენუის საშინელი თავდაჯერება ბავშვურ უმწეობად მიიღო. თავაზიანად გაულიმა:

– შენ მთრიმლავის მოწაფე ხარ, შეილო ჩემო, – უთხრა მას, – მთრიმლავის შეგირდი რად მინდა. მე ჩემი ქარგალი მყავს და მოწაფე არ მჭირდება.

– თქვენ ეს თხის ტყავი ხომ სურნელებით უნდა გაჟღინთოთ. მეტრ? ეს ტყავი, მე რომ მოგიტანეთ, გინდათ, რომ სურნელოვანი გახდეს? – ამოისისინა გრენუიმ, თითქოს ბალდინის პასუხი არც კი გაუგია.

– სწორედ ასეა, – მიუგო ბალდინიმ.

– პელისიეს „ამურით და ფსიქეათი"? – ჰკითხა გრენუიმ და კიდევ უფრო მოიხარა.

ბალდინის თავზარდაცემის მსუბუქმა კრუნჩხვამ დაუარა. იმიტომ კი არა, რომ გაოგნდა, საიდან უნდა იცოდეს ამ ბიჭმა ყველაფერი ასე ზუსტადო, არა, უბრალოდ იმიტომ, რომ იმ საძულველი სუნამოს სახელი ითქვა ხმამაღლა, რომლის შემადგენლობაც დღეს, თავისდა სამარცხვინოდ, ვერ ამოიცნო.

– საიდან მოგივიდა ეგ სულელური აზრი, რომ მე სხვის სუნა- მოს გამოვიყენებ...

– თქვენ ამ სუნამოს სუნი აგდით! – წაისისინა გრენუიმ. – შუბლზე გაქვთ, სერთუკის მარჯვესა ჯიბეში კი ამ სუჩნამოთი გაჟღენთილი ცხვირსახოცი გიდევთ. ეს „ამური და ფსიქეა" არ ვარგა, ცუდია, შიგ ძალიან ბევრი ბერგამოტი და ბევრი როზმარინია, ვარდის ზეთი კი ძალიან ცოტაა.

– აჰა, – თქვა ზუსტი ცოდნისაკენ საუბრის ასეთი შემობრუნებით გაოგნებულმა ბალდინიმ – კიდეე რა?

– ფორთოხლის ყვავილი, ლიმეტა, მიხაკი, მუშკი, ჟასმინი, ღვინის სპირტი და კიდექ რაღაცა, სახელი არ ვიცი. იქ არის, შეხედეთ, აგე იქ. იმ ბოთლში! – და თითი სიბნელისაკენ გაიშვირა. ბალდინიმ სანთელი იქით მიანათა, ბიჭის თითს მზერა გააყოლა და თაროზე მორუხო-მოყვითალო ბალზამით საესე დიდი ბოთლი დაინახა.

– გუნდრუკის ზეთი? – ჰკითხა მან, გრენუიმ თავი დაუქნია:

– დიახ, იმაშია. გუნდრუკის ზეთი, – და მერე, თითქოს კრუნჩხვამ მოუარაო, მოიკუნტა და ერთი ათჯერ მაინც წაიბუტბუტა: გუნდრუკი, გუნდრუკი, გუნდრუკი, გუნდრუკი, გუნდრუკი...

ბალდინიმ სანთელი მიანათა ამ ადამიანისმაგვარ არსებას, გუნდრუკი. გუნდრუკიო, რომ დუდუნებდა და გაიფიქრა, ან შეპყრობილია, ან თაღლითი, ან ღვთით ბოძებული ტალანტის პატრონი, რადგანაც ჩამოთვლილი ნივთიერებების სწორი შეზავებით „ამურისა და ფსიქეას“ მიღება მართლაც სრულიად დასაშეები და შესაძლებელიაო. სავარაუდოდ, ეს ასეცაა. ვარდის ზეთს, მიხაკსა და გუნდრუკს – ამ სამ კომპონენტს არ ეძებდა გამწარებით ნაშუადღევს? კომპოზიციის დანარჩენი ნიეთიერებებიც, უკვე ნაპოვნი რომ ეგონა, მათ ერთი ლამაზი, მრგვალი ნამცხვრის სეგმენტებივით ეხამებოდა. ახლა ისღა რჩება გასარკეევი, ზუსტად რა თანაფარდობით შეიძლება მათი ერთმანეთთან შეერთება. ამის გასარკვევად ბალდინის რამდენიმე დღეს ცდები უნდა ეტარებინა. ეს კი საშინელი სამუშაოა, შეიძლება იმაზე უარესიც კი, ვიდრე შემადგენელი ნაწილების უბრალო ამოცნობა. ახლა კიდევ ხომ აწონა, არწყვა, ჩანიშვნა და უკიდურესი ყურადღებაა საჭირო, რადგას ერთი ბეწო უყურადღებობაც კი – პიპეტის ერთი აკანკალება, წვეთების დათვლაში პატარა შეცდომა და, ყველაფერი წყალშია გადაყრილი. ყოველი უშედეგო ცდა კი ძალიან ძვირი ჯდება, ყველა წახდენილ ნაზავში აუარებელი ფული იკარგება. ბალდინის ამ პატარა ადამიანის გამოცდა, მისგან „ამურისა და ფსიქეას" ზუსტი რეცეპტის გაგება მოუნდა. თუ ამ ბიჭმა ეს ფორმულა გრამებისა და წვე-

თების სიზუსტით იცის, ესე იგი ბალდინის ნდობის მოსაპოვებ-ლად და მასთან სამუშაოს საშოვნელად პელისიესთვის როგორღაც დაუცანცლავს რეცეპტი, მაგრამ, თუკი დაახლოებით გამოიცნობს ფორმულას, მაშინ ყნოსვის გენიოსი ყოფილა და ეგ არის. ეს კი მის მიმართ ბალდინის პროფესიულ ინტერესს იმსახურებს.

რა თქმა უნდა, ბალდინის არც მაღაზიის გაყიდვა ეეჭვებო-და და აღარც პელისიეს სუნამო აინტერესებდა. ამ ბიჭს ეს სუ-ნამო მისთვის ლიტრობითაც რომ შეეზავებინა, ბალდინი არამც და არამც არ იფიქრებდა იმით გრაფ ვერამონის ესპანური ტყავის გაჟღენთას, მაგრამ... მაგრამ იმიტომ ხომ არ იყო პარფიუმერი, იმისთვის ხომ არ აზავებდა მთელი სიცოცხლე სურნელებას, რომ მთელი თავისი პროფესიული ჟინი ასე უცებ დაეკარგა! მას ახლა ამ ოხერი სუნამოს ფორმულის გაგება და, მეტიც – ამ შიშისმომ- გვრელი უცნაური ბიჭის ნიჭის გამოკვლევა აინტერესებდა, ბიჭისა, რომელმაც მის შუბლზე სუნამო ამოიცნო. უნდოდა გაეგო, რა იმა-ლებოდა ამ ყველაფრის უკან. უბრალოდ, დაინტერესდა.

– კარგი ყნოსვა გქონია, ყმაწვილო, – უთხრა მან, როცა გრე- ნუი ბუტბუტს მორჩა. მერე ისევ სახელოსნოში შებრუნდა, რომ შანდალი ფრთხილად დაედგა სამუშაო მაგიდაზე, – მართლა კარგი ყნოსვა გქონია, მაგრამ...

– მე პარიზში საუკეთესო ყნოსვა მაქვს, მეტრ, – სიტყვა გააწ-ყვეტინა გრენუიმ, – მე დედამიწის ზურგზე ყველა სუნს ვცნობ. ყველას, რომელიც კია პარიზში, ოღონდ ზოგიერთის სახელი არ ვიცი, მაგრამ სახელების სწავლაც შემიძლია. ყველა ის სუსი, რო- მელსაც სახელი აქვს, ბევრი არ არის, რამდენიმე ათასია, ყველას ვისწავლი, ბალზამის სახელს არასოდეს დავივიწყებ. გუნდრუკი, ბალზამს გუნდრუკი ჰქვია, გუნდრუკი...

– გაჩუმდი! – უყვირა ბალდინიმ. – სიტყვას ნუ მაწყვეტინებ! თავხედი და თავდაჯერებული ხარ, არავის არ შეუძლია ათასობით სუნის სახელის თქმა. მეც კი არ ვიცი ათასობით. სახელი, მარტო რამდენიმე ასეული ვიცი, რადგან ამაზე მეტი ჩვენს საქმეში არც არსებობს, სხვა დახარჩენი სუნი კი არა, სიმყრალეა!

გრენუი, რომელიც თავისი მოულოდნელი მჭერმეტყველების ამოფრქვევის დროს აღგზნებისაგან ტანში თითქმის გაიშალა და რაღაც მომენტში ჰაერში ხელებით წრეების შემოხაზეასაც კი მოჰ-ყვა იმისათვის, რომ, რაც იცოდა – „ყველაფერი, ყველაფერი“, ეჩ-ვენებინა. ბალდინის შეყვირებაზე ისევ პატარა შავ გომბეშოსავით მოიკუნტა და კარის ზღურბლზე მოუთმენელ მოლოდინში გაშეშდა.

– მე, რა თქმა უნდა, დიდი ხანია, მივხვდი, – განაგრძო ბალდი-ნიმ, – რომ „ამური და ფსიქეა" გუნდრუკის, ვარდის ზეთის, მიხაკის, ბერგამოტის და როზმარინის ექსტრაქტისაგან და et cetera შედგება. ამის დასადგენად, როგორც იტყვიან, საკმაოდ კარგი ყნოსვაა სა-ჭირო. და სრულიად შესაძლებელია, რომ ღმერთმა ბევრ სხვასავით შენც ყნოსვის ასეთი ნიჭით დაგაჯილდოვა, თანაც შენს ასაკში. მე-ნელსაცხებლეს კი... – აქ ბალდინიმ საჩვენებელი თითი ზეაღმართა და მკერდი გამობზიკა, – მენელსაცხებლეს იმაზე გაცილებით მეტი სჭირდება, ვიდრე კარგი ყნოსვა. მას წლების მანძილზე ნავარჯიშევი და შეუცდომლად მომუშავე ყნოსვის ორგანო სჭირდება, რომელიც საშუალებას მისცემს, მარტო ურთულესი სუნები კი არ დაანაწევ-როს ზუსტ კომპონენტებად, არამედ დაეხმაროს კიდეც ახალი, უც-ნობი ნელსურნელების შექმნაში. ასეთი ცხვირი, – და თითი ცხვირზე მიიკაკუნა, – ასეთი ცხვირი არავის არა აქვს! ასეთი ცხვირი მოთმი-ნებითა და სიბედჯითით უნდა მოიპოვო. ანდა, იქნებ შეგიძლია, „ამურის და ფსიქეას“ ზუსტი ფორმულა მითხრა? აბა, შეგიძლია?

გრენუი არ პასუხობდა.

– შეგიძლია, ეს ფორმულა მიახლოებით მაინც მითხრა? – ჰკითხა ბალდინიმ და ოდნავ სის გადაიხარა, რომ უფრო კარგად დაენახა ეს გომბეში, კარში რომ იდგა, – დაახლოებით მაინც არ შეგიძლია? მიპასუხე, პარიზის საუკეთესო ცხვირის პატრონო!

მაგრამ გრენუი ისევ დუმდა.

– ხედავ? – თქვა ბალდინიმ კმაყოფილმა და თანაც გაწბილე-ბულმა და ისევ გაიმართა:

– არ შეგიძლია. რა თქმა უნდა, არა. აბა საიდან უნდა შე- გეძლოს. შენ იმათგანი ხარ, ვინც ჭამის დროს ატყობს, წვნიანში

ოხრახუშია თუ ჩალამბარა. ეგეც საქმეა, მაგრამ ამის გამო კარგი მზარეული ხომ ვერ დაგერქმევა? ხელოვნების ყველა დარგში და ყველა ხელობაშიც, სანამ წახვიდოდე, ეს კარგად დაიხსომე, ნიჭი არაფერია. ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცდილებაა, რომელსაც თავმდაბლობით და სიბეჯითით მოიპოვებ.

და, ის იყო, მაგიდაზე დადგმული შანდლისკენ ხელი გაიწოდა, რომ ამ დროს კარიდან გრენუის მოგუდული ხმა გაისმა:

– მეტრ, მე არ ვიცი, ფორმულა რა არის, ეს არ ვიცი, თორემ ისე ყველაფერი ვიცი!

– ფორმულა ყველა სუნამოს ალფა და ომეგაა, – უპასუხა ბალ-დინიმ მკაცრად, რადგან საუბრის დასრულებას აპირებდა. – ეს არის უზუსტესი მითითება, რა თანაფარდობით უნდა შეერთდეს ცალკეული ინგრედიენტები იმისათეის, რომ სასურველი და განუ-მეორებელი სურნელი წარმოიშვას. აი ეს არის ფორმულა. ეს არის რეცეპტი – თუკი ამ სიტყვის მნიშენელობა უფრო გესმის.

– ფორმულა, ფორმულა, – ამოიხავლა გრენუიმ და მისი ფიგუ- რა კარში უფრო გამოიკვეთა, – მე არანაირი ფორმულა არ მჭირ- დება. მე რეცეპტი ცხვირში მაქვს. შეგიზავოთ, მეტრ? შევაზავო? შევაზავო?

– რაო? – წამოიყვირა ბალდინიმ იმაზე ხმამაღლა, ვიდრე ეკად-რებოდა და ჯუჯას სანთელი სახეში მიანათა. – როგორ თუ შეა-ზავო?

გრენუი, ამ ხნის მანძილზე პირველად, არ მოიკუნტა.

– ყველაფერი ხომ აქ არის, რაც საჭიროა, ყველა სუნი აქ არის, ამ ოთახში, – თქვა მან და ისევ სიბნელისკენ მიუთითა. – აგე, ვარდის ზეთი იქ არის! ფორთოხლის ყვავილი აქ არის! მიხაკიც, როზმარინიც!..

– რა თქმა უნდა, ყველაფერი აქ არის!– იღრიალა ბალდისიმ. – ყველაფერი! მაგრამ ხომ გიხსნი, შე ხისთავა, რომ არაფერში არ გამოგადეება თუ ფორმულა არა გაქვს!

– ჟასმინი აქ არის! ღვინის სპირტი ბერგამოტი! გუნდრუკი! – აგრძელებდა გრენუი და ყველა სახელის ხსეხებისას ოთახში სხვა-

დასხვა ადგილისკენ უთითებდა, იქით, სადაც ისეთი სიბნელე იყო, ტომ ბოთლებით სავსე თაროს ჩრდილს თუ გაარჩევდი.

– შენ, ეტყობა, სიბნელეშიც ხედავ, არა? – შეუტია ბალდინიმ. – შენ პარიზის მარტო საუკეთესო ცხვირი კი არა, ყველაზე მახვილი თვალებიც გქონია და, თუ ყურებიც კარგი გაქეს, მისმინე. გეუბნები: პატარა მატყუარა ხარ, ალბათ რაღაც ასწაპნე პელისიეს, უთვალთვალებდი, არა? გგონია, მომატყუებ?

გრენუი ახლა წელგამართული იდგა კარში, ასე ეთქვათ, მთე- ლი სიმაღლით. ოდნავ განზე გადგმული ფეხებითა და გაფარჩხული ხელებით შავ ობობას ჰგავდა, კარის წირთხლსა და ჩარჩოს რომ ებღაუჭება.

– ათი წუთი მომეცით, – თქვა მან საკმაოდ გამართულად და გარკვევით, – და მე თქვენ „ამურსა და ფსიქეას“ შეგიზავებთ.

– შენ რა, გგონია, ჩემს სახელოსნოში წკუმპლაობის უფლებას მოგცემ? ესენციებით, რომლებიც ზღაპრულად ძვირი ღირს?

– დიახ! – უპასუხა გრენუიმ.

– ერიჰა! – იყვირა ბალდინიმ, ერთბაშად გამოუშვა მთელი ჰაე- რი და მოულოდნელობისაგან კინაღამ გაიგუდა. შემდეგ ისევ ჩაი- სუნთქა და ამ ოხუნჯ გრენუის ხანგრძლივი, დაფიქრებული მზერა მიაპყრო. ისე, კაცმა რომ თქვას, სულერთი არ არის? ხვალ ისედაც ხომ ყველაფერი დამთავრდება. მე, რა თქმა უნდა, ვიცი, რომ, რა- საც ამტკიცებს, იმას ვერ შეძლებს. არ შეიძლება, რომ შეძლოს. ამას თვით დიდი ფრანჟიპანიც ვერ შეძლებდა, მაგრამ საკუთარი თვალით რატომ არ უნდა ვნახო ის, რაც უკვე ვიცი? ხომ შეიძლება, მერე მესინაში აზრად მომივიდეს (სიბერეში ადამიანი სანდახან უცნაური ხდება და ყველაზე ახირებული აზრი აეკვიატება ხოლმე), რომ ყნოსვის გენიოსი, ვუნდერკინდი, არსება, რომელიც ღვთის მადლით უხვად იყო დაჯილდოებული, ვერ შევიცანი... არა, წარ- მოუდგენელია. გონება მკარხახობს, რომ წარმოუდგენელია, მაგ- რამ ხომ ფაქტია – სასწაულები არსებობს. აი, მესინაში სიკვდილის პირას რომ ვიქნები, აზრად მომივა, მაშინ, პარიზში, იმ საღამოს, თვალი იქნებ სასწაულის წინ დავხუჭე-მეთქი. ეს სასიამოვნო არ

იქნება, ბალდინი! რა უჭირს, დაღვაროს ამ სულელმა ბიჭმა ვარდის ზეთის და მუშკის ნაყენის რამდენიმე წვეთი. შენც ხომ დაღვრიდი, პელისიეს სუნამო მართლა რომ გაინტერესებდეს? რა არის, ძვირადღირებული, თუნდაც ძალიან ძვირადღირებული წვეთი საიმე- დო ცოდნასთან და მშვიდ სიბერესთან შედარებით?

– მომისმინე! – უთხრა ვითომ გაბრაზებული ხმით, – მომისმინნე! მე... ისე, რა გქვია?

– გრენუი, – უპასუხა გრენუიმ, – ჟან-ბატისტ გრენუი.

– კარგი, – თქვა ბალდინიმ, – მოკლედ, მისმინე, ჟან- ბატისტ, გრენუი! გადავიფიქრე. შენ მოგეცემა შესაძლებლობა, რომ აქვე დაუყოვნებლივ საქმით დამიმტკიცო შენი ნათქვამი. ამავდროულად შენ ამით მოგეცემა საშუალება, სრული სამარცხეინო კრახი, გზით შეიმეცნო, რა არის თავმდაბლობა. ამ სათნოების არქონა კი შენს ასაკში შეიძლება გეპატიოს კიდეც, მაგრამ ის შენი მომავალი ნარმატების აუცილებელი პირობაა, შენი, როგორც ამქრის წევრის, როგორც სიტყვის კაცის, ხელქვეითის, ადამიანის და კარგი ქრისტიანისა. რადგან დღეს გარკვეული მიზეზების გამო გულუხვობის გუნებაზე ვარ, მზად ვარ, ეს ყველაფერი ჩემი ხარჯით შეგასწავლო, ვინ იცის, იქნებ ოდესმე ამ დღის გახსენებამ კიდეც გამამხიარულოს. მაგრამ არ გეგონოს, მომატყუებ! ჯუზეპე ბალდინის ცხვირი ბებერი კია, მაგრამ ყნოსვა იმდენად მახვილი აქვს, რომ როგორმე შენს მიქსტურასა და ამ პროდუქტს შორის უმნიშენელო განსხვავებაც კი მაშინვე შენიშნოს, – ამ სიტყვებით მან „ამურით და ფსიქეათი" გაჟღენთილი ცხვირსახოცი ჯიბიდან ამოიღო და გრენუის ცხვირხინ გაუქნია. – აბა, მომიახლოედი, პა- რიზის საუკეთესო ცხვირო! ამ მაგიდასთან მოდი და ერთი მიჩვენე, რის პატრონი ხარ! მაგრამ გაფრთხილებ, არაფერი წამიქციო და დამიღვარო! ჯერ არ გაბედო რამისთვის ხელის ხლება! ჯერ კარგად გავანათებ. სინათლე ხომ გჭირდება ამ ჩეენი ექსპერიმენტისთვის, არა?

ამ სიტყვებით დიდი მუხის მაგიდის ნაპირიდან კიდევ ორი შანდალი აიღო და აანთო, მერე სამივე სანთელი მაგიდის უკახა მხა-

რეს დადგა სიგრძეზე, ტყავები მისწია და შუა ნაწილი გაათავისუფ-ლა. შემდეგ მშვიდი და თანაც სწრაფი მოძრაობით პატარა თარო- დან ყველანაირი ჭურჭლეული გადმოალაგა, რაც ცდისთვის იყო საჭირო: მუცელგაბერილი კოლბა, მინის ძაბრი, პიპეტი, დიდი და პატარა მენზურა, და ეს ყველაფერი წესისდა მიხედვით დაალაგა ვუხის მაგიდაზე.

ამასობაში გრენუი კარის ჩარჩოს მოსწყდა, უკვე ბალდინის მაღალფარდოვანი ლაპარაკის დროს თანდათანობით ეცვლებოდა გახევებული, გაფაციცებული და მომლოდინე პოზა. რაღაცნაირი შინაგანი ზეიმით მხოლოდ დასტური, მხოლოდ „ჰო“ ესმოდა, იმ ბავშვივით, რომელმაც რაღაცაზე თანხმობა მიიღო და ახლა ამ დასტურის თანმხლები შეზღუდვები, პირობები, მორალური შეგო-ნებები უკვე ფეხებზე ჰკიდია. მოშვებული იდგა, პირველად თავის სიცოცხლეში ადამიანს უფრო ჰგავდა, ვიდრე ცხოველს. ბალდინის ბოლო ტირადა ერთ ყურში შეუშვა და მეორეში გაუშეა. უკვე იცო- და, რომ ამ კაცს სძლია და ის ველარ მოერეოდა.

ვიდრე ბალდინი შანდლებს დგამდა, გრენუი სახელოსნოს ბნელ ნაწილში გაძვრა. უძვირფასესი ესენციებით, ზეთებით და ნაყენებით სავსე თაროებთან მივიდა და ყნოსვით მიაგნო საჭირო ფლაკონებს. სულ ცხრა იყო: ფორთოხლის ყვავილის ესენცია, ლიმეტის ზეთი, მიხაკისა და ვარდის ზეთები, ჟასმინის, ბერგამოტისა და როზმარი-ნის ექსტრაქტები, მუშკის ნაყენი და გუნდრუკის ბალზამი. სწრაფად სტაცა ხელი, თაროებიდან ჩამოიღო და მაგიდის კიდეზე დააწყო. ბოლოს კი მაღალპროცენტიანი ღვინის სპირტით სავსე ბოცა მოათ-რია და ბალდინის უკან გაჩერდა (ის ჯერ ისევ დინჯი პედანტურო-ბით ალაგებდა თავის ჭურჭლეულს – ერთ შუშას აქეთ გამოსწევდა, მეორეს ცოტა იქით მისწევყდა, რომ ყველაფერი თავისი ძველთა-განვე დადგენილი წესი და რიგით ყოფილიყო და სანთლის შუქზე ეფექრურად წარმოჩენილიყო) და აღელეებისაგან აკანკალებული ელოდა, როდის გაიწეოდა ბებერი და ადგილს მოუცლიდა.

– მაშ ასე! – თქვა ბალდინიმ და განზე გადგა, – ყველაფერი აქ ალაგია, რაც საჭიროა შენი, ასე ვთქვათ, ექსპერიმენტისათვის, არა-

ფერი გამიტეხო და არაფერი დაღვარო! რადგანაც, დარმახხოვი, ეს სითხეები, რომელთა გამოყენების უფლეიაც ხუთი წუთით მოგეცემა, იმდენად ძვირფასი და იშვიათია, რომ მათ შენს სიცოცხლეში ასეთი კონცენტრირებული სახით ვეღარასოდეს დაიჭერ ხელში!

– რამდენი დაგიმზადოთ, მეტრ?

– რა – რამდენი? – ჰკითხა ბალდინიმ, რომელსაც ლაპარაკი ჯერ არც კი დაემთავრებინა.

– რამდენი სუნამო დაგიმზადოთ? – წამოიხრიალა გრენუიმ, – რამდენი გჭირდებათ? გნებავთ, ის დიდი ბოთლი პირამდე გაგივსოთ? – და მან ასარევ ბოთლზე მიუთითა, რომელიც კარგა სამლიტრიანიც იქნებოდა.

– არა, არა! – შეჰყვირა ბალდინიმ, და ამ ყვირილში გაისმა რამდენადაც ღრმად გამჯდარი, იმდენადვე სტიქიური შიში საკუთარი ქონების გაფლანგვისა. და თითქოს თავის გამცემი ყვირილი- სა შერცხვაო, იქვე დაიღრიალა:

– და ლაპარაკშიც ნუ მეჩრები! – შემდეგ კი ცოტა დაწყნარდა და ოდნავ ირონიული ტონით განაგრძო: – რაში გვჭირდება სამი ლიტრი სუნამო, რომელიც არც ერთს არ მოგვწონს? საერთოდ. მენზურის ნახევარიც გვეყოფოდა, მაგრამ, რადგან ასეთი მცირე რაოდენობის ზუსტად შეზავება ძნელია, ნებას გაძლევ, შემრევის ერთი მესამედი აავსო,

– კარგი, – თქვა გრენუიმ, – ამ ბოთლის ერთ მესამედს „ამუ- რით და ფსიქეათი“ გავავსებ, მაგრამ, მეტრ, ამას მე ჩემებურად გავაკეთებ.

– კი ბატონო! - მიუგო ბალდინიმ, რომელმაც იცოდა, რომ მის ხელობაში ჩემი და შენი კი არა, მხოლოდ ერთადერთი შესაძლებელი და სწორი მეთოდი არსებობს, კერძოდ, ფორმულა უნდა იცოდე და საბოლოო რაოდენობის გათვალისწინებით სათანადოდ უნდა გამოიანგარიშო და სხვადასხვა ესენციისაგან კონცენტრატის მკაცრად განსაზღვრული რაოდენობა უნდა მოამზადო, რომელიც, თავის მხრივ, ზუსტი პროპორციით (რომელიც ჩვეულებრივ ერთი ათთან და ერთი ოცთან შეფარდებას შორის მერყეობს) სპირტით

უნდა გააზავო, რომ საბოლოოდ სუნამო მიიღო. მან იცოდა, რომ სხვა არანაირი მეთოდი არ არსებობს, და ამიტომ ის, რაც ახლა დაინახა და რასაც ჯერ დაცინვით და უნდობლად, მერე დაბნევით და საბოლოოდ კი სრული უსუსური გაოგნებით შესცქეროდა, ნამ- დვილ საოცრებად მოეჩვენა. ეს სცენა ისე ჩაებეჭდა მეხსიერებაში, რომ სიცოცხლის ბოლომდე არ დავიწყებია.

15

პატარა გრენუიმ ჯერ ღვინის სპირტიანი ბოცა გახსნა. მძიმე ჭურჭელი ძლივს ასწია. თითქმის თავის სიმაღლეზე მოუხდა მისი აწევა, რადგან სწორედ ამ სიმაღლეზე იდგა ასარეევი ჭურჭელი შიგ ჩარჭობილ მინის ძაბრიანად. გრენუიმ სპირტი პირდაპირ, უმენზუ-როდ ჩაასხა შიგ. ბალდინი შეაძრწუნა ამ გასაოცარმა უვიცობამ. მარტო ის კი არ იყო, რომ ყმანვილი თავდაყირა აყენებდა პარფიუ-მერიის კანონებს და გამზავებლით იწყებდა, თანაც ისე, რომ საჭირო კონცენტრატები ჯერ მზად არც კი ჰქონდა, – ფიზიკურად ძალიან სუსტს, საქმისათვის საჭირო ძალაც კი არ გააჩნდა. ისე კან-კალებდა, რომ ბალდინი ყოველ წუთს განწირულად ელოდა, როდის გაუვარდებოდა ბოცა ხელიდან და როდის მილეწ-მოლეწავდა მაგიდაზე ყველაფერს. ვაიმე, სანთლები, გაიფიქრა მან, ღმერთო ჩემო, სანთლები! ყველაფერი აფეთქდება, სახლს გადამიბუგავს! და ის იყო, უკვე მივარდნასა და ამ გიჟისთვის ბოცის ხელიდან გამოგლეჯას აპირებდა, რომ გრენუიმ ის თვითონვე ჩამოსწია, მშვიდობიანად დადგა და თავი დაუცო. შესაზავებელ ჭურჭელში მსუბუქი გამქვირვალე სითხე ირხეოდა – არც ერთი წვეთი არ დადღვრილა. გრენუიმ ერთი წამით შეისვენა. ისეთი კმაყოფილი სახე ჰქონდა, თითქოს სამუშაოს უძნელესი ნაწილი შეესრუ-ლებინოს. და, მართლაც, შემდეგ ყველაფერი ისე სწრაფად ხდე-ბოდა, რომ ბალდინი ძლივს ასწრებდა თვალის მიდევნებას. იმაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, რომ პროცესის თანამიმდევრობა გაეგო.

ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს გრენუი ესენციებით სავსე ფლაკონებიდან რომელიღაცას განურჩევლად იღებდა, შუშის საცობს ამოაძრობდა, ერთი წამით ცხვირთან მიიტანდა და შემდეგ ჯერ ერთიდან გადმოღერიდა, მერე მეორიდან გადმოაწვეთებდა, მერე მესამიდან ჩაასხამდა ძაბრში და ა. შ. პ,იპეტს სინჯარას, მენ-ზურას, პატარა კოვზს და ასარევ წკირს – არც ერთ ამ ხელსაწყოს, რომლითაც ნებისმიერი მენელსაცხებლე შეზავების რთულ პრო-ცესს აწარმოებს, გრენუი არც კი გაჰკარებია. გეგონება თამაშობ- და, თითქოს წკუმპლაობდა ბავშვივით, რომელიც წყალს, ბალახს, და ტალახს აურ-დაურევს, ვითომ რაღაცას ხარშავს და მერე ამ-ტკიცებს, ეს საზიზღრობა სუპიაო.

დიახ, ბავშვივით, ფიქრობდა ბალდინი, მართლაც ბავშვსა ჰგავს, გაუხეშებული ხელების, ნაიარევების, ჩოფურა სახისა და ბებერი კაცის ხორციანი ცხვირის მიუხედავად. თავიდან უფრო დიდი მე-გონა, ვიდრე სინამდვილეშია, ახლა კი უფრო პატარა მეჩვენება. თითქოს ორდება თუ სამდება მიუდგომელი, გაუგებარი, ჯიუტი, პატარა, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ადამიანებივით, რომლებიც ვითომ უცოდველად მხოლოდ თავიანთ თავზე ფიქრობენ, სინამ-დვილეში კი დედამიწის ზურგზე ყველაფრის დამორჩილებას ლამო-ბენ და ამას შეძლებენ კიდეც, თუ იმათ განდიდების მანიას არ შეზ-ლუდავ, თანდათან არ მოარჯულებ უმკაცრესი აღმზრდელობითი მეთოდებით და დისციპლინირებულ სრულფასოვან ადამიანებად არ აქცევ. ასეთი ფანატიკოსი პატარა ბავშვი ბუდობს ამ ყმასვილში, ანთებული თვალებით მაგიდასთან მდგარს გარე სამყარო სრუ-ლებით რომ დავიწყებია. თითქოს აღარც კი ახსოვს, რომ სახელოს-ნოში კიდევ სხვა რამეც არის, იმ ფლაკონების გარდა, ასეთი მარ- ჯვე სიტლანქით რომ მიაქვს ძაბრთან, თავისი სულელური თხლე რომ აურ-დაურიოს და მერე თავგამოდებული მტკიცება დაისყოს (და ეს სჯერა კიდეც), ეს ნატიფი „ამური და ფსიქეაო", ბალდინის ტანში ზიზღის ჟრუანტელი უვლიდა, როცა სანთლის მოციმციმე შუქზე ასე უვიც და საშინლად თავდაჯერებულ კაცს უყურებდა. ასეთები – ფიქრობდა ის და თავი ერთი წამით ისევ ისე სევდიასად.

ცულდ და გამწარებულად იგრძნო, როგორც მაშინ, ნაშუადღევს, გამავალი მზის შუქზე წითლად მოლივლივე ქალაქს რომ გასცქეროდა. – ასეთები ადრე არ იყვნენ, ეს ადამიანთა მოდგმის სრულებით ახლებური ეგზემპლარია. ასეთები მარტო ამ ახალ, გარყვნილ, აღვირახსნილ დროში ჩნდებიან... მაგრამ, ჭკუა უნდა ისწავლოს ერთი კარგად ამ თაეგასულმა ყმაწვილმა! მორჩეს ერთი ამ სასა- ცილო სპექტაკლს და მე მაგას ისეთ სეირს ვუჩვენებ, რომ ისე გაიცურცლოს აქედან, უკან აღარ მოიხედოს! ნაძირალა! დღეს არავის აღარ უნდა ენდო, იმდენი ვიგინდარა ტრიალებს გარშემო.

ბალდინი ისე იყო ახალი დროების მიმართ თავისი აღშფოთებითა და ზიზღით გართული, რომ ვერც კი მიხვდა წესიერად, რას ნიშნავდა, როცა გრენუიმ მოულოდნელად ყველა ფლაკონს დაუცო თავი, ძაბრი შემრევიდან ამოიღო, ბოთლს ყელში ხელი წაავლო, მარცხენა ხელი დააფარა და ძლიერად შეანჯღრია. როცა ბოთლი რამდენჯერმე ჰაერში გაქანდ-გამოქანდა და მისი ძვირფასი შიგთავსი ლიმონათივით აქეთ-იქით მიიწუნ-მოიწუნა, გამწარებულ-შეშფოთებულ ბალდინის რისხვისა და ძრწოლის ყვირილი მაშინღა აღმოხდა:

– მორჩა! გეყოფა! ახლავე შეჩერდი! ბასტა! გესმის? ახლავე უშვი ხელი ბოთლს, დადგი მაგიდაზე და ხელი აღარაფერს ახლო! ეტყობა, გონება სულ დამიბნელდა, საერთოდ ყური რომ დაგიგდე. ეგ შენი ტლანქი მეთოდები იმის მაჩვენებელია, რომ არაფერი გაგეგება. ბარბაროსი, უვიცი და საცოდავი თავხედიც ხარ ყვე- ლაფერ სიკეთესთან ერთად. ლიმონათის შემზავებლად, უბრალო ძირტკბილას წყლის გამყიდეელადაც კი არ გამოდგები, არამცთუ პარფიუმერად! გაიხარე და მადლობა უთხარი, თუ შენი ოსტატი სათრიმლავ ხსნარს კიდევ მიგაკარებს. მეტი აღარ გაბედო, გესმის? პარფიუმერის კარის ზღურბლზე ფეხის გადმოდგმა აღარ გაბედო!

ბალდინის სიტყვა დასრულებული არც კი ჰქოსდა, რომ მის ირგელივ ოთახი „ამურისა და ფსიქეას" არომატით აივსო. არსებობს სურნელის დამარწმუსებელი ძალა, რომელიც სიტყვებზე, სასახზე, გრძნობებს, და ნებისყოფაზე გაცილებით ძლიერია. მას ვერაფერი

აღუდგება წინ, ის ჰაერივით შემოდის ფილტვებში, ბოლომდე გვავსებს. მისი სანინააღმდეგო საშუალება არ არსებობს.

გრენუიმ ბოთლი დადგა, სუნამოთი დასველებული ხელი გაუშვა და ქურთუკის კალთაზე შეიწმინდა. ერთი-ორი ნაბიჯით უკან დახევამ და უშნოდ მოხრამ ბალდინის ნოტაციების სეტყვის თანხლებით ჰაერი შეარხია და ახალშექმნილი სურნელი ირგელივ გავრცელდა. ბალდინი, მართალია, ჯერ ისევ ბობოქრობდა და ილანძღებოდა, მაგრამ ყოველი ახალი ჩასუნთქვის მერე ეს საჩვენებელი გაცოფება მის გულში საზრდოს უკვე ვეღარ ჰპოვებდა. უკვე ხვდებოდა, რომ დამარცხებული იყო, ამიტომ მისი ტირადიდან ბოლოს ცარიელი პათოსიღა დარჩა. როცა გაჩერდა, ერთხანს ხმა აღარ ამოუღია, გრენუის შენიშვნა „მზად არის!“ აღარც კი იყო საჭირო. უკვე ისედაც იცოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამასობაში „ამურით და ფსიქეათი" დამძიმებული ჰაერი ერტყმოდა გარს, მაინც მივიდა ძველ მაგიდასთან სინჯის ასაღებად. სერთუკის მარცხენა ჯიბიდან სუფთა, თოვლივით ქათქათა ცხვირსახოცი ამოიღო, გაშალა და ასარევი ბოთლიდან გრძელი პიპეტით რამდენიმე წვეთი დააპკურა, გაშლილი ხელით გაიქნია ცხვირსახოცი, შემდეგ გავარჯიშებული მოძრაობით ცხვირთან მიიტანა და სურნელი შეისრუტა. ბრაზისგან აწითლებული სახე ერთბაშად გაუფითრდა.

– წარმოუდგენელია, – ბუტბუტებდა თავისთვის, – ღმერთმა- ნი, დაუჯერებელია.

ისევ და ისევ რგავდა ცხვირს ცხეირსახოცში, ყნოსავდა, თავს აქნევდა და ბუტბუტებდა:

– დაუჯერებელია.

ეს, უეჭველია, „ამური და ფსიქეა“ იყო, ასე მოძალებული გენიალური სურნელი, იმდენად ზუსტად გამეორებული, რომ თვით პელისიეც კი ვერ გაარჩევდა თავისი სუსამოსაგან.

– წარმოუდგენელია...

დიდი ბალდინი დაპატარავებული და გაფითრებული, სასაცილოდ გამოიყურებოდა – იჯდა ტაბურეტზე თავისი ცხვირსახოცით და შიგადაშიგ სურდოიანი ქალიშვილივით ცხვირთან მიჰქონდა.

ლაპარაკის უნარი საბოლოოდ ჰქონდა დაკარგული. „დაუჯერებე-ლიაო“, ამასაც კი აღარ ამბობდა და მხოლოდ თავს აქნევდა და აქნევდა. შესაზავებელ ბოთლს მისჩერებოდა და მონოტონურად ბურტყუნებდა: „ჰმ, ჰმ, ჰმ"... ცოტა ხანში გრენუი მიუახლოვდა და ჩრდილივით უხმოდ ჩამოდგა მაგიდასთან.

– ეს სუნამო კარგი არ არის, – თქვა მან, – ძალიან ცუდი შე-ზავებულია, ეს სუნამო.

– ჰმ, ჰმ, ჰმ, – გაიძახოდა ბალდინი, გრენუიმ განაგრძო:

– თუ ნებას დამრთავთ, მეტრ, გავაუმჯობესებ. ერთი წუთი მომეცით და ამისგან რიგიან სუნამოს გაგიკეთებთ!

– ჰმ, ჰმ, ჰმ, – გაიმეორა ბალდინიმ და თან თავი დაუქნია. იმიტომ არა, რომ თანახმა იყო. არა, ისეთ აპათიაში იყო, რომ მარ- ტო „ჰმ, ჰმ, ჰმ"-ს თქმა და თავის დაქნევაღა შეძლო. ისევ ისე იქ- ნევდა თავს და „ჰმ"-ს გაიძახოდა და ჩარევა არც უცდია, როცა გრენუიმ ხელახლა დაიწყო ნივთიერებების შერეეა. ღვინის სპირტი ისევ ჩაასხა ასარევ ბოთლში, სადაც სუნამო უკვე ესხა, განურ- ჩეველი თანამიმდევრობითა და პროპორციით პირდაპირ უშვებდა ფლაკონების შიგთავსს ძაბრში. მხოლოდ ამ პროცედურის ბოლოს გრენუის ბოთლი აღარ შეუნჯღრევია, ეტყობა, ბალდინის ხათრით ანდა იმიტომ, რომ ამჯერად უფრო ფასეულად თვლიდა და კონია- კის ჭიქასავით ოდნავ არწევდა. როცა სითხე უკვე მზად იყო და ბოთლში ირხეოდა, ბალდინი გამოფხიზლდა და წამოდგა, თუმცა, რა თქმა უნდა, ცხვირსახოცი ისევ ცხვირზე ჰქონდა მიჭერილი, თითქოს თავს ახალი შემოტევისაგან იცავვსო,

– მზად არის, მეტრ, – უთხრა გრენუიმ, – ახლა არა უშავს, კარგი სუნი გამოვიდა.

– ჰო, ჰო, კარგი, კარგი, – უპასუხა ბალდინიმ და თავისუფალი ხელი აუქნია.

– არ გინდათ, სინჯი აიღოთ? – აგრძელებდა გრენუი, – არ გინდათ, მეტრ? ნუთუ სინჯი არ გინდათ?

– მერე, მერე, ახლა სინჯის აღებისათვის არა ვარ განწყობი- ლი... მაგის თავი არა მაქვს. წადი ახლა, წადი!

მან შანდალი აიღო დამაღაზიის კარისკენ წავიდა. გრენუი უკან მიჰყვა. ვიწრო დერეფანში აღმოჩნდნენ, რომელიც მსახურების გასასელელისაკენ მიემართებოდა. მოხუცი კართან მიფრატუნდა, ურდული გადასწია, კარი გამოაღო და გევრდზე მიდგა, რომ ბიჭი გარეთ გაეშვა.

– ახლა შეიძლება თქვენთან ვიმუშაო, მეტრ? შეიძლება? _ ჰკითხა ზღურბლზე მდგარმა, ისევ ისე მოხრილმა და გაფაციცებულმა გრენუიმ.

– არ ვიცი, – უპასუხა ბალდინიმ, – ვიფიქრებ, წადი!

და გრენუი ერთბაშად გაუჩინარდა, თითქოს სიბნელემ ჩაყლაპაო. ბალდინი ბნელს მიშტერებული იდგა. მარჯვენა ხელში, სანთელი ეჭირა, მარცხენაში – ცხვირსახოცი, გეგონება, ცხვირი. დან სისხლი სდისო, და მაინც შიშს გრძნობდა. უცებ ჩარაზა კარი, ცხვირსახოცი სახიდან მოიშორა, ჯიბეში ჩაიდო და მაღაზიის გავლით სახელოსნოში დაბრუნდა.

აქ ისეთი ღვთიური სურნელი გამეფებულიყო, რომ ბალდინის ცრემლი მოადგა თვალზე. სინჯის აღება არაფერში სჭირდებოდა, მაგიდასთან იდგა და სუნთქავდა. სუნამო დიდებული იყო „ამურთან და ფსიქეასთან“ შედარებით ეს მარტოსული ვიოლინოს წრიპინი კი არა, სიმფონია იყო. უფრო მეტიც. ბალდინიმ თვალები დახუჭა და ყველაზე ამაღლებული მოგონებები გაეღვიძა. თავისი თავი იმ ახალგაზრდა კაცად დაინახა, რომელიც საღამოს ნეაპო- ლის ბაღებში დასეირნობს, შავკულულებიან ქალს ეალერსება. დაი- ნახა ფანჯრის რაფაზე მდგარი ვარდების თაიგული, ღამის ნიავი რომ არხევს. გაიგონა შეფრთხიალებული ჩიტების გალობისა და შორეული პორტიდან წამოსული მუსიკის ხმა. ყურში ჩაესმა ჩურჩული: „მიყვარხარ!“ და იგრძნო, სიამოვნებისაგან როგორ დაუდგა თმები ყალყზე. ახლავე, ახლავე, ამ ჭუთში! თვალები გაახილა და სიამოვნებისაგან ამოიკვნესა. ეს არ იყო სუნამო, რომელსაც აქამდე იცნობდა, ეს არც არომატი იყო, რომელიც სუნს აუმჯობესებს, არც შესაზელი მალამო, არც რაიმე სხვა სურნელთაგანი. ეს იყო სრულიათ თავისებური რამ, რასაც ახალი სამყაროს შექმნა

შეეძლო ჯადოსნური, მდიდარი სამყაროსი. უცებ დაგავიწყებდა გარშემო არსებულ სისაძაგლეს და თავს ისე კარგად, მდიდრად, თავისუფლად გაგრძნობინებდა...

ბალდინის ყალყზე დამდგარი თმა დაულაგდა და გამაბრუებელი სულიერი სიმშვიდე დაეუფლა. მაგიდის კიდეზე დადებული თხის ტყავი აიღო, დანა მოიმარჯვა და გამოჭრას შეუდგა. შემდეგ ტყავის ნაჭრები შუშის პატარა აბაზანაში ჩადო და ზედ ახალი სუნამო დაასხა, აბაზანას შუშის ფირფიტა დააფარა, დარჩენილი სუნამო ორ ფლაკონში ჩაასხა, ეტიკეტები მიაკრა და ზედ დააწერა: „ნეაპოლის ღამეები", შემდეგ შუქი ჩააქრო და წავიდა.

ზემოთ, ვახშმობისას, ცოლისთვის არაფერი უთქვამს. რაც მთავარია, არ უთქვამს იმ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების ამბავი, ნაშუადღევს რომ მიიღო. არც ცოლი ეუბნებოდა რამეს, რახან ქმარს კარგ გუნებაზე ხედავდა და ამით თვითონაც ერთობ კმაყოფილი იყო. ბალდინი არც ნოტრ-დამში წასულა, უფლისთვის მადლობა რომ შეეწირა თავისი ხასიათის სიმტკიცისათვის. იმ დღეს, თავის სიცოცხლემი პირველად, ისიც კი დაავიწყდა, რომ ძილის წინ ელოცა.

16

მეორე დღეს პირდაპირ გრიმალთან წავიდა. პირველ რიგში ბუზღუნისა და ყოველგვარი ვაჭრობის გარეშე თხის ტყავის ფული გადაუხადა, თანაც სრულად. შემდეგ გრიმალი ერთ ბოთლ ღვინოზე დაპატიჟა „ვერცხლის კოშკში“ და მისგან შეგირდი გრენუი გამოისყიდა, რა თქმა უნდა, არ გაუმხელია, რისთვის უნდოდა. ვითომ სურნელოვანი ტყავის დიდი შეკვეთა ჰქონდა, რისთვისაც გაუწვრთნელი დამხმარე მუშა სჭირდებოდა. ისეთი ბიჭი, რომელიც ცოტას დასჯერდებოდა, უბრალო დავალებებს შეასრულებდა, ტყავს დაჭრიდა და ა. შ. მერე ერთი ბოთლი ღვინო კიდევ შეუკეეთა და გრენუის წაყვანით გამოწვეული უხერხულობის საკომპესსაციოდ გრიმალს ოცი ლივრი შესთავაზა. ოცი ლივრი ძალიან დიდი ფული იყო. გრიმალი

მაშინვე დასთანხმდა. ისინი სათრიმლავ სახელოსნოში დაბრუნდნენ, სადაც გრენუი, საკვირველია და, უკვე შეკრული ბარგით ელიოდა. ბალდინიმ ოცი ლივრი გადაიხადა და გრენუი იმ შეგნებით წაიყვანა, რომ თავისი ცხოვრების საუკეთესო გარიგება დადო.

გრიმალი კი, რომელიც, თავის მხრივ, ასევე დარწმუნებულ, იყო, რომ საუკეთესო გარიგება დადო, „ვერცხლის კოშკში“ დაბ- რუნდა, კიდევ ორი ბოთლი ღვინო დალია, შუადღეზე გაღმა სა- ნაპიროზე მდებარე „ოქროს ლომში“ გადაინაცვლა და იქ ისე გა- მოთვრა, რომ, როდესაც გვიან ღამით ისევ „ვერცხლის კოშში" მოინდომა დაბრუნება, ჟოფრუა-ლ’ანიეს ქუჩა ნონედიერის ქუჩაში აერია და, იმის მაგივრად, რომ, როგორც იმედი ჰქონდა, მარის ხიდზე მოხვედრილიყო, თავისდა საბედისწეროდ, თელების სანაპი- როზე მოხვდა, საიდანაც, როგორც რბილ ლოგინში, ისე გადაეშვა წყალში თავდაყირა. იმწუთასვე მოკვდა. მდინარეს კიდევ გარკვეუ- ლი დრო დასჭირდა, ვიდრე თავთხელ წყალში აატივტივებდა და ნა- პირზე მიბმული სატვირთო ნავების გვერდის ავლით უფრო ძლიერ დინებაში წაიღებდა. და მხოლოდ ადრიანი დილით დაიძრა წყნარად მთრიმლავი გრიმალი, უფრო სწორად, მისი სველი გვამი და დასავ- ლეთისაკენ გაცურდა.

როცა ზარაფების ხიდქვეშ უხმოდ, ხიდის ბურჯებთან შეუჯა- ხებლად მიცურავდა, იქიდან სულ რაღაც ოც მეტრში ჟან-ბატისტ გრენუი ემზადებოდა დასაძინებლად. მას ბალდინის სახელოსხოს უკანა ნაწილში მოუწყვეს საწოლი, იქ, სადაც ახლა წვებოდა, ამა- სობაში კი მისი ყოფილი პატრიონი, პირქვე გართხმული, ცივ სენას დაბლა მიუყვებოდა, გრენუი მოიკუნტა და ტკიპასავით დაპატარავ- და. იძინებდა და თანდათანობით სულ უფრო ღრმად იძირებოდა საკუთარ თავში და ტრიუმფალური სვლით შედიოდა შინაგან ცი- ხესიმაგრეში, იქ, სადაც ოცნებებში ყნოსვის ერთგვარ გამარჯვე- ბას ზეიმობდა, საკმევლის კვამლითა და მურის ოხშივარით სავსე გიგანტურ ორგიას – თავის პატივსაცემად მონყობილს.

გრენუის შეძენამ ბალდინის ფირმის ნაციონალური და ევროპული მასშტაბით ზეაღსვლას დაუდო სათავე. მაღაზიაში ზარაფების ხიდზე სპარსული ზარების წკრიალი და წეროების მიერ წყლის ფრქეევა აღარ წყდებოდა.

პირველსავე დღეებში გრენუის „ნეაპოლის ღამეების" დიდ ბოცაში შეზავება მოუწია. მომდევნო დღეებში ამ სუნამოს ოთხმოცზე მეტი ფლაკონი გაიყიდა. სახელი საოცარი სისწრაფით გაუვარდა. შენიეს თვალები უჭრელდებოდა ფულის თვლისაგან, ზურგიც კი ასტკივდა. რადგან მაღალი და უმაღლესი საზოგადოების წევრებსა და მათ მსახურებს წელში ღრმად მოხრით ხვდებოდა. ერთხელ კარი ისე გაიღო, რომ ყველაფერი აზანზარდა, თვით გრაფ დ'არჟანსონის ლაქია შემოვიდა და მარტო ლაქიებმა რომ იციან, ისე დაიღრიალა, ახალი სუნამოს ხუთი ფლაკონი მსურსო. შენიე მისი წასვლიდან თხუთმეტი წუთის მერეც კი თრთოდა ამხელა პატივისაგან შეშინებული, რადგან გრაფი მისი უდიდებულესობის ინტენდანტი და ომის მინისტრი იყო. ის პარიზის ყველაზე გავლენიან კაცად ითვლებოდა.

და ვიდრე შენიე მოზღვავებულ კლიენტებს მარტო უმკლავდებოდა, ბალდინი თავის შეგირდთან ერთად სახელოსნოში ჩაიკეტა. ამ გარემოების შენიესთვის ასახსნელად ფასტასტიკური თეორია შეთხზა. კერძოდ, რომ ეს არის „შრომის გადანაწილება და რაციონალიზაცია"; უხსნიდა, წლების მანძილზე როგორი მოთმინებით უყურებდა, პელისიე და მისნაირი უვარგისები, რომლებიც პატივს არ სცემენ ამქრის ტრადიციებს, როგორ უფრთხობდნენ კლიენ- ტებს და ჩირქს სცხებდნენ მის რეპუტაციას, ახლა კი მოთმინების ფიალა აევსო და მიიღებს გამოწვევას, საპასუხო, დარტყმას მიაყე- ნებს, ისევ უკან დაახევინებს იმ თავხედ მეტიჩარას და ამას იმისი- ვე ხერხებით გააკეთებს: ყოველ სეზონზე, ყოველთვე, თუ საჭირო იქნება, ყოველ კვირასაც ახალ სუნამოს „დასცხებს", თანაც რა სუნამოს! მთელ თავის შემოქმედებით ნიჭს გამოიყენებს. ამისათ-

ვის კი საჭიროა, რომ თვითონ, მარტო გაუწვრთნელი თანაშემწის დახმარებით, მხოლოდ და მხოლოდ სუნამოების შექმნას მიუძღვნას თავი, შენიემ კი მათ გაყიდვას უნდა მიხედოს. ამ თანამედროვე მეთოდით პარფიუმერიის ხელოვნების ისტორიაში ახალი ფურცე- ლი გადაიშლება, კონკურენტები განადგურდებიან და თვითონ კი ურიცხვი სიმდიდრის პატრონები გახდებიან, – დიახ, გახდებიან _ ასე შეგნებულად ამბობდა, – რადგან თავის ძველ ერთგულ ქარ- გალს ამ აურაცხელი სიმდიდრიდან გარკვეული პროცენტი უნდა არგუნოს.

ეს რომ სულ რამდენიმე დღით ადრე გაეგო, შენიე ოსტატს ამ ლაპარაკს მოხუცებულის ჭკუასუსტობის დასაწყისად ჩაუთვლიდა, იფიქრებდა, „ახლა კი მზად არის „სათნოების სახლისთვის“, ცოტაც და, ბალდინი საბოლოოდ გააფრენსო". მაგრამ ახლა აღარაფერს არ ფიქრობდა. უბრალოდ, ფიქრისთვის ვერ იცლიდა. იმდენი საქმე ჰქონდა, რომ საღამოობით დაღლილ-დაქანცული იმასაც ძლივს ახერხებდა, გამოტენილი სალარო დაეკეტა და თავისი წილი მიეთ- ვალა. აზრადაც არ მოსდიოდა, ამ საქმის წესიერებაში ეჭვი შეე- ტანა, ბალდინი ხომ ლამის ყოველდღე გამოდიოდა სახელოსნოდან ახალ- ახალი სუნამოებით.

მერედა რა არომატები იყო! მარტო ყველაზე მაღალხარის- ხოვანი, უმშვენიერესი სუნამოები კი არა, კრემებიც, პუდრებიც, საპნებიც, თმის ლოსიონებიც... შესაზელი მალამოები, წყლები, ზეთები... ყველაფერი, მართლაც ყველაფერი, რასაც კი სურნელი უნდა ჰქონდეს, უფრო ახლებური, განსხვავებული, არაჩვეულებ- რივი იყო, ვიდრე ოდესმე. ბალდინის გამოგონი საოცრებებიდან ყველაფერს, მაგალითად ახლებურ სურნელოვან თმის ბაფთებსაც კი, საზოგადოება მოჯადოებულივით იტაცებდა, ფასს აღარავინ კითხულობდა. ყველაფერი რასაც ბალდინი ამზადებდა, ისეთი წარმატებული იყო, რომ შენიემ ეს ბუნებრივად მიიჩნია და მის გამომწვევ მიზეზებს აღარ იძიებდა.

და იმას, რომ ახალი შეგირდი სახელოსნოში ძაღლივით მო- კუნტული, მოუხერხებელი ჯუჯა, ოსტატის ზურგს უკან რომ გა-

მოჩნდებოდა ხოლმე, ეს შუშების მრეცხავი და როდინის მწმენდავი, ეს არარაობა მაღაზიის აყვავებასთან შეიძლება რამით ყოფილიყო დაკავშირებული, შენიე ამას მაშინაც კი ვერ დაიჯერებდა, ვინმეს კიდეც რომ ეთქვა.

რა თქმა უნდა, ჯუჯას პირდაპირი კაეშირი ჰქონდა ამ ყველაფერთან. ის, რაც ბალდინის მაღაზიაში გამოჰქონდა და რასაც მერე შენიე ყიდდა, გრენუის დამზადებული ნაზავების მცირე ნაწილი იყო. ბალდინის კარგა ხნის წინ უღალატა ყნოსვამ. ხანდახან გრენუის შექმნილ არაჩვეულებრიე სურნელებს შორის არჩვეანის გაკეთების დროს იტანჯებოდა კიდეც. ამ ჯადოქარ მოწაფეს შეეძლო, საფრანგეთის ყველა მენელსაცხებლისთვის ისე მიეწოდებინა რეცეპტები, ერთხელ არ გაემეორებინა. არც ერთხელ არ შეუქმნია რამე არასრულფასოვანი, დაბალხარისხოვანზე რომ არაფერი ვთქვათ.

უფრო სწორად კი, რეცეპტებს, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფორმულებს მათ სწორედაც რომ ვერ მიაწოდებდა, რადგან თავიდან ამ არომატულ კომპოზიციებს ქაოსურად და სრულიად არაპროფესიონალურად თხზავდა, სახელდობრ ისე, ბალდინი უკვე რომ იცნობდა – თითქოს ინგრედიენტებს ერთმანეთში განურჩევლად ურევსო. რადგან ბალდინის ამ სიგიჟის არათუ გაკონტროლება, გაგებაც არ შეეძლო, მან გრენუის მოსთხოვა, რომ, თუმცა იმას კი არაფერში სჭირდებოდა, შეზავებისას მაინც გამოეყენებინა სასწორი, მენზურა და პიპეტი. დაე, ამით შეეგნო, რომ ღვინის სპირტი სურნელოვანი ნივთიერება კი არ არის, გამხსნელია, რომელიც სულ ბოლოს უნდა დაემატოს, და ბოლოს, ღვთის გულისათვის, ნელა ემუშავა, ისე, როგორც ხელოსანს შეეფერება.

გრენუიმ ბრძანება შეასრულა. და ბალდინიმ პირველად შეძლო ამ ჯადოქრობის ცალკეული ოპერაციებისათვის თვალყურის მიდევნება და დოკუმენტირება. კალმითა და საქაღალდით ხელში მიუჯდებოდა ხოლმე გვერდით გრენუის, გზადაგზა აუჩქარებლობისაკენ მოუნოდებდა და თან ყველაფერს ინიშნავდა: ერთი ნივთიერების რამდენი გრამი ისხმება ასარევ ბოთლში, რამდენი კოვზი – მეო-

რისა და რამდენი წვეთი – მესამის. ასეთი უცნაური ხერხით, ანუ პროცესის დასრულების შემდეგ გაანალიზებით და იმ საშუალებებით, ურომლისოდაც, კაცმა რომ თქვას ეს საქმე საერთოდაც ვერ გამოვიდოდა, ბალდინი სინთეტიკური რეცეპტის დაუფლებას ცდილობდა. როგორ ახერხებდა გრენუი წესების დაუცველად. თავისი სუნამოების შექმნას, ეს ბალდინისთვის ისევ გამოცანად და ჯადოქრობადაც კი რჩებოდა, მაგრამ ეს ჯადოქრობა ფორმულამდე მაინ დაიყვანა და ამით ასე თუ ისე დაიკმაყოფილა წესებს მოწყურებული სულის მოთხოვნილება და საკუთარი პარფიუმერული მსოფლმხედველობა საბოლოო განადგურებისაგან იხსნა.

თანდათან გრენუის ყველა მისი გამოგონილი სუნამოს რეცეპტი გამოსტყუა და ბოლოს ახალი სუნამოების შექმნაც კი აუკრძა- ლა, თუკი თვითონ კალმითა და ქაღალდით ხელში იქვე არ იჯდე- ბოდა არგუსივით და ყველაფერს გულდასმით არ დააკვირდებოდა და არ ჩაინიშნავდა.

მთელი ჩანაწერები, უკვე რამდენიმე ათეულზე მეტი ფორმუ- ლა, შემდეგ პედანტურად გადაჰქონდა ორ სხვადასხვა წიგნაკში, რომელთაგან ერთს ცეცხლგამძლე კარადაში ინახავდა, მეორე კი სულ თან დაჰქონდა, ძილის დროს კი ბალიშის ქვეშ ამოიდებდა ხოლმე. ეს რწმენას მატებდა. თვლიდა, რომ ასე უფრო საიმედო იყო, რადგან, თუკი მოუნდებოდა, გრენუის სასწაულის გამეორებას თვითონაც შეძლებდა, სასწაულისა, რომელმაც პირველი ნახვისას მასზე ასეთი წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ეგონა, რომ ჩაწერილი ფორმულების ნაკრებით თავისი მოწაფის წიაღიდან ამოხეთქილი შიშის მომგვრელი შემოქმედებითი ქაოსისათვის ზღვრის დადებას შეძლებდა. გარდა ამისა, ბალდინის სიმშვიდესა და თავდაჯერებას მატებდა, რომ ის მარტო უაზროდ კი არ იწერდა, არამედ რეგისტრირებითა და დაკვირვებითაც იღებდა მონაწილეობას შემოქმედებით საქმიანობაში. მალე დაიჯერა, რომ დახვეწილი ნელსურნელების შექმნაში თვითონაც საკმაო წვლილი შეჰქონდა და სუნამოების რეცეპტებს ჯერ თავის წიგნაკში რომ გადაიტანდა და მერე ცეცხლგამძლე კარადასა და უბეში კარგად შეინახავდა.

მაშინ ხომ სულ აღარ ეპარებოდა ეჭვი, რომ ეს ფორმულები მარტო დავისი იყო.

მაგრამ არც გრენუის წაუგია ბალდინის შემოღებული მკაცრი წესებით. მართალია, თვითონ კი არ იყო ამაზე დამოკიდებული, არ სჭირდებოდა ფორმულის დამახსოვრება იმისათვის, რომ კვირების ან თვეების მერე სუნამოს შემადგენლობა გაეხსენებინა – სუნი ურალოდ არ ავიწყდებოდა, მაგრამ იძულებითი წესით მენზურისა და სასწორის გამოყენებით პარფიუმერიის ენას სწავლობდა და ინსტინქტურად გრძნობდა, რომ ამ ენის ცოდნა შეიძლება გამოსდგომოდა. რამდენიმე კვირაში ბალდინის სახელოსნოში გრენუიმ მარტო სურნელოვანი ნივთიერებების სახელები კი არ დაიმახსოვრა, უკვე თავისი სუნამოების ფორმულების ჩაწერაც შეეძლო და, პირიქით, სხვისი ფორმულებისა და მითითებების სუნამოებად და სხვა სურნელოვან პროდუქტებად გარდაქმნაც, უფრო მეტიც! მას მერე, რაც თავისი პარფიუმერული იდეების გრამებითა და წეეთებით გამოხატვა ისწაელა, შუალედური ექსპერიმენტების ჩატარება აღარც სჭირდებოდა. როდესაც ბალდინი ახალი სურნელის შექმნას დაავალებდა ცხვირსახოცისთვის საპკურებელი სუნამოს ან პომადისათვის, გრენუი ფლაკონებსა და ფხენილებს კი არ წამოავლებ- და ხელს, არამედ მაგიდას მიუჯდებოდა და პირდაპირ ფორმულას ჩაიწერდა. მან ისწავლა თავის წარმოდგენაში არსებული სურნელებიდან მზა სუნამომდე მიმავალი გზის დაგრძელება ფორმულად ჩამოყალიბების ხარჯზე. მისთვის ეს მიხეეულ-მოხვეული გზა იყო, ხოლო საყოველთაოდ მიღებული თვალსაზრისით, ანუ ბალდინის თვალსაზრისით – წინსვლა, გრენუის სასწაულები სასწაულებადვე რჩებოდა, მაგრამ ეს ჩანიშნული რეცეპტები მათ საშიშ იერს უკარგავდა. ამას კი თავისი უპირატესობები ჰქონდა. რაც უფრო სრულად ეუფლებოდა გრენუი პროფესიონალურ ჩვევებსა და წესებს, რაც უფრო უკეთ ახერხებდა პარფიუმერების ესაზე ლაპარაკს, ოსტატს მით უფრო ნაკლებად ეშინოდა მისი და უფრო ნაკლებადაც უთვალთვალებდა. სულ მალე ბალდინის ის ისევ კი მიაჩნდა ყნოს- ვის თყალსაზრისით საკმაოდ ნიჭიერ სპეციალისტად, მაგრამ მეო-

რე ფრანჟიპანიდ და, რაღა თქმა უნდა, საშინელ ჯადოქრად აღარ ეჩვენებოდა. გრენუის ეს ძალიანაც აძლევდა ხელს. ხელოსნური ჩვევებით და ჟარგონით კარგად ინიღბებოდა. თავისი სამაგალითო ქცევით ბალდინი თითქოს მიაძინა. უკვე თავისი ოსტატივით შეეძ-ლო ნივთიერებების აწონა, შესაზავებელი ბოთლის გაქნევა, სასინ-ჯი თეთრი ცხვირსახოცის დანამვა, ნაზად განიავება და ცხვირთან ელეგანტურად მიტანა. ხანდახან, დროის ფრთხილი გამოზოგვით შეცდომებს დაუშვებდა ხოლმე შეგნებულად, რომ ბალდინის შეუმ-ჩნეველი არ დარჩენოდა: ხან ვითომ გაფილტვრა დაავიწყდებოდა, ხან სასწორს ისე არ დადგამდა, ხანაც ფორმულაში აბრის ნა-ყენის შეუსაბამოდ მაღალ პროცენტს ჩაწერდა და ბალდინიწ მი-თითებების საბაბს აძლევდა, რომ შეცდომა მაშინვე გულდასმით გამოესნორებინა. ასე გაუჩინა გრენუიმ ოსტატს ილუზია, რომ ბო-ლოს და ბოლოს ყველაფერი წესისამებრ მიდიოდა. მას ხომ მო- ხუცის დაფრთხობა არ უნდოდა. მას მართლაც უნდოდა მისგან რაღაც-რაღაცების სწავლა. რა თქმა უნდა, სუნამოების შეზავება, მათი სწორად შედგენა – არა, სულაც არა! ამ სფეროში დედამიწის ზურგზე ვერავინ ასწავლიდა რამეს. და რაც ბალდინის მაღაზიაში ინგრედიენტები იყო, არც ის ეყოფოდა, რომ განეხორციელებინა თავისი წარმოდგენა ჭეშმარიტად დიდ კეთილსურნელებაზე. რასაც ის ბალდინისთან ქმნიდა, თამაში იყო იმ სურნელებთან შედარებით, რომლებიც თავში უტრიალებდა და რომელთა სინამდვილედ ქცე-ვასაც აპირებდა ერთ მშვენიერ დღეს. ამისათვის კი, იცოდა, რომ ორი აუცილებელი წინაპირობა არსებობდა: პირველი იყო ასატასი ბიურგერული ყოფით შენიღბვა, რომ თუნდაც შეგირდის როლში, ამ ნიღბით ხელშეუშლელად მიჰყოლოდა თავის ნამდვილ გატაცებას და საკუთარი მიზნისათვის მიეღწია. მეორე სისაპირობა კი ყველა იმ ხელოსნური მეთოდის შესწავლა იყო, რომელთა დახმარებითაც შეძლებდა სურნელოვანი ნივთიერებების მომზადებას, გამოყოფას, კონცენტრირებას, დაკონსერვებას და შემდგომ მათ დამორჩილე-ბას რაღაც ერთგვარი უზენაესი გამოყენებისათვის. მართალია, გრენუი მსოფლიოში საუკეთესო ცხვირის პატრონი, იყო, და თუმცა

ყნოსვა ანალიტიკურიც ჰქონდა და ვიზიონერულიც, მაგრამ სურნელების დასაუფლებლად საჭირო თვისებები მაინც ჯერ არ გააჩნდა.

18

ასე რომ, გრენუი თვინიერად ემორჩილებოდა ინსტრუქციებს ღორის ქონისაგან საპნის ხარშვის, ნატის ხელთათმანების კერვის, პურის ფქვილის, დაღერღილი ნუშის და იის დანაყილი ძირე- ბისაგან პუდრის შერევის ხელოვნებას ეუფლებოდა. ხის ნახშირის, გვარჯილისა და სანდალოზის ხის ბურბუშელასაგან სურნელოვან სანთლებს ქმნიდა, მურის, გუნდრუკისა და ქარვის ფხვნილისაგან აღმოსავლურ პასტილებს წნეხავდა, საკმევლის, შელაკის, ვეტივერისა და დარიჩინისაგან ცომს ზელდა და ამ ცომს სასაკმევლე ბურთულებად აგორგლებდა, ვარდის ფურცელს, ლავანდის ყვავილს, კასკარილის ქერქს ფქვავდა, ცრიდა და Poudre Imperiale-ს აკეთებ– და, ხარშავდა გრიმისთვის საღებავებს – თეთრსა და ცისფერს, ყალიბებში ასხამდა კარმინის წითელ მსხვილ ჩხირებს ტუჩებისათვის, წყალში ხსნიდა ძალიან წმინდა ფხვნილს ფრჩხილებისათვის და კბილის ცარცს, რომელსაც პიტნის გემო დაჰკრავდა. აზავებდა პარიკების დასახვევ სითხეს, მეჭეჭებისა და კოჟრების მოსაცილებელ და ჭორფლის მოსაშორებელ სამკურნალო ხსნარებს, ბელადონასგან – თვალის წვეთებს, მარიამბულას მალამოს – ბატონები- სა და ჰიგიენურ ძმარს – ქალბატონებისათვის. გრენუიმ ისწავლა ყველანაირი ლოსიონის, ფხვნილის, ტუალეტისა და კოსმეტიკური საშუალებების, აგრეთვე ჩაისა და სუნელების სარევების, ლიქიორების, მარინადებისა და სხვათა მომზადება, მოკლედ, შეითვისა მთელი ტრადიციული სიბრძნე, რის სწავლებაც კი ბალდინის შეეძლო. გრენუის, მართალია, მაინცდამაისხც არ აინტერესებდა, მაგრამ უდრტვინველად და წარმატებით სწავლობდა.

სამაგიეროდ, განსაკუთრებულ მონდომებას იჩენდა, როცა ბალდინი ნაყენების, ნაწურეების და ესენციების მომზადებას ასწავ-

ლიდა. დაუღალავად შეეძლო ხრახნიან წნეხში მწარე ნუშის გამოწურვა, მუშკის თესლის ნაყვა, ამბრის დიდი რუხი კოშტის დანით კეპვა ანდა იის ფესვების წიწკნა, რათა შემდეგ მისი ძაფები სუფთა სპირტზე დაეყენებინა. ისწავლა გამყოფი ძაბრის ხმარება, რომლითაც ლიმონის კანის დაწნეხით გამოხდილი ზეთი უნდა გამოეცალკევებინა ნარჩენების ამღვრეული სითხისგან. ისწავლა, ბალახეულის და ყვავილების გახმობა ცხაურაზე ჩრდილიან სითბოში და შრიალა ფოთლების დაკონსერვება ცვილით დაბეჭდილ ქონებისა და კოლოფებში. შეისწავლა პომადების ხარშვის ხელოვნება, ნაყენების გაკეთება, გაფილტვრა, კონცენტრირება, გამონაცენის, გაღიავება და ხელმეორედ გამოხდა.

მაგრამ ბალდინის სახელოსნო იმისთვის არ იყო განკუთენლი, რომ იქ ყვავილებისა და ბალახების ზეთები ბლომ-ბლომად გამოეხადათ და არც პარიზში იქნებოდა ახალ-ახალი მცენარეები საკმარისად. თუმცა ხანდახან, როდესაც ახალ როზმარინს, სალბს, პიტნას ან ანისულის თესლს შემოიტანდნენ ბაზარში იაფად, ან ზამბახის ბოლქვების, ვალერიანის ძირების, კვლიავის, ჯავზის ან გამხმარი მიხაკის ყვავილის დიდი პარტიები შემოვიდოდა, მაშინ კი შეუტოკდებოდა ხოლმე ბალდინის ალქიმიკოსის ძარღვი. გადმოიღებდა თავის დიდ სპილენძის ალამბიკს – გამოსახდელ ქვაბს – ზედ ჩამოცმული საკონდენსაციო ციცხვით. ამ ხელსაწყოს „მაკრის თავს“ ეძახდა და ამაყობდა, რომ ამით ჯერ კიდევ ორმოცი წლის წინ ხდიდა ლავანდს ლიგურიის სამხრეთ ფერდობებსა და ლუბერონის მაღლობზე გაშლილ მინდვრებში. და ვიდრე გრენუი გამოსახდელ მცენარეებს აქუცმაცებდა, ბალდინი გამალებით – რადგან სისწრაფე ამ საქმის ალფა და ომეგაა – ცეცხლს ანთებდა ქვის ღუმელში, ზედ დგამდა სპილენძის ქვაბს, რომელშიც იმდენი წყალი ესხა, რომ ძირი დაფარული ჰქონოდა, შიგ დაქუცმაცებულ მცენარეებს ყრიდა, მილყელს ორკედლიან თავსახურს – მავრის თავს – ახურავდა და ორ მილს უმაგრებდა შემავალი და გამომავალი წყლისათვის. ბალდინი შეგირდს უხსნიდა, ეს კონდენსატის გამაცივებელი გაუმჯობესებული კონსტრუქცია მოგვიანებით მე ჩავუდ-

გი, რადგან თავის დროზე მინდორში გაცივება მხოლოდ ჰაერზე განიავებით შეიძლებოდაო. შემდეგ ცეცხლს გააჩაღებდა.

ქვაბში ნელ-ნელა იწყებოდა დუღილი. ცოტა ხანში ჯერ წვეთობით, შემდეგ ნაზად, ძაფივით დაიწყებდა ნახადი მავრის თავი მესამე მილალაკიდან დენას და ჩაედინებოდა ფლორენციულ ჭურჭელში, რომელსაც ბალდინი ქვეშ დაუდგამდა. თავიდან ეს სითხე თხელი, ამღვრეული წვნიანივით უსიამოვნო სანახავი იყო, მაგრამ მერე თანდათანობით, და განსაკუთრებით მაშინ, როცა ავსებულ ჭურჭელს ახლით შეცვლიდნენ და გვერდზე წყნარად მიდგამდნენ, სითხე შიგ ორად გაიყოფოდა – ქვევით ყვავილების ან ბალახების წყალი რჩებოდა, ზევით კი ზეთის სქელი ფენა ატივტიედებოდა. ისღა რჩებოდა, რომ ფლორენციული ჭურქლის ქვედა ონკანიდან ყვავილების ოდნავ სურნელოვანი წყალი გადმოგესხა და დაგრჩებოდა მხოლოდ სუფთა ზეთი, ესენცია – მცენარის სურნელოვანი არსი. გრენუი მოხიბლული იყო ამ პროცესით. თუკი ცხოვრებაში რამით აღფრთოვანებულა რა თქმა უნდა, ფარული, სხვისი თვალისთვის შეუმჩნეველი ცივი ალით მოგიზგიზე აღფრთოვანებით – სწორედ ეს პროცესი იყო: ცეცხლით, წყლით, ორთქლით და მახვილგონივრულად მოფიქრებული მოწყობილობით საგნებისათვის კეთილსურნელოვანი სულის ამოგლეჯა. ეს სურნელოვანი სული – ეთერზეთები ხომ მათში საუკეთესო რამე იყო. გრენუის კი მხოლოდ ეს აინტერესებდა. სხვა სუღელური ნარჩენები კი – ყვავილი, ფოთლები, კანი, ნაყოფი, ფერი, სილამაზე, სიცოცხლე და სხვა ყველაფერი – არ აღელვებდა, რაში სჭირდებოდა – მხოლოდ გარსი იყო, ბალასტი. უნდა გამქრალიყო.

შიგადაშიგ, როცა დისტილატი წყალივით კრიალა გახდებოდა, ქვაბს ცეცხლიდან გადმოდგამდნენ, თავს მოხდიდნენ და ჩახარ- შულ ნარჩენებს გადმოყრიდნენ. ეს უფორმო და უფერო ნარჩენები დამბალ ჩალას ჰგავდა, პატარა ჩიტების გათეთრებულ ძვლებს, ჩახარშულ ბოსტნეულს, პირვანდელი სახე რომ დაუკარგავს – უფერულსა და დაძარღვულს, ათქვეფილს, საზიზღრად გახრწნილსა და თითქმის მთლიასად სუნწართმეულს. ამ ნარჩენებს ფანჯრიდან მდინარეში ისროდნენ. შემდეგ ახალი მცესარეები მოჰქონდათ,

წყალს დაამატებდნენ და სახდელ ქვაბს ისევ ცეცხლზე შემოდგავ-დნენ. და ქვაბი ისევ იწყებდა დუღილს, ისევ ჩაედინებოდა ფლო-რენციულ ჭურჭელში სიცოცხლის წვენი. ხშირად ეს მთელ ღამეს გრძელდებოდა. ბალდინი ღუმელს ადევნებდა თვალყურს, გრენუი – ბოთლებს. სხვა საქმე არც ჰქონდა ბოთლების გამოცვლამდე.

ისინი ცეცხლთან მონუსხულებივით ისხდნენ ტაბურეტებზე ამ ტლანქი ქვაბის წინ, ორივე მოჯადოებულივით იყო, მაგრამ სულ სხვადასხვა მიზეზით. ბალდინი ცეცხლის გიზგიზით, სპი-ლენძზე ალის წითელი ანარეკლის თამაშით ტკბებოდა. უყვარ-და ცეცხლმოკიდებული შეშის ტკაცუნი, ქვაბის ბუყბუყი, რადგან ყველაფერი ისე იყო, როგორც ადრე. შეეძლო მოგონებებისთვის მიეცა თავი. მოიტანდა ერთ ბოთლ ღვინოს მაღაზიიდან, რადგა-ნაც სიცხე მოაწყურებდა ხოლმე. ღვინის სმა – ესეც ისე იყო, რო-გორც ადრე. მალე ძველი გაუთავებელი ამბების მოყოლას იწყებ- და. ყვებოდა ესპანური მემკვიდრეობისათვის ავსტრიელებთან გაჩაღებულ ომზე, რომლის შედეგზეც თურმე თვითონ უდიდესი გავლენა მოეხდინა; პარტიზანებზე, რომლებთან ერთადაც ის სე-ვენს შიშის ზარს სცემდა; ერთი ჰუგენოტის ქალიშვილზე, ესტე-რელში ლავანდის სუნით გაბრუებული რომ დანებებოდა; ტყის ხანძარზე, კინაღამ რომ გაეჩინა, რომელსაც, ღმერთმანი, თით-ქმის მთელი პროვანსის გადაწვა შეეძლო, რადგანაც საშინელი მისტრალი უბერავდა. კიდევ ყვებოდა გამოხდაზე, ყვებოდა და ყვებოდა, რა ხდებოდა მაშინ მთვარიან ღამეში გაშლილ მინდორ-ზე, ღვინოზე, ჭრიჭინების ქრიჭინზე, ლავანდის ზეთზე, რომელიც მაშინ გამოეხადა და ისეთი ნაზი და სურსნელოვასი გამოსულიყო, რომ ვერცხლითაც კი უხდიდნენ. ყვებოდა გენუაში სწავლაზე, თავისი მოგზაურობის წლებსა და ქალაქ გრასზე, სადაც იმდე-ნი მენელსაცხებლეა, რამდესიც სხვაგან მეწაღე და მათ შორის ისეთი მდიდრებიც კი არიას, რომ არისტოკრატებივით ცხოვრო-ბენ მდიდრულ სახლებში, ჩრდილიანი ტერასები და ბაღები აქვთ და ხით მოპირკეთებული სასადილო ოთახები, სადაც ფაიფურის თეფშებზე ოქროს დანა-ჩახგლით ჭამენ და ა. შ.

აი ასეთ ამბებს ყვებოდა ბებერი ბალდინი, სვამდა და ღვინით, ცეცხლს სიმხურვალითა და მოგონებებით გატაცებულს ლოყები უწითლდებოდა. მაგრამ გრენუი, რომელიც უფრო ჩრდილს ეფარებოდა, ყურს სულ არ უგდებდა. ძველი ამბები არ აინტერესებდა, მარტო ის იზიდავდა, რაც ახლა, მის თვალწინ ხდებოდა. გაუნძრევლად მიშტერებოდა სახდელი ქვაბის საცობში გაყრილ მილაკს, საიდანაც დისტილატი მოედინებოდა წერილ ნაკადად და ამ ყურებაში წარმოიდგენდა ხოლმე, ვითომ თვითონ არის ეს ქვაბი, რომელ- შიც ყველაფერი დუღს და ბუყბუყებს, და დისტილატი მოედინება, ოღონდ უკეთესი, ახალი, უფრო უჩვეულო, სულ ნარჩევი მცენარეე- ბისა, რომლებიც თვითონვე გამოუყვანია თავის წიაღში, რომლებიც იქ ყვავის და მის გარდა ჯერ არავის შეუყნოსავს მათი სურნელი, და მათ თავიანთი განუმეორებელი სურნელით მსოფლიოს ერთ დიდ სურნელოვან ედემის ბაღად ქცევა შეუძლიათ, სადაც მისი არსებობა – ყნოსვის თვალსაზრისით – ასატანი იქნება. უნდოდა, ერთ დიდ სახდელ ქვაბად ქცეულიყო, საიდანაც თავისი გამოხდილი დისტილატებით წალეკავდა მთელ მსოფლიოს. აი, რაზე ოცნებობდა გრენუი.

და თუკი ღვინით გამობრუჟული ბალდინი სულ უფრო გრძელ–გრძელ ამბებს ყვებოდა იმაზე, თუ რა იყო ადრე და სულ უფრო თავშეუკავებლად იხლართებოდა ოცნებებში, გრენუიმ მალე აუკრძალა თავის თავს უცნაური ფანტაზიები. პირველ რიგში დიდი ქვაბის სურათი განდევნა გონებიდან და იმაზე დაიწყო ფიქრი, როგორ გამოეყენებინა ახალშეძენილი ცოდნა უახლოესი მიზნებისათვის.

19

ცოტა ხანში გრენუი გამოხდაში დაოსტატდა. მან აღმოაჩინა, რომ. ცეცხლის სიმხურვალე გადამწყვეტ გავლესას ახდენს მიღებული დისტილატის ხარისხზე. ამის დადგენაში საკუთარი ცხვირი უფრო დაეხმარა, ვიდრე ბალდისის რჩევა-დარიგებები. ყოველი მცენარე, ყოველი ყვავილი, მერქნის ყოველი სახეობა და ყოველი

ნაყოფი, ზეთოეანი ხილი განსაკუთრებულ პროცედურას მოითხოვდა – ხან უმხურვალესი ორთქლი იყო საჭირო, ხანაც საშუალი, დუღილი, ზოგიერთი ყვავილი კი მხოლოდ ძალიან დაბალ ცეცხლიზე აორთქლებისას იძლეოდა საუკეთესო ზეთს.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო თვით მასალის დამზადება. პიტნის და ლავანდის გამოხდა მთელ ბღუჯებად შეიძლებოდა, სხვა ბალახეული გულდაგულ უნდა ყოფილიყო დარჩეული, დანალიკებული, დაჭრილი, დახეხილი, დანაყილი და სპილენძის ქვაბში ჩაყრამდე წინასწარ ფქვილად ქცეული. რაღაც-რაღაცები კი სულ არ იხდებოდა, რაც გრენუის საშინლად ამწარებდა.

როდესაც ბალდინიმ დაინახა, რა კარგად ფლობდა გრენუი აპარატურას, ქვაბი მთლიანად გადააბარა და იმანაც არ დაანანა და ამომწურავად ისარგებლა ამ თავისუფლებით. დღისით სუნამოებსა და სხვა სურნელოვან პროდუქტებს ამზადებდა, ღამღამობით კი მხოლოდ გამოხდის საიდუმლოებით მოცულ ხელოენებას ეზიარებოდა. დაგეგმილი ჰქონდა სრულიად ახალი სურნელოვანი ნივთიერებების მიღება და მათი დახმარებით თავის შინაგან სამყაროში არსებული სურნელების შექმნა, მინიმუმისა მაინც. თავიდან პატარ-პატარა წარმატებებსაც აღწეედა. ჭინჭრისა და წიწმატის თესლისაგან ზეთის გამოხდა შეძლო, შექმნა აგრეთვე სურნელოვანი წყალი ახალგაქერქილი ანწლისა და ურთხლის ტოტებისაკან მართალია, დისტილატების სუნი ნაკლებად ჰგავდა საწყის პროდუქტს, მაგრამ შემდგომი გადამუშავებისათვის მაინც გამოდგებოდა. მაგრამ ისეთი ნივთიერებებიც ხვდებოდა, რომლებისთვისაც ეს მეთოდი სრულიად გამოუსადეგარი იყო. მაგალითად, გრენუი ცდილობდა გამოეხადა შუშის – გლუვი მისის ცივი თიხოვანი სუნი, რომელსაც ჩვეულებრივი ადამიანი სრულებით ვერ გრძნობს. მან მოიპოვა ფანჯრისა და ბოთლის მინები და სხვადასხვანაირად ცდილობდა მათ დამუშავებას: ნატეხებად, ნამსხვრევებად, მტვრად – ყველაფერი უშედეგო გამოდგა. ის ხდიდა თითბერს, ფაიფურს, ტყავს, მარცვლეულსა და ხრეშს, უბრალოდ მიწას, სისხლს, ხეს, ახალ თევზს, თავის საკუთარ თმას. ბოლოს წყალიც გამოხადა,

სენის წყალი, რადგანაც მოეჩეენა, რომ მისი თავისებური სუნის შენახვა ღირდა. ეგონა, რომ სახდელი ქვაბის გამოყენებით ამ ნივ- თიერებებიდან მათთვის დამახასიათებელ განსაკუთრებულ სუნს მიიღებდა. ისე, როგორც ქონდრის, ლავანდისა და კვლიავის თეს- ლის გამოხდის დროს ახერხებდა. მან ხომ არ იცოდა, რომ დისტი- ლაცია სხვა არაფერია, თუ არა შერეული სუბსტანციების დაშლა მათ აორთქლებად და ნაკლებად აორთქლებად შემადგენელ ნაწი- ლებად და რომ პარფიუმერიისათვის ის მხოლოდ იმითაა სასარ- გებლო. რომ ამით შეიძლება ზოგიერთი მცენარის აორთქლებადი ეთერზეთების გამოცალკევება მათივე უსუნო და ნაკლებსუნიანი ნარჩენებისაგან. ეთერზეთების არმქონე სუბსტანციების გამოხდა, რა თქმა უნდა, უაზრობა იყო. ეს ჩვენთვის, დღევანდელი ადამია- ნებისათვის არის თავისთავად ცხადი, იმიტომ, რომ ფიზიკა გვის- წავლია. მაგრამ გრენუი ამ დასკვნამდე წვალებით მივიდა გამაწბი- ლებელი ცდების გრძელი ჯაჭვით. თვეების განმავლობაში ღამღა- მობით ქვაბთან იჯდა და ყველანაირად ცდილობდა, დისტილაციის მეთოდით ისეთი რადიკალურად ახალი სუნები მიეღო, რომელთა მსგავსიც კონცენტრირებული სახით ჯერ არ არსებობდა.

მაგრამ რამდენიმე საცოდავი მცენარეული ზეთის გარდა არა- ფერი გამოუვიდა. თავისი წარმოდგენების ღრმა, განუზომლად მდი- დარი ჭიდან ვერც ერთი კონკრეტული სურნელოვანი ესენციის ვერც ერთი წვეთის შექმნა ვერ მოახერხა, იმისგან, რაც მის ფანტასტიკურ ყნოსვას ეჩვენებოდა, ვერც ერთი ატომის რეალიზება ვერ შეძლო. როდესაც გაიაზრა, რომ დამარცხდა, ისე ავად გახდა, რომ კი- ნაღამ მოკვდა.

20

მაღალი სიცხე მისცა, რასაც პირველ დღეებში ოფლიანობა მოჰყვა, შემდეგ კი, თითქოს კანის ფორებმა უღალატაო, თავიდან ფეხებამდე წითელი წყლულები დააყარა. ზოგი სკდებოდა და იქი-

დან სითხე იღვრებოდა, მერე კი ისევ იბერებოდა, ბევრიც ნამდვი-ლი ძირმაგარასოდენა ხდებოდა, წითლად სივდებოდა, ჯირჯვდე- ბოდა, მერე კრატერივით სკდებოდა და საზიზღარი სქელი ჩირქი და ყვითელლორწონარევი სისხლი გადმოდიოდა. მალე გრენული შიგ-ნიდან ქვებით დახვრეტილ მოწამეს დაემსგავსა, ასობით იარისაგან რომ იტანჯება.

ბალდინი, ცხადია, აღელდა. სრულებით არ ესიამოვნებოდა, მა-ინცდამაინც მაშინ დაეკარგა თავისი უძვირფასესი მოწაფე, როცა თავისი ვაჭრობის დედაქალაქს გარეთ და ქვეყნის საზღვრებს გარეთ გატანაც კი დააპირა. მართლაც ხშირად ხდებოდა, რომ მარტო პროვინციიდან კი არა, უცხოეთის სამეფო კარს დაახლოე-ბულებისგანაც კი მოსდიოდა შეკვეთები იმ ახალმოდურ ნელ-სურნელებებზე, რომლებზეც პარიზში გიჟდებოდნენ. ბალდინი ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად გარეუბან სენტ-ანტუანშიც კი ფიქრობდა ფილიალის გახსნას: ნამდვილი პატარა მანუფაქტურა ექნებოდა, სადაც ყველაზე წარმატებულ სუნამოებს en gros[2] დაამზადებინებდა, ჩამოასხმევინებდა პატარა ლამაზ ფლაკონებში შეაფუთინებდა პატარა საყვარელ გოგონებს და დააგზავნიდა ჰოლანდიაში, ინგლისსა და გერმანიის იმპერიაში. მართალია, ეს საქმიანობა პარიზში დამკვიდრებული ხელოსნისთვის მთლად კა-ნონიერი არ იქნებოდა, მაგრამ ბალდინი ამასობაში ხომ მაღალი მფარველობით სარგებლობდა. ეს პროტექცია თავისმა საუკეთესო სუნამოებმა მარტო ინტენდანტთან კი არ შეუქმნა, არამედ ისეთ მნიშვნელოვან პირებთანაც, როგორებიც იყვნენ პარიზის საბაჟოს მთავარი მეთვალყურე, სამეფო ფინანსთა კაბინეტის ერთ-ერთი წევრი და ეკონომიკურად წარმატებული საწარმოების ხელშემწყო- ბი ბატონი ფეიდო დე ბრუ. ეს უკანასკნელი მომაეალში ბალდინის სამეფო პრივილეგიებზეც მიანიშნებდა, რაც ყველაზე საუკეთესო რამე იყო, რაზეც კი ოცნება შეიძლებოდა. ეს ხომ საშუალებას მისცემდა, გვერდი აექცია ყველანაირი სახელმწიფოებრივი თუ ამ-

[2] en gros - ბითუმად (ფრ.)

ქრული წინაღობებისათეის, ეს ნიშნავდა ყოველგვარი სიძნელეე- ბის დასასრულს საქმეში და ურყევი და საიმედო კეთილდღეობის მუდმივი გარანტია იყო.

ამას გარდა, ბალდინი კიდევ ერთ გეგმას დაატარებდა გულში. ეს მისი საყვარელი გეგმა გახლდათ, სენტ-ანტუანის გარეუბნის მანუფაქტურის, ასე ვთქვათ, ანტიპოდი, მისი საპირისპირო პროექ- ტი. ის ხომ მასობრივს თუ არა, ყველასათეის ხელმისაწედომ პრო– დუქციას ისედაც აწარმოებდა.

ბალდინის სურდა, მაღალი და უმაღლესი წოდების რჩეული კლი- ენტებისათვის შეექმნა პერსონალური სუნამოები, რომლებიც თავის ზომაზე შეკერილი ტანსაცმელივით მოუხდებოდა ადამიანს, მხოლოდ მას ექნებოდა ამ სუნამოს ხმარების უფლება და სახელიც კი მისი ექ- ნებოდა. წარმოდგენილი ჰქონდა სუნამო „მარკიზი დე სერნე“, „მარ- შალი დე ვიიარი“, „ჰერცოგი დ'ეგიიონი“ და ა. შ. ოცნებობდა სუნა- მოზე „მადამ მარკიზა დე პომპადური“. „მისი აღმატებულება მეფეც“ კი წარმოედგინა: ოქროს ჭედურჩარჩოიანი თლილი აქატის ნატიფ ფლაკონში და ფლაკონის ძირში შიგნიდან ამოტვიფრული: „ჯუზეპე ბალდინი, პარფიუმერი“! მეფისა და მისი სახელი ერთსა და იმავე ნივ- თზე! აი ასეთ დიდებულ სიმაღლეზე აფრინდა ბალდინის ოცნებები! და ახლა არ გახდა გრენუი ავად? არადა, გრიმალი (ღმერთმა აცხო- ნოს!) არ უმტკიცებდა, არასოდეს აწუხებს რამეო, ყველაფერს იტანს, მაგისთვის შავი ჭირიც კი არაფერიაო! ახლა უცებ სასიკვდილოდ არ გახდა ავად? ფეხები რომ გაჭიმოს? რა საშინელებაა! მასთან ერთად ხომ ბალდინის გეგმებიც დასამარდება მანუფაქტურაზე, პატარა გოგონებზე, პრივილეგიებზეც და სამეფო სუნამოზეც.

ამიტომ ბალიდინიმ გადაწყვიტა, თავისი ძვირფასი მოწაფის სი- ცოცხლის გადასარჩენად ყველაფერი ეღონა. მან გრენუი სახელოს- ნოს ზედა სართულზე, სუფთა ლოგინში გადააყვანინა, დამასტის თეთრეული დააგებინა. მიუხედავად იმისა, რომ სულულებისა და და ჩირქიანი ძირმაგარების დანახვაზე გულს აზიდებდა, თვითონაც პირადად იღებდა მონაწილეობას ავადმყოფის ვიწრო დერეფნით გადაყვანაში. ცოლს უბრძანა, ქათმის ბულიონი მოეხარშა ღვინით.

იმ კვარტალში ყველაზე საუკეთესო ექიმის, ვინმე პროკოპის მოსაყვანადაც აფრინა კაცი. ეს პროკოპი ფულს წინასწარ იღებდა, ოც ფრანკს! და ისიც იმაში, რომ საერთოდ მოსულიყო.

ექიმი მოვიდა, წვეტიანი თითებით ასწია საბანი, ერთი დახედ, გრენუის სხეულს, რომელიც მართლაც ტყვიებით დაცხრილულს ჰგავდა და ოთახი ისე დატოვა, რომ თავისი ჩანთა, რომელსაც ასისტენტი მის ფეხდაფეხ დაათრეედა, არც კი გაუხსნია. ყველაფერი გასაგებიაო, განუცხადა ბალდინის, საქმე გვაქეს შავი ყვავილის სიფილისურ სახეობასთან, რომელსაც ემატება ჩირქოვანი წითელა ი in stadio ultimo[3]. მკურნალობა შეუძლებელია, რადგან ხრწნად სხეულზე, გვამს რომ უფრო მეტად ჰგავს, ვიდრე ცოცხალ ორგანიზმს, სისხლის გამოსაშვებად წესისამებრ ვერ დავუყენებ გამომწოვსო. მართალია, ამ დაავადებისათვის დამახასიათებელი მყრალი სუნი ჯერ კიდევ არ იგრძნობა, რაც საოცარია და მეცნიერული თვალსაზრისით გარკვეული კურიოზიც კი გახლავთ, მაგრამ მომავალი ორმოცდარვა საათის განმავლობაში პაციენტის სიკვდილში ეჭვი არ მეპარება, თუ არა და, ექიმი პროკოპი არ ვყოფილვარო შემდეგ ვიზიტსა და პროგნოზში კიდევ ოცი ფრანკი გადაახდევინა, ბალდინის დაჰპირდა, ხუთ ფრანკს უკან დაგიბრუნებ, თუკი კლასიკური სიმპტომატიკის მქონე გვამს დამითმობ სადემონსტრაციო მიზნებისთვისო და გამოემშვიდობა.

ბალდინი გაგიჟებული იყო. სასოწარკვეთისაგან გოდებდა. საკუთარ ბედზე გამწარებით მოთქვამდა, ღრიალებდა, თითებს იკვნეტდა. მიზანთან ასე ახლო მისულს ისევ გაუცუდდა დიდი გეგმები. თავის დროზე ეს პელისიემ და მისმა ამქარმა მოახერხეს თავიანთი აურაცხელი გამოგონებებით. ახლა კი ამ ბიჭს თავისი უზღვავი სუნების ნაკრებით, ამ აუწონავ ოქროს, ამ პატარა საზიზღარს, მაინცდამაინც ახლა, საქმის აღმავლიობის ფაზაში მოუნდა სიფილისური ყვავილით ავად გახდომა, კიდევ ჩირქოვანი წითელათი და თანაც in stadio ultimo! მაინცდამაინც ახლა! რატომ ორ წელიზადში არა? ან

[3] In stadio ultimo – ბოლო სტადიაში (ლათ.)

ერთში? მანამდე მისი გამოცარიელება შეიძლებოდა როგორც ვერ-ცხლის საბადოსი, როგორც ოქროს ვირისა. ერთ წელინადმი შეეძლო მშვიდად მომკვდარიყო. მაგრამ არა! მაინცდამაინც ახლა მოუნდა ფეხების გაფშეკა, დასწყევლოს ღმერთმა, ორმოცდარვა საათში!

ბალდინიმ ერთი წამით ისიც კი იფიქრა, ნოტრ-დამში წავალ, ღვთისმშობელს სანთელს დავუნთებ და გრენუის გამოჯანმრთელე-ბას შევევედრებიო, მაგრამ დრო აღარ ითმენდა და გადაიფიქრა. მელანი და ფურცელი მოარბენინა და თავისი ცოლი ავადმყოფის ოთახიდან გააგდო, უთხრა, მე თვითონ ვუყარაულებო. შემდეგ სა-წოლთან სკამზე ჩამოჯდა, მუხლებზე ფურცლები დაიდო, მელანში ჩაწობილი კალამი მოიმარჯვა და გრენუისათვის პარფიუმერიული აღსარების ჩამორთმევას შეეცადა. ღვთის გულისათვის, უკანას-კნელ წუთებში ნუ გაჩუმდები, რომ თან არ წაიღო შენი განძი, ერთგულ ადამიანს ანდერძი უნდა დაუტოვო, რომ შთამომაელობას ყველა დროის საუკეთესო სურნელები არ დაეკარგოს! მე, ბალდინი, ამ ანდერძს საგულდაგულოდ მოვუვლი, ამ საუკეთესო სურნელთა ფორმულებს ერთგულად შევინახავ და მათ აღიარებას მივაღწევ, შენს სახელს უკვდაევყოფ და ყველა წმინდანის წინაშე ვფიცავ, რომ საუკეთესო სუნამოს მეფეს მივართმევ ოქროს ჭედურჩარ-ჩოიანი აქატის ფლაკონით ზედ ამოტვიფრული მიძღვნით „პარი-ზელი პარფიუმერის, ჟან-ბატისტ, გრენუისაგანო“ – მოუღალავად ეუბნებოდა ბალდინი, უფრო სწორად, შეთქმულივით ყურში ჩას-ჩურჩულებდა გრენუის, ხვეწნით, მომთაფლავად, მლიქვნელურად.

მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა. გრენუი არაფერს არ იძ-ლეოდა მოთეთრო ლორწოსა და სისხლიანი ჩირქის გარდა. უხმოდ იწვა დამასტის თეთრეულში და განძს ან რომელიმე სუნამოს თუნ-დაც პაწაწინა ფორმულას კი არა, ამ გულისამრევ სითხეს ანთხევ- და. ბალდინი მზად იყო მიეხრჩო, რაღაც ჩაერტყა, ცემით გამოე- ძალა მისი უძლური სხეულისაგან ძვირფასი საიდუმლოებები, რამე აზრი რომ ჰქონოდა... და თანაც ასეთი ხერხები მოყვასის ქრისტია- ნულ სიყვარულზე მისი წარმოდგენის ასე აშკარად საპირისპირო რომ არ ყოფილიყო.

და ასე, მთელ ღამეს ეხვეწებოდა ავადმყოფს, დამტკბარი ხმით ეჟლურტულებოდა, თავს ევლებოდა, დაჰფუსფუსებდა. ძალიან კი ეზიზღებოდა, მაგრამ ცივ ტილოებს ადებდა გაოფლილ შუბლსა და წყლულების გავარვარებულ ვულკანებზე და, იქნებ ალაპარაკდესო მთელ ღამეს კოვზით ღვინოს ასმევდა. ყველაფერი ამაო იყო,გარიჟ-რაჟზე დაქანცულმა ფარ-ხმალი დაყარა და ოთახის მეორე კუთხეში მდგარ სავარძელში ჩაეშვა. გაშტერებული იჯდა, გაცოფებული აღარ იყო, სასოწარკვეთა დაეუფლა, თვალს არ აშორებდა მომაკვდავი გრენუის პატარა სხეულს, რომლის არც გადარჩენა შეეძლო, არც გა-ძარცვა. მისგან აღარაფრის მიღება აღარ შეეძლო. მარტო უღონოდ უნდა ეცქირა მისი სიკვდილისთვის იმ კაპიტანივით, რომელსაც გემი ეძირება და მთელი მისი სიმდიდრე ფსკერისკენ მიექანება.

და უცებ მომაკვდავმა ტუჩები გახსნა და გარკვევით, მტკიცე ხმით, რომელშიც მოახლოებული აღსასრული თითქმის არ იგრძნო-ბოდა, წარმოთქვა:

– მითხარით, მეტრ, რომელიმე საგნიდან სურნელის მისაღე- ბად, დაწნეხისა და გამოხდის გარდა, რამე სხვა საშუალებებიც არ სებობს?

ბალდინიმ იფიქრა, ეს ხმა მომეჩვენა ან სულაც საიქიოდან მო-მესმაო და მექანიკურად უპასუხა:

– კი, არსებობს.

– რომელი?

კითხვა საწოლიდან მოისმა. ბალდინიმ დაღლილი თვალები გაახილა, გრენუი გაუნძრევლად ესვენა ბალიშებზე. ნუთუ გვამმა დაილაპარაკა?

– რომელი? – ისევ გაისმა შეკითხვა.

ბალდინიმ ამჯერად შეამჩნია გრენუის ტუჩების მოძრაობა. ახლა კი დამთავრდა, გაიფიქრა მან, ახლა ყველაფერი დამთავრდება, ბო-დავს ან აგონიაშიაო. წამოდგა, საწოლთან ახლოს მივიდა და ავადმყო-ფისაკენ დაიხარა. მას თვალები გაეხილა და ბალდინის ისეთივე უძ-რავი, დაძაბული მზერით უცქერდა, როგორც პირველი შეხვედრისას.

– რომელი? – ჰკითხა გრენუიმ.

ბალდინი გონს მოეგო და გაღიზიანება ჩაიხშო, მომაკვდავს ხომ არ გააწბილებდა და ამიტომ უპასუხა:

– სამი ასეთი მეთოდი არსებობს, შვილო ჩემო: enfleurage à chaud, enfleurage à froid და enfleurage à l'huille[4]. ესენი დისტილაციას ბევრი რამით სჯობია. ჟასმინის, ვარდისა და ფორთოხლის ყვავი- ლის საუკეთესო არომატის მისაღებად იყენებენ.

– სად? – ჰკითხა გრენუიმ.

– სამხრეთში, – უპასუხა ბალდინიმ, – უპირეელესად კი ქალაქ გრასში.

– კარგი, – თქვა გრენუიმ და თვალები დახუჭა.

ბალდინი ნელ-ნელა გაიმართა. ძალიან დამწუხრებული იყო. წამოკრიფა თავისი ფურცლები, ზედ ერთი სტრიქონიც რომ არ დაუწერია და სანთელს სული შეუბერა. გარეთ უკვე თენდებოდა. ფეხზე ძლივს იდგა. ალბათ მღედელი უნდა მოვიყვანოო, გაიფიქ- რა. შემდეგ მარჯვენა ხელით პირჯვარი ჩქარ-ჩქარა გადაიწერა და გარეთ გავიდა.

გრენუი კი სულაც არ მომკვდარა. მხოლოდ ღრმად ეძინა ზმა- ნებებში ჩაძირულს და თავის სითხეს უკანვე იწოვდა. კანზე ბუშ- ტუკებმა უკვე შეშრობა დაიწყო, ჩირქის კრატერებზე ფუფხი ეკ- ვრებოდა და წყლულები უხორცდებოდა. ერთ კვირაში გამოჯან- მრთელდა კიდეც.

21

მას მაშინვე უნდოდა სამხრეთში წასვლა, იქ, სადაც იმ ახალი ხერხების სწავლა შეიძლებოდა, რომელზეც მოხუცმა უამბო. მაგ- რამ ამაზე, რა თქმა უნდა, ოცნებაც კი ზედმეტი იყო. ის ხომ უბ- რალო შეგირდი იყო, ანუ არავის.

---

[4] enfleurage à chaud, enfleurage à froid და enfleurage à l'huille - ცხელი ანფლერაჟი, ცივი ანფლერაჟი და ზეთივანი ანფლერაჟი (ფრ.)

– მკაცრად რომ ვიმსჯელოთ, – აუხსნა მას ბალდინიმ მას შემდეგ, რაც გრენუის გამოჯანმრთელებით გამოწვეულმა პირველმა სიხარულმა გადაუარა, – უფრო ნაკლებიც კი ხარ, რადგან წესიერ შეგირდს უნდა ჰქონდეს უნაკლო წარმომავლობა, სახელდობრ, ჰყავდეს კანონიერად დაქორწინებული მშობლები, შესაბამისი ნათესაობა, რამე წოდება და ოსტატთან დადებული სასწავლო ხელშეკრულება. ეს ყველაფერი კი შენ არ გაგაჩნია. და თუკი ერთ მშვენიერ დღეს ქარგლად გახდომაში მაინც დაგეხმარები, მხოლოდ შენი არაჩვეულებრივი ნიჭის, მომავალში უნაკლო ქცევისა და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ჩემი დაუშრეტელი სიკეთის გამო თუ მოვიქცევი ასე. და ამაზე ვერასოდეს ვიტყოდი უარს, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად სწორედ ეს სიკეთე მღუპავს.

ამ პირობის შესრულებას დიდი ხანი, თითქმის სამი წელი დასჭირდა. ამასობაში ბალდინიმ გრენუის საშუალებით თავისი ამაღლებული ოცნებები აისრულა: დააარსა მანუფაქტურა სენტ-ანტუანის გარეუბანში, თავისი სუნამოებით მეფის კარის მენელსაცხებლე გახდა და სამეფო პრივილეგია მიიღო. მისმა დახვეწილმა სურნელოვანმა პროდუქტებმა ყველგან გაითქვა სახელი, პეტერბურგამდე, პალერმომდე და კოპენჰაგენამდეც კი მიაღწია. ერთ მუშკისსურნელიან სახეობაზე კონსტანტინოპოლშიც კი იყო წყვეტა. სადაც, ღმერთია მოწმე, ასეთები თავისიც თავზე საყარი აქვთ. ლონდონის სიტის ელეგანტურ კანტორებში ისევე ტრიალებდა ბალდინის სუნამოების სუნი, როგორც პარმის სამეფო კარზე, ვარშავის ციხესიმაგრეში კი ისევე, როგორც ლიპე-დეტმოლდელი გრაფების პაწაწინა სასახლეში. მას შემდეგ, რაც ბალდინი, ის იყო, იმ აზრს შეეგუა, სიბერეს მესინის ახლო სიღატაკეში გავატარებო, სამოცდაათი წლის ასაკში ევროპის უდავოდ უდიდეს პარფიუმერად და პარიზის ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ მოქალაქედ იქცა.

1756 წლის დასაწყისში – იმ დროისათვის მან ზარაფების ხიდზე, იქვე, კიდევ ერთი სახლი შეიძინა საცხოვრებლად, რად- განაც ძველი სხვადასხვა სურნელოვანი პროდუქტებით ჭერამდე იყო გამოტენილი – გრენუის განუცხადა, რომ თანახმა იყო, გაეშ-

ვა. ოღონდ სამი პირობით: პირველი, ბალდინის ჭერქვეშ შექმნილი სუნამოებიდან მომავალში არც ერთი არ უნდა დაემზადებდა და არც მათი ფორმულები გადაეცა მესამე პირისათეის; მეორე, პა- რიზი უნდა დაეტოვებინა და ვიდრე ბალდინი ცოცხალი იქნებოდა, უკან აღარ დაბრუნებულიყო; და მესამეც, პირველი ორი პირობის შესახებ არავისთვის არ უნდა ეთქვა. ეს ყველაფერი ყველაწმინდის, თავისი დედის საწყალი სულისა და საკუთარი ღირსების დაფი- ცებით უნდა დაემტკიცებინა. გრენუიმ, რომელსაც არც ღირსება გააჩნდა, არც წმინდანებისა სწამდა და მით უფრო არც თავისი დედის საწყალი სულისა, დაიფიცა. რასაც გინდა, იმას დაიფიცებ- და, ბალდინის ყველა პირობას დასთანხმდებოდა, ისე სჭირდებოდა შეგირდობის სიგელი, რომელიც შეუმჩნეელი ცხოვრების, დაუბ- რკოლებელი მოგზაურობისა და სამუშაოს შოვნის საშუალებას აძ- ლევდა. სხვა ყველაფერი სულერთი იყო, დიდი რამე! პარიზში აღარ ჩამოხვიდეო! რაში სჭირდება პარიზი. მას ხომ ბოლო აქოთებულ კუნჭულამდეც კი იცნობს, სადაც არ უნდა წავიდეს, მისი სუნი სულ თან დააქვს. უკვე რამდენი წელია, რაც პარიზს მთლიანად ფლობს. ბალდინის არც ერთი წარმატებული სუნამო არ გააკეთო, არც ერთი ფორმულა სხვას არ მისცეო! გეგონება, თუ მოინდომა, ათასობით ამისთანა და ამაზე უკეთეს სუნამოს ველარ გააკეთებს!

მაგრამ მას ხომ ეს არ უნდოდა! მას საერთოდ არ უნდოდა ბალდინის ან რომელიმე სხვა ჩვეეულებრიეი მენელსაცხებლისთვის კონკურენციის გაწევა. თავისი ოსტატობით დიდი ფულის კეთება არც უფიქრია. ამ ხელოვნების გამოყენებით თავის რჩენაც კი არ უნდოდა, თუკი თავს როგორმე სხვაგვარადაც გაიტანდა. საკუ- თარი შინაგანი სამყაროს გამოხატვა, თავისი „მეს“ გამომზეურება უნდოდა, რომელიც ბევრად უფრო ღირებულად მიაჩნდა, ვიდრე ყოველივე ის, რასაც გარე სამყარო სთავაზობდა. ამიტომ იყო, რომ ბალოდინის პირობები პირობებად არ მიაჩნდა.

გაზაფხულზე, მაისის ერთ დღეს, დილაადრიან დაადგა გზას. ბალდინისაგან მიიღო პატარა ზურგჩანთა, მეორე პერანგი, ერთი წყვილი წინდა, დიდი ძეხვი, ცხენის თოქალთო და 25 ფრანკი.

– ეს იმაზე გაცილებით მეტია, რის მოცემაც მევალება, – უთხრა ბალდინიმ, – თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩემთან მიღებულ საუკეთესო განათლებაში არაფერი გადაგიხდია. წესით, მარტო ორი ფრანკი უნდა მომეცა სამგზავროდ, მაგრამ საკუთარ სიკეთესა და სიმპათიას, ამ წლების მანძილზე გულში რომ დამიგროვდა შენდამი, ვერაფერს ვუხერხებ. წარმატებულ მგზავრობას გისურვებ და კიდევ ერთხელ შეგახსენებ დაჟინებით, რომ დადებული ფიცი არ დაივიწყო.

ამ სიტყვებით ბალდინიმ გრენუი მოსამსახურეების შემოსასვლელ კართან მიიყვანა, იქ, სადაც პირველად ნახა, და გაუშვა.

ხელი არ ჩამოურთმევია, მისი სიმპათია ასე დიდი არ იყო. არც მანამდე ჩამოურთმევია გრენუისათვის როდისმე ხელი. საერთო-დაც რაღაცნაირი მოწიწებული ზიზღის გამო ყოველთვის ერიდე- ბოდა მასთან შეხებას, თითქოს ეშინოდა, რამე არ გადამედოს, წავიბილწოო. მხოლოდ მოკლედ მოუჭრა „მშვიდობითო“, გრენუიმ კი თავი დაუქნია, მოხრილი შეტრიალდა და იქაურობას გაეცალა. ქუჩა უკაცრიელი იყო.

22

ბალდინი გაჰყურებდა, როგორ გადადიოდა კოჭლობ-კოჭლობით ხიდზე კუნძულისაკენ გრენუი – პატარა, მოხრილი, ზურგჩანთამოკიდებული, თითქოს კუზი აზისო. უკნიდან ბებერ კაცს ჰგავდა. გაღმა, პარლამენტის შენობასთან, პატარა ქუჩა რომ უხვევდა, ბალდინიმ გრენუი თვალთახედვიდან დაკარგა და შვებით ამოისუნთქა.

ეს ბიჭი არასოდეს არ მოსწონდა, არასოდეს. ახლა, როგორც იქნა შეიძლებოდა, თავის თავს გამოსტყდომოდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც მას თავის ჭერქვეშ იტანდა და ძარცვავდა, ვერ იყო მაინცდამაინც მოსვენებით. თავს იმ სპეტაკი ზნეობის ადამიანივით გრძნობდა, პირველად რომ ჩაიდენს რაღაც აკრძალულს და თამაშის წესებს არ დაიცავს. მართალია, გამოაშკარავების რისკი სულ ერთი

ბეწო იყო, წარმატების პერსპექტივა კი ძალიან დიდი ჰქონდა, მაგრამ ამას არანაკლები მღელვარება და სინდისის ქენჯნა სდევდა თან. მართლაც, ამ წლების მანძილზე დღე არ გასულა, უსიამოვნო ფიქ-რი არ აჰკვიატებოდა, რომ ოდესმე ამ კაცთან საქმის დაჭერისთვის რაღაცნაირად ზღვევა მოუწევდა. „ნეტა ჩაივლიდეს! – ეუბნებოდა შიშით თავის თავს, – ნეტა კი შემრჩებოდეს ამ თავზე ხელაღებული ავანტიურით მიღებული წარმატება, არ დავისჯებოდე და ძალიან ძვირად არ დამიჯდებოდესო! მართალია, რასაც ვაკეთებ, ცუდია, მაგრამ ღმერთი თვალს დახუჭავს. კი. ნამდვილად ეგრე იზამს! ჩემი ცხოვრების მანძილზე ღმერთს საკმაოდ ხშირად ჩავუგდივარ განსაცდელში სრულიად უმიზეზოდ, ამიტომ ახლა სამართლიანი იქნება, თუკი შემწყნარებლობას გამოიჩენს. და, საერთოდ, ვარ კი დამნაშავე, თუკი ეს საერთოდ დანაშაულია? დიდი-დიდი, იმაში, რომ ცოტათი დავარღვიე ამქრის წესდება და ერთი უბირის არაჩვეულებრივ ნიჭს ექსპლუატაციას ვუწევდი და მისი შესაძლებლობები ჩემად გავასაღე. დავუშვათ, ყველაზე მეტად იმაში, რომ ტრადიციული ხელოსნური სიკეთის გზიდან ცოტათი გადავუხვიე და დღეს სწორედ მე თვითონ ვაკეთებ იმას, რისთვისაც გუშინ სხვებს ვლანძღავდი. ეს არის დანაშაული? სხვები მთელი ცხოვრება ტყუიან, მე კი სულ რამდენიმე წელს ვითალლითე, ისიც მარტო იმიტომ, რომ შემთხვევით მომეცა ამის არნახული შესაძლებლობა. ან იქნებ შემთხვევით სულაც არ მომხდარა და თვით უფალმა გამომიგზავნა სახლში ეს ჯადოქარი, რომ პელისიესა და მისი თანამზრახველებისაგას მოყენებული დამცირება აენაზღაურებინა. ეგებ ღვთის განგება მე კი არა, პელისიეს დასჯის? სავსებით, სავსებით შესაძლებელია. აბა მეტი რითღა უნდა დაესაჯა ღმერთს პელისიე, თუ არა ჩემი განდიდებით? ესე იგი, ჩემი ბედნიერება ღვთის სამართლის გამოხატულებაა. ასე რომ, მარტო უფლება კი არა მაქვს, არამედ ვალდებულიც ვარ, მივიღო ის, როგორც ასეთი, ყოველგვარი სირცხყილისა და სიხასულის გარეშე...

ასე ფიქრობდა ხოლმე ბალდინი ამ წლებში დილაობით, ვიწრო კიბეს რომ ჩაუყვებოდა მაღაზიისაკენ და საღამოს, მთელი დღის ნავაჭრით ხელში ზემოთ რომ ავიდოდა და ცეცხლგამძლე კარადაში

ოქროსა და ვერცხლის მძიმე მონეტებს გადაითვლიდა, ღამ-ღამობით კი თავისი მხვრინავი ცოლის ჩონჩხის გვერდით იწვა და ბედნიერების გამო შიშით ვერ ახერხებდა დაძინებას.

მაგრამ ახლა, როგორც იქნა, ეს შავი ფიქრები წარსულის, ბაბარდა. საშინელი სტუმარი წავიდა და აღარასოდეს აღარ დაბრუნდება. სიმდიდრე კი დარჩა და მომავალი კეთილდღეობა უზრუნველყოფილია. ბალდინიმ ხელი მკერდზე მიიდო და სერთუკის ქსოვილის ქვეშ წიგნაკი მოისინჯა. შიგ ექვსასი ფორმულა ეწერა, იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე ოდესმე პარფიუმერთა მთელი თაობები შეძლებდნენ მათ ნელსაცხებლებად ქცევას. ახლა ყველაფერი რომ დაეკარგა კიდეც, მარტო ამ საოცარი წიგნით შეეძლო ერთ წელიწადში ისევ მდიდარ კაცად ქცევა. მეტი რაღა უნდა მოეთხოვა, მართლა და მართლა!

დილის მზე მოპირდაპირე სახლების კრამიტის სახურავებზე ირეკლებოდა და ბალდინის სახეზე თბილი ყვითელი სინათლე ეცემოდა. ისევ სამხრეთისაკენ, პარლამენტის სასახლისაკენ მიმავალ ქუჩას გაჰყურებდა – უბრალოდ სიამოვნებდა, რომ გრენუი გაქრა და აღარ ჩანდა! მოზღვავებული მადლიერებისგან გადაწყვიტა, დღესვე გადასულიყო მდინარის გადაღმა ნოტრ-დამში, ოქროს მო- ნეტა შეეწირა, სამი სანთელი დაენთო და მუხლებზე დამხობილს მადლობა მოეხსენებინა უფლისათვის, ამხელა ბედნიერება რომ არგუნა, თანაც შურისგების გარეშე.

მაგრამ, სამწუხაროდ, ისევ რაღაც სისულელემ შეუშალა ხელი. და როცა უკვე, როგორც იქნა, ნაშუადღევს ეკლესიაში წასასვლელად ემზადებოდა, უცბად ხმა გავარდა, ინგლისელებმა ფრანგებს ომი გამოუცხადესო. მართალია, ამას თავისთავად არ შეუშინებია, მაგრამ რადგანაც სწორედ იმ დღეებში აპირებდა სუნამოების პარტიის ლონდონში გაგზავნას, ამიტომ სოტრ-დამში წასვლა გადადო და ამბების გასაგებად ქალაქში წავიდა, შემდეგ კი გარეუბან სენტ-ანტუანში თავისი მანუფაქტურისაკენ გაემართა, რომ ტვირთის გაგზავნა შეეჩერებინა. ღამე ლოგინში ძილის წინ გენიალური აზრი მოუვიდა: ახალი სამყაროს კოლონიებისათვის ატეხილ მოსა-

ლოდწელ საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით მოდაში შემოეღო ახალი სუნამო სახელწოდებით „კვებეკის პრესტიჟი“ – მომწარო ფისოვან-პეროიკული სურნელი, რომლის წარმატებაც – ის ამაში დარწმუნებული იყო – ინგლისთან გარიგების ჩაშლის შემთხვევაში ზარალს აუნაზღაურებდა. ბალიშზე მსუბუქად მისვენებულ ბებერ სულელ თავში მომწიფებული ამ ტკბილი აზრითა და ბალიშქვეშ ამოდებული წიგნის კონტურების შეგრძნებით კმაყოფილ ოსტატ ბალდინის ჩაეძინა და აღარც არასოდეს გამოუღვიძია.

საქმე ის არის, რომ ღამე მოხდა პატარა კატასტროფა, რომელმაც განაპირობა მეფის ბრძანების გაცემა სათანადო დროის გასვლის შემდეგ ქალაქ პარიზის ყველა ხიდზე თანდათანობით ყველა სახლის აღების შესახებ. ზარაფების ხიდი დასავლეთის მხარეს მეორე და მესამე ბურჯს შუა სრულიად უმიზეზოდ ჩაინგრა. ორი სახლი მთლიანად ჩავარდა მდინარეში, ისე სწრაფად და მოულოდნელად, რომ მცხოვრებთაგან ვერავინ გადაარჩინეს. საბედნიეროდ, მხოლოდ ორი ადამიანი დაიღუპა, კერძოდ კი, ჯუზეჰე ბალდინი და მისი ცოლი ტერეზა. მოსამსახურეები, ვინ დაუკითხავად და ვინ ნებართვით, ღამე შინ არ იყვნენ. შენიემ, რომელიც დილით ადრე სახლში ოდნავ ნასვამი დაბრუნდა – უფრო სწორად კი, დაბრუნება უნდოდა, რადგან სახლი აღარ იყო – ნერვული შოკი მიიღო. ის ოცდაათ წელს ოცნებობდა, უშვილძირო და უნათესავო ბალდინი თავის ანდერძში მემკვიდრედ დამასახელებსო. ახლა კი ერთბაშად ყველაფერი მთლიანად გაქრა – მთელი მემკვიდრეობა, ყველაფერი: სახლი, მაღაზია, ნედლეული, სახელოსნო, თვით ბალდინი, ანდერძიც კი, რომელშიც ალბათ მანუფაქტურის საკუთრების საკითხიც იქნებოდა!

ვერაფრის პოვნა ვერ მოხერხდა – ვერც გვამების, ვერც ფულით სავსე ცეცხლგამძლე კარადის, ვერც ექვსასფორმულიანი წიგნისა. ერთადერთი, რაც ჯუსებე ბალდინის, ევროპის უდიდესი პარფიუმერისაგან დარჩა, იყო მუშკის, დარიჩინის, ძმრის, ლავანდისა და ათასობით სხვა ნივთიერების შერეული სურნელი, რომელიც კიდევ რამდენიმე კვირის განმავლობაში მისდევდა სენის დინებას პარიზიდან ჰავრამდე.

ნაწილი მეორე

23

ბალდინის სახლი რომ ჩაინგრა, იმ დროს გრენუი ორლეანისაკენ მიმავალ გზას ადგა. რაც დიდი ქალაქის ანაორთქლის, რკალს გასცდა, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე უფრო და უფრო გრძნობდა, რომ ჰაერი წმინდა, გრილი და კრიალა ხდებოდა და თანაბრად თხელდებოდა. ყოველ მეტრში ასობით და ათასობით სხვადასხვა სუნი ისეთი საშინელი სისწრაფით აღარ ცვლიდა ერთმანეთს. მიწის ზევით სულ უფრო და უფრო ნაკლები სუნი ტრიალებდა – შარაგზის, მტვრის, მინდვრების, მდელოების, ნიადაგის, მცენარეების და წყლისა. ის გარემოს გრძელ ტილოსავით მისდევდა, ნელ-ნელა იბერებოდა, ფრიალებდა და მოულოდნელად არსად არ წყდებოდა.

გრენუი ამ სოფლურ უბრალოებას გათავისუფლებად აღიქვამდა. მის ყნოსვას ელამუნებოდა ეს უშფოთველი სურნელი. პირველად თავის სიცოცხლეში არ უნდა ეკონტროლებინა ყოველი ჩასუნთქვა, რომ რამე ახალი, მოულოდნელი, მტრული არ შეეყნოსა ან სასიამოვნო არ გაეშვა ხელიდან. პირველად შეძლო, თითქმის თავისუფლად ესუნთქა და ყოველ წუთს ჩასაფრებული არ ყოფილიყო. „თითქმისო“, ვამბობთ, თორემ სისამდვილეში მართლა თავისუფლად გრენუის ცხვირში არაფერი არ შედიოდა. სულ არა- ნაირი საბაბიც რომ არ ჰქონოდა, მაინც არასოდეს არ კარგავდა ინსტინქტურ თავშეკავებას იმის მიმართ, რაც გარედან მოდიოდა და იძულებული იყო, რომ თავის შიგნით შეეშვა. მთელი ცხოვრება,

იმ იშვიათ მომენტებშიც კი, როცა კმაყოფილებას ან იქნებ ბედნიერებასაც კი გრძნობდა, ჰაერს მაინც უფრო მეტად ამოისუნთქავდა ხოლმე, ვიდრე ჩაისუნთქავდა. თავისი სიცოცხლეც ხომ იმედით აღსავსე ჩასუნთქვით კი არა, მომაკვდინებელი ტირილით დაიწყო. ვაგრამ ამ დაბრკოლების მიუხედაეად, რაც მისი ბუნების არსი იყო, გრენუი გრძნობდა, რომ, რაც უფრო შორდებოდა პარიზს, მით უკეთ გრძნობდა თავს, უფრო ადვილად სუნთქავდა, უფრო მსუ- ბუქი ნაბიჯით მიდიოდა და ხანდახან მხრებშიც კი იმართებოდა. ამ დროს შორიდან რომ შეგეხედა, უბრალო ხელოსნის შეგირდს, ანუ ჩვეულებრივ ადამიანს ჰგავდა.

ყველაზე მეტად ადამიანებისგან მოშორებამ გაათავისუფლა. პარიზში ხალხი მსოფლიოში ყველაზე მჭიდროდ ცხოვრობდა. პარიზის მოსახლეობა ექვსასი, შვიდასი ათასი კაცი იქნებოდა. ქუჩებსა და მოედნებზე ხალხი რუზრუზებდა, სახლები სარდაფებიდან სახურავებამდე იყო გაჭედილი. პარიზში არ იყო არც ერთი კუთხე, არც ერთი ქვა, მიწის არც ერთი მტკაველი, რომელსაც ადამიანების სუნი არ უდიოდა.

ქალაქს რომ დაშორდა, გრენუი მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ თვრამეტ, წელიწადს სწორედ ადამიანების მასა აწვებოდა ჭექა-ქუხილის წინ ჩახუთული ჰაერივით. აქამდე ეგონა, რომ მთელი სამყარო საერთოდ ასეთი იყო, მისგან უნდა დაეცვა თავი და საკუთარ ნაჭუჭში ჩაკერილიყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თურმე ეს სამყარო კი არა, ადამიანები ყოფილან. ახლა კი მოეჩვენა, რომ სამყაროში – იქ, სადაც ადამიანი არ იყო – არსებობა შეიძლებოდა.

მოგზაურობის მესამე დღეს ის ორლეანის სუნების სამყაროს მიზიდულობის ველში იმაზე ბევრად ადრე მივიდა, ვიდრე ახლომახლო დიდი ქალაქის არსებობის თვალსაჩისო ნიშნები გაჩნდებოდა. გრენუიმ ჰაერში ადამიანური ელემესტების მატება იგრძნო და გადაწყვიტა, თავისი თავდაპირველი ჩანაფიქრის მიუხედავად, ორლეასნისათვის გვერდი აექცია. არ უნდოდა, ასე მალე დაეკარგა ახლად მოპოვებუელი სუნთქვის თავისუფლება და ხელახლა ჩაძირულიყო ადამიანური გარემოს სიმყრალეში. ქალაქს კარგა მოშო-

რებით აუარა გვერდი, გასცდა. შატონეფთან ლუარას მიადგა და სიულისთან მდინარეზე გადავიდა. ძეხვი სიულიმდე ეყო. იქ ახალი ძეხვი იყიდა, შემდეგ მდინარის კალაპოტს მოშორდა და ქვეყნის სიღრმისაკენ გაემართა.

ის ახლა მარტო ქალაქებს კი არა, სოფლებსაც ერიდებოდა. ამ სულ უფრო და უფრო კრიალა, ადამიანების სუნისაგან თავისუფალმა ჰაერმა თითქოს დაათრო. მარტო საჭმლის საყიდლად თუ მოუახლოვდებოდა რომელიმე დასახლებას ან განცალკევებულ ეზოს, იყიდდა პურს და ისევ ტყეს მისცემდა თავს. რამდენიმე კვირაში სოფლის თემშარებზე თითო-ოროლა მგზავრის შეხვედრაც კი აღარ სიამოვნებდა, ვეღარც კანტიკუნტად გამკრთალ გლეხების სუნს იტანდა, მინდორში ახალამოწვერილ ბალახს რომ თიბავდნენ შიშით არიდებდა თავს ყოველ ცხვრის ფარას – ცხერების, გამო კი არა, მეცხვარეების სუნი რომ არ შეეგრძნო. გზის განურჩევლად პირდაპირ მინდვრებს გადაკვეთდა ხოლმე, გზას მრავალი მილით დაიგრძელებდა, თუკი რამდენიმე საათის სავალით დაშორებული ესკადრონის მოახლოებას იგრძნობდა... იმიტომ კი არა, რომ სხვა შეგირდებივით და მაწანწალებივით ეშინოდა, ვაითუ გამაჩერონ, საბუთები მომთხოვონ და ჯარში მიკრან თავიო – ისიც არ იცოდა, ომი თუ იყო, – არამედ მარტო იმიტომ, რომ მხედრების სუნი ეზიზღებოდა. ასე რომ, მისი სასწრაფოდ გრასში წასვლის გეკძა თავისთავად გაუფერულდა. ეს გეგმა, ასე ვთქვათ, თავისუფლებაშა გაქრა, როგორც სხეა გეგმები და მიზნები. გრენუის აღარსად აღარ უნდოდა წასვლა, მარტო შორს, ადამიანებისაგან ძალიან მოროს.

ბოლოს მარტო ღამღამობით აგრძელებდა გზას. დღისით სად- მე ბუჩქნარში ეძინა, რაც შეიძლება მიუვალ ადგილებში. ცხოველი- ვით მოიკუნტებოდა, თავფეხიანად ცხენის მინისფერ თოქალთოში გაეხვეოდა, ცხვირს მოხრილ იდაყვში ჩარგაედა და მიწისაკეს ბრუნ- დებოდა, რომ რომელიმე უცხო სუნს მისი ზმანებებისთვის ხელი არ შეეშალა. მზის ჩასვლისას გაიღვიძებდა, ყველა მიმართულებით მიყნოს-მოყნოსავდა ჰაერს და მხოლოდ მაშინ, როცა დარწმუნდე- ბოდა, უკანასკნელმა გლეხმაც კი დატოვა მინდორი და ყველაზე

მამაცმა მგზაერმაც კი სადღაც შეაფარა თავიო,მხოლოდ მაშინ, როცა ღამე თაეისი მოჩვენებითი საფრთხეებით ქეეყანას ადამიანენასაგან გაათავისუფლებდა, გამოძვრებოდა ხოლმე თავისი სამალავიდან და მოგზაურობას გააგრძელებდა. რამის დასანახად სინათლე არ სჭირდებოდა. ადრეც, დღისით რომ დადიოდა, თვალებს ხუჭავდა და გზას მხოლოდ ყნოსვა-ყნოსვით მიიკვლევდა. ბუნების ნათელი სურათი, დამაბრმავებელი, უცაბედი და მკვეთრი მზერა ტკივილს აყენებდა: მარტო მთვარის შუქი მოსწონდა. მთვარის შუქი უფერო იყო და სულ ოდნავ აჩენდა მიდამოს კონტურებს, ქვეყანას ჭუჭყიანი რუხი ფერით ეფინებოდა და სიცოცხლეს ერთი ღამით ახრჩობდა. ეს იყო თითქოსდა თუჯისაგან ჩამოსხმული სამყარო, რომელშიც არაფერი იძვროდა, გარდა ქარისა, რომელიც ხანდახან ჩრდილოეთიდან აცხრებოდა რუხ ტყეებს, სამყარო, რომელშიც მიწის სუნების გარდა ყველაფერი მკვდარი იყო. გრენუი მხოლოდ მას აღიარებდა, იმიტომ, რომ მისი სულის სამყაროს ჰგავდა.

ასე მიემართებოდა სამხრეთისაკენ დაახლოებით სამხრეთისაკენ, რადგანაც მაგნიტურს კი არა, თავისი ცხვირის კომპასს მისდევდა. ეს კომპასი საშუალებას აძლეედა, გვერდი აევლო ყოველი ქალაქის, სოფლისა და დასახლებისათვის. კვირები ისე გავიდოდა, ერთი სულიერიც არ შეხვდებოდა. სიამოვნებით დაიჯერებდა, რომ ამ ბნელ, მთვარის ცივი შუქით განათებულ სამყაროში მარტოდ- მარტო იყო, მის ზუსტ კომპასს რომ არ ეკარხახა, უკეთესი რამეც არსებობსო.

სამყაროში ღამეც იყვნენ ადამიანები. ყველაზე მიყოუებულ ადგილებშიც კი. მაგრამ ისისი ვირთხებივით შეყუჟულიყვნენ თავთავიანთ სოროებში და ეძინათ. მიწა მათგან თავისუფალი არ იყო, ძილშიც კი გამოსცემდნენ თავიანთ სუნებს, რომლებიც ღია ფანჯრებიდან, მათი საცხოვრისის ნაპრალებიდან გამოდიოდა და თითქოსდა ბედის ანაბარა დარჩენილ ბუნებას წამლავდა. რაც უფრო მეტად ეჩვეოდა გრენუი სუფთა ჰაერს, მით უფრო აწუხებდა ადამიანის სუნი, რომელიც უცებ. სრულიად მოულოდსელად, ღამით შემოფრიალდებოდა ხოლმე, ისეთივე საზიზღარი, როგორც საქონ-

ლის სიმყრალე და მწყემსის ბინის, მაღაროელის ქოხის ან ყაჩაღის ბუნაგის იქ ყოფნაზე მიუთითებდა. გრენუი მათ გაურბოდა და სულ უფრო მგრძნობიარედ რეაგირებდა გაიშეიათებულ ადამიანურ სუნზე. ის თავის ცხვირს ქვეყნის სულ უფრო და უფრო უკაცრიელი ადგილებისაკენ მიჰყავდა, სულ უფრო აშორებდა ადამიანებს და უმაღლესი მარტოობის მაგნიტური პოლუსისაკენ მიერეკებოდა.

24

ეს პოლუსი, ანუ მთელ სამეფოში ადამიანებისაგან ყველაზე დაშორებული წერტილი, ოვერნის ცენტრალურ მასივში, კლერ-მონიდან დაახლოებით ოთხი-ხუთი დღის სავალზე, ორი ათსი მეტრის სიმაღლეზე აღმართული პლონ-დიუ-კანტალის ვულკანის მწვერვალზე მდებარეობდა.

ეს კონუსივით მთა უზარმაზარი რუხი ქანებისაგან შედგებო- და, გარს ეკრა უკიდეგანო, მოტიტვლებული, მხოლოდ რუხი ხავსით და რუხი ბუჩქნარით დაფარული ზეგნები, რომლებზეც აქა-იქ დამპალი კბილებივით ამოშვერილიყო ყავისფერი კლდის წვეტები და ცეცხლისაგან დანახშირებული რამდენიმე ხე იდგა. აქაურობა ყველაზე ნათელ დღეებშიც კი ისე უსიცოცხლო და უიმედო ჩანდა, რომ ამ ისედაც ღარიბი პროვინციის უღარიბესი მწყემსიც კი არ ამორეკავდა აქ ცხვრის ფარას. მაგრამ ღამით, მთვარის შუქზე, ეს ღვთისაგან მიტოვებული ადგილი არაამქვეყნიურს ჰგავდა. თვით ოვერნელმა ყაჩაღმა ლებრენმა, რომელსაც ყველგან დაეძებდნენ, არჩია, სევენში გაეკვლია გზა, იქ დაეჭირათ და ოთხად გაეჭრათ, ვიდრე პლონ-დიუ-კანტალში დამალულიყო, სადაც მას, მართალია, ვერ იპოვიდნენ, მაგრამ იქ სამუდამო მარტოობაში მოკვდებოდა და ეს კიდეე უფრო დიდი საშინელება იყო. მთის ირგვლივ ძალიან დიდ მანძილზე არავინ ცხოვრობდა, არც ადამიანი, არც თბილსისხლიანი ცხოველი, მხოლოდ რამდენიმე ღამურა და გველგესლა იყო. ათეულობით წლის განმავლობაში ამ მწვერვალზე არავინ ასულა.

გრენუიმ მთას 1756 წლის აგვისტოს ერთ ღამეს მიაღწია. გამთენიისას მწვერვალზე იდგა. ჯერ არ იცოდა, რომ მისი მოგზაურობა აქ დასრულდა. ეგონა, რომ ეს ერთ-ერთი ეტაპი იყო იმ გზისა, რომელსაც სულ უფრო და უფრო სუფთა ჰაერისაკენ მიჰყავდა. აქეთ-იქით ტრიალებდა და ცხვირით ჩხრეკდა ვულკანური უდაბ- ნოს შთამბეჭდავ ჰანორამას: აღმოსავლეთს, სადაც სენ-ფლურის ზეგანი და მდინარე რიუ იყო დაჭაობებული ნაპირებით; ჩრდი- ლოეთს, საიდანაც ძალიან დიდხანს მოაბიჯებდა კარსტით დახ- რულ ქედებზე; დასავლეთს, საიდანაც დილის სუსტ ნიავს ქვისა და ხეშეში ბალახის სუნის გარდა არაფერი მოჰქონდა; დაბოლოს, სამხრეთს, სადაც პლონ-დიუ-კანტალის ფერდობები მილებზე იყო გადაჭიმული ტრიუიერის ბნელ ხევებამდე. ყველგან, ყოველი მი- მართულებით ერთნაირად იგრძნობოდა, რომ ადამიანები ძალიან შორს იყვნენ. ამავე დროს ყოველი ნაბიჯის გადადგმა ისევ ადამია- ნებთან მიაახლოებდა. კომპასის ისარი დაბზრიალდა. ის მიმართუ- ლებას აღარ უჩვენებდა. გრენუიმ მიზანს მიაღწია. მაგრამ გაება.

მზე რომ ამოვიდა, ისევ იმ ადგილას იდგა და ჰაერს იყნოსავ- და. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ცდილობდა, ის მხარეც გამოეცნო, საიდანაც შეიძლება ადამიანის სუნი წამოსულიყო და საპირისპი- როც, საითაც გაქცევას შეძლებდა. ელოდა, რომ ადამიანის სუნის ფრაგმენტი მაინც ეცემოდა, მაგრამ ვერაფერს გრძნობდა. აქ მარ- ტო სიწყნარე იყო, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ – სუნების სიწყნა- რე, გარშემო მხოლოდ მკვდარი ქვების, რუხი მცოცავი მცენარეე- ბისა და ხმელი ბალახის ჩუმი ფაჩუნივით ერთგეაროვანი ქროლვა სუფევდა. სხვა არაფერი.

გრენუის კარგა ხანი დასჭირდა დასარსმუნებლად, რომ აქ ადამიანის სუნი არ იყო. ამ ბედნიერებისათვის მზად არ იყო, დიდ- ხანს არ ენდობოდა საღ აზრს, როცა მზე ამოვიდა, მხედველობაც კი მოიშველია და ჰორიზონტზე თვალით დაუწყო ადამიანების არ- სებობის დამადასტურებელ ნიშან-კვალს ძებნა: ქოხის სახურავს, კვამლს, ღობეს, ხიდს, ცხვრის ფარას. ხელები ყურებთან მიიტა- ნა და მიაყურადა, რომ ცელის წკრიალი, ძაღლის ყეფა ან ბავ-

შვის ტირილი გაეგო. მთელი დღე გაატარა პლონ-დიუ-კანტოლის მწვერვალზე მცხუნვარე მზის ქვეშ და ამაოდ ელოდა სულ მცირე ნიშანს მაინც. მარტო მზის ჩასვლისასღა გაუქრა უნდობლიობა და ის თანდათან მომძლავრებულმა ეიფორიის გრძნობამ შეცვალა. სა- ზიზღარ სიმყრალეს გაექცა! ის მართლაც მარტოდმარტო იყო! ის ერთადერთი ადამიანი იყო მთელ სამყაროში!

საოცარი აღტაცება დაეუფლა. როგორც დაღუპული გემიდან გადარჩენილი ადამიანი კვირების მანძილზე ზღვაზე ხეტიალის მერე მიესალმება ადამიანებით დასახლებულ კუნძულს, სწორედ ასე ზეიმობდა გრენუი მარტოობის მთაზე მოხვედრას. ბედნიერებისაგან ყვიროდა. ზურგჩანთა, ცხენის თოქალთო და ჯოხი მოისროლა მიწაზე ფეხებს აბაკუნებდა, ხელებს მაღლა სწევდა, წრეებს უვლიდა, ოთხივ კუთხივ გაჰყვიროდა თავის სახელს, გამარჯვებით, უღერებდა შეკრულ მუშტებს ქვევით მთელ ქvეყანას და ჩამავალ მზეს, თანაც ისეთი აღტაცებით, თითქოს თvითონ განედევნოს მზე ციდან. გიჟივით იქცეოდა. ასე გაგრძელდა გვიან ღამემდე.

25

მომდევნო დღეებში გრენუი მთაზე დაფუძნდა. გადაწყვიტა, რომ ამ დალოცვილი ადგილიდან დიდხანს აღარ წასულიყო. პირ- ველ რიგში ყნოსვით მიაგნო წყალს, მწვერვალის ცოტა დაბლა, პა- ტარა ნაპრალში კლდეზე თხელ ფენად რომ ჩამოედინებოდა. წყალი ბევრი არ იყო, მაგრამ ერთ საათს მოთმინებით რომ ელოდე ერთი დღით წყურვილს მოიკლავდა. საკვებიც იპოვა – პატარ-პატაოა სალამანდრები და გველები, რომლებსაც თავებს წააწყვეტდა და მერე კანიან-ძვლიანად სანსლავდა ხოლმე და ზედ ლიქენს, ბალახ- სა და შტოშს აყოლებდა. ეს ყველაფერი, ჩვენი გაგებით, არ იჭმება, მაგრამ იმას სულ არ ენაღვლებოდა, ბოლო თვეების მანძილზე აღარაფერი ეჭამა ადამიანის ხელით გაკეთებული: პური, ძეხვი ან ყველი. როცა მოშივდებოდა, ყველაფერს ჭამდა, რაც საჭმელად

ასე თუ ისე ვარგისი იყო. გურმანი ნამდვილად არ გახლდათ. საერთოდაც ტკბობისა არაფერი გაეგებოდა, სუფთა, უსხეულო სუნით ტკბობის გარდა. არც კომფორტისა იცოდა რამე, მარტო ქვაც ეყოფოდა სასთუმლად. მაგრამ უფრო კარგ რამეს გადააწყდა.

წყლის ახლოს გამოქვაბულს მიაგნო, რომელიც უამრავი მისახვევ-მოსახვევით მთის სიღრმეში იყო შეჭრილი და დაახლოებით 30 მეტრში ჩამოშლილი ქვებით მთავრდებოდა. იქ, გამოქვაბულის ბოლოს ისეთი სივიწროვე იყო, რომ გრენუი მხრებით ქვებს ედებოდა, თანაც ისეთი დაბალი იყო, რომ მარტო მოხრილი თუ იდგებო- და. მაგრამ ჯდომა შეიძლებოდა და, თუ მოიკუნტებოდა, – წოლაც. მისეული კომფორტისათვის კმაროდა. ამ ადგილს მის თვალში ფასდაუდებელი უპირატესობები ჰქონდა: გვირაბის ბოლოს დღისითაც კი უკუნი სიბნელე იყო, სამარისებური სიჩუმე სუფევდა და ნესტიანი, გრილი. მომლაშო ჰაერი ტრიალებდა. გრენუიმ მაშინვე იგრძნო ყნოსვით, რომ აქ დღემდე არც ერთ სულდგმულს არ შემოეღწია. იქაურობას მთლიანად რომ დაეუფლა, რაღაცნაირი წმინდა მოწიწების გრძნობამ შეიპყრო. ისე საგულდაგულოდ გაშალა თავისი თოქალთო, თითქოს საკურთხეველს აფარებსო და ზედ დაწვა. ზეციურ ნეტარებას გრძნობდა. საფრანგეთის ყველაზე ეული მთის გულში იწვა, როგორც საკუთარ სამარეში, მიწის ქვეშ 50 მეტრის სიღრმეში. ალბათ დედის მუცელში თუ გრძნობდა თავს ასე დაცულად. გარეთ სამყარო კიდეც რომ გადაბუგულიყო, ვერაფერს გაიგებდა, ჩუმად ატირდა. არ იცოდა, ვისთვის გადაეხადა მადლობა ამხელა ბედნიერების მონიჭებისათვის.

მომდევნო დღეებში გრენუი გარეთ მარტო იმისათვის გამოდიოდა, რომ წყალი აელოკა, მოესაქმებისა და ხვლიკებზე და გველებზე ენადირა. მათი დაჭერა ღამღამობით უფრო ადვილი იყო, რადგან ქვებსა და პატარა სოროებში დამალულებს ყნოსვით ადვილად აგნებდა.

მწვერვალზე პირველ კვირებში რამდენჯერმე კიდევ ავიდა, რომ ჰორიზონტი ყნოსვით გადაეჩხრიკა. მაგრამ მალე ეს უსარგებ- ღო ჩვევად უფრო ექცა, ვიდრე აუცილებლობად. საფრთხე არა-

სოდეს არ შეუყნოსავს. ასე რომ, ეს ექსკურსიები შეწყვიტა, ისე- დაც ერთი სული ჰქონდა ხოლმე, რომ დროზე მოეთავებინა სასი-ცოცხლოდ აუცილებელი საქმეები და ისევ თავის აკლდამაში დაბ-რუნებულიყო. ის აქ, ამ აკლდამაში ცხოვრობდა. უფრო სწორ კი, დღეში ოც საათზე მეტხანს სრულ სიბნელეში, სრულ სიჩუმეში, სრულიად გაუნძრევლად იჯდა თოქალთოზე ქვის დერეფნის ბო-ლოს, ზურგით ქანების ნაშალს ეყრდნობოდა და, კლდეებს შორის მხრებით ჩაჭედილი, საკუთარი თავით კმაყოფილდებოდა.

ცნობილია, რომ არსებობენ ადამიანები, მარტოობას რომ ეძე-ბენ: მონანიე ცოდვილები, ხელმოცარულები, წმინდანები და წინას-ნარმეტყველები. ისინი ძირითადად უდაბნოში მიდიან, იქ კალიები-თა და ველური თაფლით იკვებებიან. ზოგი უკაცრიელ კუნძულზე გამოქვაბულებსა და სენაკებში ცხოვრობს ან ცოტა იპრანჭება: ის ტოტებზე დაკიდებულ ან ბოძებზე დამაგრებულ გალიებში იკეტე- ბა. ისინი ამას ღმერთთან მისაახლოებლად აკეთებენ. ხორცს მარ-ტოობით იგვემენ და ცოდვებს ასე ინანიებენ. სწამთ, რომ ღვთის მოსაწონად ცხოვრობენ. ანდა თვეობითა და წლობით ელიან მარ-ტოობაში ღვთიურ გამოცხადებას, რასაც მერე სასწრაფოდ ადამია-ნებს აუწყებენ.

გრენუის ეს არ ეხებოდა. ღმერთთან მას არანაირი კავშირი არ ჰქონდა – არც ინანიებდა რამეს და არც ღვთიურ გამოცხადებას ელოდა. სიმარტოვე მარტო თავისთვის უნდოდა, უნდოდა, რომ სა-კუთარ თავთან ყოფილიყო ახლოს. თითქოს საკუთარ არსებობაში ბანაობდა და ყურადღებას არაფერი უფანტავდა. დიდებული რამე იყო. გვამივით იდო კლდოვან სამარეში, თითქმის არც კი სუნ-თქავდა, გულიც ოდნავღა უცემდა – და მაინც ისე სრულად და აღვირახსნილად ცხოვრობდა, როგორც არც ერთი, სიცოცხლისა და ამქვეყნიურ სიამეთა მოყვარული ადამიანი დედამისის ზურგზე.

ამ გარყვნილების ადგილი იყო – აბა სხვა რა უნდა ყოფილიყო – მისი შინაგანი იმპერია, სადაც ის გაჩენის დღიდან ყველა იმ სუნის კონტურს ინახავდა, რომელსაც ოდესმე შეხვედრია. ხასიათზე მოსასვლელად ჯერ ადრინდელებს, შორს გადანახულ სუნებს იხსენებდა: მადამ გაიარის საძინებელი ოთახის მტრულ, ჩახუთულ ჰაერს, მისი გამომშრალი ხელების ცუდ სუნს, პატერ ტერიეს ძმარივით მჟავე სუნთქვას, ძიძა ბიუსის ისტერიულ, ცხელ დედობრივ ოფლს. „უმანკოთა სასაფლაოს“ გვამების სიმყრალეს, მკვლელი დედის სუნს. ზიზღითა და სიძულვილით ტკბებოდა და ავხორცული ძრწოლისაგან თმა ყალყზე უდგებოდა.

ხანდახან, თუ ამ საზიზღრობების აპერიტივი ჯეროვნად ვერ აღაგზნებდა, თავს უფლებას აძლევდა, ახლა გრიმალისაკენ გადაენაცვლებინა და დამპალხორცშერჩენილი ნედლი ტყავების გულისამრევი სუნი ან სათრიმლავი ნარევების სიმყრალე გაესინჯა. ანდა შუა ზაფხულის ჩახუთულ, ტყვიასავით ჩამოწოლილ სიცხეში ერთბაშად ექვსასი ათასი პარიზელის სიმყრალეს წარმოიდგენდა ხოლმე.

და მაშინ უცებ ორგიასტული სიმძლავრით გადმოსკდებოდა დაგროვილი სიძულვილი – ამ სავარჯიშოს მიზანიც ხომ ეს იყო! – ჭექა-ქუხილივით გადაუვლიდა იმ სუნებს, მისი რჩეული ცხვირის შეურაცხყოფა რომ გაბედეს. როგორც სეტყვა ყანას, ისე დაატყდებოდა, გრიგალივით მიფანტ-მოფანტაედა, ნაცარტუტად აქცევდა ამ საზიზღრობას და გამოხდილი წყლის უზარმაზარ, გამწმენდ წარღვნაში ჩაახრჩობდა ხოლმე. აი ასეთი სამართლიანი იყო მისი რისხვა! ასეთი დიადი იყო მისი შურისძიება! ოჰ, რა ამაღლებული წამი იყო! გრენუი, პატარა კაცუნა, აღელვებისაგან კანკალებდა, სხეული ავხორცული კმაყოფილებით ეკრუნჩხებოდა და ისე ეკლაკ- ნებოდა, რომ რაღაც მომენტში კეფას გამოქვაბულის ჭერს აჰკრავ- და ხოლმე. მერე კი ხელ-ნელა მოდუნდებოდა, ისევ დაბლა დაიწევ- და უაღრესად კმაყოფილი და დაცლილი მიწაზე დაეშვებოდა.

ყველა საზიზღარი სუნის ერთდროულად ამოფრქვევის ეს აქტი მეტისმეტად სასიამოვნო იყო, მეტისმეტად. თავისი წარმოსახვითი მსოფლიო თეატრის სცენარის ეს ნომერი, მგონი, ყველაზე მეტად უყვარდა, რადგანაც საქმისაგან დაღლის სასიამოვნო შეგრძნებას ჰგვრიდა, იმ დაღლილობისა, რომელიც მართლაც დიდ და გმირულ საქმეებს მოსდევს ხოლმე.

ამის მერე კარგა ხანს მართლაც სუფთა სინდისით ისვენებდა. იზმორებოდა, რამდენადაც ამის საშუალებას თავისი ქვის სარეცელი აძლევდა. შინაგანად კი, თავისი სულის დასუფთავებულ სივრცეში, მოხერხებულად იწელებოდა და რჩეული არომატების ტკბილ ზმანებებს ეძლეოდა, მაგალითად, გაზაფხულის მინდვრების სურნელს, მაისის თბილი ქარის სუნს, წიფლების ნორჩ მწვანე ფოთლებში რომ დაქროდა, ზღვიდან მობერილ მარილიანი ნუშის სუნივით მომწკლარტო ბრიზს. მოსაღამოებისას გრენუი წამოდგებოდა ხოლმე, – მოსაღამოებისასო, ვამბობთ, თორემ მისთვის არც ნაშუადღევი არსებობდა, არც სამხარი, არც საღამო, არც დილა. არ არსებობდა არც შუქი, არც სიბნელე, არც გაზაფხულის მინდვრები და არც ნიფლის მწვანე ფოთლები... გრენუის შინაგან უნივერსუმში არავითარი საგნები არ იყო, იყო მხოლოდ მათი სუნები (ამიტომაცაა, რომ ამ უნივერსუმზე ერთადერთ ადეკვატურ და ხელმისაწვდომ façon de parler-დ[5] გვრჩება ის, რომ ვილაპარაკოთ მასზე, როგორც ლანდშაფტზე, რადგან ენას არ ძალუძს ყნოსვით აღქმული სამყაროს აღწერა). ესე იგი, გრენუის შინაგან სამყაროში ადრიანი საღამო დგებოდა, ისეთი, როგორიც სამხრეთში სიესტის დასასრულს ოცის ხოლმე, როცა შუადღის გარინდება თანდათან სცილდება ლანდშაფტს და შეჩერებული სიცოცხლე ისევ ამოძრავდება. რისხვით აალებული პაპანაქება – ნაზი არომატების მტერი – ქრებოდა, დემონების დასი განადგურებული იყო. შინაგანი ბრძოლის გლუვი და რბილი ველები ამ გამოღვიძების სიწყნარეს ზარმაცად ეძლეოდნენ და ელოდნენ. როდის დაეუფლებოდა მათ პატრონის ნება.

---

[5] façon de parler - ლაპარაკის მანერა

და, როგორც მოგახსენეთ, გრენუიც წამოდგებოდა და ძილს გამოიბერტყავდა: დიდი, შინაგანად დიდი გრენუი წამოდგებოდა და მთელი თავისი ბრწყინვალეებითა და სიდიადით გოლიათივით აღიმართებოდა. საოცარი სანახავი იყო (თითქმის დასანანია, რომ ვერავინ ხედავდა!) და თავის სამფლობელოებს ამაყად და ქედმაღლურად მიმოავლებდა თვალს.

დიახ! ეს მისი სამეფო იყო! გრენუის განუმეორებელი იმპერია! მისი, შეუდარებელი გრენუის მიერ შექმნილი და დაპყრობილი, მის მიერ განადგურებული და მისივე ხუშტურით ხელახლა აღორძინებული. უსასრულოდ გაფართოებული და ცეცხლოვანი მახვილით დაცული ყველასგან, ვინც კი მასზე ხელს აღმართავდა. აქ მისი – დიდებული. შეუდარებელი გრენუის – ნების გარდა არაფერს არ ჰქონდა მნიშვნელობა. ახლა, როცა წარსულის საშინელი მიაზმები განადგურებულ-გადაბუგული იყო, ნებავდა, რომ მის იმპერიაში სურნელება დატრიალებულიყო. ის დაბრძანდებოდა თავისი სამყაროს გადახნულ ყამირზე და სულ ნაირ-ნაირ სურნელებს თესავდა, ზოგან – ძალიან ბევრს, ზოგან – ცოტას, უკიდეგანო პლანტაციებ- ში ან პატარა, ინტიმურ კვლებში. ხან მუჭა-მუქა ყრიდა თესლებს, ხანაც თითო-თითოდ აწყობდა მოფარებულ ადგილებში. თავისი სამფლობელოს ყველაზე შორეული კუნჭულებისკენაც კი მიიჩქაროდა დიდი გრენუი, მქროლავი მებაღე, და მალე აღარც ერთი კუთხე არ რჩებოდა, სადაც ის სურნელის თესლს არ ჩააგდებდა.

როცა ხედავდა, რომ მთელი ქვეყნიერება მისი, ღვთიური გრენუის, თესლით იყო გაჟღენთილი, დიდი გრენუი ღვინის სპირტის წვიმას მოავლენდა, ნაზსა და მდგრადს, და თესლი ყველგან იწ- ყებდა აღმოცენებას და ისე ღივდებოდა, გულს უხაროდა. პლან- ტაციებში აღმონაცენი ზღვასავით ღელავდა და მყუდრო ბაღებში ღეროები წვენით ივსებოდა, ყვავილებს კვირტები ლამის ასკდებო- დათ. მაშინ დიდი გრენუი წვიმას შეწყვეტას უბრძანებდა და ისიც გადაიღებდა. თვითონ კი თავისი ღიმილის თბილ მზეს გაუგზავნი- და ხოლმე ქვეყანას, და პასუხად მისი სამყაროს ერთი ბოლოდან მეორემდე ერთი ხელის მოსმით უთვალავი, საუცხოო სურნელის

მქონე ფლაკონისაგან შექმნილ ჭრელ ხალიჩასავით მილიონობით ყვავილი გაიშლებოდა და დიდი გრენუი ხედავდა, რომ ეს კარგი იყო, ძალიან კარგი. ის თავისი სუნთქვის ნიავს მოუვლენდა ხოლმე ქვეყანას და ნაფერები ყვავილები კეთილსურნელების ფრქვევას იწყებდნენ და ერთ, თუმცა ათასობით სხვადასხვა ელფერით მოელვარე, უნივერსალურ სურნელად იკმეოდნენ დიდი, ერთადერთი, ბრწყინვალე გრენუის სადიდებლად. ოქროს არომატის ღრუბლის ტახტზე დაბრძანებული გრენუი ამ სურნელს ისევ შეისრუტავდა და მისთვის დაკმეული მსხვერპლის სუნი ეამებოდა. მერე კვლავ ძირს დაეშვებოდა, რათა თავისი ქმნილება მრავალგზის დაელოცა, ის კი აღტაცებით, ზარ-ზეიმითა და ახალ-ახალი არაჩვეულებრივი სურნელების ამოფრქვევით უხდიდა მადლობას. ამასობაში მოსაღამოვდებოდა ხოლმე. სურნელება ისევ იფრქვეოდა და ღამის სიშავეს სულ უფრო ფანტასტიკურ ნელსურნელებად ერწყმოდა, არომატების ნამდვილი მეჯლისი უნდა გამართულიყო გიგანტური ფოიერვერკის თანხლებით. მაგრამ გრენუი ცოტათი იღლებოდა, დაამთქნარებდა და იტყოდა ხოლმე:

– აი, რამოდენა საქმე გავაკეთე და ძალიანაც მომწონს. მაგრამ, როგორც ყველაფერი დასრულებული, ესეც მომბეზრდა. ახლა წავალ და ამ მუშაობით გადატვირთული დღის ბოლოს ჩემს თავს ჩემივე გულის სამფლობელოში კიდევ ერთ პატარა სიხარულს ვაჩუქებ.

ასე ბრძანებდა დიდი გრენუი და ვიდრე უბრალო სუნები ქვემოთ მხიარულად ცეკვავდნენ და მხიარულობდნენ, გაშლილი ფრთებით ოქროს ღრუბლიდან გადმოეშვებოდა, თავისი სულის ღამეულ ქვეყანაში გადმოფრინდებოდა და შინ – თავის გულში ბრუნდებოდა.

27

ოჰ, რა სასიამოვნო იყო შინ დაბრუნება! ორმაგი წოდება – შურისმაძიებლისა და სამყაროს შემქმნელისა – ქანცს აცლიდა და საკუთარ ქმნილებათა საათობით გაგრძელებული აღფრთოყანებაც:

ცოტა არ იყოს, შემაწუხებელი იყო. ღვთიური შემოქმედებითი და წარმომადგენლობითი მოვალეობებისაგან დაღლილ დიდ გრენუის შინაური სიხარული ენატრებოდა.

მისი გული მეწამული სასახლე იყო, ქვიან უდაბნოში იდგა, დიუნებს იქით დამალული, ჭაობის ოაზისით გარშემორტყმული და შვიდი ქვის კედლით დაცული. შიგ მხოლოდ ჰაერიდან თუ შეალწევდი. აქ იყო ათასობით საკუჭნაო, სარდაფი და სალონი, მათ შორის იყო ერთი, უბრალო მეწამული ტახტით, რომელზეც გრენუის, უკვე დიდ გრენუის კი არა, სრულიად კერძო პირს, ან უბრალოდ ძვირფას ჟან-ბატისტს, მთელი დღის ჯაფის შემდეგ დასვენება უყვარდა.

სასახლის საკუჭნაოებში იატაკიდან ქერამდე თაროები იყო გამართული, და შიგ ინახებოდა ყველა სუნი, რომელიც გრენუის მთელი სიცოცხლის მანძილზე შეეგროვებინა – რამდენიმე მილიონი. სასახლის სარდაფებში კი მისი ცხოვრების საუკეთესო კეთილსურნელებით სავსე კასრები იდგა. როცა ისინი დაყენდებოდა და მზად იყო, მათ ბოთლებში ასხამდა და ნესტიან, გრილ დერეფნებში კილომეტრებზე წლებისა და წარმოების ადგილის მიხვდვით ახარისხებდა და ალაგებდა. აქ იმდენი ბოთლი იყო, რომ მათ გასასინჯად მთელი სიცოცხლეც არ ეყოფოდა. და როდესაც ძვირფასი ჟან-ბატისტ, როგორც იქნა, დაბრუნდებოდა chez soi[6] და მეწამულ სალონში თავის მყუდრო ტახტზე წამოწვებოდა, თუ გნებავთ, ჩექმებსაც გაიხდიდა, ხელს ხელს შემოჰკრავდა, უჩინარ, შეუგრძნობელ, უხმო და, რაც მთაყარია, უსუნო, ანუ წარმოსახვით მსახუ- რებს მოუხმობდა და ბრძანებდა, სუნების დიდი ბიბლიოთეკიდან ესა თუ ის ტომი მოეტანათ, მერე კი სარდაფში ჩასულიყვნენ, რომ დასალევი მოერთმიათ. ეს არარსებული მსახურები ჩქარობდნენ, რომ მისი ბრძანებები შეესრულებინათ. გრენუის კი კუჭი მტანჯვე- ლი მოლოდინისაგან ეკუმშებოდა. თავს იმ ლოთივით გრძნობდა, ბარის დახლთან შიში რომ დაეუფლება, ვაითუ შეკვეთილი ჭიქა

[6] chez soi - შინ (ფრ.)

არაყი რამე მიზეზით არ მომცენო. რა იქნება, უცებ სარდაფები და საკუჭნაოები ცარიელი რომ აღმოჩნდეს? კასრებში ღვინო რომ გაფუჭდეს? რატომ ალოდინებენ? რად არ მოდიან? მას ხომ ეს ახლავე სჭირდება, სასწრაფოდ, ეს წამალი რომ არ მიიღოს, ამ წუთშივე მოკვდება.

აბა რას ამბობ, ჟან-ბატისტ, დაწყნარდი! დაწყნარდი, ძვირფასო! მოვლენ, მოგიტანენ, რაც გწადია. აგე, უკეე მოქრიან მსახურები. უჩინარი ლანგრით სურნელების წიგნი მოაქვთ, თეთრხელთათმანიან უჩინარ ხელებს მოაქვთ უძვირფასესი ბოთლები, ფრთხილად იღებენ ლანგრიდან, თავს ხრიან და უჩინარდებიან.

მარტო დარჩენილი, – როგორც იქნა, ისევ მარტო დარჩენილი! – ჟან-ბატისტი ხელს სტაცებს მონატრებულ სურნელებს, პირველ ბოთლს ხსნის, ჭიქას ალიცლიცებს, ტუჩებთან მიაქვს და სვამს. ერთი მოსმით ცლის გრილი სურნელის ჭიქას. რა დიდებულია! ისეთი კარგია, რომ ჟან-ბატისტს ნეტარების ცრემლი მოსდის და მაშინვე ამ სურნელის მეორე ჭიქას ისხამს: ეს ის სუნია – 1752 წლისა, გაზაფხულზე დაჭერილი, სამეფო ხიდზე მზის ამოსვლამდე, დასავლეთისაკენ მიმართული ცხვირით, იქით, საიდანაც ზღვის, ტყისა და ცოტაც ნაპირთან გაჩერებული ნავების ფისის სუნით გაჯერებული ნიავი ქროდა. ეს ის სურნელია, რომელიც მან პირველად გრიმალის დაუკითხავად პარიზის ქუჩებში ხეტიალით გალეულ ღამეში შეიგრძნო. ეს მოახლოებული დღის, პირველი განთიადის სუფთა სურნელია, რომელიც მან თავისუფლებაში გაატარა. ეს სურნელი რაღაც სხვა ცხოვრების მაუწყებელი იყო. იმ დილის სურნელი გრენუისთვის იმედის სურნელი იყო, სათუთად ინახავდა და ყოველდღე სვამდა ცოტ-ცოტას.

მეორე ჭიქასაც რომ დაცლიდა, შფოთვისა და მერყეობისაგან გათავისუფლდებოდა, ყველა ეჭვი ქრებოდა და შინაგანი სიმშვი- დით ივსებოდა. ტახტის რბილ ბალიშებზე გადაწვებოდა, წიგნს გადაშლიდა და თავისი მოგონებების კითხვას იწყებდა. კითხულობდა თავისი ბავშვობის, სკოლის, ქალაქის ქუჩებისა და ქუჩაბანდების, ადამიანების სუნებს. საშინელების სასიამოვნო ჟრუანტელი დაუვ-

ლიდა ხოლმე, რადგან აქ ის შეძულებული, განადგურებული სუ-ნებიც იყო, რომელთაც კი შეხებოდა. ამ სუნების წიგნს ზიზღიანი ინტერესით კითხულობდა და როდესაც ზიზღი ინტერესს სძლევდა, უბრალოდ დახურავდა, იქით გადადებდა და სხვა წიგნს აიღებდა ხოლმე:

გზადაგზა შეუსვენებლივ წრუპაედა კეთილშობილ სურნელებს. იმედის სურნელის ბოთლის მერე 1744 წლის ბოთლს გახსნიდა, მა-დამ გაიარის სახლის წინ დაწყობილი შეშის თბილი სუნით რომ იყო სავსე: ამის მერე იმ ზაფხულის საღამოს სურნელის ბოთლიდან დალევდა, რომელიც 1753 წელის ზაფხულში სენ-ჟერმენ-დე-პრეს პარკის პირას შეეგროვებინა.

ახლა უკვე სავსე იყო სურნელებით, ბალიშებზე კიდევ უფრო მძიმედ ესვენა და გონება საოცრად ებინდებოდა. მაგრამ ნადიმის დასრულებას მაინც არ აპირებდა. მართალია, თვალებს კითხვა აღარ შეეძლოთ და, დიდი ხანია, წიგნიც ხელიდან გავარდნოდა, მაგრამ ბოლო საუკეთესო ბოთლის დაუცლელად დატოვება არ უნდოდა: ეს მარესქუჩელი გოგონას სურნელი იყო.

ამ სურნელს მოწიწებით სვამდა და ამისათვის ტახტზეც კი წამოჯდებოდა ხოლმე, თუმცა კი უჭირდა, რადგან ყოველ გატო-კებაზე მეწამული სალონი ქანაობას და ტრიალს იწყებდა. სანი- მუშო მოსწავლის პოზაში – მუხლს მუხლზე მიადებდა, ტერფებს მიატყუპებდა და მარცხენა ხელით მარცხენა ბარძაყს დაეყრდნო-ბოდა – სვამდა პატარა გრენუი თავისი გულის სარდაფების ყვე-ლაზე ძვირფას სურნელს, ჭიქას ჭიქაზე ცლიდა და თანდათანობით ნაღვლიანდებოდა. იცოდა, რომ მეტი მოუვიდა. იცოდა, რომ ამდენ სიამოვნებას ვერ გადაიტანდა, მაგრამ მაინც სვამდა და სვამდა, ვიდრე ბოთლს სულ არ გამოცლიდა: ბნელი გასასვლელით ქუჩიდან უკანა ეზომი შედიოდა, შუქისაკენ მიემართებოდა. გოგონა იჯდა და ქლიავს არჩევდა. შორიდან ფოიერვერკის, რაკეტებისა და პე-ტარდების სკდომის ხმა ისმოდა...

გრენუი ჭიქას დადგამდა და თითქოს სენტიმესტალურობამ და სიმთვრალემ გააქვაქაო, რამდენიმე წუთს კიდევ იჯდა ხოლმე,

ვიდრე სურნელის გემო ენიდან სულ არ გაუქრებოდა. უძრავად იყო გაშტერებული. ტვინი ბოთლებივით უცბად უცარიელდებოდა, შემდეგ მეწამულ ტახტზე გვერდულად გადაგორდებოდა და გამაბრუებელი ძილი წაიღებდა.

იმავ წამს ცხენის თოქალთოზე წამოწოლილ გარეთა გრენუი-საც ჩაეძინებოდა. იმასაც ისევე ღრმად ეძინა, როგორც შინაგან გრენუის, რადგანაც პირველის ჰერაკლეს გმირობანი და ექსცესები მეორესაც ღლიდა – ბოლოს და ბოლოს ორივე ხომ ერთი იგივე პიროვნება იყო.

მაგრამ, როცა გაეღვიძებოდა. შვიდ კედელს მიღმა მეწამულ სალონში ან კიდევ თავისი სულის გაზაფხულის მინდვრებში კი არ ახელდა თვალს, მარტოდმარტო იწვა უკუნეთში მაგარ მიწაზე თავისი ქვის საპყრობილის გვირაბის ბოლოს. ამ ნაქეიფარი ღამის შემდეგ ნაბახუსევზე შიმშილისა და წყურვილისაგან გული ერეოდა და აძაგძაგებდა და გამოქვაბულიდან ოთხით გამობობღდებოდა ხოლმე.

გარეთ დღე-ღამის რომელიღაც მონაკვეთი იდგა, უფრო ღამის დასაწყისი ან დასასრული. შუაღამისასაც კი ვარსკვლაეების შუქი ნემსებივით სჩხვლეტდა თვალებს. ჰაერი მტვრიანი, მწვავე და სულის შემხუთველი ეჩვენებოდა, პეიზაჟი – უხეში. ქვებს ედებოდა, ქვეყნიერებას გადაჩვეულ მის ცხვირს უნაზესი სუნებიც კი ნებტარივით ესობოდა და აწამებდა. გრენუი, ეს ტკიპა, იმ კიბოსავით მგრძნობიარე ხდებოდა, რომელიც თავის ჯავშანს დააგდებს და ზღვაში შიშველი დამოგზაურობს.

გრენუი წყლის დასალევად კლდესთან მივიდოდა და ერთ-ორ საათს წყალს ლოკავდა. ძალიან იღლებოდა, გეგონება, დრო არ გადიოდა, დრო, როცა რეალურ სამყაროში უწევდა ყოფნა. ქვებს ცოტა ხავსს ააგლეჯდა, პირში ჩაიტენიდა, ლამის იხრჩობოდა ცუცქდებოდა და ჭამდა და თან ისაქმებდა – სწრაფად, ყველაფერს სწრაფად, ძალიან სწრაფად უნდა მორჩენილიყო, შემდეგ კი, თითქოს პატარა, რბილტანიანი ცხოველია და ზევიდან თავს უკვე ქორები დასტრიალებენო, თავქუდმოგლეჯილი გაიქცეოდა თავი-

სი გამოქვაბულის გვირაბის ბოლოსაკენ, სადაც ცხენის თოქალთო იყო გაშლილი აქ. ბოლოს და ბოლოს, თავს ისევ უხიფათოდ იგრძნობდა ხოლმე.

ჩამოშლილი ქვების გროვას ზურგით მიეყუდებოდა, ფეხებს გაშლიდა და დაიცდიდა. ახლა სხეული სრულიად უძრავად უნდა ჰქონოდა იმ ჭურჭელივით, რომელიც ერთი თუ შეირხა, იქიდან სითხე გადმოიღვრება. სუნთქვა თანდათან უწყნარდებოდა. აჩქარებული გულისცემა ნელ-ნელა უმშვიდდებოდა და შინაგანი ტალღების ღელვაც თანდათანობით უცხრებოდა. და უეცრად სულზე შავი სარკისებრი ზედაპირივით მარტოობა დააწვებოდა. თვალებს დახუჭავდა, მისი შინაგანი სამყაროს კარი გაიღებოდა და შიგ შეაბიჯებდა. იწყებოდა გრენუის სულის თეატრის მორიგი წარმოდგენა.

28

ასე გადიოდა დღეები, კეირები, თვეები. ასე გავიდა სრული შვიდი წელინადი.

ამასობაში გარე სამყაროში ომი მძვინვარებდა, მსოფლიო ომი. იბრძოდნენ სილეზიასა და საქსონიაში, ჰანოვერში, ბელგიაში, ბოჰემიასა და პომერანიაში. მეფის ჯარისკაცები იღუპებოდნენ პესენში, ვესტფალიაში, ბალეარის კუნძულებზე, ინდოეთში, მისისიპის სანაპიროზე და კანადაში, თუკი მანამდე გზაში ტიფით არ დაიხოცებოდნენ. ომმა ერთი მილიონი სიცოცხლე შეიწირა, საფრანგეთის მეფეს კოლონიები დააკარგვინა და მოხასილე ქვეყნებს იმდენი დაუჯდათ, რომ ბოლოს და ბოლოს გულის კანკალით მისი დასრულება გადაწყვიტეს.

ერთხელ, ზამთარში გრენუი კინაღამ ისე გაიყინა, რომ ვერც კი გაიგო. ხუთი დღე იწვა თავისი გამოქვაბულის მეწამულ სალონში და რომ გამოეღვიძა, სიცივისაგან თითქმის ვეღარ ინძრეოდა. თვალები იმწამსვე ისევ დახუჭა, რომ ძილში მომკყდარიყო, მაგრამ მერე უცებ დათბა, ისიც გალღვა და გადარჩა.

ერთხელ იმხელა თოვლი დადო, რომ გრენუის ძალა აღარ ეყო, გაეთხარა და მის ქვეშ ლიქენი მოეძებნა. ადგა და გაყინული ღამურების ჭამა დაიწყო.

ერთხელ თავისი გამოქვაბულის წინ მკედარი ყვავი იპოვეა და ისიც შეჭამა. მარტო ეს რამდენიმე მოვლენა აღიქვა ამ შვიდი წლის განმავლობაში გარე სამყაროსთან მიმართებაში. სხვა მხრივ, ცხოვრობდა თავის ციხესიმაგრეში, მხოლოდ და მხოლოდ თავისივე შექმნილ საკუთარი სულის თვითმპყრობელურ სამყაროში. და, ალბათ, სიკვდილამდე იქ დარჩებოდა (მას ხომ არაფერი არ აკლდა), რომ არა ერთი კატასტროფა, რომელმაც ის მთიდან გამოაქცია და სამყაროში გადმოაფურთხა.

29

ეს კატასტროფა არც მიწისძვრა იყო, არც ტყის ხანძარი, არც მეწყერი და არც გამოქვაბულის ჩამონგრევა. ეს, საერთოდ, გარეგანი კი არა, შინაგანი კატასტროფა იყო, ამიტომაც – განსაკუთრებით მტანჯველი, რადგან ის გრენუის ამორჩეულ გასაქცევ გზას უღობავდა. ეს კატასტროფა ძილში მოხდა, უფრო სწორად, ოცნებებში, კიდევ უფრო ზუსტად, სიზმარში, ძილში, გულში, ფანტაზიაში.

მეწამულ სალონში ტახტზე იყო გაწოლილი და ეძინა. გარშემო ცარიელი ბოთლები იდგა. ძალიან ბევრი დალია. ბოლოს იმ წითურთმიანი გოგონას სურნელის ორი ბოთლიც კი გამოცალა. ალბათ მეტისმეტი მოუვიდა, რადგან ამჯერად, მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილივით ღრმა ძილით ეძინა, ძილში რაღაც მოჩვენებითი სიზმრებისმაგვარი ჭავლი შეეჭრა. ეს ჭავლი გარკვევით რომელიღაცა სუნის ნაფლეთებისა იყო. ისინი გრესუის ცხვირს ჯერ წერილი ძაფებივით გაუვლიდა, მერე შესქელდებოდა და ღრუბელს ემსგავსებოდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მყრალი ჭაობის შუაგულში იდგა, იქ, საიდანაც ნისლი ადიოდა. ნისლი ნელ-ნელა სულ უფ-

რო მაღლა მიიწეედა. მალე გრენუი ერთიანად ნისლში ეფლობოდა, ნისლით იყო გაჟღენთილი და ამ მყრალი ნისლის ნაკადებს შორის სუფთა ჰაერი საერთოდ აღარ რჩებოდა და, რომ არ გაგუდულიყო, ეს ნისლი უნდა შეესუნთქა. როგორც მოგახსენეთ, ეს ნისლი რომე- ლიღაც სუნი უნდა ყოფილიყო, გრენუიმ იცოდა კიდეც – რომელი. ნისლი მისი საკუთარი სუნი იყო. მისი – გრენუის სუნი. აი რა!

მაგრამ უბედურება ის იყო, რომ გრენუის მისი გადატანა არ შეეძლო· ამ ნისლში კიდეც რომ ჩამხრჩეალიყო, არაფრით არ უნ- დოდა საკუთარი სუნის შეყნოსვა!

ეს რომ გაიცნობიერა, ისე საშინლად დაიყვირა, გეგონება ცო- ცხლად წვავდნენ. ყვირილმა მეწამული სალონის კედლები გაან- გრია. სასახლის კედლებიც ჩამოაქცია, გულიდან ამოსკდა და ხრა- მებს, ჭაობებსა და უდაბნოებს გადაუარა, ცეცხლოვანი ქარიშხა- ლივით გადაუქროლა მისი სულის ღამეულ ლანდშაფტს, ხახიდან ამოიჭრა, გვირაბის მისახვევ-მოსახვევებით გარეთ გავარდა და სენ- ფლურის ზეგნის იქით გავრცელდა. თითქოს თვითონ მთა ყვი- როდა. გრენუი საკუთარმა ყვირილმა გამოაღვიძა. გაღვიძებისას აქეთ-იქით აწყდებოდა, თითქოს მახრჩობელა ნისლის აუტანელი სიმყრალის განდევნა უნდაო. დაფეთებული იყო, შიშისაგან მთელი ტანით ცახცახებდა. მის ყვირილს ნისლი რომ არ გაერღვია, თავის თავშივე ჩაიხრჩობოდა – რა საშინელი სიკვდილია! ამის გაფიქრე- ბაზე აძაგძაგებდა. და სანამ წამომჯდარი ჯერ ისევ კანკალებდა და თავისი აბურდულ-დაბურდული, გაფანტული აზრების დალაგებას ცდილობდა, ერთი უკვე დანამდვილებით იცოდა: თავის ცხოვრებას შეცვლიდა, თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი საშინელი სიზმარი მეო- რედ აღარ ენახა. მეორედ ამას ვეღარ გადაიტანდა.

მან თოქალთო მხრებზე მოიგდო და გარეთ გახოხდა. იქ გვიანი დილა იდგა, თებერვლის ბოლოს ერთი გვიანი დილა. მზე ანა- თებდა, სამყაროს ნესტიანი ქვის, ხავსის და წყლის სუნი ჰქონდა. ქარს უკვე ანემონების სუსტი სურნელი მოჰქონდა. გამოსასვლე- ლის წინ მიწაზე ჩამოჯდა. მზის სხივებით თბებოდა. სუფთა ჰაერს ისუნთქავდა. ისევ აჟრჟოლებდა იმ სამინელი ნისლის მოგონება-

ზე, ძლივს რომ გამოექცა. სიამოვნებისგანაც თრთოდა, ზურგზე სითბო რომ შეიგრძნო. კიდევ კარგი, რომ ეს გარე სამყარიო ისევ არსებობდა, თუნდაც როგორც გასაქცევი ადგილი. რა საშინელება იქნებოდა, გამოქვაბულის გასასვლელში გარე სამყარო რომ არ დახვედროდა – არც სინათლე, არც სუნი, სულ არაფერი – მხოლოდ ის საშინელი ნისლი ყველგან, შიგნით, გარეთ...

თანდათან შოკმა გაუარა, შიში თანდათან მოეშვა და გრენუიმ თავი ისევ უხიფათოდ იგრძნო. შუადღისას ისევ დაუბრუნდა სიმ-შვიდე. მარცხენა ხელის საჩვენებელი და შუა თითები ცხვირთან მიიტანა და დაყნოსა. თითებს შორის ნესტიანი, ანემონების სუნით გაჟღენთილი გაზაფხულის სურნელი შეიგრძნო, საკუთარი თითე-ბის სუნი კი – ვერა. ხელი გადმოაბრუნა და ხელისგულზე იყნოსა. ხელის სითბოს გრძნობდა, მაგრამ სუნს – ვერა. ახლა დახეული პერანგის სახელო აიწია და იდაყვის მოხრილ სახსარში ჩარგო ცხვირი. იცოდა, რომ ამ ადგილას ყველა ადამიანს თავისი სუნი აქვს. მაგრამ ვერც აქ იყნოსა რაიმე. სუნი ვერც იღლიაში, ვერც ფეხებზე, ვერც სასქესო ასოზე იგრძნო, რომლისკენაც, როგორც შეეძლო, ისე დაიხარა, სიცილის მომგვრელი კი იყო: ის, გრენუი, სხვა ადამიანების სუნს მილების დაშორებით იკრავდა ხოლმე, ერთ მტკაველზე დაცილებული საკუთარი სასქესო ასოსას კი კერ გრძნობდა! პანიკაში არ ჩავარდნილა, მაგრამ თავს საღი განსჯის მერე ასეთი რამ უთხრა:

– საქმე ის კი არ არის, რომ სუნი არ მაქვს. ამქვეყნად სუნი ყველაფერსა აქვს. ჩემსას იმიტომ ვერ ვგრძნობ, რომ საკუთარ თავს გაჩენის დღიდან ყოველდღე ვყნოსავ, ამიტომ ცხვირი ჩემივე სუნის მიმართ დაჩლუნგებული მაქვს. ჩემი სუნის, ან მისი ნაწილის მაინც, ჩემგან განცალკევება და უიმისოდ გატარებული გარკეეული დროის მერე მასთას უკანვე დაბრუნება რომ შემეძლოს, მას, ანუ ჩემს თავს, აუცილებლად ვიყნოსავდი.

თოქალთო მოიხსნა, ტანსაცმელი გაიხადა, უფრო სწორად, ის ნაგლეჯები, რაც ტანსაცმლისგან დარჩა, შვიდი წელი არ მოუცილე-ბია ტანიდან. წესით, ისისნი მისი სუნით უნდა ყოფილიყო გაჟღენთი-

ლი. ძონძები გამოქვაბულის წინ ერთად დაყარა და იქაურობას გაეცალა. შემდეგ, შვიდი წლის მერე პირველად, მწვერეალზე ავიდა. იქ იმ ადგილას დადგა, სადაც მაშინ, პირველად, იდგა, ცხვირით დასავლეთისაკენ მიბრუნდა და შიშველი სხეული ქარს მიუშვირა. უნდო- და ისე განიავებულიყო, ისე ავსებულიყო დასავლეთის ქარით, ანუ ზღვისა და ნესტიანი მდელოების სუნით, რომ გაჩენილიყო სხვაობა მის, ანუ გრენუის, და მისი ტანსაცმლის სუნებს მორის და ასე შეეგრძნო ეს განსხვავება მძაფრად. იმისათვის, რომ საკუთარი სუნი რაც შეიძლება ნაკლებად მოხვედროდა ცხვირში, როგორც შეეძლო, ტანი წინ წასწია, კისერი ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით წაიგრძელა და ხელები უკან წაიღო იმ მოცურავესავით, რომელიც წყალში გადასახტომად ემზადება.

ამ სასაცილო პოზაში რამდენიმე საათს იყო გაშეშებული და ამასობაში, მიუხედავად იმისა, რომ მზე ჯერ კიდევ სუსტად ანათებდა, დღის შუქს გადაჩვეული მატლივით თეთრი კანი ლანგუსტივით გაუწითლდა. საღამოხანს ისევ გამოქვაბულში დაბრუნდა. შორიდანვე დაინახა თავისი ტანსაცმლის გროვა. ვიდრე ბოლო მეტრებს გაივლიდა, ცხვირზე ხელი მოიჭირა და მარტო მაშინ აუშვა, როცა ტანსაცმელზე დაიხარა. სასინჯი ყნოსვა ისე ჩაატარა, როგორც ბალდინიმ ასწავლა – ჯერ სწრაფად შეისრუტა ჰაერი და მერე ბიძგებით გამოდევნა გარეთ. სუნი რომ დაეჭირა, ტანსაცმლის ზემოთ ორივე ხელი ზარივით დაიჭირა და ცხვირი შიგ ზარის ენასავით შეყო. რას არ შვრებიოდა, ტანსაცმლიდან თავისი სუნი რომ გამოეყნოსა. მაგრამ შიგ სუნი არ იყო. ნამდვილად არ იყო. შიგ ათასი სხვა სუნი ტრიალებდა – ქვის, ქვიშის, ხავსის, ფისის, ყვავის სისხლის, იმ ძეხვის სუნიც კი მკვეთრად იგრძნობოდა, წლების წის რომ იყიდა. ეს ტანსაცმელი შვიდი-რვა წლის მასძილზე წარმოებული სუნების დღიური იყო. და მარტო მის სუნს, იმ კაცის სუნს არ შეიცავდა, ვისან ეს ტანსაცმელი ამ ხნის მასძილზე გაუხდელად ეცვა.

ახლა კი მაინც შეეშინდა ცოტათი. მზე ჩასულიყო. იდგა შიშველი იმ გამოქვაბულის შესასვლელში, რომლის ბნელ ბოლოშიც შვიდი წელი გაატარა, ცივი ქარი უბერავდა, გაიყინა, მაგრამ ვერა-

ფერს გრძნობდა, სიცივეს ვერ გრძნობდა, რადგან ამ სიცივეს მისი შიშის სიცივე ეჯახებოდა. ეს ის შიში არ იყო, სიზმარში რომ გა-ნიცადა, ის საშინელი, საკუთარ თავში ჩახრჩობის შიში, რომელიც, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, უნდა მოეცილებინა და რომლისგან გაქცევაც შეიძლებოდა. ეს, ახლა რომ გრძნობდა, იმის შიში იყო, რომ თავის თავზე ვერაფერს გაიგებდა. ეს იმ შიშის საპირისპირო იყო. მას ვერ გაექცეოდა. პირისპირ უნდა შეხვედროდა. უეჭველად უნდა გაეგო, ჰქონდა თუ არა სუნი, თუნდაც ამის აღმოჩენა საში-ნელი ყოფილიყო. და ახლავე უნდა გაეგო, სასწრაფოდ.

გამოქვაბულში დაბრუნდა. რამდენიმე მეტრის გავლის შემდეგ სრულ სიბნელეში აღმოჩნდა, მაგრამ გზას ისე აგნებდა, თითქოს ნათელი დღე ყოფილიყოს. უთვალავჯერ გაუვლია ეს გზა, ყოველი მოსახვევი, ყოველი ნაბიჯი იცოდა, კლდის ყოველ სულ პაწანინა შვერილს და სტალაქტიტს ყნოსვით ცნობდა. გზის გაგნება არ უჭირდა. ძნელი იყო კლაუსტროფობიული სიზმრის მოგონებასთან ბრძოლა, მოგონებასთან, ზღვის მოქცევასავით ვეებერთელა ტალ-ღებად რომ აწყდებოდა. მაგრამ სულ უფრო სიღრმეში შედიოდა, უკან არ იხევდა, მამაცად მიიწევდა წინ. არცოდნის შიშით ცოდნის შიშს ებრძოდა და საბოლოოდ სძლია კიდეც, რადგან იცოდა, რომ სხვა გამოსავალი მაინც არ ჰქონდა. გამოქვაბულის ბოლოს, ნაშალ ქვებამდე რომ მიაღწია, ორივე შიში დაძლეული ჰქონდა. წყნარად იყო, სრულიად ნათლად აზროვნებდა და ცხვირი სკალპელივით ჰქონდა ალესილი. ჩაცუცქდა, ხელები თვალებზე აიფარა და შეყ-ნოსვა დაიწყო, ამ ადგილას, სამყაროს მოშორებულ ქვის სამარეში, შვიდი წელი იწვა, თუკი სადმე ამქვეყნად მისი სუსი უნდა ყოფი-ლიყო. პირველ რიგში – აქ. ნელა სუნთქავდა. ამოწმებდა. დასკვნის გამოტანას არ ჩქარობდა. თხუთმეტ წუთს იყო ასე ჩაცუცქული. შეუცდომელი მეხსიერება ჰქონდა და ზუსტად ახსოვდა, როგორი სუნი იყო აქ შვიდი წლის წინ: ქვის, ნოტიო მომლაშო სიგრილისა და ეს სისუთავე იმას ნიშნავდა, რომ არც ერთ სულიერს – ადა-მიანს თუ ცხოველს – აქ ფეხი არ დაედგა. ზუსტად ასეთი სუნი იყო ახლაც.

ერთხანს კიდევ იყო ასე ჩაცუცქული, სრულიად მშვიდად, მხოლოდ თავს აქნევდა. შემდეგ შემოტრიალდა და გასასვლელისაკენ წავიდა: ჯერ მოხრილი, მერე კი, როცა გვირაბის სიმაღლემ საშუადება მისცა. გამართული. თავისუფალი იყო.

გარეთ თავისი ძონძმანძები ჩაიცვა (ფეხსაცმელები დიდი ხნის წინ შემოალპა), თოქალთო მხრებზე მოიგდო, პლონ-დიუ-კანტალი იმ ღამესვე დატოვა და სამხრეთისაკენ გაემართა.

30

საშინელი სანახავი იყო. თმა მუხლებამდე სცემდა, თხელი წვერი კი ჭიპამდე. ფრჩხილები ჩიტის კლანქებს უგავდა, ხოლო ხელფეხზე, იქ, სადაც ძონძები სხეულს ეეღარ უფარავდა, კანი ნაფლეთებად სძვრებოდა.

პირველად გლეხები შემოხვდნენ მინდორში, ქალაქ პიერფორის მახლობლად და მის დანახვაზე ყვირილით გაიქცნენ. შიგ ქალაქში კი გრენუიმ სენსაცია მოახდინა. ასობით კაცი მოდიოდა მის სანა- ხავად. ზოგს გალერიდან გამოქცეული ტყვე ეგონა. ზოგი ამბობდა, ნამდვილი ადამიანი კი არა, ადამიანისა და დათვის ნაშიერია, რაღაც ტყის არსებაო. ერთი ყოფილი მეზღვაური კი ამტკიცებდა, დიდი ოკეანისგაღმელი კაიენელი ინდიელების ერთ-ერთი ტომის ველურს ჰგავსო. გრენუი ქალაქის მერთან ნაიყვანეს. მან იქ, დამსწრეთა გასაოცრად, თავისი შეგირდობის დამადასტურებელი სიგელი წარადგინა, პირი დააღო და ბორძიკით და ცოტა არეულ-დარეულად (ეს ხომ მისი პირველი სიტყვები იყო შვიდწლიანი შესვენების შემდეგ), მაგრამ სრულიად გასაგებად უამბო, რომ მოგზატოობისას ყაჩაღე- ბი დაესხნენ თავს. გაიტაცეს და შვიდ ხელისადს გამოქვაბულში ჰყავდათ დამწყვდეული, რომ ამ დროის განმავლობაში არც მზის სხივი და არც ადამიანი თვალით არ უნახავს, ვიღაცის უჩინარი ხე- ღი კალათით საჭმელს აწვდიდა და, რომ საბოლოოდ ჩამოშვებული კიბის, საშუალებით გაათავისუფლეს ისე, რომ არც გამტაცებლები

უნახავს და არც გადამრჩენები. ეს ყველაფერი იმიტომ გამოიგონა, რომ ეს ამბავი სიმართლეზე დამაჯერებელი ეჩვენებოდა და ასეც იყო. ასეთი თავდასხმები ოვერნის, ლანგედოკის მთებსა და სევენში საკმაოდ ხშირი იყო. ყოველ შემთხვევაში, ქალაქის მერმა ეს ისტორია ულაპარაკოდ შეიტანა ოქმში და ყველაფერი იქაურ მიწათმფლობელსა და ტულუზის პარლამენტის წევრს, მარკიზ დე ლა ტაიად-ესპინასს მოახსენა.

ამ მარკიზმა უკვე ორმოცი წლის ასაკში აქცია ზურგი ვერ-სალის სამეფო კარს, თავის სამფლობელოში დაბრუნდა და მეცნიერებას მიუძღვნა თავი. მას ეკუთვნოდა ნაშრომი ნაციონალუდ დინამიკურ ეკონომიკაზე, რომელშიც წინადადებას აყენებდა, მოესპოთ ყველანაირი გადასახადი მინის საკუთრებასა და სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე და ისევ შემოეღოთ უკუპროპორციული საშემოსავლო გადასახადი, რომელიც ყველაზე მეტად ღატაკებს დააზარალებდა და ამით მათ აიძულებდა, თავიანთი ეკონომიკური აქტივობა განევითარებინათ. წიგნის წარმატებით გამხნევებულმა გამოსცა ტრაქტატი ხუთიდან ათ წლამდე გოგონებისა და ბიჭების აღზრდის შესახებ, შემდეგ ექსპერიმენტულმა სოფლის მეურნეო- ბამ გაიტაცა და სცადა, რძის მისაღებად სხვადასხვა ჯიშის ბა- ლახებთან ბულის თესლის შეჯვარებით რაღაც ცხოველურ-მცენა- რეული პროდუქტი გამოეყვანა – რაღაც მოსაწველი ყვავილისნაი- რი. თავიდან გარკვეულ წარმატებას მიაღწია – ბალახის რძისგან ყველის შექმნაც კი მოახერხა. ამ ყველს ლიონის მეცნიერებათა აკადემიამ ასეთი შეფასება მისცა: „თხის გემოსი, ოღონდ ცოტა უფრო მწარე", მაგრამ მინდვრებში ჰექტოლიტრობით ბულის თეს- ლის გაფრქვევა დიდ ხარჯებთან იყო დაკავმირებული და ამიტომ ცდების შეჩერება მოუხდა. სამაგიეროდ, აგრარულ-ბიოლოგიურმა საქმიანობამ ინტერესი მარტო ნიადაგის მიმართ კი არ გაუღვიძა, არამედ ზოგადად დედამიწისა და ბიოსფეროსთან მისი ურთიერ- თობის მიმართაც.

ის-ის იყო, სარძევე-საწველ ყეავილზე პრაქტიკულ სამუშაოებს მორჩა, რომ მკვლევრის გაუტეხელი ენთუზიაზმით მაშინვე გა-

დაერთო დიდ ესეზე, რომელიც მიწასთან სიახლოვისა და ვიტა-ლური ძალის ურთიერთდამოკიდებულებას ეხებოდა. მისი თეზისი შემდეგში მდგომარეობდა: სიცოცხლე შეიძლება განვითარდეს მხო-ოდ დედამიწიდან გარკვეული მანძილის დაშორებით, რადგანაც თავად დედამიწიდან მუდამ ადის ერთგვარი ხრწნის გაზი, ეგრეთ წოდებული fluidum letale, რომელიც ვიტალურ ძალებს ახშობს და, ადრე თუ გვიან, საერთოდ სპობს მათ, აი ამიტომაცაა, რომ ყოვე- ლი სულდგმული ცდილობს, ზრდის საშუალებით ასცილდეს მიწის ზედაპირს, ამიტომაცაა, რომ ისინი შიგ კი არ ჩაიზრდებიან, არა- მედ ერთგვარად მისგან ზევით მიიწევენ – შორდებიან. ამიტომაა, რომ ყველაფერი ცოცხალი თავისი ყველაზე საუკეთესო ნაწილით ცისკენ მიიწევს: მარცვალი – თავთავით, ყვავილი – ბუტკოთი, ადამიანი – თავით. და სწორედ ამიტომაცაა, რომ სიბერისგან მოხ– რილი და ისევ მიწისაკენ თავდახრილი ცოცხალი არსებები ისევ ლეტალური გაზის გავლენის ქვეშ ექცევიან და, საბოლოო ჯამში, სიკვდილისშემდგომი ხრწნის პროცესის გამო სწორედ ამ გაზად გადაიქცევიან.

როცა მარკიზმა დე ლა ტაიად-ესპინასმა შეიტყო, რომ პიერ-ფორში გამოჩნდა ინდივიდიუმი, რომელიც შეიდ წელს გამოქვა-ბულში, ანუ სრულიად ხრწნადი ელემენტის – მიწის გარემოცვაში ცხოვრობდა, აღფრთოვანდა და გრენუი მაშინვე თავისთან, ლა-ბორატორიაში მოაყვანინა, საფუძელიანი გამოკვლევა ჩაუტარა და მიიჩნია, რომ მისი თეორია უთვალსაჩინოესად დადასტურდა: fluidum letale-ს უკვე იმდენად დაეზიანებინა გრენუი, რომ მის 25 წლის სხეულს ნათლად ეტყობოდა სიბერით გამოწვეული ხრწნის ნიშნები. მარკიზის ახსნით, გრენუი ერთადერთმა რამემ გადაარ- ჩინა სიკვდილისაგან, იმან, რომ ტყე მიწას აცილებული მცენა- რეებით, სავარაუდოდ, პურით და ხილით იკვებებოდა. ახლა კი, – თვლიდა მარკიზი, – გრენუის ჯანმრთელობის მდგომარეობის აღ- დგენა მისი, ტაიად-ესპინასის მიერ გამოგონილი ვიტალური ჰაერის სავენტილაციო აპარატის გამოყენებით fluidum-ის საფუძვლიანი განდევნის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი ასეთი აპარატი მას

მონპელიეში ქალაქის სასახლის სარდაფში აქვს და თუკი გრენუი მარკიზს სამეცნიერო-სადემონსტრაციო ობიექტად ყოფნას დასთანხმდებოდა, ის მარტო მიწისმიერი უიმედო მოწამვლისაგან კი არ განკურნავს, არამედ გვარიანი თანხითაც დააჯილდოვებს...

ორის საათის მერე ისინი უკვე კარეტაში ისხდნენ. მიუხედავად იმისა, რომ გზები მაშინ ძალიან ცუდი იყო, სამოცდაათი მილი მონპელიემდე სულ რაღაც ორ დღეში დაფარეს. მარკიზი, მართალია, უკვე ასაკში გახლდათ, მაგრამ ცხენებისა და მეეტლის დასაჩქარებლად არც მათრახის ხმარებაზე ამბობდა უარს და დროდადრო მრავალრიცხოვანი გატეხილი ხელნებისა და რესორების შეკეთებაში პირადად მონაწილეობდა. ისეთი აღფრთოეანებული იყო თავისი აღმოჩენით, რომ სასწრაფოდ უნდოდა მისი წარდგენა განთლებული საზოგადოებისათვის. თავად გრენუის კი არც ერთხელ არ მიეცა კარეტის დატოვების უფლება. ძონძებში, ნოტიო მინით, და თიხით გაჟღენთილ თოქალთოში გახვეული უნდა მჯდარიყო, საჭმელად მხოლოდ უმ ძირხვენეულს აძლეედნენ. ამით მარკიზი იმედოვნებდა, რომ ერთხანს კიდევ შეძლებდა მიწის ფლუიდუმით მოწამვლის იდეალურ მდგომარეობაში დაკონსერვებას.

მონპელიეში რომ ჩავიდნენ, გრენუი მაშინვე სასახლის სარდაფში ჩააყვანინა და მოსაწვევები დაუგზავნა სამედიცინო ფაკულტეტის ყველა წევრს, ბოტანიკური საზოგადოების, სასოფლო-სამეურნეო სკოლის, ქიმია-ფიზიკის გაერთიანების, მასონთა ლოჟისა და სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოების წევრებს. რამდენიმე დღეში – ზუსტად ერთ კვირის თავზე, რაც მთა დატოვა – გრენუი მონპელიეს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზის შემაღლებულ ადგილას იდგა. რამდენიმე ასეული კაცისაგას შემდგარი აუდიტორიის წინაშე ის წლის სამეცნიერო სენსაციად წარადგინეს.

თავის მოხსენებაში ტაიად-ესპინასმა გრენუის ლეტალური მიწის ფლუიდების თეორიის სისწორის „ცოცხალი მტკიცებულება“ უწოდა. ტანზე ძონძებს მეთოდურად ახევდა და თან ხსნიდა, თუ რა გამანადგურებელი ეფექტი მოახდინა სადემონსტრაციო სუბიექტის სხეულზე დამალპობელმა გაზმა:

– მიაქციეთ ყურადღება გაზით დათუთქვისაგან გამოწვეულ წყლულებსა და იარებს. აი აქ, მკერდზე უზარმაზარი წითელი აიროვანი კარცინომაა, კანი ყველგან დამსკდარია; საქმე გვაქვს ჩონჩხის გამოკვეთილ ფლუიდურ გადაგვარებასთან, რომელიც ნათლად გამოიხატება კუზსა და შეზრდილ ფეხის თითებში, მისი შინაგანი ორგანოები: ელენთა, ღვიძლი, ფილტვები, ნაღვლის ბუშტი და კუჭ-ნაწლავის სისტემა მძიმედაა დაზიანებული, რაზეც დამაჯერებლად მეტყველებს განავლის შესწავლა. განავალი სადე-მონსტრაციო სუბიექტის ფეხებთან დგას ტაშტით და ნებისმიერი გსურველისთვისაა ხელმისაწვდომი. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ვიტალური ძალების დამბლა, რომლის მიზეზადაც fluidum letale taillade-თი შვიდწლიანი მოწამვლა გვევლინება, უკვე იმდე- ნად მორს არის წასული, რომ სუბიექტი – რომელიც გარეგნულად უკვე თხუნელას უფრო მოგვაგონებს – უფრო სიკვდილთან ახლოს მდგომ არსებად უნდა განისაზღვროს, ვიდრე სიცოცხლესთან. მოუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, მომხსენებელი შეეცდება ის ვენტილაციური თერაპიის ვიტალურ დიეტასთან კომბინაციით რვა დღეში ისე გამოაჯანმრთელოს, რომ საბოლოო განკურნების ნიშნებს ყველა თავისი თვალით იხილავს. დამსწრე საზოგადოებას შეუძლია ერთი კვირის თავზე აქვე შეიკრიბოს, რათა პროგნოზის რეალურობაში დარწმუნდეს, რაც, თავისთავად, ლეტალური მიწის ფლუიდების თეორიის დამტკიცება იქნება.

მოხსენებას უდიდესი წარმატება ხვდა წილად. სწავლული სა-ზოგადოება დიდხანს უკრავდა ტაშს მომხსენებელს. შემდეგ ყველამ სათითაოდ ჩაუარა შემაღლებულ ადგილს, სადაც გრენული იდგა. თა-ვისი მიშვებული სხეულით, გაუხეშებული ნაიარევებითა და სიმახინ-ჯეებით მან მართლაც ისეთი შემაძრნუსებელი შთაბეჭდილება მოახ-დინა, რომ ყველამ უკვე ცოცხლად გახრწნილად და განწირულად ჩათვალა, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ თავს ჯანმროთელად და ძლიერად გრძნობდა. ზოგიერთი სწავლული ბატონი სხეულზვც უკა-კუნებდა, ზომავდა, პირშიც ჩასცქეროდა და ქუთუთოებსაც უწევდა. ზოგი გამოქვაბულში ცხოვრების ამბებზე გამოელაპარაკა, ზოგი კი

ახლანდელი მდგომარეობის შესახებ ეკითხებოდა, მაგრამ გრენუი გულდასმით ასრულებდა მარკიზის მიერ წინასწარ მკაცრად მიღებულ მითითებებს და ასეთ შეკითხვებზე მხოლოდ მოგუდული ხრიალით პასუხობდა, თან ხელებით ყელისკენ ანიშნებდა, ვითომ ხახაც fluidum letale Taillade-თი მაქვს შეჭმულიო.

მოხსენების ბოლოს მარკიზმა ისევ სახლში წაიყვანა და სასახლის სარდაფში დააბინავა. იქ მარკიზმა გრენუი სამეფიცინო ფაკულტეტის რამდენიმე რჩეული ექიმის თანდასწრებით, ვიტალური ვენტილაციის აპარატში, ანუ ფიჭვის ფიცრებისაგან მჭიდროდ შეკრულ საკუჭნაოში, მოათავსა. ეს საკუჭნაო სახურავიდან ძალიან მაღალი გამწოვი მილით ლეტალური გაზისაგან გაწმენდილი ჰაერით მარაგდებოდა, გადამუშავებული ჰაერი კი იატაკზე მოწყობილი ტყავის ვენტილით ისევ გარეთ გადიოდა. ამ მოწყობილობას მსახურების მთელი რაზმი ამუშავებდა. ისინი დღედაღამ ზრუნავდნენ, რომ მილში ჩაშენებულ ვენტილატორებს მუდმივად ემუშავა. ამგვარად, გრენუი უნწყეეტად იყო გარშემორტყმული გამწმენდი ჰაერის ნაკადით, ყოველ საათში ერთხელ კი გვერდით კედელში ჩაშენებული ორფრთიანი პატარა კარიდან მიწას მოცილებული პროდუქტებისაგან დამზადებულ დიეტურ საჭმელებს აწვდიდნენ: მტრედის ბულიონს, ტოროლას პაშტეტს, გარეული იხვების რაგუს, ხიდან მოკრეფილი ნაყოფის ხილფაფებს, განსაკუთრებით მაღალხარისხოვანი ჯიშის ხორბლის ფქვილისაგან გამომცხვარ პურს, პირენეების ღვინოს, არჩვის რძეს და იმ ქათების კვერცხებისაგან ათქვეფილ მუსს, სასახლის მანსარდაში რომ ჰყავდათ დამწყვდეული.

ხუთ დღეს გრძელდებოდა ეს კომბინირებული განმწმენდი და აღმდგენი პროცედურები, ამის მერე მარკიზმა ვენტილატორები გააჩერებინა და გრენუი აბანოში გადაიყვანეს, სადაც რამდენიმე საათით რბილი წვიმის წყლის აბაზანებში ალბობდნენ. შემდეგ ანდებში მდებარე ქალაქ პოტოსიდან ჩამოტანილი ნიგვზისზეთნარევი საპნით თავიდან ფეხებამდე დაბანეს. ფეხებზე და ხელებზე ფრჩხილები დააჭრეს, დოლომიტის ფხვიერი კირით გაუხეხეს კბილები,

გაპარსეს. თმა შეკრიჭეს და დავარცხნეს, დაუხვიეს და დაუპუდ- რეს. გამოიძახეს თერძი და მეწაღე. გრენუის მისცეს მის ზომაზე შეკერილი პერანგი თეთრი ჟაბოთი და მაქმანებიანი მანჟეტებით, აბრეშუმის წინდები, სერთუკი, შარვალი და ლურჯი ხავერდის ჟი- ლეტი. აგრეთვე შავი ტყავის აბზინდიანი ფეხსაცმელი, რომლის მარჯვენა ცალი კარგად ფარავდა გრენუის დამახინჯებულ ფეხს. მარკიზმა თავისი ხელით დაუპუდრა გრენუის ჩოფურა სახე თეთრი ტალკით ტუჩებსა და ლოყებზე ოდნავ წასცხო კარმინი და წარბებს ცაცხვის ხის ნახშირისაგან დამზადებული რბილი ფანქრით მართლაც რომ კეთილშობილური ფორმა მისცა. შემდეგ თავისი საკუთარი საკმაოდ უბრალო იისსუნიანი სუნამო დაასხა, რამდე- ნიმე ნაბიჯით უკან დაიხია და კარგა ხანი დასჭირდა, რომ თავისი აღფრთოვანება სიტყვებით გამოეხატა.

— მესიე, — როგორც იქნა, დაიწყო მან, — აღფრთოვანებული ვარ საკუთარი თავით. გაოგნებული ვარ ჩემი გენიალურობით. მართალია, არასდროს შემპარვია ეჭვი ჩემი ფლუიდების თეორიის სისწორეში, რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ის გარემოება, რომ თეო- რია პრაქტიკული თერაპიით ასე ბრწყინვალედ დამტკიცდა. ხომ გასაოცარია. თქვენ ცხოველი იყავით და მე ადამიანად გაქციეთ. მართლაც ღვთის შესაფერისი საქმეა. ნება მომეცით, გული ამი- ჩუყდეს. აი აქ, ამ სარკის წინ დადექით და თქვენს თავს შეხედეთ. თქვენს სიცოცხლეში პირველად დაინახავთ, რომ ადამიანი ხართ. მაინცადამაინც განსაკუთრებული ან რამით გამორჩეული არა, მაგ- რამ მაინც სრულიად ნორმალური ადამიანი. მიდით, ბატონო, სარ— კესთან! შეხედეთ თქვენს თავს და გაოცდით სასწაულით, რომე- ლიც მე მოვახდინე!

გრენუის პირველად მიმართეს „ბატონოთი“, ის სარკესთან მი- ვიდა და - თავის სიცოცხლეში პირველად — შიგ ჩაიხედა. მშვენიერ ლურჯ ტანსაცმელში, თეთრ პერანგსა და აბრეშუმის წინდებში გა- მოწყობილი კაცი დაისახა და ინსტიქტურად წელში ღრმად მოი- ხარა ისე, როგორც ასე ჩაცმული ბატონების წინაშე იხრებოდა ხოლმე. ეს ბატონი კი თავადაც მოიხარა და, გრენუი რომ გაიმარ-

თა, იმანაც იგივე გააკეთა. შემდეგ ორივე გაშეშდა და ერთმანეთს თვალებში მიაჩერდა.

გრენუი ყველაზე მეტად იმან დააბნია, რომ გასაოცრად ნორმალურად გამოიყურებოდა. მარკიზი მართალი იყო: არაფრით არ გამოირჩეოდა – ლამაზი არ იყო, მაგრამ არც მახინჯი ეთქმოდა, ტანით მომცრო იყო და ოდნავ გვერდელა, ცოტა უმეტყველო სახე ჰქონდა – მოკლედ, ისე გამოიყურებოდა, როგორც ათასობით სხვა ვინმე. ახლა ქუჩაში რომ გასულიყო, არავინ გააყოლებდა მზერას და არც თავად მოხვდებოდა თვალში ასეთი ვინმე, თუკი, რა თქმა უნდა, იმ ვიღაცას იის სუნის გარდა სხვა სუნი არ ექნებოდა, როგორც ამ ბა- ტონს სარკეში და იმასაც, სარკის წინ რომ იდგა.

არადა, ათი დღის წინ გლეხები მის დანახვაზე ყვირილით, გარბოდწენ. თავს მაშინ ახლანდელისაგან განსხვავებულად არ გრძნობდა. თვალები დახუჭა და არც ახლა უგრძნია რამე სხვაობა, გარშემორტყმული ჰაერი შეისუნთქა და ცუდი სუნამოს, ხავერდის, ახალი ფეხსაცმელების ტყავის, აბრეშუმისა და პუდრის, გაგლესილი ფერუმარილის, პოტოსიდან ჩამოტანილი საპნის სუსტი სუნი იგრძნო. და უცებ მიხვდა, რომ მტრედის ბულიონმა და ვენტილა ციის ტრიუკმა კი არ აქცია ნორმალურ ადამიანად, არამედ მხო- ლოდ და მხოლოდ ნორმალურმა ტანსაცმელმა, ვარცხნილობამ და ცოტაც კოსმეტიკურმა მასკარადმა.

თვალები აახამხამა, გაახილა და დაინახა, როგორ ჩაუკრა თვალი ბატონმა სარკიდან, და კარმინით ოდნავ შეღებილი ტუჩებით გაუღიმა, თითქოს უნდოდა მიეხვედრებინა, რომ არც ისე უსიმპათიოდ მიაჩნდა. გრენუიმაც ჩათვალა, რომ ეს ბატონი სარკეში, ეს ადამიანივით ჩაცმული, შენიღბული, უსუნო არსება არც ისე ცუდი ვინმე იყო, ყოველ შემთხვეეყაში, მოეჩვენა, რომ ეს არსება, თუკი ნიღაბს სრულყოფდა, სამყაროზე მშთაბეჭდილების მოხდენას შეძ- ლებდა. ისეთი შთაბეჭდილებისა, ის, გრენუი, თავისი თავისაგან რომ არც მოელოდა. მან ფიგურას თავი დაუკრა და დაინახა, რომ იმანაც თავის დაკვრითვე უპასუხა და თან ჩუმად ნესტოები დაბე- რა...

31

მეორე დღეს, ის იყო, მარკიზი გრენუის ყველაზე საჭირო პოზებსა და საცეკვაო პას ასწავლიდა საზოგადოებაში გამოსასვლელად, რომ ამ უკანასკნელმა თავბრუსხვევის შეტევა გაითამაშა და, ვითომ სულის ხუთვისაგან ღონემილეული, ტახტზე მიესვენა.

მარკიზი შეიშალა. მსახურებს უღრიალა, დიდი მარაოები და გადასატანი ვენტილატორები მოატანინა. სანამ მსახურები გარბიგამორბოდნენ. გრენუის გვერდზე ჩაიმუხლა, თავისი იის სურნელიანი ცხვირსახოცით უნიავებდა, აფიცებდა, ლამის ემუდარებო- და როგორმე წამომდგარიყო, ახლა არ დაელია სული, როგორმე მაზეგამდე მოეთმინა, თორემ ლეტალურ-ფლუიდური თეორიის მომავალს დიდი საფრთხე დაემუქრებოდა.

გრენუი კი იგრიხებოდა, იკრუნჩხებოდა, კვნესოდა, ხრიალებდა, ორივე ხელით ცხვირსახოცს იგერიებდა. ბოლოს ძალიან დრამატულად გადმოვარდა ტახტიდან და ოთახის ყველაზე მორეულ კუთხეში მიიყუჟა.

– ეგ სუნამო არა! – ვითომ უკანასკნელი ძალების მოკრებით ყვიროდა ის. – ეგ სუნამო არა! ეგ მე მომკლავს!

და მხოლოდ მაშინ, როცა ტაიად-ესპინასმა ცხვირსახოცი ფანჯრიდან გადააგდო და თავისი იის სუნით გაჟღენთილი კამზოლიც გვერდით ოთახში გაიტანა, გრენუის შეტევა თანდათან ჩაუცხრა. შემდეგ, უფრო დაწყნარებით უამბო, რომ მას, როგორც მენელსაცხებლეს, თავისი პროფესიის ადამიანებისათვის დამახასიათებელი მგრძნობიარე ცხვირი აქვს. აქამდე ყოველთვის, განსაკუთრებით კი ახლა, გამოჯანმრთელებისას, ზოგიერთ არომატზე ძალიან ალერგიულად რეაგირებს. ის გარემოება, რომ სწორედ იის, ამ საზოგადოდ სასიამოვნო ყვავილის, სუნს ასე ვერ იტანს, მხოლოდ შემდეგნაირად შეიძლება აიხსნას: მარკიზის სუნამო იის ძირების დიდ რაოდენობას შეიცავს. ეს უკანასკნელი კი, თავისი მიწისქვეშა წარმოშობის გამო, გრენუის მსგავს ლეტალურ-ფლუიდური ზეგავლენის ქვეშ მყოფ პიროვნებებზე მავნედ ზემოქმედებს. გუშინ, პირველად რომ აპკურეს

ეს სუნამო, თავი გაუბრუვდა. დღეს კი, ამ ყვავილის ძირების სუნი ისევ რომ შეიყნოსა, ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს ისევ იმ საშინელ დახუთულ დილეგში ჩააგდეს, სადაც შვიდი წელი გაატარა, ალბათ მისი ბუნება ყოველივე ამას წინ აღუდგა, სხვანაირად ამას ვერ ახსნის. მას შემდეგ. რაც ბატონი მარკიზის ხელოვნებამ ფლუიდებისაგან გაწმენდილი სიცოცხლე აჩუქა, ურჩევნია, მოკვდეს, ვიდრე ამ საძულველი ფლუიდის ზეგავლენას ისევ დაექვემდებაროს, ახლაც კი კრუნჩხვები ემართება ამ სუნამოს გახსენებაზე, მაგრამ სრულიად დარწმუნებულია, რომ ჯან-ღონე მაშინვე დაუბრუნდება, თუკი მარკიზი იის სუნის საბოლოოდ განსადევნად საკუთარი სუნამოს შექმნის უფლებას მისცემს. მას სურს შექმნას განსაკუთრებით მსუბუქი, ჰაეროვანი სურნელი, რომელსაც მიწისაგან დაშორებული ინგრედიენტებისაგან დაამზადებს, ისეთებისაგან, როგორიცაა ნუშისა და ფორთოხლის ყვავილის წყალი, ევკალიპტის, ფიჭვის წიწვისა და კვიპაროსის ზეთი. საკმარისია ასეთი სუნამოს ერთი წვეთი ტანსაცმელზე, რამდენიმე წვეთის დაპკურება ყელსა და ლოყებზე და ის სამუდამოდ იქნება დაზღვეული იმ სამარცხვინო შეტევის გან მეორებისაგან, ახლა რომ დაემართა.

ის, რაც ჩვენ ახლა აზრის სიცხადისათეის ირიბი ნათქვამით გადმოვეცით, სინამდვილეში ნახევარსაათიანი ენაბრგვნილი სიტყვების ნაკადი იყო, რომელსაც შიგადაშიგ წყვეტდა აურაცხელი ხველება, სლუკუნი, სულის ხუთვის შეტევა და ნაწყვეტ-ნანყვეტი ლუღლულით. ამას თან ახლდა კანკალი, ხელების ქნევა და თვალების მრავლისმეტყველი გადატრიალება. მარკიზი ღრმად იყო შეძრული. ტანჯვის სიმპტომებზე მეტად ის თავისი სტუმრის ზუსტმა არგუმენტაციამ დაარწმუხა, რომელიც ლეტალურ-ფლუიდურ თეორიას ეყრდნობოდა, რა თქმა უხდა, იის სუნამოა, მიწასთან საშინლად ახლო მყოფი, მიწისქვეშა პროდუქტი! ალბათ იმისაგან უკ-ვე თვითონაც დასნებოვნებულია, წლების გასმავლობაში ხომ ხომ ამ სუნამოს ხმარობდა და წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ ეს სურნელი სიკევდილთან ყოველდღიურად აახლოებდა. ნიკრისი, კისრის გაშეშება, სასქესო ასოს სისუსტე, ბუასილი, ხმაური ყურებში და

დაჭიანებული კბილი – ეს ყველაფერი უეჭველად ამ ფლუიდებით დაძაბუნებული იის ძირების სუნით მოწამვლის შედეგებია. ამ სულელმა კაცუნამ, ოთახის კუთხეში მიკუნტულმა ამ საცოდაობამ კი თვალი აუხილა. მარკიზს გული აუჩუყდა. სიამოვნებით მივიდოდა მასთან, წამოაყენებდა და თავის განათებულ გულში ჩაიკრავდა, მაგრამ ეშინოდა, კიდევ იის სუნი არ ამდიოდესო. ამიტომ მსა- ხურებს უხმო და უბრძანა, სახლიდან მოეშორებინათ იის ყველა სუნამო, მთელი სახლი გაენიავებინათ და მისი ტანსაცმელი ვიტა- ლურ ვენტილატორში გაეტარებინათ, თავად გრენუი კი ქალაქის საუკეთესო პარფიუმერთან წაეყვანათ საკაცით. გრენუის შეტევის მიზანიც სწორედ ეს იყო.

სუნამოების წარმოებას მონპელიეში ოდითგანვე დიდი ტრადიცია ჰქონდა. მართალია, ბოლო ხანებში კონკურენტ ქალაქ გრასს შედარებით ჩამორჩებოდა, მაგრამ ქალაქში მაინც ცხოვრობდა რამდენიმე კარგი მენელსაცხებლე და ოსტატი-მეხელთათმანე. მათგან ყველაზე ღირსეული და პატივსაცემი გახლდათ ვინმე რუნელი, რომელიც მარკიზ ტაიად-ესპინასის კარს საპნით, ზეთით და სურნელოვანი ნივთიერებებით ამარაგებდა. სწორედ ეს ურთიერთობები მიიღო მხედველობაში რუნელმა და დასთანხმდა მარკიზს ამ წარმოუდგენელ რამეზე – ერთი საათით თავისი სახელოსნოს მარკიზის კეთილი გულით მოყვანილი პარიზელი უცნაური ქარგლისათვის დათმობაზე. ამ უკანასკნელმა არაფერი აახსნევინა, არც იმის გაგება მოისურვა, სად რა იდო – უკვე ვიცი ყველაფერი და ყველაფერს მივაგნებო, – სახელოსნოში ჩაიკეტა და იქ ერთი საათი დაყო. ამასობაში რუნელი და მარკიზის კარის მმართველი დუქანში წავიდნენ ერთი-ორი ჭიქა ღვინის გადასაკრავად. იქ შეიტყო რუნელმა, რატომ აღარ ჰქონდა მარკიზის კარზე ამიერიდან მის იის წყალს არსებობის უფლება.

რუნელის სახელოსნო და მაღაზია არ იყო ისე მდიდრულად აღჭურვილი როგორც თავის დროზე ბალდინის სურსელოვანი საქონლის მაღაზია პარიზში. ყვავილის ზეთის რამდესიმე სახეობით, წყლითა და სუნელებით საშუალო დონის პარფიუმერი ვერაფერს გახდებოდა, მაგრამ გრენუიმ ერთი შეყნოსვისთასავე გაიგო, რომ

ნივთიერებები, რომლებიც აქ იყო, მისი მიზნებისათვის სრულიად კმაროდა. ის არავითარი დიდებული სუნამოს შექმნას არ აპირებდა, არც რომელიმე პრესტიჟული სურნელის შეზავება უნდოდა, როგორც მაშინ ბალდინისთან, ისეთისა, საშუალო დონის სურნელების ზღვისგან გამორჩეული რომ იქნებოდა და ხალხს გადარევდა. მიზნად უბრალო ფორთოხლის ყვავილის სუნამოს შექმნაც კი არ ჰქონია, როგორც მარკიზს დაჰპირდა. ნეროლის, ევკალიპტისა და კვიპაროსის ფოთლის ფართოდ გავრცელებულ ესენციებს მხოლოდ უნდა შეენიღბათ ის არომატი, რომლის მიღებასაც გეგმავდა – ეს კი ადამიანის სუნი იყო. გრენუის ადამიანის სუნის დამზადება სურდა. მას უნდოდა მიეთვისებინა ადამიანის სუნი, რომელიც თვითონ არ გააჩნდა, თუნდაც თავიდან ის ცუდი სუროგატი ყოფილიყო. რა თქმა უნდა, არ არსებობს ადამიანის ზოგადი სუნი, ისევე, როგორც არ არსებობს ადამიანის ერთი სახე. ყოველ ადამიანს რომ თავისი სუნი აქვს, ეს გრენუიზე უკეთ არავინ იცოდა, ის ხომ ადამიანები, ათასობით, ათიათასობით სუნს იცნობდა და დაბადებიდანვე ხალხს ყნოსვით არჩევდა. და მაინც არსებობდა ადამიანის სუნის ძირი- თადი პარფიუმერიული თემა, სხვათა შორის, საკმაოდ უბრალო: მჟავე, ოფლიან-ცხიმოვანი, ყველისსუნიანი, მოკლედ, საზიზღარი ძირითადი თემა, რომელიც ყველას ერთნაირად ახასიათებს, მას კი ინდივიდუალური აურის ღრუბლები ფარავს.

მაგრამ ეს აურა ინდივიდუალური სუნის საკმაოდ რთული, განუმეორებელი შიფრია. ადამიანების უმეტესობა მას საერთოდ ვერ შეიგრძნობს. უმრავლესობამ არც კი იცის, რომ ის საერთოდ აქვს და ისინი ყველაფერს იღონებენ ხოლმე, ეს აურა ტანსაცმლით ან მოდური ხელოვნური სუნებით დაფაროს. მხოლოდ ეს ძირითადი სუნი, ეს პრიმიტიული ადამიასური სურნელია მათთვის ნაცნობი, მის გარემოცვაში ცხოვრობენ და თავს კარგად გრძნობენ. მხოლოდ ის არის მათგან თავისიანად აღიარებული, ვინც ამ საერთო სუნე- ბის საზიზღარ ნაზავს აფრქვევს.

იმ დღეს გრენუიმ საკმაოდ უცნაური სუნამო შექმნა. აქამდე მსგავსი არაფერი ყოფილა დედამისის ზურგზე. მას უბრალოდ სუ-

ნი კი არ მიუთვისებია, არამედ – ადამიანის სუნი. ეს სუნამო ბნელ ოთახში რომ შეგეყნოსათ, გეგონებოდათ, იქ სხვა ადამიანიც არისო. და თუკი ადამიანი, რომელსაც თვითონ აქვს ადამიანის სუნი, ამ სუ-გამოს დაისხამდა, იგი ორ ადამიანად მოგვეჩვენებოდა ან საშინელ ორსახოვან არსებად, რომლის მტკიცედ დაფიქსირებაც აღარ შეიძ-ლება. რადგან ის გამუდმებით მოძრაობს ტბის ფსკერის სურათი-ვით, რომელსაც წყლის ჭავლი აფერმკრთალებს და აბუნდოვანებს.

ადამიანის სუნის ამ იმიტაციის დასამზადებლად, რომელიც მისთვის კი არასაკმარისი იყო, მაგრამ სხვის მოსატყუებლად მაინც ვარგოდა, გრენუიმ რუნელის სახელოსნოში ყველაზე არაჩვეულებ-რივი ინგრედიენტები შეარჩია.

ეზოში გამავალი კარის ზღურბლთან კატის სკორე იპოეა, საკ-მაოდ ახალი. იქიდან გრენუიმ ნახევარი კოვზი აიღო და რამდენიმე წვეთ ძმართან და დანაყილ მარილთან ერთად ასარევ ჭურჭელში ჩადო. სამუშაო მაგიდის ქვეშ ცერისფრჩხილისოდენა ყველის ნაჭე-რი ნახა, რომელიც, როგორც ჩანს, რუნელის რომელიღაც სადილის ნარჩენი იყო. ყველი უკვე კარგა დაძველებული იყო, ლპებოდა და საშინელ, მძაფრ სუნს აფრქვევდა. დუქნის ბოლოს მდგარი სარდი-ნების კასრის თავსახურიდან გრენუიმ აყროლებული თევზის წე-ლებისნაირი რაღა აფხიკა, აურია ის ლაყე კვერცხთან და კასტო-რეუმთან, ნიშადურთან, მუსკატთან, რქის ნაქლიბთან და ღორის მიმწვარ, წმინდად დაფქულ ხიწიწთან და ყოველივე ამას ციბეთინი დაუმატა, შემდეგ ამ წარმოუდგენელ ინგრედიენტებს სპირტი დაასხა, დააყენა და მეორე ბოთლში გაფილტრა. ეს საზიზღარი ნა-რევი კლოაკის, ხრწნისა და სიდამპლის საშისელ სუნად ყარდა, და როცა მარაოს ერთი დაქნევა ამას სუფთა ჰაერს შეურევდა, თავი ცხელი ზაფხულის დღეს პარიზხში ო-ფერისა და ლენჟერის ქუჩების გადაკვეთაზე გეგონებოდათ, იქ, სადაც თავს იყრიდა თევზის რი-გების „უმანკოთა სასაფლაოსა" და გადაჭედილი სახლების სუნები.

ამ საშინელ ძირითად სუნს, რომელიც თავისთავად გვამის სუნს უფრო გავდა, ვიდრე ადამიანისას, გრენუიმ დაამატა ერთი ფენა ისეთი ზეთოვანი გრილი არომატებისა, როგორიცაა პიტნა,

ლავანდი, ტერპენტინი, ლიმონი და ევკალიპტი. შემდეგ ეს სუნები ნაზი გერანის, ვარდის, ფორთოხლის ყვავილის და ჟასმინის ყვავილოვანი ზეთების ბუკეტით შეარბილა და დაფარა კიდეც. მერე ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ გააზავა სპირტითა და მცირეოდენი ძმრით, და იმ საშინელი ნაზავისაგან, რომელზეც ყველაფერი ეს დააშენა, აღარანაირი სიმყრალე აღარ დარჩა. ახალმა ინგრედიენტებმა ის ფარული სიმყრალე სულ გააქრო, ყვავილების სურნელმა გულისამრევი სუნი გაალამაზა, თითქოს საინტერესო, არაჩვეულებრივიც კი გახადა. უცნაურია და, აღარც ხრწნის სუნი შეიმჩნეოდა. ამ სუნამოს, პირიქით, თითქოს ძლიერი, ენერგიული და სიცოცხლის ფრთაშესხმული სურნელი ჰქონდა...

გრენუიმ თავისი ქმნილება ორ ფლაკონში ჩაასხა, თავი მჭიდროდ დაუცო საცობებით და ჯიბეებში ჩაიწყო. შემდეგ ბოთლები, როდინი, ძაბრი და კოვზი საგულდაგულოდ გარეცხა წყლით და ყველანაირი სუნის კვალი რომ გამქრალიყო, მწარე ნუშის ზეთი წაუსვა. მერე სხვა ასარევი ჭურჭელი აიღო და სწრაფად შეაზავა მეორე სუნამო, რომელიც პირველის ასლს ჰგავდა და ისიც იმავე ყვავილოვანი ელემენტებისაგან შედგებოდა, მაგრამ იმ პირველი სუნამოს ჯადოქრული ნაზავის ფუძე არ ჰქონდა, მხოლოდ ძალიან ცოტა მუშკის, ამბრის, ციბეთინის და კედრის ხის ზეთისაგან შედგებოდა. თავისთავად ამ სუნამოს სულ სხვა სუნი ჰქონდა, პირველთან შედარებათ უფრო უბრალო, უფრო უნაკლო და არააგრესიული იყო. მას ხომ ადამიანის იმიტირებული სუნი აკლდა. მაგრამ თუ ნორმალური ადამიანი დაისხამდა და მის საკუთარ სუსში შეერეოდა, იმ სუნამოსაგან ვეღარც გაარჩევდით, გრენუიმ მხოლოდ თავისთვის რომ შექმნა.

როდესაც გრენუიმ მეორე სუსამოც ფლაკონებში ჩამოასხა, გაშიშვლდა და თავისი ტანისამოსი იმ პირველით დანამა. შემდეგ თვითონაც წაისვა ეს სუნამო იღლიებში, ფეხის თითებს შუა, სასქესო ორგანოზე, მკერდზე, ყელზე, ყურებსა და თმებზე. შემდეგ ისევ ჩაიცვა და სახელოსნო დატოვა.

ქუჩამი რომ გავიდა, უცებ შიში დაეუფლა, რადგანაც იცოდა, რომ პირველად თავის სიცოცხლეში ადამიანის სუნი ასდიოდა. თავად კი თვლიდა, რომ ყარდა, საშინლად ყარდა ვერც კი წარმოედგინა, რომ სხვა ადამიანები ამ სუნს სიმყრალედ არ აღიქვამენ, ამიტომ პირდაპირ დუქანში არ შესულა, სადაც რუნელი და მარკიზის კარის მმართველი ელოდნენ, უფრო საიმედოდ ეჩვენებოდა, რომ თავისი ახალი აურა ჯერ ანონიმურ ვითარებაში გამოეცადა.

ყველაზე ვიწრო და ბნელი ქუჩაბანდებით მდინარესთან ჩაიპარა. აქ მთრიმლავებსა და მღებავებს სახელოსნოები ჰქონდათ და თავიანთი მყრალი ხელობით იყვნენ დაკავებულნი. ვინმე თუ შემოხვდებოდა, ან თუ სახლის კარს ჩაუვლიდა, სადაც ბავშვები თამაშობდნენ ანდა მოხუცი ქალი იჯდა, თავს ძალას დაატანდა ხოლმე, რომ ნაბიჯი შეენელებინა და თავისი სუნი დიდი მკერივი ღრუბელივით ჩაეტარებინა.

პატარაობიდანვე იყო მიჩვეული, რომ ადამიანები, გვერდით რომ ჩაუვლიდნენ, საერთოდ ვერ ამჩნევდნენ, იმიტომ კი არა, რომ ეზიზღებოდათ, როგორც ერთ დროს ეგონა, არამედ იმიტომ, რომ მის არსებობას ვერ გრძნობდნენ. მას არ ჰქონდა აურა, ირგვლივ ატმოსფერული ტალღების რხევა, რომლებსაც თითქოს სხვა ადამიანები წარმოშობენ ხოლმე. მას, ასე ვთქვათ, ჩრდილი არ ჰქონდა. თუ ვინმეს პირისპირ შეეჯახებოდა ჭყლეტაში ან უცებ სადმე ქუჩის კუთხეში, მარტო მაშინ გაკრთებოდა ხოლმე მისი აღქმის წამიერი მომენტი. ძირითადად ეს ვილაც შემხვედრი შიშით უკან დაიხევდა, გრენუის ერთი წამით მიაშტერდებოდა, თითქოს რაღაც არსებას ხედავს, რომელსაც, წესით, არც უნდა ჰქონდეს არსებობის უფლე- ბა, და, მართალია, აქ კი დგას, მაგრამ თითქოს არც კი არისო – უცბად გაეცლებოდა და იმწამსვე ივიწყებდა.

ახლა. კი, მონპელიეს მისახვევ-მოსახვევებში, გრენუი ისევ გრძნობდა და ხედავდა (და ყოყელითვის, როცა ხედავდა, სიამაყის ჟრუანტელი დაუვყლიდა ხოლმე), რომ ადამიანებზე რაღაც გავლე-

ნას ახდენდა. როდესაც ჭაში ჩაყუდებულ ქალს ჩაუარა, შეამჩნია, როგორ ასწია მან ერთი წამით თავი, რომ დაენახა, ვინ მიდიოდა და შემდეგ, ეტყობა, დაწყნარებული, ისევ ვედროს მიუბრუნდა. ერთი კაცი, რომელიც მისკენ ზურგით იდგა, შემობრუნდა და კარგა ხანს ინტერესით შესცქეროდა.

ბავშვები, რომლებსაც ხვდებოდა, განზე დგებოდნენ, შიშით, კი არა, უბრალოდ ადგილს უთმობდნენ; და თუკი კარებიდან გამოსულებიც შემთხვევით შეეჩეხებოდნენ, კი არ ეშინოდათ, გვერდზე ჩაუქროლებდნენ ხოლმე, თითქოს მისი მოახლოება მანამდე იგრძნესო.

რამდენიმე ასეთი შეხვედრის წყალობით უფრო თავდაჯერებული გახდა, თავისი ახალი აურა და ზემოქმედების ძალა უფრო ირწმუნა და გათავხედდა კიდეც. სწრაფად მიუახლოვდებოდა ადამიანს, ცდილობდა, რაც შეიძლება ახლოს ჩაევლო, ცოტათი მარცხენა ხელსაც გაიქნევდა და, ვითომ შემთხვევით, გამვლელის ხელს შეეხებოდა ხოლმე. ერთხელ, ვითომ უნებლიეთ, თითქოს გასწრება უნდოდა, ერთ კაცს დაეჯახა. გრენუი გაჩერდა. ბოდიში მოუხადა და იმ კაცმაც, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ გრენუის უეცარ გამოჩენაზე მეხდაცემულივით გაშეშდებოდა, ახლა, თით- ქოს არაფერი მომხდარაო, ბოდიში მიიღო, გაუღიმა და მხარზე ხელიც კი დაჰკრა.

გრენუიმ ქუჩებს თავი ანება და წმინდა პეტრეს ტაძრის წინ მოედანზე გავიდა. ზარების რეკვა ისმოდა. პორტალის ორივე მხარეს ხალხი ირეოდა. ჯვრისწერა დამთავრებულიყო და ყველას პატარძლის დანახვა უნდოდა, გრენუიც იქით გაიქცა და ხალხში შეერია. გზას მუჯლეგუნებით მიიკვლევდა, შუა ბრბოში ეჭედებოდა, იქ, სადაც ყველაზე დიდი ჭყლეტა იყო – ძალიან ახლოს უნდა ყოფილიყვნენ, ცხვირში უნდა ამოეცხო მათთვის თავისი სუნი. ხელების ქნევით იგერიებდა მოწოლილ ხალხს, ფეხები გაშალა, საყელოც მოიღეღა, რომ თავისი სუნი შეუფერხებლად გაევრცელებინა მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა დაინახა, რომ ხალხი ვერაფერს ამჩნევდა, სულ ვერაფერს, კაცმა, ქალმა თუ ბავშვმა –

მის გარშემო ჭყლეტაში ყველამ – ადვილად მოატყუებინა თავი, მისი სიმყრალე, რომელიც კატის ქაქის, ყველისა და ძმრისგან იყო შეთითხნილი თავისი საკუთარი სუნივით აღიქვა და ის, გრენუი, მიგდებული ნაბიჭვარი, თავისიანად ჩათვალა.

მუხლებთან ბავშვი იგრძნო, პატარა გოგონა, რომელიც დი- დებს შორის იყო მოჭყლეტილი, გრენუიმ ბავშვი ვითომ მზრუნ- ველად აიყვანა და ხელში დაიჭირა, რომ ბავშვს უკეთ დაენახა. გოგონას დედამ, რომელიც არამცთუ თანახმა იყო, მადლობაც გა- დაუხადა, პატარა კი სიამოვნებისაგან ჭყლოპინებდა.

იდგა ასე ყალბი სიწმინდის ექსტაზით შეპყრობილი გრენუი თხუთმეტიოდე წუთს ხალხის შუაგულში მკერდზე მიკრული ბავ- შვით. და ვიდრე საქორწილო პროცესია ზარების გამაყრუებელი რეკვისა და ხალხის ყიჟინის თანხლებით ჩაივლიდა და ზედ მონე- ტების წვიმა აცვიოდა, შინაგანად ზეიმობდა. ეს შავი სიხარული იყო, ტრიუმფის ბოროტი გრძნობა. კანკალებდა და ისე იყო აღ- გზნებული, როგორც ავხორცობის შეტევისას და ძლივს იკავებდა თავს, რომ ეს გრძნობა შხამივით და ნაღველიეით არ გადმოენთხია ამ ხალხზე, ნიშნისმოგებით არ მიეხალა მათთვის სახეში, რომ მათი არ ეშინია, რომ თითქმის არც კი სძულს, მაგრამ მთელი სულითა და გულით ეზიზღება, რადგანაც ამ მყრალი სისულელით თავი გააცუცურაკებინეს, რადგანაც ისინი არარაობები არიან, თვითონ კი ყველაფერია! და თითქოს ხალხის კიდევ უფრო მეტად გასაქია- ქებლად, გრენუიმ უფრო მაგრად მიიკრა ბავშვი, ჩაისუნთქა და სხვებთან ერთად იყვირა:

– გაუმარჯოს პატარძალს! ვაშა პატარძალს! გაუმარჯოს დი- დებულ წყვილს!

როდესაც მექორწილეები თვალს მიეფაოსენ და ხალხმაც დაშ-ლა დაიწყო, გრენუიმ ბავშვი დედას დაუბრუნა და ეკლესიაში შევი- და ამდენი მღელვარების მერე დასვენება და დაწყნარება უნდოდა. ტაძარში ჰაერი საკურთხევლის ორივე მხარეს მდგარი სასაკმევ- ლეებიდან ამომავალი საკმევლის ცივი სუნით იყო გაჯერებული და სულის შემხუთველი საბანივით ეფარებოდა ზემოდან იმ ადამიანე-

ბის უფრო სუსტ სუნებს, ცოტა ხნის წინ აქ რომ ისხდნენ. გრენუი ქორედის ქვეშ სკამზე ჩამოჯდა.

ერთბაშად დიდი კმაყოფილების გრძნობა დაეუფლა, მაგრამ ისეთი მათრობელა კი არა, როგორიც ადრე მთის შუაგულში თა- ვისი ეული ორგიების დროს მოეძალებოდა ხოლმე, არამედ ძალიან ცივი და ფხიზელი, რომელიც საკუთარი ძალაუფლების შეგნებას ბადებს. ახლა უკვე იცოდა. რის გაკეთებაც შეეძლო. თავისი გენიის წყალობით და ყველაზე უბადრუკი საშუალებებით ადამიანის სუნის იმიტაცია შექმნა და ისე მოარტყა მიზანში, რომ ბავშვიც კი მოტყუვდა. ახლა უკვე იცოდა, რომ უფრო მეტსაც შეძლებდა. იცოდა, რომ ამ სუნს სრულყოფდა და, საბოლოოდ, ისეთ სურნელს შექმნიდა, რომელსაც ისეთი ანგელოზებრივი, ისეთი ენით აუწე- რელი და მაცოცხლებელი არომატი ექნებოდა, რომ, ვინც კი შეიყ- ნოსავდა, მოჯადოვდებოდა და მას, გრენუის, ამ სუნის პატრონს, მთელი გულით შეიყვარებდა.

დიახ, აიძულებს იმათ, რომ შეიყვარონ. როგორც კი მისი სუ- ნის გავლენის ქვეშ მოექცევიან, იძულებულნი გახდებიან, რომ თა- ვისიანად მიიღონ და შეიყვარონ კიდეც, სიგიჟემდე, თავდავიწყე- ბით შეიყვარონ. უჩვენებს ერთი იმათ, როგორ იკანკალონ სიყვა- რულისგან, იყვირონ, ნეტარებისაგან იტირონ და არც კი იცოდნენ, რატომ. ოდნავ შეიყნოსავენ თუ არა მის, გრენუის, სუნს. მუხლებზე დაემხობიან, როგორც ღმერთის ცივი საკმევლის წინაშე!

გრენუის უნდოდა, სუნის ყოვლისშემძლე ღმერთი გამხდარი- ყო, ისეთი, ფანტაზიებში რომ წარმოედგინა, მაგრამ ამჯერად – ნამდვილი ადამიანების რეალურ სამყაროში, და იცოდა, რომ ეს ყველაფერი შეეძლო. ადამიანებს თვალების დახუჭვა კი შეუძლიათ, რომ სიდიადე, საშინელება ან სილამაზე არ დაინახონ და ყურებსაც დაიხშობენ, რომ მომაჯადოებელი სიტყვები და ადამიანის ხმა არ გაიგონონ, მაგრამ სუნს ვერსად გაექცევიან. რადგანაც სუნი სუნთქვის ძმაა. ის ადამიანებში სუნთქვასთან ერთად შედის და ისიც ვერ დაიცავს მისგან თავს; თუკი სიცოცხლე სწყუროდათ. სუნი მათ სიღმეში აღწევს, შიგ გულებში და იქ გადამწყვეტი დას-

კვნა გამოაქვს სიმპათიის თუ ანტიპათიის, ზიზღის თუ ლტოლვის, სიყვარულის თუ სიძულვილის შესახებ. ვინც სუნებს ფლობს, ის ადამიანების გულთამპყრობელია.

სრულიად მშვიდად იჯდა გრენუი წმინდა პეტრეს ტაძარში სკამზე და იღიმებოდა. როცა ადამიანების დამორჩილება გადაწყვიტა. ეიფორიაში არ ყოფილა. არც გიჟური ნაპერწკალი უელავდა თვალებში. არც სახე ემანჭებოდა. ჭკუიდან არ შეშლილა. ისე მხიარულად და ხალისიანად იყო, რომ უკვირდა, ნეტა რისთვის მჭირდება ეს ყველაფერიო. თავს უთხრა: ყველაფერი იმისთვის მჭირდება, რომ სულით და ხორცით ბოროტი ვარო. და თანაც ეღიმებოდა და ძალიან კმაყოფილი იყო. ყოვლად უწყინრად გამოიყურებოდა, ბედნიერი კაცივით.

იჯდა კარგა ხანს ასე, ჩაფიქრებული, წყნარად და ღრმად ისუნთქავდა საკმევლით გაჯერებულ ჰაერს. და ისევ თვითკმაყოფილმა ღიმილმა გადაჰკრა სახეზე: რა უბადრუკი სურნელი აქვს ამ ღმერთს! რა ღიმილისმომგერელ სუნს ავრცელებს! ის, რაც სასაკმევლეებიდან ადის, ნამდვილი საკმევლის სუნიც კი არ არის, მისი ცუდი სუროგატია, ცაცხვის ხით, დარიჩინის მტვრით და გვარჯილით გაყალბებული! ღმერთი ყარდა. ღმერთი პატარა, საცოდავი მყრალი ვინმე იყო. ან მოტყუებული იყო, ან თვითონ იყო გრენუი- ვით მატყუარა – მაგრამ გრენუიზე ბევრად უფრო ცუდი!

33

მარკიზი დე ლა ტაიად-ესპინასი აღფრთოვანებული იყო ახალი სუნამოთი. ჩემთვის, ლეტალური ფლუიდების აღმომჩენისთვისაც კი – ამბობდა ის, – გასაოცარი სასახავია, როგორი გადამწყვეტი გავლენა შეიძლება ჰქონდეს ადამიასის საერთო მდგომარეობაზე ისეთ მეორენარისხოვან და მსუბუქ რამეს, როგორიც სუნამოა, იმისდა მიხედვით, ეს სუბსტანცია მიწასთან ახლო მყოფი კომპონენტებისაგან შედგება თუ მიწიდან დაშორებულისაგას. გრენუი, რომელიც სულ

რამდენიმე საათის წინ ფერდაკარგული და თითქმის გულწასული იწვა, ახლა მშვენივრად გამოიყურება, როგორც მისი ასაკის ჯან-მრთელ ადამიანს შეეფერება. და შეიძლება ისიც კი ითქვას, – მიუხედავად ყველა ნაკლისა, რომელიც მისი წოდების ადამიანე-ბისათვის არის დამახასიათებელი და, მიუხედავად მისი გაუნათლებ-ლობისა, – თითქოს რაღაც პიროვნულობისმაგვარიც კი შეიძინაო. ყოველ შემთხვევაში, ის, ტაიად-ესპინასი, თავის ფლოიდურ-ლეტალური თეორიისადმი მიძღვნილ ნაშრომში, რომელიც მალე უნდა გამოვიდეს, ამ შემთხვევას აუცილებლად აღწერს დიეტეტიკისადმი მიძღვნილ თავში. პირველ რიგში კი თავად იპკუ-რებს ახალ სუნამოს დანიშნულებისამებრ.

გრენუიმ ჩვეულებრივი სუნამოს ორივე ფლაკონი მას გა-დასცა. მარკიზმაც დაიპკურა და ძალიან კმაყოფილი დარჩა მისი ეფექტით. გამოტყდა კიდეც, მას მერე, რაც წლების მანძილზე იმ საშინელი იის სუნით ტყვიასავით ვიყავი დამძიმებული, ისეთი გან-ცდა მაქვს, თითქოს ყვავილოვანი ფრთები გამომესხა და, თუ არ ვცდები, მუხლის საშინელმა ტკივილმაც მიკლო და ყურის წუილ- მაც, მოკლედ, თავს ფრთაშესხმულად, მხნედ და გაახალგაზრდა-ვებულად ვგრძნობო. მარკიზი გრენუისთან მივიდა, გადაეხვია, თავისი „ფლუიდური ძმა“ უწოდა და იქვე დასძინა, ამ მიმართვით სოციალური თანასწორობა არა მაქვს მხედბელობაში, მხოლოდ და მხოლოდ წმინდა სპირიტუალური in conspectus universalitatis fluidi letalis, რომლის წინაშეც – და მხოლოდ მის წინაშე! – ყველა ადა-მიანი თასწორია, აგრეთვე ვგეგმავ, – და ამ სიტყვებზე მეგობ- რულად და ყოველგვარი ზიზღის გარეშე, თითქმის როგორც თა- ნასწორს, გრენუის ხელი გაუშვა, – სულ მალე ყველა ფენისათვის განკუთვნილი ინტერნაციონალური ლოჟა დავაარსო, რომლის მიზანიც fluidum letale-ს საბოლოო დაძლევა და უმოკლეს დროში მისი fluidum vitale-თი შეცვლა იქნება. სიტყვას ახლავე გაძლევ, რომ ამ ლოჟის პირველი პროზელიტი შენ იქნებიო. ამის შემდეგ მარკიზმა ახალი სუნამოს რეცეპტი დააააწერინა, შეინახა და გრენ-უის ორმოცდაათი ლუიდორი აჩუქა.

თავისი პირველი მოხსენებიდან ზუსტად ერთი კვირის თავზე მარკიზმა დე ლა ტაიად-ესპინასმა თავის მეურვეობის ქვეშ მყოფი გრენუი ხელახლა წარუდგინა უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში დამსწრეებს. აუარებელი ხალხი მოაწყდა, მთელი მონპელიე შეგროვდა, საზოგადოების ნაღები. მარტო მეცნიერული კი არა, პირველ რიგში, საზოგადოების მაღალი ფენაც, მათ შორის ქალბატონები, რომლებსაც ამ ლეგენდარული გამოქვაბულის კაცის ნახვა სურდათ. მიუხედავად იმისა, რომ ტაიად-ესპინასის მოწინააღმდეგეებმა, ძირითადად „უნივერსიტეტის ბოტანიკური ბაღების მეგობრული წრის“ წარმომადგენლებმა და „აგრარული კულტურის წახალისების გაერთიანების“ წევრებმა ყველა თავიანთი გულშემატკივარი დარაზმეს, მარკიზის ღონისძიებას ფენომენალური წარმატება ხვდა წილად.

იმისათვის, რომ საზოგადოებისათვის გრენუის ერთი კვირის ნინანდელი მდგომარეობა შეეხსენებინა, მარკიზმა ჯერ ჩანახატები წარმოადგინა, გამოქვაბულის კაცს მთელი თავისი სიმახინჯითა და მოუვლელობით რომ ასახავდა, შემდეგ კი ლამაზ ლურჯ ხავერდის სერთუკსა და აბრეშუმის პერანგში გამოწყობილი, შეღებილი, დაპუდრული და თმადავარცხნილი გრენუი შემოაყვანინა. უკვე მისმა გამართულმა, მოკლე ნაბიჯებითა და წელის ელეგანტური რხევით სიარულმა, ყოველგვარი დახმარების გარეშე ფიცარნაგზე ასვლამ, ღრმა რევერანსებმა, იქით-აქეთ გაღიმებული სახით თავის დაკ- ვრამ ყველა სკეპტიკოსსა და კრიტიკოხს ხმა ჩააწყვეტინა. უნივერსიტეტის ბოტანიკური ბაღის მეგობრებიც კი დაითრგუნენ და ხმას ვერ იღებდნენ. ცელილება აშკარად მრავლისმეტყველი იყო. წარმოუდგენელი სასწაული მომხდარიყო: იქ, სადაც ერთი კვირის წინ განაწამებ, ოთხზე დამდგარ გაველურებულ ცხოველს ხედავდნენ, ახლა ჭემმარიტად ცივილიზებული, მშვენიერი აგებულების ადამიანი იდგა, დარბაზში თითქმის მოწიწებული ატმოსფერო სუფევდა და, როდესაც ტაიად-ვსპინასი მოხსენების წასაკითხად წამოდგა, სრული სიჩუმე ჩამოვარდა. მარკიზმა კიდევ ერთხელ ჩამოაყალიბა თავისი უკვე საკმაოდ კარგად ცნობილი მიწის ლეტალური ფლუიდების თეორია, შემდეგ ახსხა, თუ რა მექანიკური

და დიეტეტიკური საშუალებებით განდევნა ის დემონსტრირებული სუბიექტის სხეულიდან და როგორ შეცვალა იგი ვიტალური ფლუიდით. დასასრულს, მარკიზმა მოუწოდა იქ დამსწრე საზოგა-დოებას, მეგობრებსა თუ მოწინააღმდეგეებს, ასეთი წარმოდგე- ნელი სიცხადის წინაშე შეეწყვიტათ ამ ახალი მოძღერებისათვის წინააღმდეგობის გაწევა, მასთან, ტაიად-ესპინასთან ერთად, ხელი-ხელჩაკიდებულებს ებრძოლათ ბოროტი ფლუიდის წინააღმდეგ და ვიტალური ფლუიდი ეღიარებინათ. როცა ამას ამბობდა, ხელები გაშალა და თვალები ზეცისკენ აღაპყრო. ბევრმა სწავლულმა მას მიბაძა, ქალები კი ტიროდნენ.

გრენუი ფიცარნაგზე იდგა და ყურს არ უგდებდა. ის უდიდესი კმაყოფილებით აკვირდებოდა სულ სხვა ფლუიდის – გაცილებით უფრო რეალურის – თავისი საკუთარი ფლუიდის ზემოქმედებას. მან გაითვალისწინა დარბაზის სიდიდე და ძალიან ბევრი სუნამო დაისხა. ფიცარნაგზე ფეხის ადგმისთანავე მისი სუნის აურა ძლიერად წამოვიდა დარბაზში. ის ამ აურას ნამდვილად ხედავდა. ხედავდა, როგორ მივიდა ჯერ სულ წინა რიგში მჯდომ მაყურებლამდე, როგორ ვრცელდებოდა ცენტრისაკენ, როგორ მიაღწია ბოლო რიგებს და გალერეაშიც გავრცელდა. გრენუის გული სიხარულით აუძგერდა, როცა დაინახა, როგორ ცვლიდა მისი აურა იმას, ვისაც მიაღწევდა, მაგრამ ისე, რომ ეს გაცნობიერებული არ ჰქონდა. ადამიანებს გამომეტყველება, ქცევა, გრძნობები ეცვლებოდათ. ის, ვინც გრენუის პირველად თავშეკავებული გაკვირვებით უმზერდა, ახლა მოდუნებულიყვნენ და წინ წამოწეულებს ბავშვურად მიმ-ნდობი სახე მიეღოთ. მხდალებიც კი, ვინც ჯერ შეშინებული თუ მგრძნობიარე შეძრწუნებით, შემდეგ კი სკეპტიკურად უყურებდა, სახეზე თავაზიანობისა და სიმპათიის ნიშნებიც კი დაეტყოთ, რო-გორც კი გრენუის სუნმა იქამდე მიაღწია.

მოხსენების ბოლოს მთელი საზოგადოება ფეხზე წამოხტა და ფანატიკური აღფრთოვანებით ყვიროდა.

– გაუმარჯოს ვიტალურ ფლუიდს! გაუმარჯოს ტაიად-ესპინასს! ვაშა ფლუიდურ თეორიას! ძირს ორთოდოქსული მედიცინა! – ასე გაიძახოდა მონპელიეს, საფრანგეთის სამხრეთის უმნიშვნელოვანესი საუნივერსიტეტო ქალაქის განათლებული ხალხი. მარკიზ ტაიად-ესპინასს თავისი ცხოვრების ულამაზესი წუთები დაუდგა.

გრენუიმ, რომელიც ფიცარნაგიდან ჩამოვიდა და ხალხში შეერია, იცოდა, რომ ოვაციები, კაცმა რომ თქვას, მას ეკუთვნოდა, მხოლოდ და მხოლოდ მას, ჟან-ბატისტ გრენუის, თუმცა დარბაზში მოზეიმეთაგან არც ერთს ამაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდა.

34

გრენუი კიდევ რამდენიმე კვირას დარჩა მონპელიეში. საკმაოდ პოპულარული გახდა და სალონებშიც ეპატიჟებოდნენ, გამოქვაბულში ცხოვრებასა და მარკიზის დახმარებით გამოჯანმრთელებაზე ეკითხებოდნენ. ყვებოდა და ყვებოდა გრენუი თავისი გამტაცებელი ყაჩაღების ისტორიას, გამოქვაბულში ჩამოშეებული კალათისა და კიბის ამბებს. მონაყოლს ყოველ ჯერზე სულ უფრო ალამაზებდა და ახალ-ახალ დეტალებს იგონებდა. ასვე ხელახლა გავარჯიშდა ლაპარაკში – რა თქმა უნდა, ძალიან შეზღუდულად, რადგანაც მთელი ცხოვრება ენასთან მწყრალად იყო – და, რაც მისთვის უფრო. მნიშვნელოვანი იყო, ტყუილების თქმას დაეჩვია. მოკლედ, გრენუი მიხვდა, რომ ადამიანებისათვის, რისაც გინდა, იმის მოყოლა შეიძლებოდა, თუ ერთხელ ნდობით შეხედავდნენ, – მის მიმართ ნდობა კი პირველივე ჩასუნთქვით, მისი ხელოვნური სუნის პირველივე შესუნთქვით უჩნდებოდათ, – მერე ყველაფერს იჯერებდნენ. შემდეგ საზოგადოებასთას ურთიერთობაში გაბედულების გარკვეული გამოცდილებაც მიიღო, რაც მანამდე არ გააჩ- ნდა ეს სითამამე ფიზიკურადაც კი გამოიხატებოდა – თითქოს სიმაღლეში მოიმატა, თითქოს კუზიც კი გაუქრა. თითქმის სრულიად გამართული, დადიოდა. და, როდესაც მიმართავდნენ აღარ კრთე-

ბოდა, მოსაუბრეს თვალსაც უსწორებდა. რა თქმა უნდა, ამ ხნის განმავლობაში მაღალ საზოგადოებაში გამოსულ კაცად არ ქცეულა, არც სალონებში დადიოდა, არც საკუთარ თავში დარწმუნებული მოსაუბრე გამხდარა და არც საზოგადოების დამოუკიდებელი წევ-რი. თანდათან უქრებოდა მოღუშულობა და მოუხეშაობა და ისე იქ-ცეოდა, რომ ეს ბუნებრივი თავმდაბლობა გეგონებოდა, ან, ყოველ შემთხვევაში, თანდაყოლილი სიმორცხვე მაინც, რაც ზოგიერთ ბა-ტონსა და ქალბატონზე სენტიმენტალურ შთაბეჭდილებას ახდენ- და. იმ ეპოქაში მაშინდელ მაღალ წრეებს „ბუნებრივი“ და რაღაც გაუთლელი შარმისნაირი იზიდავდა.

მარტის დასაწყისში გრენუიმ ბარგი ჩაალაგა და დილაადრიან, ქალაქის ჭიშკრის გაღებისთანავე, ჩუმად გაიპარა. შეუმჩნეველი, წინა დღეს მეძველმანესთან ნაყიდი ყავისფერი სერთუკი ეცვა და თავზე შელანძღული ქუდი ეხურა, რომელიც სახეს სანახევროდ უფარავდა. ვერავინ იცნო, არავის დაუნახავს ან შეუმჩნევია, რად-განაც იმ დღეს შეგნებულად არ დაისხა თავისი სუნამო. და, როდე-საც შუადღისას მარკიზმა მისი ძებნის ბრძანება გასცა. გუშაგები ყველაფერს იფიცებდნენ, უამრავი ხალხი ვნახეთ, რომელიც ქალა-ქიდან გადიოდა, მაგრამ არა ის ცნობილი გამოქვაბულის კაცი, რო მელსაც ყოველ მიზეზგარეშე შევამჩნევდითო. ამის მერე მარკიზმა ხმა გაავრცელა, გრენუიმ ჩემი თანხმობით დატოვა მონპელიე, რომ ოჯახურ საქმეებზე პარიზში გამგზავრებულიყოო. მაგრამ გულში კი საშინლად იყო გაბრაზებული, რადგანაც განზრახული ჰქონდა გრენუისთან ერთად მთელ სამეფოში ტურნეს მოწყობა და თავისი ფლუიდური თეორიის თაყვანისმცემლების შემოკრება.

ცოტა ხნის შემდეგ მარკიზი დაწყნარდა, რადგანაც მისი სახე- ლი უტურნეოდაც კარგად ვრცელდებოდა. თითქმის მის ჩაურევ-ლად fluidum letale Taillade-ის შესახებ ვრცელი სტატიები დაიბეჭდა „Journal des Scavans“-სა და „Courier de l'Europe"-შიც კი. ლეტალუ-რად დაავადებული პაციენტები მასთან სამკურნალოდ შორიდასაც კი ჩამოდიოდნენ. 1764 წლის ზაფხულში მარკიზმა დააარსა პირ-ველი „ვიტალური ფლოიდის ლოჟა“, რომელიც მონპელიეში 120

წევრს ითვლიდა და ფილიალები ჰქონდა მარსელსა და ლიონში. შემდებ მარკიზმა პარიზის დაპყრობა და იქიდან თავისი მოძღვრების სისწორეში მთელი ცივილიზებული სამყაროს დარწმუნება გადაწყვიტა მაგრამ მანამდე თავისი ლაშქრობის პროპაგანდისტული მხარდაჭერისათვის ერთგვარი ფლუიდური გმირობის ჩადენა ჩაიფიქრა, რომელიც გამოქვაბულის კაცის გამოჯანმრთელების ამბავსა და აგრეთვე სხვა ექსპერიმენტებსაც დაჩრდილავდა. ამისათვის დეკემბრის დასაწყისში უშიშარი ადეპტების ჯგუფის თანხლებით ექსპედიცია მოაწყო კანიგუს პიკზე, რომელიც იმავე მერიდიანზე იყო, რომელზეც პარიზი და პირენეების უმაღლეს მწვერვალად ითვლებოდა. სიბერის პირას მიმდგარ მარკიზს 2800 მეტრის მწვერვალზე ასვლა და იქ ყველაზე წმინდა და სუფთა ვიტალურ ჰაერზე სამი კვირის გატარება სურდა, რათა, როგორც საქვეყნოდ აცხადებდა, ზუსტად შობა ღამეს ოცი წლის ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა კაცად დაბრუნებულიყო უკან.

ადეპტებმა უკვე ვერნესთან, საშიში მთის უკანასკნელ დასახლებასთან, დაყარეს ფარ-ხმალი. მარკიზი კი ვერაფერმა შეაჩერა. საშინელ სიცივეში ტანსაცმელი გაიხადა და ხმამაღალი ყიჟინით მთის დაპყრობას შეუღგა. ბოლო, რაც მისმა თანხმლებმა პირებმა დაინახეს, იყო მარკიზის ექსტაზში აღმართულხელებიანი სილუე- ტი, რომელიც სიმღერით გაუჩინარდა თოვლიან ქარბუქში.

შობის ღამეს მოწაფეები ამაოდ ელოდნენ მარკიზის დაბრუნებას. ის არც მოხუცი დაბრუნებულა და არც ახალგაზრდა. ვერც მომდევნო, წლის გაზაფხულზე, როდესაც ყველაზე გაბედულები მის საძებნელად ჩავიდნენ და კანიგუს ჯერ, კიდევ დათოვლილ მწყერვალზე ავიდნენ, ვერანაირი კვალი ვერ ნახეს: ვერც ტანსაცმელი, ვერც სხეულის რომელიმე ნაწილი, ვერც ძვალი.

რა თქმა უნდა, მის მოძღვრებას ამ ფაქტმა ვერაფერი დააკლო. პირიქით. მალე ხმა ტავრცელდა, მარკიზი მთის მწვერვალზე სამუდამო ვიტალურ ფლუიდს შეუერთდა, შიგ გაითქვიფა და ახლა უჩინარი, მაგრამ მუდმივად ახალგაზრდა, პირენეების მწვერვალებზე დალივლიივებს და ვინც მასთას ავა, მას შეიგრძნობს და ერთი წლის

თავზე ჯანმრთელი და უბედური გახდებაო. რამდენიმე სამედი- ცინო კათედრა თითქმის მე-19 საუკუნის ბოლომდე იცავდა ტაიად-ესპანსის ფლუიდების თეორიას, ბევრი ოკულტური საზოგადოება კი მას თერაპიისათვის იყენებდა. პირენეების ორსავე მხარეს, კეძოდ კი პერპინიანსა და ფიგერასში, დღესაც არსებობს ტაიადის საიდუმლო ლოჟები, რომლის წევრებიც წელიწადში ერთხელ იკრიბებიან, რომ კანიგუს პიკი დალაშქრონ.

იქ ისინი დიდ კოცონს აჩაღებენ, ვითომ მზის ნაბუნიაობის ან წმინდა იოანეს პატივსაცემად. სინამდვილეში კი იმისთვის, რომ თავიანთ დიდ მოძღვარ ტაიად-ესპინასს და მის დიდ ფლუიდს სცენ თაყვანი და უკვდავებას ეზიარონ.

ნაწილი მესამე

35

თუკი საფრანგეთში თავისი მოგზაურობის პირველი ეტაპი-სათვის გრენუის შვიდი წელი დასჭირდა, მეორე ეტაპი შვიდ დღეზე ნაკლებ დროში დაძლია. ის აღარ ერიდებოდა ხალხმრავალ შარაგ-ზებსა და ქალაქებს, არც შორიდან უვლიდა. მას ჰქონდა სუნი, ფუ-ლი და თავდაჯერებულობა. და ეჩქარებოდა.

უკვე იმავე დღის ბოლოს, როდესაც მონპელიე დატოვა, გრო-დიუ-რუას მიაღწია, პატარა საპორტო ქალაქს ეგ-მორტის სამ- ხრეთ-დასავლეთით. აქ მარსელში მიმავალ იალქნიან სატვირთო გემში ჩაჯდა. მარსელში პორტი არც დაუტოვებია, მაშინვე იპოვა გემი და სანაპიროს გასწვრივ აღმოსავლეთისაკენ გაუყვა. ორ დღე- ში უკვე ტულონში იყო, კიდევ სამი დღის მერე – კანში. დარჩენილი გზა ფეხით გაიარა, ქვეყნის სიღრმეში ჩრდილოვთისაკენ ბორცვებ- ზე გამავალ ბილიკს მიუყვებოდა.

ორ საათში უკვე ზეგნის თავზე იდგა. მის წინ რამდენიმე მილ- ზე მდინარის აუზი იშლებოდა რაღაც უზარმაზარი ლანდშაფტური თასივით, რომელსაც გარს ბორცვები და მაღალმთიანი მასივები ეკრა. ამ დაბლობში ახალმოხნული მისდვრები, ბაღები და ზეთის-ხილის ჭალები გადაშლილიყო. იქაურობას სრულიად თავისებური, უჩვეული, ინტიმური ატმოსფერო ავსებდა. მართალია, ზღვა ისე ახლოს იყო, რომ ბორცვის მწვერვალიდანაც ჩანდა, მაგრამ აქ არაფერი მიანიშნებდა არც რამე მარილიან-ქვიშიანზე, არც ღია

სივრცეზე. აქ მხოლოდ მდუმარე განმარტოება სუფევდა, თითქოს ზღვის სანაპირო რამდენიმე დღის სავალზეაო. მართალი, ჩრდილოეთით მაღალი მთები იყო, რომლებზეც ჯერ კიდევ იდო თოვლი და კიდევ დიდხანს იდებოდა, აქ მაინც არ იგრძნობოდა რამე უხეში ან ხრიოკი და არც ცივი ქარი ქროდა. გაზაფხული უფრო ადრე დამდგარიყო, ვიდრე მონპელიეში. ნაზი ნისლი მინის ზარფუხივით ჰქონდა გადაფარებული მინდერებს. გარგარისა და ნუშის ხეები ყვაოდა და თბილ ჰაერში ნარგიზების სუნი ტრიალებდა.

ამ დიდი დაბლობის მეორე მხარეს, დაახლოებით ორი მილის იქით გადაშლილიყო, უფრო სწორად, ციცაბო მთას აჰკვროდ, ქალაქი. შორიდან ეს ქალაქი განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას არ ახდენდა: აქ ვერ დაინახავდი დიდ ტაძარს, სახლებს რომ დაჰყურებს, მხოლოდ ეკლესიის სამრეკლოს წვერი მოჩანდა ოდნავ; ვერც გამორჩეულ ციხესიმაგრეს ან დიდებულ შენობას მოჰკრავდი თვალს, არც ქალაქის კედლები ჩანდა მიუდგომელი. აქა-იქ სახ- ლები გალავანს იყო გაცდენილი, გეგონება, დაბლობისაკენ, სწორი ზედაპირისკენ, მიიწევენო და აქაურობას ცოტათი გაფანტუ- ლის იერს აძლევდნენ. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ქალაქი იმდენჯერ დაუპყრიათ და იმდენჯერ გათავისუფლებულა, რომ დაღლილა და მომავალი თავდამსხმელებისათვის სერიოზული წინააღმდეგობის გაწევის თავი აღარა აქვს, ოღონდ იმიტომ კი არა, რომ სუსტია, არამედ უფრო დაუდევრობის გამო, ანდა სულაც საკუთარი სიძლიერე აქვს შეგნებულიო. ქალაქი არაფრის მტკიცებას არ აპირებდა. ის ისედაც ფლობდა დიდ სურნელოვან თასს, მის ფერხთით რომ გართხმულიყო და ეს, როგორც ჩანს, აკმაყოფილებდა.

ეს იყო შეუხედავი და ამავე დროს თავდაჯერებული ქალაქი გრასი, რომელიც უკვე რამდენიმე ათეული წლის მანძილზე სურნელოვანი ნივთიერებების, სუნამოების, საპნებისა და ზეთების წარმოებისა და ვაჭრობის ერთპიროვნულ დედაქალაქად ითვლებოდა. ჯუზეპე ბალდინი ყოველთვის აღფრთოვანებით, მეოცნებე სახით ახსენებდა მის სახელს. ამბობდა, ეს ქალაქი სურნელების რომია,

მენელსაცხებლეთა აღთქმული ქვეყანა და მას, ვისაც აქაური სკოლა არ გაუვლია, არა აქვს უფლება, პარფიუმერად იწოდებოდესო.

გრენუი ქალაქ გრასს ძალიან ფხიზლად უყურებდა. ის პარფიუმერების აღთქმულ ქვეყანას არ ეძებდა, და არც გული უფართხალებდა, როდესაც მთის ფერდობზე შეფენილ ამ პატარა ქალაქს გასცქეროდა. იმიტომ მოვიდა, რომ იცოდა, აქ უფრო უკეთ შეძლებდა სურნელის მიღების სხეადასხვა ხერხების შესწავლას, ვიდ- რე სხვაგან. და სწორედ ამ ხერხების შესწავლა უნდოდა, რადგანაც თავისი მიზნებისათვის სჭირდებოდა ჯიბიდან თავისი სუნამოს ფლაკონი ამოიღო, ცოტა დაიპკურა და გზას გაუდგა. საათ-ნახევრის შემდეგ. შუადღისას უკვე გრასში იყო.

მან ქალაქის ზედა მხარეს ოზ-ერის მოედანზე ისადილა ფუნდუკში. მოედანს პატარა ღელე კვეთდა მთელ სიგრძეზე. ღელეში მთრიმლავები ტყავებს რეცხავდნენ და შემდეგ გასაშრობად იქვე აფენდნენ. იქიდან ისეთი სიმყრალე მოდიოდა, რომ ზოგიერთ სტუმარს ჭამის მადაც ეკარგებოდა. გრენუის კი სულ არ აწუხებდა, რადგან ამ სუნს კარგად იცნობდა და ეს მხოლოდ თავდაჯერებას მატებდა. ყოველ ქალაქში გრენუი პირველ რიგში მთრიმლავების უბანს მოძებნიდა. ამის მერე, სიმყრალიდან რომ გამოვიდოდა და ქალაქის სხვა ადგილების შესახებ გაიკითხ-გამოიკითხავდა, უცხოობის გრძნობა უკვე აღარ ჰქონდა ხოლმე.

საღამომდე ქალაქში დაეხეტებოდა. ეს ქალაქი საშინლად ბინძური იყო, მიუხედავად წყლისა, ან იქნებ სწორედ წყლის გამო. ათობით წყაროდან და ჭიდას წყალი მოუწესრიგებელ პატარა რუებში და არხებში მოჩუხჩუხებდა და ქუჩაბანდებს ლამით ავსებდა. ზოგ უბანში სახლები ის მჭიდროდ იყო ერთმანეთზე მიტყუპული, რომ გასასვლელებისა და კიბეებისათვის მხოლოდ წყრთისოდენა ადგილიღა რჩებოდა. ლაფში გამვლელები კი, წის მიმავლისთვის გვერდი რომ აექციათ, მჭიდროდ უნდა მიტმასნოდნეს ერთმანეთს. მოედნებს და შედარებით ფართო ქუჩებზეც კი ეტლები ძლივს უვლიდნენ ერთმანეთს გვერდს. და მაინც, ტალახის, სიბისძურისა და სივიწროვის მიუხედავად, ქალაქი სავსე იყო ხელოსნებით.

სულ ცოტა, შვიდი საპნის სახარში სახელოსნო დათვალა გრენუიმ ხეტიალისას, თორმეტამდე – პარფიუმერიისა და ხელითათმანე-ბისა, კიდევ დისტილატების, პომადებისა და სანელებლების, დასამზადებელი უამრავი წვრილი სახელოსნო, დაბოლოს, შვიდამდე პარფიუმერიის მაღაზია, სადაც სურნელოვანი ნაწარმით ბითუმად ვაჭრობდნენ.

ყოველ შემთხეევაში, ესენი იყვნენ ნამდეილი სურნელოვანი პროდუქტებით მოვაჭრე კანტორების მფლობელები. მათ სახლებს ეს ხშირად არც ეტყობოდა. ქუჩაზე გამომავალი ფასადები ბურჟუაზიულად უბრალოდ გამოიყურებოდა. მაგრამ იმას, რაც მათ უკან, მანსარდებში, საკუჭნაოებსა და უზარმაზარ სარდაფებში ეწყო: ზეთით სავსე კასრებს, საუკეთესო ლავანდის საპნის შტაბელებს, ყვავილის ესენციის ბოცებს, ღვინოებს, სპირტს, სურნელოვანი ტყავის რულონებს, სანელებლებით გატენილ ტომრებს, სკივრებსა და ყუთებს... ამ ყველაფრის სუნს გრენუი უსქელეს კედლებს მიღმაც კი გრძნობდა. და ეს ყველაფერი ნამდვილი განძი იყო. ისეთი განძი, დიდგვაროვნებსაც რომ არ გააჩნდათ.

და თუკი უფრო კარგად შეიყნოსავდა, მაშინვე გრძნობდა, რომ ქუჩისაკენ გამომავალ პროზაულ სავაჭრო და სასაწყობო ოთახებს მიღმა, ამ შეუხედავი ბიურგერული სახლების უკან წარმოუდგენე- ლი ფუფუნებით სავსე შენობები იდგა. პატარა, მაგრამ მიმზიდველი ბაღების გარშემო, სადაც ოლეანდრები და პალმები ხარობდა და ყვავილებით გარშემორტყმული ნაზი შადრევნები ჩუხჩუხებდა, განლაგებული იყო ძირითადად ნახევარწრედ აგებული, პირით სამხრეთისაკენ მიმართული სასახლეების ძირითადი ფლიგელები: მზიანი, აბრეშუმის შპალერგაკრული საძინებლები ზედა სართულებზე, ეგზოტიკური ხის ჯიშებით მოპირკეთებული მდიდრული სალონები და სასადილოები პირველ სართულზე, ხანდახან ტერასებად გარეთ, ბაღშიც რომ გამოდიოდა. აქ, როგორც ბალდინი ყვებოდა, მართლაც ოქროს დანა-ჩანგლით და კოვზებით ჭამდნენ ფაიფურის თეფშებიდან. ბატონებს, რომლებიც ამ შეუმჩნეველ კულისებს მიღმა ცხოვრობდნენ, ოქროს და ძალაუფლების სუნი ჰქონდათ, მათ დიდძალი

საიმედოდ დაცული სიმდიდრის სუნი ასდიოდათ და ეს სუნი უფრო ძლიერი იყო ეიდრე ყველაფერი, რაც კი აქამდე გრენუის პროვინციაში თავისი მოგზაურობისას შეეყნოსა.

ერთ-ერთი ასეთი შენიღბული პალაცოს წინ გრენუი დიდხანს იყო დაყუდებული. სახლი დრუატის ქუჩის დასაწყისში იდგა. ეს მთავარი ქუჩა იყო და ქალაქს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მთელ სიგრძეზე მიუყვებოდა. შენობა მეზობელი სახლებისაგან არაფრით გამოირჩეოდა. ცოტათი უფრო ფართო კი იყო და სოლიდური ფასადი ჰქონდა, მაგრამ იმპოზანტური არ ყოფილა. ჭიშკართან კასრებით სავსე ფორანი იდგა და ზედ მიყუდებული ფიცრით იქიდან კასრებს აგორებდნენ. იქვე მეორე დატვირთული საზიდარიც იცდიდა. ვიღაც კაცი ქაღალდებით ხელში კანტორაში შევიდა. იქიდან სხვა კაცთან ერთად დაბრუნდა და ორივე ჭიშკარში გაუჩინარდა. გრენუი ქუჩის მოპირდაპირე მხარეს იდგა და ამ ყველაფერს აკვირდებოდა. რაც იქ ხდებოდა, მას არ აინტერესებდა, მაგრამ იგი მაინც იდგა. რაღაცა აკავებდა.

თვალები დახუჭა და შენობიდან გამომავალ სუნებზე გაამახვილა ყურადღება. აქ იყო ძმრისა და ღვინის კასრების სუნები, შემდეგ საწყობის ასობით სუნის ერთობლიობა, შემდეგ სიმდიდრის სუნი, რომელიც კედლებიდან უნაზესი ოქროს ოფლივით იღვრებო- და, დაბოლოს ბაღის სუნი, რომელიც სახლის მეორე მხარეს უნდა ყოფილიყო, სულაც არ იყო ადვილი ამ ბაღის უნაზეს სუხებში გარკვევა, რადგანაც ისინი სახლის სახურავის გავლით ქუჩაზე ვიწროვიწრო ზოლებად გადმოედინებოდა. გრენუიმ იყნოსა მაგნოლიები, სუმბული და როდოდენდრონი. მაგრამ ამ ბაღში იყო კიდევ სხვა, წარმოუდგენლად კარგი, საოცრად. გამოოჩეული სუნი, ისეთი, რომლის მსგავსი მას არასოდეს... არა, მხოლოდ ერთხელ შეეყნო- სა. აუცილებლად უსნდა მისულიყო უფრო ახლოს სურნელთან.

ჯერ იფიქრა, მამულში უბრალოდ ჭიშკრიდან ხომ არ შევიდეო, მაგრამ იქ იმდენი ხალხი ალაგებდა და ამოწმებდა კასრებს, რომ აუცილებლად შეამჩნევდნენ. გადაწყვიტა, ქუჩას ჩაჰყოლოდა, იქ- ნებ პატარა შესახვევი ან რამე გასასვლელი ეპოვა, რომელიც გვერ-

დიდან მიუდგებოდა იმ სახლს. რამდენიმე მეტრის გავლის, შემდეგ დრუატის ქუჩის დასაწყისში ქალაქის ჭიშკარს მიადგა, ჭიშკარი გაიარა, მარცხნივ გაუხვია და ქალაქის გალავანს დაბლა დაუყვა, ცოტა ხანში იმ ბაღის სუნი იგრძნო, ჯერ სუსტად, მინდვრების სუნთან შერეული, შემდეგ უფრო მკაფიოდ. ბოლოს მიხვდა, რომ ძალიან ახლოს იყო იმ ბაღთან. ბაღი ქალაქის კედელს ემიჯნებოდა, გრენუი სწორედ მის გვერდით იდგა. ცოტათი უკან თუ დაიხევდა, ღობის მაღლა ფორთოხლის ხეების ზედა ტოტებს ხედავდა.

ისევ დახუჭა თვალები და თავს დაატყდა ცისარტყელას ფერადი ზოლებივით ნათლად და მკაფიოდ გამოკვეთილი ბაღის სურნელები. და ის ერთი, ყველაზე ძვირფასი, რომელსაც ეძებდა, მათ შორის იყო. გრენუიმ ნეტარება იგრძნო და შიშისაგან გააცია თავში სისხლმა აასხა, როგორც დანაშაულის ადგილზე გამოჭერილ თაღლითს. სისხლი ხან მოაწვებოდა, ხან უკან ბრუნდებოდა და გრენუის არაფერი შეეძლო ეღონა, რადგან ამ სურნელმა ძალზე მოულოდნელად შემოუტია. ერთი წამით, ერთ ამოსუნთქვაზე, რომელიც მას მარადისობად მოეჩვენა, დრო თითქოს გაორმაგდა თუ საერთოდ გაქრა. აღარ იცოდა, ახლა, ახლა იყო და აქ, აქ იყო, თუ ახლა მაშინ იყო და აქ კი იქ, პარიზში, მარეს ქუჩაზე 1753 წლის სექტემბერში. ბაღიდან იმ წითურთმიანი გოგონას სურნელი მოდიოდა, რომელიც მაშინ მოკლა. ამ სუნის პოვნამ ხეტარი ბედნიერების ცრემლებით აუვსო თვალები. მაგრამ რომ წარმოიდგენდა, ეს შეიძლება ასე არ იყოსო, გული უსკდებოდა.

თავბრუ ეხვეოდა და ცოტათი ბარბაცებდა კიდეც. იძულებული გახდა, კედელს მიყრდნობოდა და ნელ-ნელა თხრილში ჩამჯდარიყო. იქ გონება მოიკრიბა და ამ ფატალური სურსელის მოკლე-მოკლედ, ნაკლებად სახიფათო ოდენობით შეყნოსვა დაიწყო. ასე დაადგინა, რომ ღობის იქიდან გადმოსული სუსი, მართალია, წითურთმიანი გოგონას სუნს ძალიან ჰგავდა, მაგრამ ზუსტად ისეთი არ იყო. რა თქმა უნდა, ესეც წითურთმიანი გოგონას სუნი იყო, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. თავისი ყნოსვითი წარმოდგენით გრენუი ნათლად ხედავდა ამ გოგოსას სურათს. გოგონა წყნარად

კი არ იჯდა: აქეთ-იქით დახტოდა, ხან გახურდებოდა, ხანაც გაგრილდებოდა. ეტყობა, რაღაცას თამაშობდა და ამ თამაშის დროს საჭირო იყო სწრაფად მოძრაობა და მერე სწრაფადვე გაჩერება. სხვათა შორის, თამაშის დროს ვიღაც კიდევ იყო მასთან ერთად, მაგრამ მის სუნს საერთოდ არანაირი მნიშენელობა არ ჰქონდა. გოგონას კი თვალისმომჭრელად თეთრი კანი ჰქონდა, მწვანე თვალები, ჭორფლი სახეზე, ყელზე და მკერდზე... უფრო სწორად – გრენუის ერთი წამით სუნთქვა შეეკრა, შემდეგ უფრო ინტენსიურად შეიყნოსა და შეეცადა, მარესქუჩელი გოგონას ყნოსვითი მოგონება განედევნა... უფრო სწორად, ამ გოგონას მკერდი თითქმის არ ემჩნეოდა ძალიან ნაზი, სულ ოდნავი სურნელის მქონე, ჭორფლებით დაწინწკლული, შეიძლება რამდენიმე დღის ან რამდენიმე საათის წინ, ან სულაც ამ წუთში გაჩენილი პატარა მკერდი ჰქონდა. ერთი სიტყვით, ეს გოგონა ჯერ კიდევ ბავშვი იყო. მაგრამ რა ბავშვი!

გრენუის შუბლზე ოფლმა დაასხა. იცოდა, რომ ბავშვებს განსაკუთრებული სუნი არა აქვთ, ისევე, როგორც ყვავილის ჯერ კიდევ გაუშლელ მწვანე კოკრებს, მაგრამ ეს თითქმის დახურული კოკორი კედელს მიღმა, რომელიც ის-ის იყო, ამოწვერვას იწყებდა და, გრენუის გარდა, ჯერ ვერავინ ამჩნევდა, ისეთ ღვთაებრივ სურნელს აფრქვევდა, რომ თმა ყალყზე დაგიდგებოდა. და როცა მთელი თავისი სილამაზით გადაიშლებიოდა, მსოფლიოში ჯერ რომ არავის უყნოსავს, ისეთი სურნელის პატრონი გახდებოდა.

მას ახლავე უფრო უკეთესი სუნი აქვს, ვიდრე მაშინ მარეს ქუჩაზე იმ გოგონას. მისი სუნი არ არის ისეთი ძლიერი, ისეთი სავსე, მაგრამ უფრი ნაზი, დახვეწილი და თანაც უფრო ბუნებრივიცაა. ერთ-ორ წელინადში კი ეს სუნი მომწიფდება და ისეთი ძლიერი გახდება, რომ მას ვერავინ ვერ გაექცევა – ვერც კაცი და ვერც ქალი, გოგონას ჯადონსური სუნი ადამიანებს ისე გადათელავს, განაიარალებს და დაატყვევებს, რომ მათ არც კი ეცოდინებათ, რა მოუვიდათ. და რადგანაც სულელები არიან და ცხვირი მარტო საქშენადა აქვთ და სჯერათ, რომ სუყველაფერს თვალებით შეიცნობენ. იტყვიან, ამ გოგონას სილამაზემ, ტრაციამ და მიმზიდვე-

ლობამ მოგვაჯადოვაო. თავიანთი მოკლე ჭკუით მის სწორ სახის ნაკვთებს, მოქნილ ტანს და უნაკლო მკერდს შეასხამენ ხოტბას. იტყვიან, თვალები ზურმუხტს უგავს, კბილები – მარგალიტს, კანი სპილოს ძვალივით გლუვი აქვსო და კიდევ, რა ვიცი, რა იდიოტურ შედარებებს არ მოიყვანენ. ჟასმინის დედოფლად გამოაცხადებენ, ვიღაც უტვინო მხატვრები მის პორტრეტებს დახატავენ, მისი სურათით დატკბებიან და ყველა იტყვის, საფრანგეთის უმშვენიერესი ქალიაო. ვიღაც ღლაპები მთელი ღამეები მანდოლინის ჰანგების თანხლებით თვალცრემლიანები ისხდებიან მისი ფანჯრების ქვეშ... მსუქანი მდიდარი კაცები მუხლისჩოქით შეევედრებიან მამამისს მის ხელს... მისი შემხედვარე ყველა ასაკის ქალი კი ამოიოხრებს და ძილშიც იმაზე იოცნებებს, ერთი დღე მაინც ვიყო ასე მაცდუნებლად მშვენიერიო. და არავის ეცოდინება, რომ სინამდვილეში მისი გარეგნობა, მისი ვითომდა უნაკლო მშვენიერება კი არ იზიდავთ, არამედ მხოლოდ მისი შეუდარებელი, საოცარი სურნელი! მხოლოდ მას, გრენუის, ეცოდინება ეს. მან ეს ახლავე იცოდა.

ოჰ, როგორ უნდოდა, ამ სურნელს დაუფლებოდა! ისე უაზროდ და მოუქნელად არა, როგორც მაშინ იმ მარესქუჩელი გოგონას სუნს. ის ხომ უბრალოდ შესვა, გადაჰკრა და ამით გაანადგურა. არა, მას ახლა კედლისიქითა გოგონას სურნელის მითვისება უნდოდა: გოგონასათეის სურნელი კანივით უნდა აეძრო და თავის საკუთარ სურნელად ექცია. ეს როგორ უნდა ექნა, ჯერ არ იცოდა. მაგრამ წინ ორი წელი ჰქონდა, რომ ესწავლა. მართლაცდა, ამის გაკეთება იშვიათი ყვავილისათვის სურნელის წართმევაზე უფრო ძნელი ხომ ვერ იქნებოდა.

გრენუი წამოდგა. ლამის მოწიწების, თითქოს წმინდანს ან ვინმე მძინარეს ტოვებსო, იქაურობას გაეცალა მოხრილი, ჩუმად, რომ არავის დაენახა, არავის გაეგო, არავის მიექცია ყურადღება მისი ძვირფასი ნაპოვნისათვის. კედელს გაჰყვა და ქალაქის საპირისპირო მხარეს გაიქცა. იქ გოგონას სურსელი, როგორც იქნა, დაიკარგა. ფენეანის კარიბჭიდან იგი ისევ ქალაქში შევიდა. სახლების ჩრდილში გაჩერდა. ვიწრო ქუჩების სიმყრალეს თავდაჯერება შემატა და

იმ წამლეკავი უინის დაძლვაში დაეხმარა. თხუთმეტ, წუთში სულ დამშვიდდა. ახლო მომავალში იმ ბაღთან აღარ მივალო, გაიფიქრა. არ იყო საჭირო. მეტისმეტად აღიგზნებოდა. ყვავილი ამ ბაღში უიმისოდაც ხარობდა და როგორ განვითარდებოდა, ეს გრენუიმ ისედაც იცოდა. მას არ ჰქონდა უფლება, დროზე ადრე დამთვრალიყო ამ სუნით. ახლა თავგამეტებით უნდა ემუმავა, ცოდნა გაეღრმავებინა და ხელოსნური ჩვევები დაეხვეწა, რათა მოსავლის აღების დრო რომ დადგებოდა, მზად ყოფილიყო. მას ორი წელი ჰქონდა წინ.

36

ფენეანის კარიბჭის შორიახლოს, დე-ლა-ლუვის ქუჩაზე გრენუიმ პატარა საპარფიუმერიო სახელოსნო აღმოაჩინა და იკითხა, ჩემთვის სამუშაო ხომ არა გაქვთო.

აღმოჩნდა, რომ მფლობელი, პარფიუმერი ონორე არნულფი, გასულ ზამთარს მომკვდარიყო და საქმეებს მისი ქვრივი, მოძრავი, შავთმიანი, ასე ოცდაათი წლის ქალი უძღვებოდა ერთი ქარგლის დახმარებით.

მადამ არნულფი დიდხანს წუნუნებდა ცუდ დროებაზე და დაძაბულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მაგრამ შემდეგ განაცხდა, მარ–თალია, მეორე ქარგლის ფული არა მაქვს, მაგრამ სამუშაოს ვერ ავუდივარ და კიდევ ერთი ქარგალი სასწრაფოდ მჭიოდებაო. ისიც განაცხადა, მეორე ქარგალს სახლში ვერ შევუშვებ, მაგრამ აქვე, ათი წუთის სავალში, ფრასცისკელების მოსასტროის უკან ზეთისხილის ბაღში პატარა ქოხი მაქვს, სადაც მოკრძალებული ახალგაზრდა კაცი გაჭირვების ჟამს ღამის გათევას შეძლებსი, მე, როგორც პატიოსან დიასახლისს, რა თქმა უხდა, კარგად მომეხსენება ქარგლების ჯანმრთელობაზე ჩემი პასუხისმგებლობა, მაგრამ, მეორე მხოივ, შეუძლებლად მიმაჩნია ორჯერ ცხელი საჭმლით მათი უზრუსველყოფაო, ერთი სიტყვით, გრესუიმ თავიდანვე იყნოსა, რომ მადამ არნულფი შეძლებული, bსაღად მოაზროვნე და საქმიანი ქალი იყო,

რადგანაც გრენუის ფული არ აინტერესებდა, კვირაში ორ, ფრანკ გასამრჯელოსა და სხვა მწირ პირობებზეც დაჰყაბულდა და ხელი ხელს დაჰკრეს. უხმეს პირველ ქარგალს, ახმახს, სახელად დრიუოს რომელიც, როგორც გრენუიმ მაშინვე შეატყო, შეჩვეული იყო მადამის სარეცლის გაზიარებას და, როგორც ჩანს, მადამ არნულფი მის უკითხავად საქმიან გადაწყვეტილებებს არ იღებდა. დრიუო გრენუის წინ აისვეტა (ამ ახმახის გვერდით გრენუი სასაცილოდ პატარა ჩანდა), ფეხებგაჩაჩხული იდგა, ირგვლივ სპერმის სუნს აფრქვევდა, ათვალიერებდა და თვალებში ჩასცქეროდა, თითქოს რაღაც ბნელი ზრახვების ან შესაძლო მეტოქის ამოცნობა უნდაო, ბოლოს ქედმაღლურად გაიღიმა და თავის დაქნევით მისცა დასტური.

ასე რომ ყველაფერი გადაწყდა. გრენუის ხელი ჩამოართვეს, მშრალად ავახშმეს და საბანი და ქოხის გასაღები მისცეს. ეს ქოხი უფანჯრო იყო და შიგ ცხვრის გამხმარი კურკლებისა და თივის სასიამოვნო სუნი იდგა. აქ გრენუი როგორღაც მოეწყო. მეორე დღეს კი მადამ არნულფთან მუშაობას შეუდგა.

ნარგიზების დრო იყო. მადამ არნულფის ყვავილები თავის პატარა მიწის ნაკვეთებზე მოჰყავდა, რომლებიც ქალაქგარეთ გრასის დიდ დაბლობზე ჰქონდა, ან კიდევ გლეხებისაგან ყიდულობდა, რომლებსაც თითოეული კალათისთვის თავგამეტებით ევაჭრებოდა. ყვავილები დილაადრიან კალათებით მოჰქონდათ ათიათასობით, სახელოსნოში ყრიდნენ და დიდ, მაგრამ ბუმბულივით მსუბუქ სურნელოვან ზვინებად უყრიდნენ თავს. ამასობაში დრიუო დიდ ქვაბში ღორისა და ძროხის ქონს ადნობდა არაჟნის კონსისტენციამდე. სანამ გრენუი ცოცხივით გრძელი სათქვეფელათი ამ მასას განუწყვეტლივ ურევდა, დრიუო ნიჩბით ყრიდა შიგ ყვავილებს. ქონის დამდნარ ზედაპირზე დაყრილი ყვავილები ერთი წამით სასიკვდილიოდ შეშინებულებს ემსგაესებოდნენ, მაგრამ, როგორც კი სათქვეფელა შეეხებოდა, მაშინვე კარგავდნენ ფერს და ცხელ ქონში იძირებოდნენ. ისინი იმავ წამს ჭკნებოდნენ და, როგორც ჩანს, სიკვდილი ისე უეცრად ეტაკებოდათ, რომ სხვა გამოსაყალი აღარ ჰქონდათ და თავიანთ უკანასკნელ სურნელოვან ამოკვნესას

იმ ნივთიერებას გადასცემდნენ, რომელშიც იხრჩობოდნენ. გრენუი აღფრთოვანდა, როცა მიხვდა, რომ, რაც უფრო მეტი ყვავილი ჩაიყრებოდა ქვაბში, მით უფრო ინტენსიურ სუნს შეიძენდა ქონი. და ეს მკვდარი ყვავილები კი არ გამოსცემდნენ სუნს ქონში, არამედ თვით ქონი ითვისებდა ყვავილების სურნელს.

ამასობაში ეს ნახარში შესქელდებოდა და ის სასწრაფოდ დიდ ცხრილში უნდა გადმოესხათ, რომ სველი, მკვდარი სხეულებისაგან გაეთავისუფლებინათ და ისევ ცოცხალი ყვავილებისათვის მოემზადებინათ. გრენუი და დრიუო მთელი დღე შეუსვენებლივ ყრიდნენ. ურევდნენ და წურავდნენ, რადგანაც დაყოვნება არ შეიძლებოდა. ასე რომ, საღამოსთვის ყვავილები უკვე მთლიანად იყო დამუშავებული.

დანაკარგი რომ არ ჰქონოდათ, ნარჩენებს მდუღარე წყალს ასხამდნენ და ხრახნიან წნეხში ყრიდნენ, რომ უკანასკნელ წვეთამდე გამოეწურათ. იქიდან ნაზი სურნელის მქონე ზეთი გამოდიოდა, არომატის უდიდესი ნაწილი კი – ყვავილების სული – ქვაბში იყო ჩამწყვდეული და შეუხედავ, მონაცრისფრო-მოთეთრო ქონში ნელ-ნელა მაგრდებოდა.

მონდევნო დღეს მაცერაცია – ასე უწოდებდნენ ამ პროცედურას – გრძელდებოდა. ქვაბს აცხელებდნხენ, ქონს ადნობდნენ და ახალი ყვავილებით ავსებდნენ. ასე გრძელდებოდა რამდენიმე დღეს დილიდან საღამომდე. მომქანცველი სამუშაო იყო. თავის ქოხში რომ ბრუნდებოდა, გრენუის ხელები ტყვიასავით ჰქონდა დამძიმებული, ბებერები უჩნდებოდა, ზურგი სტკიოდა. დრიუოს, რომელიც მასზე სამჯერ ძლიერი მაინც იქსებოდა, არც ერთხელ არ შეუცვლია მორევისას, მხოლოდ ბამბულიქეით მსუბუქი ყვავილების ჩაყრით კმაყოფილდებოდა, ცეცხლს აქცევდა ყურადღებას, ყოველ ხელსაყრელ მომენტში იტყოდა ხოლმე, სიცხეაო და თითო ყლუპით ყელის გასასველებლად გადიოდა. მაგრამ გრენუი არ წუწუნებდა. დილიდან დაღამებამდე უხმოდ ურევდა ყვაყილებს ქონში და ამ საქმიანობისას დაღლილობას თითქმის ვერ გრძნობდა, რადგანაც ისევ და ისევ აღტაცებული იყო მის თვალნინ მიმდინა-

რე პროცესით: ყვაეილების სწრაფი ჭკნობით და მათი სურნელს შთანთქმით.

რამდენიმე ხნის მერე დრიუო გადაწყვეტდა ხოლმე, რომ ქონი გაჯერებული იყო და მეტ სუნს ვეღარ შეიწოვდა. ისინი ცეცხლს აქრობდნენ, ბოლოჯერ გადაწურავდნენ ცხრილში სქელ ნახარშს და ქვის ტიგელში ასხამდნენ, სადაც ის მალე მაგრდებოდა და დიდებულ სურნელოვან პომადად იქცეოდა.

ახლა კი მადამ არნულფის ჯერი დგებოდა, რომელიც მოდიოდა, ძვირფას პროდუქტს ამოწმებდა, წარწერას უკეთებდა და მის ხარისხსა და რაოდენობას ზუსტად აღრიცხავდა წიგნებში, მას მერე, რაც ტიგელებს საკუთარი ხელით დაახურავდა თავს, დაბეჭდავდა და სარდაფის სიგრილეში ჩაიტანდა, შავ კაბას ჩაიცვამდა, ქვრივის თავსაფარს დაიხურავდა და ქალაქის ვაჭრებსა და სუნამოებით მოვაჭრე სახლებს შემოუვლიდა. ემოციურად უხსნიდა ყველას მარტოხელა ქალის მდგომარეობას, ისმენდა შეთავაზებულ წინადადებებს, ფასებს ადარებდა, ოხრავდა და ბოლოს თავის საქონელს ან გაყიდდა, ან არა. ცივად შენახული სურნელოვანი პომადა დიდხანს ძლებდა. და თუ ახლა ფასები არც ისე სარფიანი იყო, ვინ იცის, ეგებ ზამთარში ან მომავალ გაზაფხულზე აწეულიყო ისიც უნდა ეფიქრა, ამ ვაჭრუკანებისათვის რამის მიყიდვას, ხომ არ აჯობებდა, სხვა წვრილ მეწარმეებთან ერთად პომადის დიდი პარტია გემით გენუაში გაეგზავნა, ან მონაწილეობა მიეღო ბოკერის საშემოდგომო ბაზრობაში, რა თქმა უნდა, ერთიც სარისკო იყო და მეორეც, მაგრამ წარმატების შემთხვეეაში დიდ მოგებასაც მოუტანდა. ამ სხვადასხვა შესაძლებლობებს მადამ არნულფი საგულდაგულოდ აწონ-დაწონიდა ხოლმე, ერთიმეორეს შეადარებდა ხანდახან ერთმანეთსაც დაუკავშირებდა და თავისი განძის ნაწილს ყიდდა, ნაწილს ინახავდა, ნაწილს კი რისკიანი გარიგებებით ასაღებდა. თუკი გაიკითხავდა და ისეთი შთაბეჭდილება შეექმნებოდა, რომ პომადების ბაზარი გაჯერებული იყო და არც ახლო მომავალში შეიცვლებოდა მდგომარეობა მის სასარგებლოდ, მაშინ თავსაფრის ფრიალით შინისაკენ გაქანდებოდა და დრიუოს მთელი

პროდუქციის გადამუშავებას და Essence Absolue-დ[7] ქცევას დაავალებდა.

მაშინ პომადას ისევ ამოიტანდნენ სარდაფიდან. დახურულ ქოთნებში ფრთხილად გააცხელებდნენ, სუფთა ღვინის სპირტს ჩაასხამდნენ და შიგ ჩაშენებული მოსარევი მოწყობილობით, რომელსაც გრენუი ამუშავებდა, ერთმანეთში საგულდაგულოდ ურევდნენ და მინარევებისაგან ასუფთავებდნენ. სარდაფში ისევ დაბრუნებული ეს ნაზავი მალე ცივდებოდა, გამაგრებისას პომადის ცხიმიდან სპირტი გამოიყოფოდა, რომლის ბოთლებში ჩამოსხმაც არ იყო ძნელი. ეს იყო სუნამოსმაგვარი რაღაც, მაგრამ ძალიან ინტენსიური. დარჩენილი პომადა კი სურნელის უდიდეს ნაწილს კარგავდა. ასე რომ, ყვავილების სურნელი ისევ სხვა გარემოში გადადიოდა. მაგრამ ამით ეს ოპერაცია არ მთავრდებოდა. სურნელოვან სპირტს საფუძვლიანად წურავდნენ და დოლბანდში ცხიმის უმცირესი ნაწილაკებიც კი რჩებოდა. შემდეგ დრიუო სპირტს პატარა გამოსახდელ ქვაბში ათავსებდა და უდაბლეს ცეცხლზე ნელ-ნელა ხდიდა.

სპირტის აქროლების მერე ჭურჭელში ერთი ბეწო ოდნავ შეფერილი სითხე რჩებოდა. გრენუიმ იცოდა, ეს რა სითხე იყო, მაგრამ ასეთი ხარისხის და სიწმინდისა არც ბალდინისთან შეეყნოსა და არც რუნელთან. ეს იყო სუფთა ზეთი, ყვეავილების ნაღდი სურნელი, რომელიც ათასჯერადად იყო კონცენტრირებული ერთ პეშვ Essence Absolue-დ. ამ ესენციას ნაზი სუსი აღარ ჰქონდა. მისი სუნი თითქმის უკიდურესად ინტენსიური, მძაფრი და მწვავე იყო. და მისი ერთი წვეთი, ერთ ლიტრ სპირტში გახსსილი, საკმარისი იყო, რომ ყნოსვით გაგეციოცხლებინა ყყავილების მთელი მინდორი.

რა თქმა უნდა, სითხე ძალიას ცოტა გამოდიოდა: სამი პატარა ფლაკონი თუ აივსებოდა. ასიათასობით ყვავილის სუსიდან არაფერი რჩებოდა, სამი პატარა ფლაკონის გარდა. მაგრამ ისინი აქ, გრასშივე, ძალიან ძვირი იყო, პარიზში, ლიონში, გრენობლში

[7] Essence Absolue - აბსოლუტური ესენცია (ფრ.)

ან გენუასა და მარსელში რომ გაგეგზაენა – გაცილებით ძვირი! მადამ არნულფი ამ ფლაკონების შეხედვაზე დნებოდა, თვალებით ეფერებოდა და, როდესაც ხელში აიღებდა და სპეციალურად მორგებული შუშის საცობებით დაუცობდა თავს, სუნთქვასაც კი იკრავდა, რომ ძვირფასი შიგთავსიდან არაფერი დაკარგულიყო, დახურვისას უმცირესი ატომიც რომ არ გაპარულიყო, იგი საცობებს თხევადი ცვილით ბეჭდავდა და თევზის ბუშტში ახვევდა. მას კი ფლაკონის ყელზე მაგრად კრავდა, შემდეგ ფლაკონებს ბამბით ამოვსებულ კოლოფებში აწყობდა, სარდაფში ჩაჰქონდა და საიმედოდ კეტავდა.

37

აპრილში ისინი კურდღლისცოცხასა და ფორთოხლის ყვავილის მაცერაციით იყვნენ დაკავებულნი. მაისში ერთი თვის განმავლობაში მთელი ქალაქი აუარებელი ვარდის სურნელის უხილავ, კრემივით ტკბილ ნისლში იყო გახვეული. გრენუი ვირივით მუშაობდა. მორჩილად, თითქმის მონური მზადყოფნით ასრულებდა დრიუოს ყოველ დავალებას, მაგრამ როცა თითქოს თვინიერად ურევდა ყვავილებს, შპატელით მუშაობდა, ქვაბებს რეცხავდა, სახელოსნოს გვიდა ან შეშას მოათრევდა, ხელობის არც ერთი არსებითი მხარე, სურნელთა გარდაქმნის არც ერთი დეტალი არ ეპარებოდა თვალთახედვიდან.

იმაზე ბევრად უკეთესად, ვიდრე დრიუო ამას ოდესმე შეძლებდა, კერძოდ კი ცხვირით, გრენუი თავიდან ბოლომდე ადევნებდა თვალყურს და დარაჯობდა არომატების გარდაქმნას ყვავილების ფურცლებიდან ცხიმისა და სპირტის გავლით პატარა ძვირფას ფლაკონებში მათ ჩამოსხმამდე. ის დრიუოზე გაცილებით ადრე ვედებოდა ყნოსვით, როდის ცხელდებოდა ქონი მეტისმეტად, როდის იფიტებოდა ყვავილების მასა, როდის იყო ნახარში უკვე ბოლომდე სუნით გაჯერებული, გრძნობდა, რა ხდებოდა შესაზავებელ ჭურჭელში და ზუსტად რა მომენტში უნდა დასრულებულიყო დისტილირების

პროცესი და ყოველ ჯერზე ამას ვითომ შემთხვევით აგრძნობინებდა ისე, რომ თავის მონური მორჩილების ნიღაბს არ იხსნიდა. მეჩვენება, თითქოს ქონი უკვე ძალიან გაცხელდა, – იტყოდა ხოლმე, - მგონია, რომ გადაწურვა შეიძლება... ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს სპირტი ქვაბიდან უკვე აორთქლებული უნდა იყოს... დრიუო კი, რომელიც დიდი ჭკუისკოლოფი არ იყო, მაგრამ არც ისე სულელი, დროთა განმავლობაში ვერ მიმხვდარიყო, რომ ყველაზე სწორ გადაწყვერილებებს სწორედ მაშინ იღებდა, როდესაც იმას აკეთებდა, რასაც გრენუი „გრძნობდა“ ან რაც გრენუის „ეჩვენებოდა“, და რადგანაც გრენუი არასოდეს გამოთქვამდა თავხედურად ან ტრაბახით, რომ „ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს“ და, მით უმეტეს, მადამ არნულფის თანდასწრებით ამას არასოდეს აკეთებდა და, რადგანაც იგი დრიუოს ავტორიტეტსა და უფროსი ქარგლის პრივილეგირებულ მდგომარეობას ხუმრობითაც კი არასოდეს ხდიდა საეჭვოდ, დრიუო ცუდს ვერაფერს ხედავდა იმაში, რომ გრენუის რჩევები მიეღო და დროთა განმავლობაში გადაწყვეტილებების მიღებაც მისთვის მიენდო.

სულ უფრო ხშირად ხდებოდა, რომ გრენუი მარტო კი არ ურევდა, ყვავილებსაც ამატებდა, ცეცხლს აჩაღებდა, ცხრილში წურავდა პომადას, ამასობაში კი დრიუო ან „ოთხ დოფინში“ შეირბენდა ხოლმე თითო ჭიქის გადასახუხად, ან მადამთან ავიდოდა, აბა საქმე როგორ არისო, იცოდა, რომ გრენუის იმედად ყოფნა შეიძლებოდა. გრენუის, მართალია, ორი კაცის მაგივრად უხდებოდა მუშაობა, მაგრამ ის მარტო ყოფნით ტკბებოდა, მოსწონდა, რომ ახალ საქმეში ხელოვნდებოდა და, თუკი საშუალება მიეცემოდა, პატარ-პატარა ექსპერიმესტებსაც ატარებდა. ფარული სიხარულით ხვდებოდა, რომ მისი დამზადებული პომადა უფრი ნაზი, მისი Essence Absolue კი გაცილებით სუფთა გამოდიოდა, ვიდრე დრიუოსთას ერთად გაკეთებული.

ივლისის ბოლოს ჟასმინის დრო დადგა, აგვისტოში – ტუბეროსის. ორივე მცენარეს ისეთი დახვეწილი და ნაზი სურნელი ჰქონდა, რომ ყვავილები მარტჯო მზის ამოსვლამდე კი არ უხდა დაეკრიფათ,

არამედ საგანგებოდ, განსაკუთრებით ფრთხილად უნდა დაემუშავებინათ. სითბო მათ არომატს ამცირებდა და სამაცერაციო ცხელ ცხიმში სწრაფი ჩაყრა ხომ სულ გაანადგურებდა. ეს ყვავილთა შორის უკეთილშობილესნი ასე ადვილად არავის ამოაგლეჯინებდნენ სულს. მათთვის სული ეშმაკობით უნდა დაგეტყუებინა. საგანგებო ოთახში მათ გრილ ქონწასმულ ფიცრებზე შლიდნენ ან ხალვათად ახვევდნენ ზეთით გაჟღენთილ ტილოებში, აქ მათ სასიკედილი უნდა დაეძინათ. ისინი მხოლოდ სამი ან ოთხი დღოს მერე ჭკნებოდნენ და თავიანთ სურნელს გარშემო მყოფ ქონს ან ზეთს გადასცემდნენ. ამის მერე ყვავილებს ფრთხილად ააცლიდნენ და ახლა სხვა ყვავილებს აბნევდნენ. ეს პროცესი ალბათ ათჯერ ან ოცჯერ მაინც მეორდებოდა, სანამ პომადა მთლიანად არ გაიჟღინთებოდა სურნელით და ტილოებიდან სურნელოვანი ცხიმის გამოწურვა არ გახდებოდა შესაძლებელი: ამასობაში სექტემბერიც დგებოდა. მიღებული პროდუქტის რაოდენობა ბევრად ნაკლები იყო. ვიდრე მაცერაციის დროს, მაგრამ ასეთი ცივი ანფლერაჟით მიღებული ჟასმინის პასტა ან ძველებური მეთოდით მოპოვებული ტუბეროზის ზეთი სინაზითა და ორიგინალისადმი ერთგულებით პარფიუმერული ხელოვნების ყველა სხვა პროდუქტს აღემატებოდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ჟასმინის მდგრადი ეროტიკული სურნელი ცხიმით დაფარულ ფიცრებზე ისე იყო აღბეჭდილი, როგორც სარკეში და სრულიად ბუნებრივად აისახებოდა.

გრენუის ცხვირი გრძნობდა განსხვავებას ყვავილის სურნელსა და მის დაკონსერვებულ სუნს შორის: ქონის თავისებური სუნი (რაც უნდა სუფთა ყოფილიყო), მაინც ნაზი გადასაფარებელივით ეფინებოდა ორიგინალის სურსელს, არბილებდა სიმძაფრეს და მის სილამაზეს ჩვეულებრივი ადამიანებისათვის ასატანადაც კი აქცევდა. ყოველ შემთხვევაში, ცივი ანფლერაჟი ყველაზე დახვეწილი საშუალება იყო ნაზი სუნების დასაჭერად. უკეთესი არ არსებობდა. მართალია, არც ამ მეთოდს შეეძლო გრენუის ცხვირის მოტყუება, მაგრამ თვითონ ხომ იცოდა, რომ ეს ყნოსვის უნარს მოკლებული სულელების გასაცუცურაკებლად ყელამდე საკმარისი იყო.

სულ მოკლე ხანში თავის მასწავლებელ დრიუოს მარტო მაცერაციაში კი არ აჯობა, არამედ ცივ ანფლერაჟშიც, და ეს უკვე გამოცდილი. მლიქვნელური ტაქტით აგრძნობინა. დრიუომ მას დიდი ხალისით გადააბარა ქალაქში სასაკლაოზე სიარული და იქ ყველაზე შესაფერისი ქონის ამორჩევა, მათი გაწმენდა, გადნობა, ფილტრაცია და ნარევების პროპორციების განსაზღერა. დრიუოს ყოველთუის ეშინოდა ამ დავალებისა და მას დიდი გაჭირვებით ასრულებდა ხოლმე, რადგან უსუფთაო, ამძაღებულ ან ღორის, ცხვრის თუ საქონლის მჭახესუნიან ქონს შეიძლება ძვირფასი პომადა გაეფუჭებინა. დრიუომ გრენუის სპეციალურ ოთახში გაქონილ ფიცრებს შმორის მანძილის განსაზღვრაც მიანდო, ყვავილების შეცვლისა და პომადის საბოლოოდ გაჯერების მომენტის დადგენაც და, მოკლედ, ყველა იმ საპასუხისმგებლო საკითხის გადაწყვეტა, რომლებსაც ის, დრიუო, ისევე, როგორც თავის დროზე ბალდინი, ყოველთვის ნასწავლი წესების მიხედვით წყვეეტდა, გრენუი კი ამას თავისი ცხვირის კარნახით აკეთებდა, მაგრამ დრიუო, რა თქმა უნდა, ვერაფერს ხვდებოდა.

– ბედნიერი ხელი აქვს, – ამბობდა დრიუო, – ტანი უგრძნობს, რა უნდა ქნას ხოლმე.

ხანდასან კი ფიქრობდა: „უბრალოდ, ჩემზე გაცილებით ნიჭიერია, მაგისგან ჩემზე ასჯერ უკეთესი პარფიუმერი დადგება". მაგრამ ამავე დროს დრიუო გრენუის ნსამდვილ სულელად თვლიდა, რადგანაც, მისი აზრით, გრენუიმ თავისი ნიჭის გამოყენება არ იცოდა. გრენუი მას ამ აზრს კიდევაც უმყარებდა, ბეჯით სულელს თამაშობდა, პატივმოყვყარეობას ერთი წამითაც არ ამჟღავნებდა და ისე იქცეოდა, თითქოს საკუთარ გენიალურობას ვერ ხვდებოდა გამოცდილი დრიუის მითითებებს ასრულებდა, ურომლისოდაც ის, გრენუი, არარაობა იყო. ამგვარად, ისინი მშვენიერად ეწყობოდნენ ერთმანეთს.

ამასობამი შემოდგომაც გავიდა და დადგა ზამთარი. სახელოსნოში უფრო მშვიდი ვითარება იყო. ტიგელებსა და ფლაკონებში ჩამწყვდეული, ყვავილების სურნელება სარდაფში ეწყო. შიგადაშიგ

მადამი ამა თუ იმ პომადის შემოწმებას ან ერთი ტომარა გამხმარი ბალახების გამოხდას თუ მოინდომებდა, თორემ ისე საქმე ბევრი არაფერი ჰქონდათ. კიდევ იყო ზეთისხილი - ყოველ კვირა რამდენიმე კალათი. დრიუოს და გრენუის მათგან პირველნახადი ზეთი უნდა მიეღოთ, დანარჩენს კი ზეთსახდელში აბარებდნენ იყო კიდევ ღვინო, რომლის ნაწილისგანაც გრენუი სუფთა სპირტს ხდიდა.

დრიუო სულ უფრო და უფრო იშვიათად ჩნდებოდა სახელოსნოში. ის თავის მოვალეობას მადამის საწოლში იხდიდა და თუ ოფლითა და სპერმით აყროლებული მაინც გამოჩნდებოდა ხოლმე, ისიც მარტო იმისთვის, რომ მერე ისევ „ოთხ დოფინში" გაუჩინარებულიყო. მადამიც უფრო იშვიათად ჩადიოდა ხოლმე სახელოსნოში. ის ქონებრივი საქმეებით და გლოვის წლისთავისთვის თავისი გარდერობის გადახალისებით იყო დაკავებული. ხშირად დღეები ისე გავიდოდა, გრენუი, მოახლე გოგოს გარდა, რომელსაც შუადღისას წვნიანი და საღამოს პური და ზეთისხილი მოჰქონდა, არავის ხედავდა. გარეთ თითქმის არ გადიოდა. ამქრის ცხოვრებაში და ქარგლების რეგულარულ შეხვედრებსა თუ საზეიმო სვლებში მხოლოდ იმდენად მონაწილეობდა, რომ იქ მისი არც ყოფნა სცემოდა ვინმეს თვალში და არც არყოფნა. არც მეგობრები ჰყავდა, არც ახლო ნაცნობები. მაგრამ ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდა იმას, რომ ვინმეს კუდაბზიკად ან განდგომილად არ ჩაეთვალა. სხვა ქარგლებს საშუალება მისცა, რომ მასთას ურთიერთობა უღიმღამოდ და მოსაწყენად მიეჩნიათ. მოწყენილობის შექმნისა და თავისი თავის გაუთლელ სულელად გასაღების დიდოსტატი იყო მაგრამ, რა თქმა უნდა, ისე არ აჭარბებდა, რომ სხვები მისი დაცინვით დამტკბარიყვნენ, ან ქარგლების გაერთიანებაში ტრადიციული უხეში ხუმრობების მსხვერპლად გაეხადათ. გრენუიმძ იმას მიაღწია, რომ სრულიად უინტერესო ვინმედ ჩათვალეს და თავი დაანებეს. და იმასაც მარტო ეს უნდოდა.

მთელ თავის დროს ის სახელოსნოში ატარებდა. დრიუოს ეუბ-ნებოდა, ოდეკოლონის რეცეპტის გამოგონება მინდაო. სინამდვილე-ში კი ექსპერიმესტებს სულ სხვა სუნებზე ატარებდა. ის სუნამო მონპელიეში რომ შეაზავა, ნელ-ნელა უთავდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან იზოგავდა. და სხვა სუნამო შექმნა. მაგრამ ამჯერად იმით კი არ დაკმაყოფილდა, რომ სახელდახელოდ შეგ-როვილი მასალებისაგან მეტ-ნაკლებად ვარგისი ადამიანის სუნის იმიტაცია შეეთითხნა, არამედ მთელი თავისი პატივმოყვარეობა მოიკრიბა პერსონალური სუნის, უფრო სწორად, პერსონალური სუნების კოლექციის შესაქმნელად.

ჯერ შეუმჩნეელი სუნით დაიწყო: რუხ-თაგვისფერი საყოველ-დღეო ტანისამოსივით, რომელშიც ადამიანური, ყველივით მომჟავო ნიუანსი კი იყო, მაგრამ მარტო ოდნავ იგრძნობოდა ბებრის გამომშრალ კანზე გადაცმული მკვრივი შალის ტანსაცმლიდან ამო-მავალი სუნივით. ამ სუნით შეეძლო მშვიდად ეგრძნო თავი ხალხში. სუნამო საკმარისი იყო იმისათვის, რომ ადამიანის იქ ყოფნაზე მიე-ნიშნებინა, მაგრამ ამავე დროს ისეთი მოკრძალებულიც იყო, რომ ვერავინ ამჩნევდა. ამ სუნით გრენუი გეგონება არ არსებობდა, მაგ-რამ ამავე დროს შეუმჩნეელად მაინც ავლენდა თავის იქ ყოფნას. ეს ძალიან ხელსაყრელი იყო როგორც მადამ არნულფის სახლში ყოფნისთვის, ისე ხანდახან ქალაქში გასასვლელადაც.

მაგრამ ზოგჯერ ეს მოკრძალებული სუნი ხელის შემშლელიც აღმოჩნდებოდა ხოლმე. როდესაც დრიუოს დავალებით რამეს ყი-დულობდა ან რომელიმე ვაჭართან თავისთვის ციბეთინის ან რამ-დენიმე მარცვალი მუშკის ყიდვა უნდოდა, შეიძლება ისე მომხდა-რიყო, რომ მისი იდეალური მეუმჩმევლობის გამო მართლაც ვერ დაენახათ და არ მომსახურებოდნემ, ან დაენახათ, მაგრამ ის არ მიეცათ, რაც სჭირდებოდა, ან კიდეე ისევ დავიწყდებოდათ მისი მომსახურება, ასეთი შემთხვევებისათვის მან უფრო ჯიშიანი, ოდ-ნავ ოფლისსუნიანი სურნელი შექმნა, რომელსაც ყნოსკითი თვალ-

საზრისით ყველაფერი ჰქონდა იმისათვის, რომ თავისი გარეგნობისათვის უფრო უხეში იერი მიენიჭებინა და ხალხი დაერწმუნებინა, რომ ეჩქარება და სასწრაფო საქმეები აქვს. მან აგრეთვე შექმნა დრიუოსთვის დამახასიათებელი aura seminalis-ის[8] იმიტაცია, რისთვისაც ცხიმიანი ტილოს ზეწარი იხვის ახალი კეერცხისა და მომჟავოსუნიანი პურის ფქვილისაგან აზელილი პასტით გაჟღინთა და საოცრად მიმსგავსებული სუნი მიიღო. ამ სუნსაც წარმატება ჰქონდა, როდესაც გრენუის რამენაირად ყურადღების მიპყრობა სურდა ხოლმე.

მისი არსენალიდან შემდეგი იყო სიბრალულის გამომწვევი სუნამო, რომელიც განსაკუთრებით საშუალო და უფროსი ასაკის ქალებზე მოქმედებდა. მას წყალწყალა რძისა და სუფთა რბილი ხის სუნი ჰქონდა. ამ სუნით – გაუპარსაეი, მჟავე გამომეტყველებით და მოსასხამის გაუხდელადაც რომ შესულიყო – გრენუი ერთი საწყალი, ფერმკრთალი, დაგლეჯილქურთუკიანი ბიჭის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომელსაც დახმარება სჭირდება. ბაზრის ქალები, ამ სუნს რომ იყნოსავდნენ, თხილსა და მსხლის ჩირს აძლევდნენ, ისეთი მშიერი და უმწეო ეჩვენებოდათ. ყასბის ცოლი კი, რომელიც თავისი სისასტიკითა და წუწურაქობით იყო განთქმული, უფლებას აძლევდა, ძველი აყროლებული ხორცის და ძვლების ნარჩენები გაექექა და იქიდან რამე მუქთად წაეღო, რადგანაც გრენუის უცოდველი სუნი დედურ გულს ულბობდა. თავის მხრივ, გრენუი ამ ნარჩენებიდან სპირტით პირდაპირი გაჟღენთის გზით სუნის მთავარ კომპონენტს იღებდა, რომელსაც მაშინ იპკურებდა, თუ აუცილებლად განმარტოებით უნდოდა ყოფნა. ეს სუნი მის ირგვლივ ჩუმი ზიზღის ატმოსფეროს ქმნიდა. ეს იყო დამპლისმაგვარი სუნი, რომელიც დილაობით ბებერი, მოუვლელი პირებიდან ამოვარდება ხოლმე. ეს სუნამო ისე კარგად მოქმედებდა, რომ თვით დრიუოც კი, რომელიც დიდად ზიზღიანი არ იყო, უნებურად მიბრუნდებოდა ხოლმე და გარეთ გადიოდა, სუფთა ჰაერზე, რა თქმა უნდა,

---

[8] aura seminalis - თესლის სუნი (ლათ.)

ისე, რომ არც კი ჰქონდა გაცნობიერებული, რა აიძულებდა გარეთ გასვლას. ამ რეპელენტის რამდენიმე წვეთის ქოხის ზღურბლზე დაწვეთება კი საკმარისი გამოდგა იმისათვის, რომ ნებისმიერი დაუპატიჟებელი სტუმარი, ადამიანი თუ ცხოველი, იქაურობას არ გაჰკარებოდა.

ამ სხვადასხვაგვარი სუნების საფარველქვეშ, რომლებსაც გარემოებებისდა მიხედვით ტანსაცმელივით იცვლიდა, და რომლებიც საშუალებას აძლეედა, ადამიანების სამყაროში შეუმჩნეველი ყოფილიყო და თავისი არსი დაემალა, გრენუიმ ნამდვილ მისწრაფებას მისცა თავი: გაწაფულ ნადირობას სუნებზე. და რადგანაც წინ დიადი მიზანი ჰქონდა და დრო – ერთ წელიწადზე მეტი, მარტო გულანთებული მონდომებით კი არ შეუდგა საქმეს, არამედ საოცრად გეგმაზომიერად და სისტემურად სრულყოფდა იარაღს, ამუშავებდა ხერხებს და ხვეწდა მეთოდებს. იქიდან დაიწყო, სადაც ბალდინისთან გაჩერდა: უსულო საგნებისგან – ქვისგან, ლითონისგან, შუშისგან, ხისგან, მარილისგან, წყლისგან, ჰაერისგან სუნების გამოყოფით.

ის, რაც მაშინ დისტილაციის მოუხეშავი მეთოდით ასე წარუმატებლად დამთავრდა, ახლა ცხიმების მძლავრი აბსორბირების ძალით გამოდიოდა. მას კარის თითბრის ურდულის სიძველის გრილი სუნი მოეწონა და რამდენიმე დღით ძროხის ქონში შეახვია. ცხიმი რომ შემოაცალა და შეამოწმა, აღმოჩნდა, რომ მას სუსტი, მაგრამ გამოკვეთილად თითბრის სუნი ჰქონდა, რომელიც სპირტით გარეცხვის შემდეგაც კი რჩებოდა: უსაზღეროდ სუსტი, ძალიან შორეული, ღვინის სპირტის შეფარული და მთელ მსოფლიოში ალბათ მარტო გრენუის მგრძსობიარე ცხვირისათვის მისაწვდომი, მაგრამ მაინ საგრძნობი, ეს კი ნიშნავდა, რომ გრენუი, საბოლოო ანგარიშში, მაინც დაეუფლა მას. ათი ათასი ურდული რომ ჰქონოდა და ყოველდღე ათასჯერ წაესწვა ზედ ცხიმი, მარტო მაშინ შეძლებდა თითბრის ურდოლიის Eessence Absolue-ს პანაწისა წვეთის შექმნას, ისეთი ძლიერისა, რომ სუყველას გაუჩნდებოდა ილუზია, თითქოს ცხვირწინ ორიგინალი – თითბრის ურდული ჰქონდა.

ფორებიანი კირქვის არომატის მიღების დროსაც ასე გამოუვიდა. ზეთისხილის ბაღში, თავისი ქოხის წინ კირქვის ნატეხი იპოვა და მისი მაცერირებით ქვისგან პომადის პატარა ბურთულა მიიღო რომლის აუხსნელი სუნიც ენით აუწერლად აღაფრთოვანებდა. თანდათანობით ქოხის ახლომახლო ნაპოვნი სხვადასხვა საგნებიც სუნებთან მისი კომბინირებით ფრანცისკელების მონასტრის ზეთისხილის ბაღის ყნოსვითი მინიატიურული მოდელის შექმნა მოახერხა. ეს მოდელი, პატარა ფლაკონში ჩამწყვდეული, შეეძლო თან ჰქონოდა და, როცა კი მოუნდებოდა, გაეცოცხლებინა.

რა თქმა უნდა, ამ ვირტუოზული ხელოვნების ნიმუშებით, მშვენიერი გასართობებით მარტო თვითონ იქცევდა თავს. აღფრთოვანებული იყო თავისი უაზრო ქმნილებებით. თავის სიცოცხლეში, არც მანამდე და არც მერე, არ ჰქონია ასეთი ჭეშმარიტად აუტანელი ბედნიერების გრძნობა, როგორც მაშინ, როდესაც ის, თამაშის აზარტით შეპყრობილი, სურნელოვან ბუნების სურათებს, ნატურმორტებს, სოფლის ცხოვრებისა და ცალკეული საგნების ყნოსვით სურათებს ქმნიდა. მალე კი ცოცხალ არსებებზე გადავიდა.

გრენუი იჭერდა ბუზებს, ჭია-მატლებს, ვირთხებს, პატარ-პატარა კატებს და ცხიმში ახრჩობდა. ღამღამობით ბოსლებში იპარებოდა, რომ რამდენიმე საათით ძროხების, თხებისა და გოჭებისათვის ქონწასმული ტილოები მიეკრა ან მათთვის ზეთიანი ჩვრები დაეხვია. ანდა ცხვრების სადგომში მიძვრებოდა, რომ ჩუმად გაეკრიჭა ბატკანი, რომლის სურნელოვან მატყლსაც ღვინის სპირტში რეცხავდა. თავიდან შედეგები დიდად შთამბეჭდავი არ იყო, რადგანაც მომთმენი უსულო საგნების – ურდულისა და ქვისაგან განსხვავებით, ცხოველებს დიდად არ სიამოვსებდათ სუნის გაცემა. ღორები დახვეულ დოლბანდს საღორის კედლებზე გვერდების ხახუნით გლეჯდნენ, ცხვრები ბღაოდსენ, როცა ღამით მოახლოვდებოდა, ძროხები კი ჯიუტად იშორებდნენ ჯიქნებიდან ცხიმიან ტილოებს. ზოგიერთი ხოჭო, როცა გრენუი მათ გადამუშავებას შეეცდებოდა, საზიზღარი სუნის ნაკადს ასხამთა, ვირთხები კი ალ-

ბათ შიშისაგან, ძალიან მგრძნობიარე პომადაში აცურცლებდნენ. ის ცხოველები. რომელთა მაცერირებაც უნდოდა, ყვავილებივით მორჩილად, ერთი ჩუმი ამოხვრით კი არ აძლევდნენ თავიანთ სუნს, თავგანწირულად ეწინააღმდეგებოდნენ მოკვდინებას, თავს არაფრით არ ახრჩობინებდნენ, ტლინკებს ისროდნენ, იბრძოდნენ, შიშისაგან მეტისმეტად ბევრ ჭირის ოფლს გამოყოფდნენ და ცხელი ქონი ჭარბი მჟავებისაგან ფუჭდებოდა. ასე ვერ იმუშავებდა. ობიექტი ისე სწრაფად უნდა დაემშვიდებინა, რომ მათ შეშინება ან წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოესწროთ, გრენუის მათი დახოცვა მოუხდა.

პირველად ეს პატარა ლეკვზე სცადა. გრენუიმ ის სასაკლაოს წინ, ბუდრუგანაში ნახა და დედისაგან ხორცის ნაჭრით გაიტყუა სახელოსნოში. პატარა ცხოველი გახარებული და აღელვებული წკავწკავით დახტოდა და ცდილობდა, გრენუისთვის მარცხენა ხელიდან ხორცი გამოეტაცა, ამასობაში კი გრენუიმ მარჯვენა ხელით შეშის ნაპობი ისე სწრაფად და მარჯვედ ჩასცხო კეფაში, რომ ლეკვი მაშინვე მოკვდა. ბედნიერი გამომეტყველება დრუნჩზე და თვალებზე მაშინაც კი ეტყობოდა, როცა გრენუიმ უკვე საარომატიზაციო ოთახში ცხაურზე ცხიმიან ფირფიტებს შორის დადო. ლეკვს ახლა მხოლოდ თავისი სუფთა, შიშის ოფლისაგან თავისუფალი სუნი ასდიოდა. რა თქმა უნდა, აქაც სიფრთხილე იყო საჭირო! გვამებიც, ისევე როგორც დაკრეფილი ყვავილები, მალე ფუჭდებოდა. ასე რომ, გრენუი თავის მსხვერპლს თორმეტ საათს ყარაულობდა, ვიდრე არ შეამჩნია, რომ ძაღლის სხეულიდან პირველი, მართალია, სასიამოვნო, მაგრამ ამ შემთხყევაში სრულიად უადგილო მძორის სუნის ნიშნები წამოვიდა, მან იმწამსვე შეწყვიტა ანფლერაჟი, ლეში იქიდან მოაშორა, არომატიზებული ცხიმის პატარა ნაჭერი ქვაბში ჩადო და კარგად გარეცხა. სპირტი ააქროლა, სათითურისოდენამდე დაიყვანა და პაწაწისა შუშის კოლბაში ჩაასხა. სუნამოს ძალლის ნორჩი, ტენიანი, მბზინავი ბეწვის სუნი ჰქონდა. სუნი მკვეთრი, საოცრად მკვეთრი იყო. როდესაც გრენუიმ სასაკლაოს წინ ბებერ ძუკნას ეს სუნამო აყნოსა, ძაღლი სიხარულით აწკმუტუნდა და

კოლბისაგან ცხვირის მოშორება აღარ უნდოდა. მაგრამ გრესუიმ კოლბას თავი მჭიდროდ დაუცო. ჯიბეში ჩაიდო და დიდხანს დაატარებდა თან, როგორც იმ ტრიუმფის დღის მოსაგონარს, როდესაც პირველად შეძლო ცოცხალი არსებისათვის სურნელოვანი სულის წართმევა.

შემდეგ, ძალიან ნელა და ფრთხილად, ადამიანებზეც გადავიდა. თავიდან შორი მანძილიდან მეჩხერი ბადით დაიწყო ნადირობა, რადგანაც მისთვის ნადავლის ზომა კი არ იყო მთავარი, არამედ ნადირობის პრინციპების გამოცდა.

თავისი შეუმჩნეველი, მსუბუქი სუნის საფარველქვეშ დუქან „ოთხ დოფინში“ საღამოობით სტუმრებს შეერეოდა და ზეთითა და ქონით გაჟღენთილი ქსოვილის ნაკუწებს ამაგრებდა ხოლმე სკამების, მაგიდების ქვეშ და მოფარებულ კუნჭულებში. რამდენიმე დღის შემდეგ ამ ნაკუნებს ისევ მოაგროვებდა და ამოწმებდა. მართლაც, მათ სამზარეულოს, თამბაქოს კვამლისა და ღვინის სუნის გარდა, ადამიანის მცირეოდენი სუნიც დაჰკრავდა. მაგრამ ეს ძალიან გაურკვეველი და შენიღბული სუნები საერთო სიმყრალე უფრო იყო, ვიდრე ცალკეული ადამიანების სუნი. ხალხის მასის ასეთიეე აურის მიღება, ოღონდ უფრო სუფთა და ამაღლებულ-ოფლიან ხარისხში ასულისა, ტაძარში შეიძლებოდა, სადაც გრენუიმ თავისი საცდელი ქსოვილის ნაჭრები 24 დეკემბერს სკამების ქვეშ დაკიდა და 26 დეკემბერს ისევ აკრიფა, მას შემდეგ, რაც, სულ ცოტა, შვიდმა წირვამ ჩაიარა, ქსოვილის ამ ნაგლეჯებზე, რომლებიც ტაძრის ატმოსფეროთი იყო გაჟღენთილი, აღბეჭდილი იყო უკანატანის მძალე ოფლის, მენსტრუალური სისხლის, ოფლიანი მუხლის მოსახარისა და დაკრუნჩხული ხელების სიმყრალე – სუნების საშინელი კონგლომერატი, რომელიც შერეული იყო ათასობით გუნდურად მომღერალი და „ავე მარიას“ მოჩურჩულე ხახიდან ამოსუნთქულ ჰაერთან და გუნდრუკისა და მურის მძიმე წებოვან სუნთან. ეს გულისამრევი უფორმო ნაერთი მაინც გარკვევით ადამიანური იყო.

პირველი ინდივიდუალური სუნი გრენუიმ დავრდომილთა თავშესაფარში მიოიპოყა. მან მოახერხა, უკვე დასაწვავად გადადებული

ზეწრების მოპარვა, რომელშიც ორ თვეს იყო გახვეული ზუსტად იმ დროს ჭლექისაგან გარდაცვლილი მთრიმლავის ქარგალი. ტილო ისე იყო გაჟღენთილი ქარგლის ცხიმოვანი გამონაყოფებით, რომ უკვე მისი ოფლი ანფლერაჟის პასტასავით ჰქონდა შეწოვილი და უკვე მისი გარეცხვაც შეიძლებოდა. შედეგი შემაძრწუნებელი გამოდგა: გრენუის ცხვირწინ მთრიმლავი მკვდრეთით აღდგა ღვინის სპირტის ხსნარიდან და მისი ყნოსვითი პორტრეტი ოთახში ალივლივდა, მართალია, სქემატური, რეპროდუცირების თავისებური მეთოდისა და დაავადების მრავალრიცხოვანი მიაზმების გამო დამახინჯებული, მაგრამ მაინც ადვილად საცნობი: ოცდაათიოდე წლის პატარა ქერა კაცი, განიერი, სქელი ცხვირით, მოკლე ხელებით, ბრტყელტერფა ყველისსუნიანი ფეხებით, გასიებული სასქესო ორგანოთი, ღრძო ხასიათით და პირიდან ცუდი სუნით. ეს ქარგალი სილამაზით არ ბრწყინავდა და შენახვად არ ღირდა იმ ლეკვივით. და მაინც გრენუიმ ნება დართო ამ მოჩვენებას, მთელი ღამე ეთარეშა მის ქოხში, და ხანდახან შეიყნოსავდა ხოლმე, ბედნიერი და ძალზე კმაყოფილი იმ ძალაუფლების განცდით, რომ ის სხვა ადამიანების სუნებს დაეუფლა. მეორე დღეს აიღო და გადაღვარა.

ზამთრის ამ დღეებში მან ერთი ცდა კიდევ ჩაატარა. ერთ მუნჯ, მათხოვარ ქალს, რომელიც ქუჩა-ქუჩა დაწანწალებდა, ერთი ფრანკი გადაუხადა იმაში, რომ დღის განმავლობაში შიშველ ტანზე ქონისა და ზეთის სხვადასხვა ნაზავებით გაჟღენთილი ქსოვილის ნაჭრები ეტარებინა. გრენუიმ გამოარკვია, რომ ბატკნის თარკმლის ქონის, მრავალჯერ გასუფთავებული ღორისა და ძროხის ქონის ორი, ხუთი და სამი წილის შეფარდებით მიღებული კომბინაცია და ახალგამოხდილი ზეთის მცირე დოზების დამატება ადამიახის სუნის მისაღებად ყველაზე მეტად გამოდგებოდა. გრენუი აქ შეჩერდა. უარყო აზრი, რომ მთლიანად დაუფლებოდა ერთ რომელიმე ადამიანსს და იგი პარფიუმერიის წესების მიხედვით დაემუშავებისა. ეს სახიფათო იქნებოდა და ახალსაც არაფერს მისცემდა. უკვე იცოდა, რომ ადამიანებისთვის სუსის წართმევის ტექნიკას ფლობდა და საკუთარი თავისათვის ამის დამტკიცებია არარ სჭიოდებოდა.

თავისთავად ადამიანის სუნიც მისთვის სულერთი იყო, ადამიანის სუნის იმიტირება სუროგატებითაც მშვენიერად შეეძლო. მას მხოლოდ და მხოლოდ გარკვეული ადამიანების სუნი სჭირდებოდა, კერძოდ ისეთი ძალზე იშვიათი ადამიანებისა, რომლებსაც სიყვარულის გამოწვევა შეეძლოთ. სწორედ ისინი გახდნენ მისი მსხვერპლი.

39

იანვარში არნულფის ქვრივი თავის პირველ ქარგალ დომინიკ დრიუოზე კანონიერად დაქორწინდა და ამით ის მეტრ დრიუო, ხელთათმანებისა და ნელსაცხებლების ოსტატი გახდა. გილდიის ოსტატებისათვის დიდი სუფრა გაიშალა, შედარებით მოკრძალებული – ქარგლებისათვის. მადამმა ახალი ლეიბი იყიდა თავისი საწოლისათვის, რომელსაც ახლა უკვე ოფიციალურად უზიარებდა დრიუოს, და კარადიდან თავისი ჭრელაჭრულა ტანსაცმელი გამოალაგა. სხვაფრივ ყველაფერი ძველებურად დარჩა. მადამმა შეინარჩუნა გვარი არნულფი, აგრეთვე განუყოფელი ქონება, საქმის ფინანსური ხელმძღვანელობა და სარდაფის გასაღებები. დრიუო ყოველდღიურად ასრულებდა თავის სექსუალურ მოვალეობებს და ამის მერე ღვინით გრილდებოდა. გრენუი კი, მოუხედავად იმისა, რომ პირველი და ერთადერთი ქარგალი გახდა, სამუშაოების უდიდეს ნაწილს ისევ უცვლელად ასრულებდა. არც მისი გასამრჯელო შეცვლილა, არც მოკრძალებული კვება და არც უბრალო თავშესაფარი.

წელიწადი სინამაქის ხის ყვავილის ყვითელი ზღვით, სუმბულით, იით და გამაბრუებელი ნარგიზებით დაიწყო. მარტის ერთ დღეს, გრასში ჩამოსვლიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, გრენუიმ გადაწყვიტა, შეემოწმებინა, როგორ იყო საქმე ქალაქის მეორე ბოლოში მდებარე ბაღში, ამჯერად სურნელისთვის მომზადებული იყო, თითქმის ზუსტად იცოდა, რა ელოდა... და მაინც, როდესაც ის სურნელი უკვე შუა გზაზე, ახალ ხიდთან შემოეგება, გული ხმამაღლა აუძგერდა და იგრძნო, როგორ აუჩუხჩუეხდა ძარღვებში სისხლი

ბედნიერებისაგან. ის ისევ იქ იყო – ამ საოცრად ლამაზ მცენარეს ზამთარი უვნებლად გადაეტანა, წვენით ავსებულიყო, გაზრდილიყო და უმშვენიერესი ყლორტები გამოესხა! მისი სურნელი, როგორც გრენუი მოელოდა, უფრო გაძლიერებულიყო, მაგრამ სინაზე არ დაეკარგა. რაც შარშან შხეფებად იფრქვეოდა, ახლა თანაბრად შეერთებულიყო და ოდნავ პასტისებრი სურნელის ნაკადად მოედინებოდა. ათასფრად ლივლივებდა. ყოველი ფერი სრული და მტკიცე იყო და აღარ წყდებოდა. გრენუიმ ნეტარებით დაასკვნა, რომ ეს ნაკადი უფრო მძლავრი წყაროდან იკვებებოდა: ერთი წელი, მხოლოდ ერთი წელი. სულ თორმეტი თვეც და ეს წყარო მთელი სიმძლაერით აჩუხჩუხდება. მაშინ კი შეძლებს მოვიდეს, დაიპყროს და მისი სურნელის დაუოკებელი ნაკადი დაისაკუთროს.

მან გალავნის გასწვრივ იმ ნაცნობ ადგილამდე მიირბინა, რომლის იქითაც ბაღი იყო. მიუხედაეად იმისა, რომ გოგონა, როგორც ჩანს, ბაღში კი არა, სახლში, ფანჯრებდაკეტილ ოთახში იყო, მისი სურნელი თანაბარ, ნაზ ბრიზად უბერავდა. გრენუი ძალიან წყნარად იდგა. არ იყო არც გაბრუებული და არც დამთვრალი, როგორც იმ დღეს, როდესაც ეს სურნელი პირველად იყნოსა. ბედნიერების გრძნობით იმ შეყვარებულივით იყო სავსე, თავის სატრფოს შორიდან რომ უდარაჯებს, უსმენს, აკვირდება და იცის, რომ ერთ წელინადში შინ წაიყვანს. და მართლაც, ეს მარტოსული ტკიპა გრენუი, ეს ურჩხული და არაადამიანი, რომელსაც არასოდეს უგრძნია სიყვარული და არც თვითონ აგრძნობინებდა ვინმეს სიყვარულს, იდგა მარტის ერთ დღეს ქალაქ გრასის გალავანთან და უყვარდა და ამ სიყვარულით ძალიან ბედნიერი იყო.

ერთი ეგ არის, რომ ადამიანი, ის გოგონა არ უყვარდა კედლის იქით. გრენუის მისი სურნელი უყვარდა, მხოლოდ ის და სხვა რაფერი, და თანაც ისე, როგორც მომავალში თავისი საკუთარი არომატი. დაიფიცა, რომ ერთ წელისადში მას სახლში წაიღებდა. და მას მემდეგ, რაც ეს თავისებური აღთქმა თუ ნიშნობის პირობა დადო და თავის მომავალ არომატს ერთგულება შეჰფიცა, იქაურობა დატოვა და დიუ-კურის კარიბქით ქალაქში დაბრუნდა.

ღამე, თავის ქოხში რომ იწვა, ცდუნებას ვერ გაუძლო, სურნელი კიდევ ერთხელ გაიხსენა და შიგ ჩაიძირა. ეფერებოდა, თავსაც აფერებინებდა, ისე ახლო იყო მასთან, თითქოს უკვე ფლობდა მას, თავის სურნელს, თავის საკუთარ სურნელს. და ვიდრე ეს საოცარ მომენტი გრძელდებოდა, ეს სურნელი საკუთარ თავში უყვარდა და თავისი თავი ამ სურნელში. უნდოდა ამ საკუთარ თავში შეყვარებულობის გრძნობით დაეძინა, მაგრამ სწორედ მაშინ, როდესაც ის-ის იყო თვალები დახუჭა და ერთი წამიღა სჭირდებოდა ზმანებებაში ჩასაფლობად, სურნელი უცებ გაქრა და მის მაგივრად თხების, სადგომის ცივი, მჭახე სუნი იგრძნო.

გრენუი შეძრნუნდა. „ეს სურნელი, რომელსაც მე დავეუფლები... რომ გათავდეს? ისე ხომ არ არის, როგორც ჩემს მეხსიერებაში, სადაც სურნელები არ ქრება. რეალური სურნელი ხომ ცვედება სამყაროსთან შეხებისას, ხომ განქარდება. და როცა დაიხარჯება, წყარო, საიდანაც მას ვიღებ, ხომ აღარ იქნება? მე კი ადრინდელივით შიშველი ვიქნები, და იძულებული გავხდები, ისევ სუროგატებით ვუშველო თავს. არა, ადრინდელზე უფრო უარესი იქნება, რადგანაც ამასობაში მე ხომ მას გავიცნობ, დავეუფლები, ჩემს საკუთარ არაჩვეულებრივ სურნელს, მას ხომ ვეღარ დავივიწყებ სუნები ხომ არასოდეს მავიწყდება. ესე იგი, მთელი ცხოვრება მისი მოგონება დამტანჯავს ისევე, როგორც ახლა ვიტანჯები მისი დაუფლების მოლოდინში. მაშინ საერთოდ რაღაში მჭირდება?“ – ფიქრობდა იგი.

ეს აზრი ძალიან უსიამოვნო იყო. გრენუი უზომოდ შეაშინა იმან, რომ სურნელს, რომელსაც ჯერ არ ფლობდა, დაპატრონების შემდეგ აუცილებლად დაკარგავდა. განა რამდენ ხანს შეძლებს მის ფლობას? რამდენიმე დღეს? რამდენიმე კვირას? იქსებ ერთ თვეს, თუკი ძალიან გამოიზოგავს? და მერე? გონების თვალით უკვე ხედავდა, როგორ ისხამს ბოლო წვეთს ფლაკონიდან, როგორ ავლებს ფლაკონს ღვინის სპირტს, რომ უმცირესი ნარჩენიც კი არ დაკარგოს, მერე კი – როგორ ქრება სამუდამოდ მისი საყვარელი სურნელი. ეს ნელი სიკვდილი იქნება მისთვის, „დახრჩობა პირიქით“.

საშინელი მტკივნეული თანდათანობითი შიგნიდან აორთქლება ამ საზიზღარ აუტანელ სამყაროში.

გრენუის შეამცივნა. უცებ მოუნდა, თავის გეგმებზე უარი ეთქვა, ღამეში გასულიყო და სადმე გადაკარგულიყო. უნდოდა, დათოვლილი მთები გადაევლო, გაუჩერებლად ევლო ასი მილით დაშორებულ ოვერნამდე, იქ თავის ძველ გამოქვაბულში შემძვრალიყო დაეძინა და ძილში მომკვდარიყო. მაგრამ ეს არ გააკეთა. ადგილზე დარჩა და ცდუნებას გაუძლო, თუმცა კი ეს ცდუნება ძალიან ძლიერი იყო. გაუძლო ცდუნებას, რომელიც ადრეც უგრძნია – სადღაც ჯანდაბაში გაქცეულიყო, სადღაც შემძვრალიყო. ეს უკვე გამოცდილი ჰქონდა. ის, რაც ჯერ არ გამოეცადა, ადამიანის სუნის ფლობა იყო, ისეთი დიდებული სუნისა, როგორიც იმ გოგონას ასდიოდა ქვის კედელს იქით. და მიუხედავად იმისა რომ იცოდა, ამ სურნელის ფლობისა და მისი საბოლოო დაკარგვისათვის ძალიან ძვირად უნდა ეზღო, მაინც ეჩვენებოდა, რონ მისი ფლობა და დაკარგვა უფრო სასურველი იქნებოდა, ვიდრე ორივეზე უბრალოდ უარის თქმა. ის ხომ მთელი სიცოცხლე მხოლოდ უარს ამბობდა. მაგრამ არასოდეს ჰქონია რამე და არც არასოდეს დაუკარგავს.

თანდათანობით ეჭვები გაეფანტა და ჟრჟოლამაც გადაუარა. იგრძნო, როგორ აცოცხლებდა ისევ თბილი სისხლი და როგორ იპყრობდა ჩანაფიქრის აღსრულების ნება. და ეს ნება ადრინდელზე უფრო ძლიერი იყო, რადგანაც მარტო ენებიდან კი არა, აწონილ-დაწონილი გადანწყვეტილებიდან მომდინარეობდა. ტკიპა გრენუი არჩევანის წინაშე იდგა, საკუთარ თავში ჩამხმარიყო თუ გალაღებულიყო, და მეორისკენ გადაიხარა, თუმცა კარგად იცოდა, რომ გადაწყვეტილება ბოლო იქნებოდა. ისისევ თავის საწოლში დაწვა, ჩალამი ჩაიმარხა, საბანი დაიხურა და თავი გმირად იგრძნო.

მაგრამ გრენუი რის გრენუი იქსებოდა, ამ ფატალისტურ-გმირული გრძნობით დიდი ხნით რომ დაკმაყოფილებულიყო. ამისათვის მას ძალიან მდგრადი თვითდამკვიდრების ნება, გამობრძმედილი სხეული, ეშმაკური ხასიათი და მახვილი გონება ჰქონდა.

მაშ ასე, გადაწყვიტა, რომ იმ გოგონას სურნელს დაუფლებოდა, ქვის ღობის იქით რომ ცხოერობს. დაე, რამდენიმე კვირაში დაკარგოს და ეს ვერ გადაიტანოს, დაე, მოკვდეს! ისე კი, ჯობია არ მოკვდეს და სურნელი შეინარჩუნოს, ანდა მისი დაკარგვა რაც შეიძლება შორს გადაიწიოს. სურნელი რაც შეიძლება გამძლე უნდა გააკეთოს, აქროლადობა როგორმე ისე უნდა მოაშოროს, რომ მისი თავისთავადობა არ დაირღეეს, ეს კი პარფიუმერიული პრობლემაა.

არის სუნები, რომლებიც წლობით ძლებს. მუშკწასმული კარადა, დარიჩინის ზეთით გაჟღლენთილი ტყავის ნაჭერი, ამბრის კოშტი, კედრის ხისაგან დამზადებული ზარდახშა ყნოსვითი თვალსაზრისით უკვდავია. სხვა სუნები კი – ლიმეტის, ბერგამოტის, ნარგიზის და ტუბეროზის ექსტრაქტები და ბევრი სხვა ყვავილის სურნელი მალევე, რამდენიმე საათში ქრება, თუკი ისინი სუფთა სახით ჰაერს ეხებიან. მენელსაცხებლე ამ საბედისწერო გარემოებას იმით ებრძვის, რომ აქროლად სურნელებს უფრო მდგრადი სუნებით ამაგრებს, ბორკილებს ადებს და თავისუფლებისაკენ სწრაფვას უხშობს. მაგრამ მთელი ხელოვნება იმაშია, რომ ეს ბორკილები ისე დაადოს, შებოჭილი სურნელი თავისუფლებას ინარჩუნებდეს, მაგრამ მაინც ისე უნდა შეკრას, რომ ვერსად გაიქცეს. გრენუის ეს ფანდი ორჯერ გამოუვიდა ძალიან კარგად ტუბეროზის ზეთზე. მან ტუბეროზის ეფემერული სურნელი სულ ერთი ბეწო ციბეთინის, ვანილის, საკმევლისა და კვიპაროსის დამატებით შეკრა და ამით მისი მშვენიერება წარმოაჩინა. არ შეიძლება, რომ რამე ასეთი გოგონას სურნელსაც მოუხერხდეს? რა, ეს უძვირფასესი და უზენაესი სურნელი აუცილებლად სუფთა სახის უხდა დაიხაოჯოს და გაიფლანგოს? რა უაზრობაა! რა საშინელი უჭკუობაა! განა ალმასებს არ ამუშავებენ? ყელზე თვითნაბად ოქროს ხომ არ იკიდებენ? რა, ის, გრენური, სუნების პრიმიტიული ყაჩაღი ხომ არ არის დრიუოსავით და სხვა მსგავსი მაცერატორების, დისტილატორებისა და ყვავილების მწტრავებივით? განა თვითონ არ არის მსოფლიოში უდიდესი მენელსაცხებლე?

და წყენით შუბლში იკრა ხელი. რატომ აქამდე არ მოსვლია ეს აზრი თავში? რა თქმა უნდა, ეს საოცარი სურნელი სუფთა სახით არ უნდა გამოიყენოს. პატიოსანი თვალივით ბუდეში უნდა ჩასვას, სურნელოვანი დიადემა უნდა გამოჭედოს, რომლის ყველაზე გაგორჩეულ ადგილას მთავარი სურნელი გაბრწყინდება, რომელიც სხვა სუნებთანაც იქნება გადაწნული და თანაც მათზე გაბატონებული. ხელოვნების ყველა წესით შექმნის სუნამოს და გალავანს იქით მცხოვრები გოგონას სურნელი მისი შუაგული იქნება.

რა თქმა უნდა, მუშკი, ციბეთინი, ვარდის ზეთი ან ნეროლი სუნამოს არანჟირების, მისი საყრდენი საშუალო და გადამწყვეტი ნოტისთვის, ჟღერადობის გამახვილებისა და ფიქსაციისათვის არ გამოდგეობა. ასეთი სუნამოს, ამგვარი ადამიანური ნელსურნელებისათვის სხვა ინგრედიენტები იყო საჭირო.

40

იმავე წლის მაისში გრასსა და მის აღმოსავლეთით მდებარე ოპიოს შორის გაშლილ ვარდების მინდორში 15 წლის გოგონას შიშველი გვამი იპოვეს. ის კეფაში კეტის ჩარტყმით იყო მოკლული. გლეხი, რომელმაც გოგონა აღმოაჩინა, ისეთი თავზარდაცემული იყო, რომ ლამის თავისი თავი აქცია ეჭვმიტანილად, რადგანაც პოლიციის ლეიტენანტს აკანკალებული ხმით აცნობა, ასეთი ლამაზი ჯერ არაფერი მინახავსო. არადა იმის თქმა უნდოდა, ასეთი საშინელება ჯერ არ მინახავსო.

და მართლაც, გოგონა გამორჩეული სილამაზისა იყო. ის ქალების ისეთ ტიპს ეკუთვნოდა, მუქ თაფლის რომ მოგვაგონებენ – გლუვს, ტკბილსა და არაჩვეულებრივად ბლანტს, რომლებიც ერთი ნარნარი ჟესტით, თმის ერთი გადაგდებით, შოლტის გაშხულებასავით ერთადერთი ნელი გამჭოლი მზერით თავის გარშემო სივრცეს იპყრობენ და ამ დროს კი წყნარად დგახარ ქარბორბალას ცენტრში და თითქოს არცა აქვთ გაცნობიერებული ძალა, რომლი-

თაც როგორც კაცების, ისე ქალების ვნებასა და სულებს იზიდავენ. მოკლული გოგონა ჯერ ახალგაზრდა იყო, ძალიან ახალგაზრდა. მის მომხიბვლელობას ჯერ კიდევ ვერ მიეღწია სრულყოფილებამდე. სავსე ტანი ჯერ კიდევ გლუვი და მაგარი ჰქონდა, მკერდი – მკვრივი, მისი ცოტათი ბრტყელი სახე კი, რომელსაც შავი უხეში თმა ევლებოდა, ჯერ კიდევ უნაზეს კონტურსა და იდუმალ ნაკვთებს ინარჩუნებდა. მაგრამ თვით თმა გამქრალიყო. მკვლელს მოეჭრა და თან წაეღო ისევე, როგორც მისი ტანსაცმელი.

ჯერ ბოშებზე მიიტანეს ეჭვი. ბოშებისგან ყველაფერს უნდა ელოდე. როგორც ცნობილი იყო, ისინი ძველი ტანსაცმლისაგან ხალიჩებს ქსოვდნენ, ბალიშებში კი ადამიანის თმას ტენიდნენ და ჩამოხრჩობილების კანისა და კბილებისაგან პატარა თოჯინებს აკეთებდნენ. ასეთ გაუკუღმართებულ დანაშაულს მარტო ბოშებს თუ მიაწერდნენ. მაგრამ იმ დროს არსად შორიახლო ბოშები არ იყვნენ, ბოლოს მათ დეკემბერში გაიარეს ამ მიდამოებში.

რახან ბოშები არ იყვნენ, ეჭვი იტალიელ სეზონურ მუშებზე მიიტანეს. თუმცა არც იტალიელები იყვნენ იქ, იმათთვის ჯერ ადრე იყო. ისინი მხოლოდ ივნისში შემოვიდოდნენ ქვეყანაში ჟასმინის აღების დროს. ესე იგი, ვერც ისისი იქნებოდნენ. ბოლოს პარიკების ოსტატებზე მიიტანეს ეჭვი და გაჩხრიკეს – მოკლული გოგონას თმებს ეძებდნენ. სულ ამაოდ. შემდეგ ებრაელები ეგონათ, მერე ბენედიქტელთა მონასტრის ვითომდა ავხორცი ბერები, თუმცა ისინი სამოცდაათს კარგა გადაშორებულები იყენენ, შემდეგ ცინტერციელები, მასონები, გიჟები დავრდომილთა თავშესაფრიდან, მემაღაროეები, მერე მათხოვრები და ბოლოს უზნეო არისტოკოატებიც კი, პირველ რიგში კი მარკიზი დე კაბრი, რომელიც მესამედ იყო დაქორწინებული და, როგორც ამბობდნენ, თავის სარდაფებში ორგიასტულ მესებს ატარებდა და თასაც ამ დროს პოტენციის ასამაღლებლად ქალწულების სისხლს სვამდა. ეს კია, ვერაფრის დამტკიცება ვერ მოხერხდა, არც მკვლელობის მოწმე იყო ვინმე, ვერც მოკლულის ტანსაცმელი იპოვეს და ვერც თმა. რამდენიმე კვირის მერე პოლივიის ლეიტენანტმა გამოძიება შეწყვიტა.

ივნისის შუა რიცხვებში ჟასმინის კრეფაზე იტალიელები ჩამოვიდნენ. ამათგან ზოგი ოჯახებით. გლეხები მათ კი ქირაობდნენ, მაგრამ იმ მკვლელობის გამო თავიანთ ცოლებსა და ქალიშვილებს მათთან ურთიერთობას უკრძალაედნენ. სიფრთხილეს თავი არ სტკივა. მართალია, ამ სეზონურ მუშებს მკვლელობა ნამდვილად არ ჩაუდენიათ, მაგრამ თეორიულად ხომ შესაძლებელი იყო, რომ ჩაედინათ. ამიტომ ფხიზლად უნდა ყოფილიყვნენ.

ჟასმინის აღების დაწყებიდან დიდი დრო არ იყო გასული, რომ კიდევ ორი მკვლელობა მოხდა. მსხვერპლი ისევ კალმით ნახატი გოგონები გახდნენ, ისევ იმავე სრული, შავთმიანი ტიპისა. ორივე ისევ შიშველი, თმებმოჭრილი და ბლაგვი საგნით მოკლულები იპოვეს ყვავილებით მოფენილ მინდორში. მკელელის კვალიც ისევ არსად ჩანდა. ეს ამბავი ელვის უსწრაფესად გავრცელდა და ის იყო უკვე ჩამოსულებს დაემუქრა ამოჟლეტის საფრთხე, რომ ამ დროს გაირკვა: ორივე მოკლული იტალიელი იყო. ერთი გენუელი სეზონური მუშის ქალიშვილები იყვნენ.

ამის მერე კი დაიზაფრა ხალხი. არ იცოდნენ, ვისკენ მიემართათ ეს განუზომელი რისხვა. მართალია, ზოგს ჯერ კიდევ გიჟებზე და უცნაურ მარკიზზე ჰქონდა ეჭვი, მაგრამ ამისა დიდად არავის სჯეროდა. გიჟები დღედაღამ მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ, მარკიზი კი დიდი ხნის წის სასულიყო პარიზში. ხალხი ერთმანეთს ეკვროდა. თუკი აქამდე ჩამოსულებს მინდორში ეძინათ, ახლა გლეხებმა მათ ფარდულები დაუთმეს. ქალაქელებმა ყოველ უბანში ღამის პატრულის მორიგეობა შემოიღეს. პოლიციის ლეიტენანტმა ქალაქის ჭიშკართან დაცვა გააძლიერა. მაგრამ ყველა ღონისძიება უშედეგო გამოდგა. ორმაგი მკვლელობიდან ორი დღის მერე ისევ იპოვეს იმ გვამებივით დასახიჩრებული გოგონას სხეული.

ამჯერად მოკლული სარდინიიდან იყო და მრეცხავად მუშაობდა ეპისკოპოსის სასახლეში. ის ფონტენს-დე-ლა-ფუსთან ახლოს, ესე იგი, ზედ ქალაქის ჭიშკართან მოეკლათ. მიუხედაეად იმისა, რომ კონსულთა საბჭომ აღელვებული მოსახლეობის ზეწოლის შემდეგ სხვა ღოსისძიებებიც გაატარა, კონტროლი გაამკაცრა, ღამის

მორიგეობები გააძლიერა და დაღამებისთანავე მდედრობითი სქესის ყველა პირს გარეთ გასვლა აუკრძალა, მაინც იმ ზაფხულს კვირა არ გავიდოდა, რომ გოგონას გვამი არ ეპოვათ. და ყოველ ჯერზე ეს ისევ ისეთი, ყველაზე ლამაზი, დასამახსოვრებელი, შავგვრემანი გოგონა იყო, რომელიც ახლა ქალდებოდა, თუმცა მემკელელმა აღარც იქაურ მოსახლეობაში გავრცელებულ უფრო რბილ, თეთრ და სავსე გოგონებზე თქვა უარი. ბოლო ხანებში მისი მსხეერპლნი წაბლისფერთმიანი გოგონებიც ხდებოდნენ, თუკი ძალიან გამხდრები არ იყვნენ. მკვლელი მათ ყველგან უდარაჯდებოდა, მარტო გრასის მიდამოებში კი არა, უკვე შუა ქალაქშიც, სახლებშიც კი. ერთ-ერთი დურგლის ქალიშვილი მეხუთე სართულზე თავის ოთახში ნახეს მოკლული. და სახლში არავის გაუგია რაიმე ხმაური. ძაღლებსაც კი ერთი არ დაუწკმუტუნიათ, სხვა დროს ნებისმიერ უცხოს რომ შორიდანვე იგრძნობდნენ და ღავღავით აიკლებდნენ ხოლმე იქაურობას. მკვლელი მოჩვენებასავით უხილავი და უსხეულო არსება ჩანდა.

ხალხი გაგიჟებული იყო და მთავრობას ლანძღაედა. უმცირესი ჭორიც კი შეტაკებებს იწვევდა. ერთი მოხეტიალე ვაჭარი, რომელიც სასიყვარულო ფხვნილსა და სხვა სისულელეებს ყიდდა, კინალამ მოკლეს, რადგან ვიღაცამ ხმა გაავრცელა, მის ფხვნილებში გოგონების დაფქული თმებიაო. ქიღაცა მარკიზ დე კაბრის სასახლისა და დავრდომილთა თავშესაფრის გადაწვას შეეცადა. მაუდით მოვაჭრე ალექსანდრ მინარმა საკუთარი მსახური მოკლა, რომელიც ღამით სახლში ბრუნდებოდა, რადგამ ის გოგოსების ავადსახსენებელი მკვლელი ეგონა. ვისაც საშუალება ჰქონდა, თავის შეღერებულ ქალიშვილს შორეულ ნათესავებთან ან ნიცის, ექსის და მარსელის პანსიონებში გზავსიდა. პოლიციის ლეიტენანტი ქალაქის საბჭოს ზეწოლით თანამდებობიდან მოხსნეს. მისმა შემცვლელმა ჩინოსანმა ექიმთა კოლეგია მოიწვია და გაკრჭილ ლამაზი გოგონების გვამები შეამოწმებისა მათი ქალწულობის დასადგენად. აღმოჩნდა, რომ ყველა გოგონა ამ მხრივ ხელშეუხებელი იყო.

უცნაურია, მაგრამ ამ ამბავმა ხალხის შეძრწუნება კი არ შეამცირა, უფრო გააძლიერა, რადგანაც გულში ყველა ფიქრობდა, რომ გოგონები გაუპატიურებულები უნდა ყოფილიყვნენ. ამ შემთხვეევაში მკვლელობის მოტივი მაინც ეცოდინებოდათ. ახლა კი აღარაფერი ესმოდათ, ახლა სულმთლად უსუსურები იყვნენ. ვისაც ღმერთი სწამდა, ხსნას ლოცვით ცდილობდა და ღმერთს ევედრებოდა, მისი სახლი მაინც დაეცვა ეშმაკისაგან.

ქალაქის საბჭო გრასის ოცდაათი ყველაზე მდიდარი და გავლენიანი მოქალაქისა და არისტოკრატისაგან შედგებოდა. მათი უმეტესობა განათლებული იყო და ანტიკლერიკალურად გახლდათ განწყობილი. ისინი აქამდე ეპისკოპოსს არაფერში არ უწევდნენ ანგარიშს და მონასტრებსა და სააბატოებსაც სიამოვნებით გადააქცევდნენ საწყობებად და ფაბრიკებად. ქალაქის საბჭოს ამ ამაყმა და გავლენიანმა ბატონებმა გაჭირვების ჟამს მონსენიორ ეპისკოპოსს თავის დამამცირებელი პეტიცია გაუგზავნეს, სადაც სთხოვდნენ, რომ გოგონების მკელელი ურჩხული, რომელსაც საერო ხელისუფლებამ ვერაფერი მოუხერხა, ანათემისთვის გადაეცა და შეეჩვენებინა, როგორც ეს მისმა წინამორბედმა გააკეთა 1708 წელს, როდესაც კალიების საშინელმა შემოსევამ მთელი ქვეყანა საფრთხის წინაშე დააყენა. მართლაც, სექტემბრის ბოლოს გრასელი გოგონების მკვლელი, რომელმაც საზოგადოების სხვადასხვა ფენიდან, სულ ცოტა, 24 ულამაზესი ქალწული დახოცა, საზეიმოდ გადაეცა ანათემას. შეჩვენების ტექსტი ქალაქის ყველა ეკლესიის კარზე იყო მიკრული და ყველა ამბიონიდან წარმოითქვა ზეპირად, მათ შორის ნოტრ-დამ-დიუ-პიუის ამბიონიდანაც, თვით ეპისკოპოსის მიერ.

შედეგმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. მკელელობები მეორე დღესვე შეწყდა. ოქტომბერი და ნოემბერი ისე გავიდა, რომ აღარც ერთი გვამი აღარ უპოვიათ. დეკემბრის დასაწყისში გრენობლიდან ამბავი მოვიდა: გოგონების მკვლელი გამოჩნდა, რომელიც თავის მსხვერპლს, ახრჩობს, ტანსაცმელს აფლეთს და თავიდას თმებს ბღუჯა-ბღუჯად გლეჯსო. მართალია, ეს საშინელი მკვლელობე-

ბი სულ არ ჰგავდა გრასელი მკელელის მიერ სუფთად ჩადენილ ძკვლელობებს, მაგრამ მაინც ყველამ სასწრაფოდ დაიჯერა, რომ ერთსა და იმავე მკვლელზე იყო ლაპარაკი. გრასის მოქალაქეებმა შვებით ამოისუნთქეს და პირჯვარი სამჯერ გადაიწერეს, რადგან ეს ურჩხული მათთან კი აღარ, გრენობლში მოქმედებდა, გრასიდან შვიდი დღის სავალზე.

მოქალაქეებმა ეპისკოპოსის პატივსაცემად ჩირაღდნებით სვლა მოაწყვეს და 24 დეკემბერს ღეთის სამადლობელი დიდი ლიტურგია გადაიხადეს. 1766 წლის პირეელი იანვრიდან გაძლიერებული დაცვის ღონისძიებები შეამსუბუქეს და ღამით ქალების გარეთ გასვლის აკრძალვაც მოხსნეს. ნორმალური რეჟიმი დაუჯერებელი სისწრაფით დაბრუნდა საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში. შიში გამქრალიყო. იმ საშინელებაზე, რამდენიმე თვის წინ ქალაქსა და მის შემოგარენში რომ ტრიალებდა, აღარავინ ლაპარაკობღდა.

ამაზე მოკლულთა ოჯახებშიც კი არ ლაპარაკობდნენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ეპისკოპოსის ანათემამ მარტო მკვლელი კი არა, მასზე ყველა მოგონება განდევნა. და ადამიანებსაც მარტო ეს უნდოდათ.

თუმცა ისინი, ვისაც იმ მშვენიერ სიყმაწვილის ასაკს მიღწეული ქალიშვილები ჰყავდათ, მათ უყურადღებოდ ვერ ტოვებდნენ. ჯერ კიდევ ეშინოდათ შებინდებისა და დილაობით თავიანთ შვილებს ცოცხლებს და საღ-სალამათს რომ დაინახავდნენ, ბედნიერები იყვნენ, თუმცა, რა თქმა ინდა, ამაში თავის თავსაც არ უტყდებოდნენ.

41

მაგრამ იყო გრასში ერთი კაცი, რომელიც ჩამოვარდნილ სიმშვიდეს არ ენდობოდა. მას ანტუან რიში ერქვა, მეორე კონსულის თანამდებობა ეჭირა და ქალაქის დიდ კარ-მიდამოში ცხოვრობდა დრუატის ქუჩის თავში.

რიში ქვრივი იყო და ერთი ქალიშვილი ჰყავდა, სახელად ლაურა. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ორმოციც არ შესრულებოდა და საოცრად ჯანმრთელი იყო, ხელახლა დაქორწინებას არ ჩქარობდა. ჯერ ქალიშვილის გათხოვება უნდოდა, ოღონდ უბრალო ვინმეზე კი არა. საუკეთესოზე და თანაც არისტოკრატზე. თვალიც ჰქონდა დადგმული ვინმე ბარონ დე ბუიონზე, რომელსაც ვაჟი ჰყავდა და მამული ჰქონდა ვანსის სიახლოვეს. იმ ბარონს კარგი რეპუტაცია და ძალიან შერყეული ფინანსური მდგომარეობა ჰქონდა. რიში მასთან უკვე შეთანხმებული იყო თავიანთი შვილების მომავალი შეუღლების შესახებ. აი, როცა ლაურას გაათხოვებდა, მერე კი აპირებდა კლანჭებით ჩაჰფრენოდა რომელიმე კეთილშობილი მოდგმის ოჯახს – დრეების, მობერების ან ფონმიშელებისა. იმიტომ კი არა, რომ პაგივმოყვარე იყო და ლოგინში აუცილებლად არისტოკრატი მეუღლე უნდა წოლოდა, არამედ იმიტომ, რომ დინასტიის დაარსება და თავისი შთამომავლობის ისეთ გზაზე დაყენება უნდოდა, რომელიც ვაღალ საზოგადოებრივ მდგომარეობამდე და პოლიტიკური გავლენის მოპოვებამდე მიიყვანდა. ამისათვის ორი ვაჟიშეილი მაინც სჭირდებოდა, რომელთაგან ერთი მის საქმეს გადაიბარებდა, მეორე კი იურიდიულ სარბიელზე და ექსის პარლამენტში მიაღწევდა წარმატებას და, ამგვარად, საბოლოოდ გაიკვალაედა გზას არისტოკრატიისაკენ.

მაგრამ ასეთი ამბიციების მქონე მისი წრის კაცი მხოლოდ იმ პირობით მიაღწევდა წარმატებას, თუკი თავის თავსა და თავის გვარს უმჭიდროესად დაუკავშირებდა პროვანსის დიდგვაროვანთა ფენას.

ასე შორს მიმავალი გეგმების დაწყობის უფლებას კი თავისი ზღაპრული სიმდიდრე აძლევდა. ანტუას რიში იმ არემარეში ყველაზე მდიდარი ბურჟუა გახლდათ. მას ეკუთვნოდა ლატიფუნდიები არა მარტო გრასის მიდამოებში, სადაც ფორთოხალი, ზეთისხილი, ხორბალი და კანაფი მოჰყავდა, არამედ აგრეთვე ვამსთან და ასტიბთანაც, რომლებიც არენდით ჰქონდა გაცემული. მას ჰქოსდა სახლები ექსსა და მთელ პროვისციაში, ფლობდა ინდოეთში მი-

მავალი გემების მოგების წილებს, მუდმიე კანტორას გენუაში და სურნელოეანი პროდუქტების, სანელებლების, ზეთებისა და ტყავის ყველაზე დიდ სავაჭრო საწყობს მთელ საფრანგეთში.

მაგრამ რიშისთვის ამქვეყნად ყველაზე ძვირფასი მისი ერთადერთი ქალიშეილი იყო. მას ახლახან შესრულებოდა თექვსმეტი წელი. მუქწითური თმა, მწვამე თვალები და ისეთი გასაოცარი სილამაზის სახე ჰქონდა, რომ სტუმრები, განურჩეელად ასაკისა და სქესისა, ადგილზე შეშდებოდნეს და თვალს ვერ სწყვეტონენ. სახეს ნაყინივით ულოკავდნენ თვალებით, და თანაც ამ დროს ისეთივე სულელურად დაძაბული გამომეტყველება უჩნდებოდათ, როგორიც ამ საქმიანობისთვის არის ხოლმე დამახასიათებელი.

თვით რიშიც კი, როცა შვილს უყურებდა. საკუთარ თავს იჭერდა, რომ გაურკვეველი ხნით, ალბათ ასე თხუთმეტი წუთით ან ნახევარი საათით, მთელ სამყაროსა და თავის საქმეებსაც ივიწყებდა, რაც სხვა დროს ძილშიც კი არ დაემართებოდა სულ გადნებოდა ხოლმე ამ უმშვენიერესი არსების ცქერაში და მერე იმასაც კი ვეღარ იტყოდა, ნეტა, კაცმა რომ თქვას, რას ვაკეთებდიო. ამ ბოლო დროს კი (და ამის გამო თავის თავზე ბრაზობდა) – საღამოობით, როცა დასაძინებლად აწვენდა, ანდა ზოგჯერ, როცა დილით მის გასაღვიძებლად მიდიოდა და უშფოთველად მძინარე გოგონას უყურებდა, რომლის ღამის სამოსში თეძოები და ძკერდი ილანდებოდა, პერანგის ჭრილში კი ყელიდან, იღლიებიდან, იდაყვების ღრმულებიდან, გლუვი ხელიდას და ზედ დადებული ლოყიდან მშვიდი და მხურვალე სუნთქვა მოყდინებოდა – რიშის გულმუცელი ეკუმშებოდა, ყელში რაღაც აწვებოდა და ნერწყვს აყლაპვინებდა. და – ღმერთო ჩემიო! – საკუთარ თავს წყევლიდა, რომ ამ ქალის მამა იყო და არა ვიღაც სხვა, უცხო მამაკაცი, ვინც, ასე მწოლიარეს რომ დაინახავდა, დაუფიქრებლად დაწვებოდა მასთან, მასზე, მასში, მთელი თავისი ლტოლვითა და ფლობის წყურვილით. ამის გაფიქრებაზე შუბლზე ოფლი ასხამდა და ტანი უკანკალებდა. ამ საშინელ აზრს იხშობდა, მერე კი გოგონასეკეს იხრებოდა, რომ უცოდველი, მამობრივი კოცსით გაეღვიძებინა.

შარშან, მკვლელობების დროს, რიში ასე საბედისწეროდ ჯერ კიდე არ ებრძოდა თავს. მომაჯადოებელი ძალა, რომლითაც მაშინ მისი ქალიშვილი მასზე მოქმედებდა, ჯერ კიდევ ბავშვური ხიბლი იყო. ყოველ შემთხვევაში, მას ასე ეჩვენებოდა. ამიტომაც არასოდეს სერიოზულად არ შეშინებია, რომ ლაურა მკვლელის მსხვერპლი გახდებოდა, მკვლელისა, რომელიც, როგორც ცნობილი იყო, ბავშვებსა და ქალებს კი არა, მხოლოდ შეღერებულ ქალწულებს ესხმოდა თავს. მაგრამ სახლის დაცვა მაინც გააძლიერა, ზედა სართულის ფანჯრებზე გისოსები შეაცვლევინა და მოახლეს ლაურას ოთახში დაძინება უბრძანა. მაგრამ სადმე რომ გაეგზავნა, როგორც, ვთქვათ, მისი წრის ნარმომადგენლებმა გაგზავნეს თავიანთი ქალიშვილები ან სულაც მთელი ოჯახები, ამის გაფიქრებაც კი არ სურდა. რიშის ეს სამარცხვინოდ და საბჭოს წევრისა და მეორე კონსულისთვის შეუფერებელ საქციელად მიაჩნდა. მოქალაქეთათვის ის სიმშვიდის, ვაჟკაცობისა და სიმტკიცის მაგალითი უნდა ყოფილიყო. თანაც, ის კაცი არ იყო, ვინმეს მისთვის გადაწყვეტილებები მოეხვია თავს – არც პანიკით შეპყრობილ მასებს და, მით უმეტეს, არც ვიღაც ერთ ანონიმურ ნაძირალა დამნაშავეს. მთელი იმ საშინელი ხნის განმავლობაში რიში ერთ-ერთი იყო მცირერიცხოვანთაგან, ვინც შიშს არ აჰყვა და სიმშვიდე შეინარჩუნა. მაგრამ ახლა ეს ვითარება რაღაც უცნაურად შეიცვალა. მაშინ, როდესაც ხალხი გარეთ კოშმარის დამთავრებას ზეიმობდა და ის საშინელი დრო ისე უცებ დაივიწყა, თითქოს მკვლელი უკვე ჩამოეხრჩოთ, ანტუან რიშის გულს შიში საწამლავივით შეეპარა. თავიდან დიდხანს არ უტყდებოდა თავს, რომ სწორედ შიში აიძულებდა, დიდი ხნით ადრე დაგეგმილი მგზავრობა გადაედო, რომ ამის გამო აღარ უყვარდა სახლის დატოვება, რომ ცდილობდა, ქალაქში უფრო იშვიათად გასულიყო, ვიზიტები და საქმიანი შეხვედრები შეემოკლებინა და შინ დროზე დაბრუსებულიყო. თავს ეუბნებოდა, არ მცალიაო, ან გადაღლილი ვარო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა, მეც დარდი მაქვს ყველა მამასავით, რომელსაც შეღერებული ქაილიშვილი ჰყავს – ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავიაო.

განა მთელ ქვეყანაზე არ არის გავარდნილი ხმა მიდი ქალიშვილის სილამაზის შესახებ? განა ყველა არ ყელყელაობს მის დასანახად, კვირადღეს ლაურასთან ერთად ეკლესიაში რომ შედის? განა ზოგიერთი ბატონი საბჭოდან უკვე არ მიანიშნებს გარიგებაზე თავისი ან საკუთარი ვაჟის სახელით?..

42

მარტის ერთ დღეს რიში თავის სალონში იჯდა და დაინახა როგორ გავიდა ლაურა ბაღში. გოგონას ლურჯი კაბა ეცვა და მზის შუქზე წითლად მოელვარე თმა ზედ ეფინებოდა. რიშის არასოდეს უნახავს თავისი შვილი ასეთი ლამაზი. ლაურა ბუჩქების ღობის იქით გაუჩინარდა და გამოჩნდა... ალბათ გულის ორი დარტყმით, გვიან, ვიდრე მოელოდა. რიშის თავზარი დაეცა, რადგანაც გულის იმ ორი დარტყმის მანძილზე ეგონა, რომ შეილი სამუდამოდ დაკარგა.

იმავე ღამეს საშინელმა სიზმარმა გამოაღვიძა. რა ნახა, ვეღარ იხსენებდა, მაგრამ იცოდა, რომ სიზმარი ლაურას შეეხებოდა და გოგონას ოთახში შევარდა დარწმუნებული, რომ მკვდარს, დამახინჯებულსა და თმამოჭრილს ნახავდა საწოლში, თუმცა ლაურა უვნებლად დახვდა.

ოფლში გაწურული და აღელვებისაგან მოცახცახე რიში თავის ოთახში დაბრუნდა, არა, აღელვებისაგან კი არა, შიშისაგან – ახლა, როგორც იქნა, თავს გამოუტყდა, რომ ძალიან ეშინოდა. ეს რომ გაიაზრა, დაწყნარდა და გონებაც დაუმშეიდდა. სიმართლე რომ ითქვას, თავიდანვე არ სჯეროდა ეპისკოპოსის შეჩვენების ძალისა, არც იმის, რომ მკვლელი ახლა გრენობლში დათარეშობდა და არც იმისა, რომ მას საერთოდ დატოვა ქალაქი. არა, მკვლელი ისევ აქ ცხოვრობდა, გრასის მოქალაქეებს შორის, და ოდესმე ისე დაიწყებდა კვლას. აგვისტოსა და სექტემბერში რიშიმ რამდემიმე მოკლული გოგონა ნახა და შეძრწუნდა, თანაც გაოცდა, რადგას თი-

თოეული მათგანი თავისებურად, გამორჩეულად ლამაზი იყო. ვერასოდას იფიქრებდა, რომ გრასში ამდენი უცნობი სილამაზე იყო. მკვლელმა მას თვალები აუხილა, მკელელს საუცხოო გემოვნება ჰქონდა. და ის გარკვეული სისტემით მოქმედებდა. გარდა იმისა, რომ ყოველი მკელელობა ერთნაირად აკურატულად იყო ჩადენილი, თვით მსხვერპლის არჩევაც მკვლელის კარგად გათვლილ მიზნებზე მიუთითებდა. მართალია, რიშიმ არ იცოდა, კონკრეტულად რა უნდოდა მკვლელს თავისი მსხვერპლისაგან, რადგან ის საუკეთესო, რაც მათ ჰქონდათ: ახალგაზრდობა, სილამაზე და მიმზიდველობა, ხომ არ წაურთმევია... ან იქნებ წაართვა? ყოველ შემთხვევაში, რიშის მკვლელი დესტრუქციულ პიროვნებად კი არა, რა აბსურდულადაც უნდა ჟღერდეს, პედანტ კოლექციონერად ესახებოდა. რიში ფიქრობდა. მოკლული გოგონები ცალკეულ ინდივიდებად კი არა, რაღაც გარკვეული ამაღლებული პრინციპის ნაწილებად რომ წარმოვიდგინოთ და თითოეულის ასე განსხვავებული თვისებები ერთ იდეად გავამთლიანოთ, მაშინ ასეთი მოზაიკური სურათი ხომ შეუდარიბელი სილამაზის განსახიერება იქნებოდა, იმ ხიბლს კი, რომელიც რისგან წამოვა, ადამიანური კი არა, ღვთაებრივი ძალა ექნებოდაო (როგორც ეხედავთ, რიში განათლებული და მოაზროვნე კაცი იყო და არც მკრეხელური დასკვნების გაკეთებას უფრთხოდა. მიუხედავად იმისა, რომ ის ყნოსვითი კი არა, ოპტიკური კატეგორიებით აზროვნებდა, ჭეშმარიტებასთან მაინც საკმაოდ ახლოს იდგა).

დავუშვათ, აგრძელებდა მსჯელობას რიში, მკელელი ასეთი სილამაზის კოლექციონერია და სრულყოფილების პორტრეტზე მუშაობს, თუნდა ეს მხოლოდ მისი ავადმყოფური წარმოდგენა იყოს. დავუშვათ ისიც, რომ ეს კაცი უმაღლესი გემოვნებისა და იდეალური მეთოდების მფლიიბელია, რაც მართლაც სრულიად დასაშვებია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ის უარს არ იტყვის იდეალური სურათის უძვირფასეს შემადგენელ ნაწილზე, რომლის მსგავსიც დედამინის ზურგზე არ მოიძებსება – ლაურას სილამაზეზე. მკელელობათა პირამიდას მის გარემე ფასი არ ექნება. ის მისი შენობის დამაგვირგვინებელი ქვაა.

როდესაც რიშიმ ეს შემაძრწუნებელი დასკვნა გააკეთა, ლოგინში იჯდა ღამის პერანგით და უკვირდა, რა დაწყნარებული იყო, არც ამცივნებდა, არც აკანკალებდა. ის გაურკვეველი შიში, რამდენიმე კვირის განმავლობაში რომ ტანჯავდა, გამქრალიყო, და მას გაცნობიერებული კონკრეტული საშიშროებისთვის დაეთმო ადგილი. მკვლელის ზრახვა და ჩანაფიქრი გარკეევით ლაურასკენ იყო მიმართული. თავიდანვე. სხვა დანარჩენი მკელელობები კი ანტურაჟი იყო დამაგვირგვინებელი მკელელობისა. მართალია, გაურკვეველი რჩებოდა, რა მატერიალური მიზანი ჰქონდა მკელელობებს და საერთოდ ჰქონდა თუ არა, მაგრამ მთავარი, და სახელდობრ, მკვლელის სისტემური მეთოდი და მისი სწრაფვა იდეალისკენ რიშიმ სწორად გამოიცნო. რაც უფრო დიდხანს ფიქრობდა ამის შესახებ. მით უფრო მოსწონდა მას მეთოდიც და მოტივიც და მით უფრო იზრდებოდა მისი პატივისცემა მკვლელისადმი. სხვათა შორის, ამგვარი პატივისცემა, როგორც გლუვ სარკეში, ისე არეკლავდა მის დამოკიდებულებას საკუთარი თავის მიმართაც, რადგანაც სნორედ ის, რიში, და სხვა არავინ, თავისი ანალიტიკური გონებით მოწინააღნდეგეს ჩანაფიქრს მიუხვდა.

თვითონ რიში ამგვარი ვნებით შეპყრობილი მკვლელი რომ ყოფილიყო, მაშინ ისევე იმოქმედებდა, როგორც მკელელი იქცეოდა აქამდე და ყველაფერს გაწირავდა, რომ თავისი გიჟური წამოწყება უმშვენიერესი ლაურას მკვლელობით დაეგვირგვინებინა, ეს ბოლო აზრი რიშის განსაკუთრებით მოეწონა, ის ფაქტი, რომ მას გონების თვალით შვილის მომავალი მკვლელის მდგომარეობაში შესვლა შეეძლო, მას მკვლელთან შედარებით დიდ უპირატესობას ანიჭებდა, რადგასაც მკვლელს, მთელი თავისი გონებამახვილობის მიუხედავად, არ შეეძლო, რიშის ადგილზე წარმოედგინა თავი. თუნდაც იმიტომ, რომ რიშიმ, რახანია, მკვლელის ფიქრებში შეაღწია. არსებითად აქაც იგივე ხდებოდა, რაც მის საქმიას ცხოვრებაში – mutatis mutandis[9].

[9] mutatis mutandis - შესაბამისი ცვლილებებით (ლათ.)

მაშ როგორ! თუ კონკურენტის ჩანაფიქრი ამოიცანი, უპირატესობა შენს მხარეზეა, უკვე ვეღარ მოგიგებს. ვინ მოერევა გამობრძმედილ ანტუან რიშის, რომელსაც დათმობა არ სჩვევია?! ბოლოს და ბოლოს, საფრანგეთის სურნელოვანი პროდუქტებით უდიდესი ვაჭრობა მას ეკუთვნის. ეს სიმდიდრე და მეორე კონსულის თანამდებობა ციდან არ ჩამოცვენილა. ეს ყველაფერი ბრძოლითა და ჯიუტი ხასიათით მოიპოვა, კონკურენტების ზრახვების გამოცნობით და მოწინააღმდეგეების გზიდან ჩამოშორებით და თავის მიზანს – ძალაუფლებისა და დიდგვაროვნის ტიტულის მოპოვებას თავისი შთამომავლობისათვის – მიაღწევს. ზუსტად ასევე ჩაშლის თავისი კონკურენტის გეგმებს, რომელიც მას ლაურას ფლობაში - ეცილება. თუნდაც მარტო იმიტომ იზამს ამას, რომ ლაურა მისი საკუთარი გეგმების შენობის დამაგვირგვინებელი ნაწილიცაა.

რა თქმა უნდა, შეილი უყვარდა, მაგრამ სჭირდებოდა კიდეც. ხოლო იმას, რაც თავისი უმაღლესი ამბიციების განსახორციელებლად სჭირდებოდა, არავის წაართმევინებდა, კბილებითა და ბრჭყალებით დაიცავდა.

ახლა ცოტათი მოეშვა. მას შემდეგ, რაც შეძლო, ღამეული ფიქრები დემონთან ბრძოლის შესახებ საქმოსნური დაპირისპირების დონემდე დაეყვანა, იგრძნო, როგორ ივსებოდა სიმამაცით და აზარტითაც კი. ბოლოს შიში სულ გაუქრა სიმძიმისა და დათრგუნულობის გრძნობა, რომელიც მარაზმში მყოფი ბებერიეით აწვალებდა და ბნელი წინათგრძნობების ნისლი, რამდესიმე კვირის განმავლობაში რომ აწუხებდა, გაიფანტა. ის ნაცნობ ტერიტორიაზე იმყოფებოდა და ყოველგვარი გამოწყევის მისაღებად მზად იყო.

43

რიშის გულს მოეშვა და საწოლიდას კარგ გუნებაზე წამოხტა ზარის ზონარს ჩამოჰკრა, ბარბაცით შემოსულ სანახევროდ მძინარე მსახურს ტანსაცმლისა და სურსათ-სანოვაგის ჩალაგება უბრძანა,

რადგანაც გამთენიისას ქალიშვილის თანხლებით გრენობლში გამგზავრებას აპირებდა, შემდეგ ჩაიცვა და დანარჩენი მსახურები ნამოყარა ლოგინებიდან.

შუაღამისას სახლმა დრუატის ქუჩაზე გამოიღვიძა და ამოძრავდა. სამზარეულოში, კერაში ცეცხლი გაჩაღდა, დერეფნებში აღელვებული მოახლეები დარბოდნენ, კიბეებზე პატრონის პირადი მსახური დაქროდა ზევით-ქვევით, სარდაფში მეკუჭნავის გასაღებები ჩხარუნებდა, ეზოში ჩირაღდნები აინთო, მეჯინიბეებს ცხენები გამოჰყავდათ, სხვები თავლებიდან ჯორებს ექაჩებოდნენ, აღვირებს უკეთებდნენ, უნაგირებს ადგამდნენ, დარბოდნენ, ტვირთავდნენ. გეგონება, იქაურობას ავსტრიელ-სარდინიელ მძარცველთა ბრბო დაეცა, რომელიც გზადაგზა ყველაფერს ძარცვავს და წვავს. როგორც ეს 1746 ნელს მოხდა და პანიკაში ჩავარდნილი სახლის პატრონი გასაქცევად ემზადებაო. მაგრამ სულაც არა! სახლის პატრონი საფრანგეთის მარშალივით თავდაჯერებული იჯდა თავისი კაბინეტის საწერ მაგიდასთან, რძიან ყავას სვამდა და განკარგულებებს აძლევდა წარამარა შემოსულ მსახურებს, თანაც ამ დროს წერილებს სწერდა მერს, პირველ კონსულს, თავის ნოტარიუსსა და ადვოკატს, ბანკირს მარსელში, ბარონ დე ბუიონს და სხვადასხვა საქმიან პარტნიორებს

დილის ექვსი საათისათვის რიშიმ წერილები დაგზავნა და თავისი გეგმებისათვის საჭირო ყველა განკარგულება გასცა. შემდეგ უბეებში ორი პატარა სამგზავრო პისტოლეტი ჩაიდო, ფულიანი ქამარი შემოირტყა და მაგიდა ჩაკეტა. ამის მერე ქალიშვილის გასაღვიძებლად გაემართა.

დილის რყა საათზე პატარა ქარავანი გზას გაუდგა. წინ რიში მიდიოდა. დიდებული სანახავი იყო. ოქროს სირმებით გაწყობილ ბორდოსფერ სერთუკში, შავ რედინგოტსა და შავ ქუდში, რომელსაც ბუმბულების ჯიღა ამშვენებდა. უკან ქალიშვილი მისდევდა, უფრო სადად ჩაცმული, მაგრამ ისე ლამაზი, რომ ხახლხი ქუჩაში და ფანჯრებიდან თვალს ვერ აშპრებდა, ბრბოში აღტაცების შეძახილები გაისმოდა. კაცები ქუდებს უხდიდნენ, ვითომ მეორე

კონსულს, მაგრამ სინამდვილეში ამ დედოფალივით ქალის წინაშე იდრიკდნენ ქედს. ლაურას მოახლე მიჰყვებოდა მოკრძალებულად, შემდეგ რიშის მსახური მისდევდა ორი საპალნის ცხენით. კარეტით წასვლა შეუძლებელი იყო გრენობლისაკენ მიმავალი ტრაქტის უვარგისობის გამო. ქარავანს აგვირგვინებდა თორმეტამდე ყველანაირი პროდუქტით დატვირთული ჯორი ორი მეჯინიბის მეთვალყურეობით. დიუ-კურის კარიბჭესთან გუშაგებმა თოფები აღმართეს და მაშინღა დაუშვეს, როდესაც ბოლო ჯორმაც გაიარა. ბავშვები კიდევ კარგა ხანს მისდეედნენ და ხელს უქნევდნენ დაკლაკნილ ციცაბო გზაზე ნელ-ნელა მიმავალ ქარავანს.

ანტუან რიშისა და მისი ქალიშვილის წასვლამ ხალხზე უცნაური ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. ისეთი გრძნობა გაუჩნდათ, თითქოს არქაული მსხვერპლშეწირვის მომსწრენი გახდნენ. მითქმა-მოთქმაში ყველამ გაიგო, რომ რიში გრენობლში მიემგზაერებოდა. ანუ იმ ქალაქში, სადაც ბოლო დროს გოგონების მკვლელი ურჩხული დაბოგინებდა. ხალხმა აღარ იცოდა, რა ეფიქრა, როგორ აეხსნა რიშის საქციელი – რა იყო ეს, დასაგმობი ქარაფშუტობა თუ საქები სიმამაცე, ღმერთების გამოწვევა თუ მათი მოლბობის მცდელობა? ხალხს მხოლოდ ბუნდოვანი წინათგრძნობა ჰქონდა, რომ ეს-ესაა უკანასკნელად ნახეს ეს ულამაზესი წითურთმიანი გოგონა. ისინი გრძნობდნენ, რომ ლაურა რიში დაიღუპებოდა.

ეს წინათგრძსობა გამართლდა, თუმცაღა არასწორ წანამძღვრებს ეყრდნობოდა. საქმე ისაა, რომ რიში გრენობლში არ მიდიოდა. ეს პომპეზური პროცესი მხოლოდ და მხოლოდ თვალის ახვევა იყო. გრასის ჩრდილო-დასავლეითით ერთ-ნახევარი მილის შემდეგ, სოფელ სენ-ვალიეს მახლობლად, რიშიმ ქარავანი შეაჩერა. მან თავის პირად მსახურს მინდობილობები და თანმხლები წერილი გადასცა და უბრძასა, ჯორების ქარრავასი მეჯინიბეებითურთ გრენობლში ჩაეყვანა.

თავად კი ლაურასა და მისი მოახლის თანხლებით კაბრისკეს გადაუხვია, სადაც სადილისათვის შეჩერდა და შემდეგ ტანერონის უღელტეხილით სამხრეთისაკეს გასწია. ეს გზა ძალიან მძიმე იყო,

მაგრამ საშუალებას იძლეოდა, გრასისა და მისი დაბლობისათვის, დასავლეთიდან კარგა შორს აგექცია გვერდი და საღამომდე შეუმ-ჩნევლად მიგეღწია სანაპირომდე. რიში გეგმავდა, რომ მეორე დღეს ლაურასთან ერთად ლერანის კუნძულებიდან ყველაზე პატარაზე მდებარე კარგად გამაგრებულ სენტ-ონორის მონასტრამდე მიეღნია.

ამ მონასტერს მოხუცი, მაგრამ თავდაცვისუნარიანი ბერების პატარა ჯგუფი უძღვებოდა. რიში მათ კარგად იცნობდა, რადგან მრავალი წელი იყო, რაც ყიდულობდა და ასაღებდა მონასტრის ნარმოებულ მთელ პროდუქციას: ევკალიპტის ლიქიორს, იტალიუ-რი ფიჭვის – პინიის თესლსა და კვიპაროსის ზეთს. სწორეც იქ, სენტ-ონორის მონასტერში, რომელიც იფის ციხესიმაგრესა და სენ-მარგერიტის კუნძულზე მდებარე სახელმწიფო ციხესთან ერთად პროვანსის ყველაზე დაცულ ადგილად ითვლებოდა, უნდოდა რიშის პირველ ხანებში თავისი შვილის შეფარება. თვითონ მაშინვე აპი-რებდა უკან გამობრუნებას, ამჯერად ანტიბისა და კანის გავლით გრასისთვის აღმოსავლეთიდან შემოვლას და იმაეე საღამოს ვანსში ჩასვლას. იქ უკვე წინასწარ ჰყავდა დაბარებული თავისი ნოტა-რიუსი, რომ ბარონ დე ბუიონთან თავიანთი შვილების – ლაურასა და ალფონსის დაქორწინებაზე შეთანხმებისათვის მიეღწია. მას და-გეგმილი ჰქონდა, ბუიონისათვის ისეთი პირობები შეეთავაზებინა, რომელზეც ის უარს ვერ იტყოდა: ვალების გადახდა 40 000 ლივ-რის ოდენობით, იმავე ღირებულების მზითევი, აგრეთეე რამდენიმე მამული და ზეთსახდელი ქარხანა და წლიური რენტა 3000 ლივრი ახალდაქორწინებული წყვილისათვის. რიშის ერთადერთი პირობა ის იყო, რომ კონტრაქტი ათ დღეში შესულიყო ძალაში და წყვილი დაქორწინებისთანავე ვანსმი გადასულიყო საცხოვყოებლად

რიშის ესმოდა, რომ აჩქარებით მისი და დე ბუიონების ოჯახების შეერთების ფასს ძალიან მაღლა სწევდა, ლოდინის დრო რომ ჰქო-ნოდა, შედარებით იაფად გამოვიდოდა. მაშის ბარონი მუხლისჩოქი-თაც შეევედრებოდა დიდვაჭარ რიშის ამ გარიგებაზე დათანხმებას, რადგანაც ამასობაში ლაურას სილამაზის ქება-დიდებაც მოიმატებ-და და რიშის სიმდიდრეც, ბუიონები კი სულაც გაღატაკდებოდნენ.

მაგრამ არა უშავს! ამ გარიგებისას ბარონი კი არ იყო რიშის მოწინააღდეგე, არამედ უცნობი მკვლელი. აი ვისთვის უნდა ჩაეშალა გეგმები. გათხოვილი, ქალწულობადაკარგული და შეიძლება უკვე დაორსულებული ქალი ხომ ვეღარ გამოდგებოდა მკვლელის ნატიფი გალერეისთვის. ამ მოზაიკის ბოლო ქვა დაიკარგებოდა, ლაურა მკვლელისათვის ყოველგვარ ფასს დაკარგავდა, მისი წამოწყება ვერ შედგებოდა: მას უნდა ეგრძნო ეს დამარცხება! რიშის გადაწყვეტილი ჰქონდა ქორწილი გრასში გადაეხადა, დიდი ზარ-ზეიმით და საქვეყნოდ. და თუ ის თავის მოწინააღმდეგეს არ იცნობდა და არც არასოდეს გაიცნობდა, მაინც დიდ სიამოენებას მიანიჭებდა იმის შეგნება, რომ მკვლელი ამ მოვლენას დაესწრებოდა და საკუთარი თვალით დაინახავდა. როგორ აართვეს ცხვირნინ ყველაზე სანუკვარი რამ.

მისი გეგმა კარგად იყო გათვლილი. აქ კიდევ ერთხელ უნდა ვაღიაროთ რიშის ინტუიცია. თუ რა ახლოს მივიდა ის ჭეშმარიტებასთან. მართლაც, ლაურა რიშის დაბრუნება ბარონ დე ბუიონის შვილთან ერთად გრასელი მკველელისათვის გამანადგურებელი დამარცხება იქნებოდა.

მაგრამ გეგმა ჯერ არ განხორციელებულა, რიშის ჯერ კიდევ არ დაუბინავებია საიმედოდ თავისი ქალიშვილი სენტ-ონორის მონასტერში. სამი მხედარი ჯერ კიდევ მიემართება ტანერონის პირქუშ უღელტეხილზე. ხანდახან გზა ისეთი ძნელი სავალი ხდება, რომ ცხენებიდან ჩამოქვეითება უწევთ. ძალიან ნელა მიიწევენ წინ. მათ იმედი აქვთ, რომ საღამოხანს კანის დასავლეთით, პატარა დასახლება ლა-ნაპულთან სანაპიროს მიაღწევენ.

44

იმ დროს, როდესაც ლაურა რიშიმ მამასთას ერთად გრასი დატოვა, გრენუი ქალაქის მეორე ბოილოში არნულფის სახელოსნოში იყო და ჟონკილის მაცერაციას ატარებდა. ის მარტო იყო და კარგ გუნებაზე გახლდათ. მისი გრასში ყოფნა დასასრულისკენ მიდიოდა.

ტრიუმფის დღე ახლოვდებოდა. იქ, მის ქოხში, ბამბაჩაგებულ კოლოფებში ეწყო ოცდაოთხი ფლაკონი ოცდაოთხი უმანკო ქალწულის აურისგან მიღებული წვეთებით – უძვირფასესი ესენციები, რომლებიც გრენუიმ გასული წლის განმავლობაში სხეულების ცივი ცხიმოვანი ანფლერაჟის, თმისა და ტანსაცმლის დიგერირების, ლავაჟისა და დისტილირების საშუალებით მიიღო. ოცდამეხუთეს კი, ყველაზე ძვირფასსა და მნიშვნელოვანს, დღეს მიითვისებდა, საბოლოო ნადავლისათვის უკვე გამზადებული ჰქონდა პატარა ტიგელი მრავალგზის გაწმენდილი ცხიმით, საუცხოო ხარისხის ტილოს ნაჭერი და ერთი ბოთლი საუკეთესო სპირტი, სანადირო მიდამო ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი. ახალმთვარეობა იყო.

იცოდა, რომ კარგად დაცულ კარ-მიდამოში დრუატის ქუჩაზე კარის გატეხით ვერ შეაღწევდა. ამიტომ შებინდებისას, ვიდრე ყველა ჭიშკარი დაიკეტებოდა, სასახლეში საკუთარი სუნის არქონის წყალობით შეუმჩნევლად უნდა შეეღწია. უსუნობა ხომ უჩინმაჩინის ქუდივით ადამიანებისა და ცხოველებისთვისაც უხილავს ხდიდა. სახლის რომელიმე კუთხეში დაიმალებოდა და მოგვიანებით, როცა ყველა დაიძინებდა, ცხვირის კომპასს გაჰყვებოდა, სიბნელეში გზას გაიგნებდა და თავისი განძის ოთახში ავიდოდა. გოგონას ცხიმით გაჟღენთილი ტილოთი იქვე დაამუშავებდა. როგორც ყოველთვის, თან მხოლოდ თმასა და ტანსაცმელს წამოიღებდა, რადგანაც მათი პირდაპირ ღვინის სპირტში გარეცხვა შეიძლებოდა, რაც სახელოსნოში უფრო იყო მოსახერხებელი. პომადის საბოლოო დამუშავებისა და კონცენტრატის დისტილირებისთვის კიდევ ერთი ღამე დასჭირდებოდა. თუ ყველაფერი კარგად იქნებოდა – და ამაში ეჭვი არ ეპარებოდა – მაშინ ზეგ გახდებოდა ყველა იმ ესენციის მფლობელი, რომელიც კი მსოფლიოს საუკეთესო სუნამოებისთვის იყო საჭირო. ამის მერე გრასს დატოვებდა, როგორც დედამიწის ზურგზე ყველაზე სურნელოვანი ადამიანი.

შუადღისას ჟონკილის დამუშავებას მორჩა, ცეცხლი ჩააქრო, ცხიმის ქვაბს თავი დაახურა და სახელოსნოდან გავიდა გასაგრილებლად. ქარი დასავლეთიდან ქროდა.

გრენუიმ პირველი შეუნთქვისთანავე დაცქვიტა ყურები. რაღაც ისე არ იყო: ჰაერი სხვანაირი ეჩვენა, ქალაქის სუნს, მის ამ სამოსს, მის შლეიფს, რომელიც მრავალი ათასი ძაფისაგან იყო ნაქსოვი ოქროს ძაფი აკლდა. ბოლო კვირების განმავლობაში ეს ოქროს ძაფი ისეთი მტკიცე გახდა, რომ გრენუი მას ქალაქგარეთ, თავის ქოხშიც კი მკვეთრად გრძნობდა. ახლა კი ეს ძაფი გამქრალიყო. მისი აღმოჩენა ყნოსვით შეუძლებელი გახდა. გრენუის შიშისაგან კინაღამ დამბლა დაეცა.

„მოკვდა“, გაიფიქრა მან. შემდეგ კი უფრო საშინელი აზრი მოუვიდა თავში: „ვიღაცამ დამასწრო, სხვამ მოწყვიტა ჩემი ყვავილი და მისი სურნელი მიითვისა!“ გრენუი ისე შეძრწუნდა, რომ ვერ დაიყვირა, მაგრამ თვალის უპეებში ცრემლები მოადგა და უცებ ლოყებზე გადმოსკდა. ამ დროს „ოთხი დოფინიდან“ დრიუო დაბრუნდა სადილისთეის და სასხვათაშორისოდ მოჰყვა, დღეს მეორე კონსული თავისი ქალიშვილით და თორმეტი ჯორის თანხლებით გრენობლში წავიდაო. გრენუიმ ცრემლები ჩაყლაპა და მთელი ქალაქის გავლით დიუ-კურის კარიბჭისაკენ გაქანდა. ჭიშკრის წინ, მოედანზე შეჩერდა და ყნოსვა დაიწყო. მართლაც, სუფთა, ქალაქის სუნებით შეურყვნელ დასავლეთის ქარში მან თავისი ოქროს ძაფი აღმოაჩინა. მართალია, ნაზი და სუსტი, მაგრამ სწორედ ის.

თუმცა საყვარელი სურნელი ჩრდილო-დასავლეთიდან კი არ მოდიოდა, საითაც გრენობლის გზა მიემართებოდა, არამედ უფრო სამხრეთ-დასავლეთიდან, კაბრის მხრიდან. გრესუიმ გუშაგებს ჰკითხა, რომელ მხარეს წაყიდა კონსულიო . ერთ-ერთმა გუშაგმა ჩრდილოეთისკენ მიუთითა. მართლა არ გაჰყოლიან კაბრის გზას? იქნებ სამხრეთის გზას დაადგნენ. რომელიც ორიბოში ან ლა-ნა-პულში მიდის? რა თქმა უნდა, არაო, უპასუხა გუშაგმა, საკუთარი თვალით დავინახეო.

გრენუი ისევ უკან გაქანდა, თავის ქოხში, ტომარაში ჩატენა ტილოს ნაჭერი, პომადის ქილა, შპატელი, მაკრატელი, ზეთისხილის ხისგან გამოჭრილი პატარა გლუვი კეტი და დაუყოვნებლივ

გზას გაუდგა, მაგრამ გრენობლისაკენ მიმავალს კი არა, იმას, რომელსაც ცხვირი უკარნახებდა – სამხრეთისას.

ეს პირდაპირი გზა იყო ლა-ნაპულისკენ და ტანერონის განშტოების გასწვრივ ფრაიერის და სიანის დაბლობებზე გადიოდა. მოხერხებული სავალი იყო. გრენუი სწრაფად მიიწევდა წინ როდესაც მის მარჯენივ ორიბოს პეიზაჟი გამოჩნდა, რომელიც თითქოს მთის ფერდობებზე იყო შეფენილი, ყნოსვით იგრძნო, რომ გაქცეულებს თითქმის დაეწია. მალე მათთან ერთ სიმაღლეზე აღმოჩნდა. უკვე სამივეს გრძნობდა სათითაოდ, მათი ცხენების სუნსაც კი არჩევდა. დიდი-დიდი ნახევარი მილის იქით ყოფილიყვნენ, მისგან დასავლეთით, სადღაც ტანერონის ტყეებში ისინი სამხრეთისაკენ, ზღვისკენ მიემართებოდნენ. ისევე, როგორც გრენუი.

საღამოს ხუთ საათზე გრენუიმ ლა-ნაპულს მიაღწია, იქაურ ფუნდუკში შევიდა, ისადილა და იაფიანი ღამის გასათევი იკითხა – მთრიმლავის ქარგალი ვარ ნიციდან და მარსელში მივდივარო. უპასუხეს, შეგიძლია თავლაში დაიძინოო. იქ გრენუი ერთ კუთხეში მიწვა და მიყუჩდა. შორიდანვე იგრძნო სამი მხედრის მოახლოება, ახლა მხოლოდ ლოდინიღა სჭირდებოდა.

ორი საათის შემდეგ, როდესაც უკვე კარგად ჩამობნელდა, ისინიც გამოჩნდნენ ინკოგნიტოდ რომ დარჩესილიყვნენ, ტანსაცმელი გამოეცვალათ. ორივე ქალს მუქი კაბა ეცვა და ვუალი ჰქონდა ჩამოფარებული, რიში კი შავ სერთუკში გამოწყობილიყო. იგი კასტელანელ აზნაურად ასაღებდა თავს. პატრონს უბრძანა, ხვალ ლერენის კუნძულებზე უნდა გადავიდე და დილისთვის ნავი გაგვიმზადეთო. მერე იკითხა, ჩვენ გარდა ვიხმე სტუმარი თუ არის კიდევ სახლშიო. არა, უპასუხა პატრონმა, მხოლოდ ერთი მთრიმლავის ქარგალია, რომელსაც თავლაში სძინავსო.

რიშიმ ქალები ოთახებში გაისტუმრა, თვითონ კი თავლაში შევიდა – მინდა, რაღაც ამოვიღო უნაგირის ჩანთიდანო. ის ქარგალი ვერსად შენიშნა, ვიდრე მეჯინიბეს ფარანი არ მოატანინა. მერე კი დაისანა. მთრიმლავის ქარგალი ერთ კუთხეში თივაზე გაფენილ ძველ თოქალთოზე მიწოლილიყო, თავქვეშ ტომარა ამოედო და

ღრმად ეძინა. იმდენად შეუმჩნეველი იყო, რომ რიშის ერთი წუთით ისიც კი მოეჩვენა, სულ არ არისო; ეგონა, ადამიანი კი არა, რაღაც ქიმერა, ფარნის მოციმციმე შუქის უცნაური აჩრდილიაო. ყოველ შემთხვევაში რიშისთვის იმ წუთშივე ცხადი გახდა, რომ ამ ლამის გულის ამაჩუყებელი, საოცრად უსახური არსებისაგან არავითარი საფრთხე არ იყო მოსალოდნელი. ის უჩუმრად გაეცალა იქაურობას, რომ მძინარე არ გაეღვიძებინა, და სახლში დაბრუნდა.

მან თავის ქალიშვილთან ერთად ოთახში ივახშმა. გოგონასთვის არც მანამდე აუხსნია ამ უცნაური მოგზაურობის მიზეზი თუ მიზანი და არც ახლა, მიუხედავად იმისა, რომ ლაურამ სთხოვა. ხვალ აგიხსნი ყველაფერსო, უთხრა რიშიმ, დარწმუნებული იყავი, რომ ყველაფერი, რასაც ვგეგმავ თუ ვაკეთებ, შენს სასარგებლოდ და შენი მომავალი ბედნიერებისათვის არის საჭიროო. ვახშმის შემდეგ რამდენიმე ხელი ლომბერი ითამაშეს. რიშიმ ყველა წააგო, რადგანაც კარტის მაგიერად ლაურას შესცქეროდა და მისი სილამაზით ტკბებოდა. ცხრა საათისთვის მამამ შვილი ოთახამდე მიაცილა, რომელიც მისი ოთახის პირდაპირ იყო, აკოცა და კარი გარედან ჩაუკეტა. შემდეგ კი თვითონაც წავიდა დასაძინებლად.

უცებ ერთბაშად საშინელი დაღლილობა მოაწვა, რომელიც მომქანცველი დღითა და წინა ღამით იყო გამოწვეული. ამავე დროს ძალიან კმაყოფილი იყო საკუთარი თავით და მოვლენათა განვითარებით. რიშიმ მაშინვე დაიძინა, სულ ერთი ბეწო დარდისა და პირქუში წინათგრძნობის გარეშე, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინდლამდე ლამპის ყოველი ჩაქრობისას აწუხებდა და არ ასვენებდა. უსიზმროდ, კვნესის, ნერვული კრთომისა და ბორგვის გარეშე ეძინა. პირყელად დიდი ხსის განმავყლობაში რიშის ღრმად, მშვიდად, ძალრების აღმდგენი ძილით ეძინა.

სწორედ იმ დროს გრენუი თავლაში თავისი საფენიდან წამოდგა. ისიც კმაყოფილი იყო საკუთარი თავით და მოვლენათა განვითარებით. თავს ისიც მხნედ გრძნობდა, თუმცა ერთი წამითაც არ სძინებია, როდესაც რიში თავლაში შევიდა მის სახახავად, თავი ნოიმძინარა, რომ კიდევ უფრო გაეძლიერებინა უწყინარის შთა-

ბეჭდილება, რომელსაც მისი „შეუმჩნეველი“ სუნი ისედაც ახდენდა. რიშისაგან განსხვავებით, მან მოწინააღმდეგე უფრო მკაფიოდ აღიქვა. რა თქმა უნდა, ყნოსვით, და არც ის გამოჰპარვია, როგორ მოეშვა გულზე რიშის მისი დანახვისას.

ამგვარად, ამ მოკლე შეხვედრისას ორივე, უსამართლო, თუ სამართლიანად, დარწმუნდა ერთმანეთის უვენებლობაში, და გრენუის აზრით, კარგიც იყო, რადგან მისი მოჩვენებითი და რიშის ნამდვილი უვნებლობა მას, გრენუის, საქმეს უადვილებდა, თუმცა, რიშიც იმავე აზრისა იყო თავისი საკუთარი საქმეების მდგომარეობის შესახებ.

45

გრენუი საქმეს პროფესიული სიდინჯით შეუდგა. მან ტომარა გახსნა და ტილოს ნაჭერი, პომადა და შპატელი ამოალაგა. თოქალთოზე ტილო გაშალა და მისი ცხიმოვანი პასტით დაფარვა დაიწყო. ამას დრო სჭირდებოდა, რადგან ცხიმი ზოგან სქლად უნდა წაესვა, ზოგან თხლად, იმისდა მიხედვით, ქსოვილი სხეულის რომელ ადგილს დაედებოდა. პირი, იღლიები, მკერდი და სასქესო ორგანო, აგრეთვე ფეხისგულები უფრო მეტ, სურნელს გამოსცემენ, ვიდრე, მაგალითად, წვივები, ზურგი ან იდაყვები; ხელისგული მეტს, ვიდრე ხელის ზურგი, წარბები ეფრო მეტს, ვიდრე წამწამები და ასე შემდეგ – და, შესაბამისად, მათ მეტი ცხიმი სჭირდებოდა. ასე რომ, გრენუი თითქოს დასამუშავებელი სხეულის სურნელოვანი დიაგრამის მოდელს ქმნიდა ამ ტილოს ნაჭერზე და ყველაზე დიდ კმაყოფილებასაც სწორედ სამუშაოს ეს ნაწილი ანიჭებდა, ეს მთელი არტისტული ტექნიკა იყო, რომელიც გონებას, ფანტაზიასა და ხელებს თანაბრად მოიცავდა და, ამავე დროს, მოსალოდნელი შედეგებით წინასწარ ტკბობას აგრძნობინებდა.

როდესაც პომადის ქილა დაცარიელდა, გრენუიმ რამდენიმე დასკვნითი შტრიხი შეიტანა: აქა-იქ შეასწორა ცხიმის ფენა: ერთგან

ვოტა მოაკლო მეორეგან დაუმატა და ნამუშევარი – ცხიმით შექმნილი მოდელი – კიდევ ერთხელ შეამოწმა. ეს ცხვირით ხდებოდა და არა თვალებით: ყველაფერი ხომ სრულ წყვდიადში კეთდებოდა, რაც ალბათ კიდევ ერთი მიზეზი იყო გრენუის მშვიდი ფა მხიარული განწყობისა. ამ ახალმთვარეობის ღამეს ხელს არაფერი უშლიდა. სამყაროში არაფერი იყო, სუნისა და კიდევ შეიძლება ზღვიდან მომავალი ტალღების სუსტი ხმაურის გარდა, გრენუი თავის სტიქიაში იყო ცოტა ხანში ქსოვილი ისე დაკეცა, როგორც შპალერს კეცავენ ხოლმე, რომ ცხიმნწასმული მხარეები ერთმანეთს დასდებოდა. ეს მისთვის მტკივნეული ოპერაცია იყო, რადგანაც იცოდა, ტომ, რაგინდ ფრთხილადაც უნდა ყოფილიყო, ცხიმის მოდელირებული კონტურების ნაწილი მაინც მოსცილდებოდა ან აირეოდა, გაგრამ სხვანაირად ქსოვილს ვერ გადაიტანდა. მას შემდეგ, რაც მან ნაჭერი ისე დაკეცა, რომ იღლიაში თავისუფლად ამოედო, შპატელი და მაკრატელი ჯიბეში ჩაიწყო, ხის პატარა კეტს ხელი დაავლო და გარეთ მალულად გავიდა.

ცა მოღრუბლული იყო. სახლში შუქი აღარსად ენთო. ერთადერთი ნაპერწკალი ამ უკუნ ღამეში აღმოსაელეთით ციალებდა: ლა-ნაპულიდან ერთი მილის იქით, სენ-მარგერიტის კუნძულზე ფორტის შუქურა ანათებდა, ისიც ისე ჩანდა, როგორც ღია ფერის ძაფი შავ ქსოვილზე, ზღვის უბიდან ნიავი ოდნავ უბერავდა და თევზის სუნი მოჰქონდა. ძაღლებს ეძისათ.

გრენუი ბეღლის გარეთა ღიობთან მიყუდებულ კიბესთან მივიდა, მარჯვენა ხელი კიბის სამ საფეხურს ამოსდო, ასწია, გამოწეული ნაწილი მხარზე ვერტიკალურად დაიყრდნო და მთელი ეზოს გავლით გოგონას ფანჯარასთას მიიტანა. ფანჯარა თითქმის ღია იყო. კიბეზე ისე წყნარად ადიოდა, თითქოს მისეირნობსო და თავის თავს ულოცავდა, რომ გოგონას სურნელს აქ, ლა-ნაპულში უნდა დაუფლებოდა. გრასში, სადაც ფანჯრებზე გისოსები იყო აჭედებული და სახლს მკიცრად იცავდნენ, ყველაფერი გაცილებით რთული იქნებოდა. იქ გოგონას მარტოს ეძინა და მისი მოახლის თავიდან მოშორებაც კი არ დასჭირდებოდა.

გრენუიმ ფანჯარას ხელი ჰკრა, შეაღო, ოთახში გადაძვრა და დაკეცილი ტილო იატაკზე დადო. მერე საწოლისაკენ შებრუნდა. ირგვლივ გოგონას თმის სურსელი ჭარბობდა, რადგანაც ლაურა მუცელზე იწვა და ხელებშემოხვეული სახე ბალიშებში ჰქონდა ჩარგული. კეფა თითქოს იდეალურად ჰქონდა მიშვერილი სარტყმელად.

დარტყმის ხმა ყრუ და ღრჭიალა იყო. გრენუი ვერ იტანდა ამ ხმას. ჯერ მარტო იმიტომ სძულდა, რომ ეს ხმაური იყო, მის ჩუმ საქმეში ერთადერთი ხმაური. მხოლოდ კრიჭაშეკრულს შეეძლო ამ საზიზღარი ხმის გადატანა და, როდესაც ყველაფერი დამთავრდა, ერთხანს კიდევ იდგა კეტით ხელში გახვებულივით, თითქოს ეშინოდა, ეს ხმა საიდანღაც ექოსავით არ დაბრუნდესო. მაგრამ ხმა არ დაბრუნებულა. პირიქით, ოთახში სიჩუმემ დაისადგურა, უფრო ძლიერმა სიჩუმემაც კი, რადგანაც გოგონას ხმაურიანი სუნთქვაც კი აღარ ისმოდა. და გრენუიმ მხოლოდ მაშინ შეიცვალა დაძაბული პოზა (რომელიც შეიძლება პატივისცემის ან წუთიერი დუმილის გამოვლინებად მიგვეჩნია), თანდათან მოდუნდა და მისი სხეულიც ნელ-ნელა მოეშვა.

კეტი გვერდზე გადადო და ბეჯითად შეუდგა საქმეს. პირველ რიგში, ტილო გაასწორა და სუფთა პირით სკამებსა და მაგიდაზე გაშალა, თან ყურადღებით იყო, რომ ცხიმიანი პირი არ დაზიანებულიყო. შემდეგ გოგონას საბანი გადახადა. მისმა უმშვენიერესმა სურნელმა, რომელიც უცებ თბილ და მასიურ ტალღად დაიძრა, გრენუი ამჯერად არ დააბნია, ხომ უკვე იცნობდა და მისით დატკბობას და თრობას მერეც შეძლებდა, როცა საბოლოოდ დაეუფლებოდა, ახლა მთავარი იყო, რაც შეიძლება მეტი სურნელი აეღო რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგით. ახლა მაქსიმალური კონცენტრაცია და სისწრაფე იყო საჭირო.

გრენუიმ გოგონას სწრაფად ჩაუჭრა მაკრატლით ღამის პერანგი, იქიდან ამოიყვანა, ცხიმიან ტილოს ხელი დასტაცა და შიშველ სხეულს გადააფარა. შემდეგ წამოსწია და ტილოში ისე გაახვია, როგორც მეფუნთუშე ახვევს ხოლმე რულეტს. ცალ მხარეს ბოლოები მეუკეცა და გოგონა მუმიას დაემსგაესა. მარტო თმებიღა

მოჩანდა. გრენუიმ თმები ძირში მოაქრა, გოგონას ღამის პერანგში ჩადო და ბოხჩად გამოკრა. ბოლოს ტილოს კუთხე გაკრეჭილ თავის ქალაზე მიაფარა და თითებით ნაზად გაასწორა, შემღეგ მთელი „პაკატი“ შეამოწმა. პატარა ღრიჭო, ნაკეცი, ერთი პაწაწინა ნახვრეტიც კი არსად იყო დარჩენილი, საიდანაც შეიძლება სურნელი გაპარულიყო. გოგონა იდეალურად იყო შეფუთული.

გრენუის საქმე აღარ ჰქონდა. მარტო გათენებამდე უნდა ეცადა ექვს საათს. მან პატარა სავარძელი აიღო, რომელზეც გოგონას ტანსაცმელი ეწყო, საწოლს მიადგა და შიგ ჩაჯდა. გოგონას ფართო შავ კაბაზე ჯერ კიდევ იგრძნობოდა მისი ნაზი სურნელის ქროლვა, რომელიც ანისულის პატარა ნამცხვრების სუნთან შერეულიყო. ნამცხვრები გოგონას ჯიბეში ჩაელაგებინა გამომგზავრების წინ. გრენუიმ ფეხები საწოლის კიდეზე შემოაწყო, გოგონას ფეხებთან ახლოს. მისი კაბა გადაიფარა და ანისულის ნამცხვრები შეჭამა. დაღლილი იყო, მაგრამ დაძინება არ უნდოდა, რადგანაც მუშაობის დროს ძილი არ ეგების, მაშინაც კი, როდესაც მუშაობა ლოდინში გამოიხატება. ბალდინის სახელოსნოში გამოხდაში გატარებული ღამეები მოაგონდა: გამურული სახდელი ქვაბი, მოგიზგიზე ცეცილი, გამაგრილებელი მილიდან გამოსული დისტილატის ფლორენციულ ჭურჭელში ჩაწვეთების მსუბუქი წკაპუნის ხმა. ხან ცეცხლის ყურისგდება იყო საჭირო, ხან წყლის ჩამატება, ხან ფლორენციული ჭურჭლის შედგმა, ხან გამოსახდელი მასალის შეცვლა. გრენუის ყოველთყის ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ დარაჯობა იმისათვის კი არ იყო საჭირო, რომ ეს აუცილებელი სამუმაოები შეესრულებინა, არმედ იმისათყის, რომ თვით ფხიზლად ყოფნას ჰქონდა მნიშვნელობა ამ ოთახშიც კი, სადაც ანფლერაჟის პროცესი თავისთავად მიმდინარეობდა. მეტიც, სადაც წინასწარი შემოწმება, გადაბრუნება თუ ხელის ხლება სურნელოვან „პაკეტს" მხოლოდ დააზიანებდა, იქაც კი. გრენუის ეჩვენებოდა, რომ მისი სიფხიზლე დიდ როლს ასრულებდა. ილს შეიძლება იღბალი დაეფრთხო.

თუმცა, დაღლილობის მიუხედავად. ფხიზლად ყოფნა და ლოდინი არ უჭირდა უყვარდა ეს მოლოდინი. მაშინაც სიამოვნებით

იცდიდა, იმ ოცდაოთხ გოგონას რომ კლავდა, რადგანაც ეს წარსულზე დარდი და მომავლის მოუთმენელი მოლოდინი კი არ იყო, არამედ თანმხლები, გაცნობიერებული, მზრუნველი და, გარკვეული აზრით, საქმიანიც კი. ყველაზე მნიშენელოვეანი კი თავისთავად მიმდინარეობდა. ამ მოლოდინის დროს რაღაც ხდებოდა – ყველაზე მთავარი. და თუკი ამას თვითონ არ აკეთებდა, მისი საშუალებით, ხომ მაინც სრულდებოდა. მან ყველაფერი ქნა, რაც შეეძლო, მთელი თავისი ოსტატობა იხმარა. არც ერთი შეცდომა არ დაუშვია, რასაც აკეთებდა, ყველაფერი ერთადერთი და განუმვორებელე იყო. ყველაფერი წარმატებით უნდა დაგვირგვინებულიყო, მარტო რამდენიმე საათის ლოდინიღა დარჩა. უზომო სიამოვნებას ჰგვრიდა ეს ლოდინი. ცხოვრებაში არასოდეს უგრძნია თავი ასე კარგად, ასე წყნარად, გაწონასწორებულად, თავის თავთან ისეთ ჰარმონიაში (მაშინაც კი, თავის გამოქვაბულში), როგორც შესვენების ამ საათებში, რომელსაც ხელობა მოითხოვდა, როდესაც უკუნ ღამეში თავის მსხვერპლთან იჯდა და თვალმოუხუქჭავად იცდიდა. მხოლოდ ასეთ მომენტებში ჩნდებოდა ხოლმე პირქუშ გონებაში თითქმის მხიარული აზრები.

უცნაური ის იყო, რომ მისი აზრები მომავლისაკენ არ იყო მიმართული. ის არ ფიქრობდა იმ სურნელზე, რომელსაც რამდენიმე საათში დაეპატრონებოდა, არც იმ ოცდახუთი გოგონას სურნელთაგან შედგენილ სუნამოზე, არც მომავალ გეგმებზე და არც ბედნიერებასა და წარმატებაზე. არა, ის წარსულს იგონებდა, იხსენებდა ცხოვრების ეტაპებს, დაწყებულს მადამ გაიარის სახლში ყოფნიდან და ნესტიანი და თბილი შეშის გროვიდან დღევანდელ მოგზაურობამდე თევზის სუნით გაჟღენთილ პატარა სოფელ ლანაპულში. ის იხსენებდა მთრიმლავ გრიმალს, ჯუზეპე ბალდინის, მარკიზ დე ლა ტაიად-ესპინასს. იხსესებდა ქალაქ პარიზს, მის დიდ, ათას ელფერად მოლივლივე საშინელ სიმყრალეს, წითურთმიას გოგონას მარეს ქუჩიდან, ველებს ნაზ ქარს, ტყეებს. ის ოვერნში იმ მთასა იგონებდა და ამ მოგონებას თავს არ არიდებდა. ფიქრობდა თავოს გა,პქვაბულზე, ადამიანის სუნების თავისუფალ

ჰაერზე. თავის სიზმრებსაც იხსენებდა და ეს ყველაფერი ძალიან დიდი სიამოვნებით აგონდებოდა. დიახ, უკან რომ იხედებოდა, ფიქდა, რომ ბედი ყოველთვის უღიმოდა და, იღბალი, მართალია, მიხვეულ-მოხვეული გზით, მაგრამ მაინც სწორად მიუძღოდა წინ. აბა აქ სხვაგვარად როგორ მოხვდებოდა, ამ ბნელ ოთახში, თავისი ოცნებების მთავარ მიზანთან? კარგად თუ ჩავუფიქრდებით, ჭეშმარიტად ღვთიურკურთხეული კაცი იყო!

გრენუის მორჩილებისა და მადლიერებისაგან გრძნობები მოერია.

– გმადლობ, – თქვა მან ჩუმად, – გმადლობ, ჟან-ბატისტ გრენეუი იმისათვის, რომ ისეთი ხარ, როგორიცა ხარ!

ასე იყო თავისი თავით აღტაცებული.

შემდეგ თვალები დახუჭა. იმისათვის კი არა, რომ დაეძინა, არამედ იმისათვის, რომ ამ წმინდა ღამის სიწყნარისათვის სრულად მიეცა თავი. მის გულში სიმშვიდემ დაისადგურა, ეჩვენებოდა, რომ მის ირგვლივაც მშვიდობა სუფევდა. იყნოსავდა გვერდითა ოთახში მოახლის მშვიდ ძილს, აგრეთვე ანტუან რიშის კმაყოფილ ძილს დერეფნის მოპირდაპირე მხარეს მდებარე ოთახში, სახლის პატრონისა და მსახურების, ძაღლების, თავლებსა და ბოსლებში ცხოველების, მთელი დასახლებისა და ზღვის ღრმა ძილსაც კი. ქარი ჩამდგარიყო. ყველაფერი დუმდა. ამ მშვიდობას არაფერი არღვევდა.

მხოლოდ ერთხელ გასწია გრენუიმ ფეხი და ოდნავ შეეხო ლაურას ფეხს. უფრო სწორად მის ფეხს კი არა, იმ ცხიმწასმულ ზეწარს, რომელიც ფეხებს უფარავდა და ლაურას – გრენუის! – უმშვენიერესი სურნელით იჟღითთებოდა.

46

როდესა ჩიტები აჭიკჭიკდნენ, ესე იგი გათენებამდე კარგა ხნით ადრე, გრენუი წამოდგა და თავისი საქმე დაასრულა. მას ტილო გადახსმა და სა;ბიმოვოთ ააცილა მკვდარს. ცხიმი კანს კარ-

გად სძვრებოდა. მარტო ღრმულებში დარჩა ცოტა და შპატელით ამოფხიკა. პომადის ნარჩენები ლაურას პერანგით მოწმინდა, ამ პერანგითვე ისე ძირფესვიანად გაუწმინდა მთელი სხეული თავიდან ფეხებამდე, რომ ფორებიდანაც კი ამოუფხიკა ცხიმი და მასთან ერთად სურნელის უკანასკნელი ნაწილაკებიც. ახლა კი იყო მისთვის ლაურა ნამდვილად მკვდარი, დამჭკნარი. ფერგაცლილი და მოჩვარული, ყვავილების ნარჩენებივით.

გრენუიმ პერანგი გაჟღენთილ ტილოზე დააგდო. გოგონას სიცოცხლე იქღა გრძელდებოდა. იქვე დადო მოჭრილი თმები და ყველაფერი ერთ პატარა მკვრივ შეკვრად აქცია, რომელიც იღლიაში ამოიჩარა. და მიუხედავად იმისა, რომ ღამის სიშავე განთიადის მოლურჯო-მორუხო ფერმა შეცვალა და ოთახში საგნების კონტურების გამოკვეთა დაიწყო, გრენუის გოგონას საწოლისაკენ არც კი მიუხედავს, რომ ცხოერებაში ერთხელ მაინც ეხილა თვალით. გოგონა მას არ აინტერესებდა. მისთვის ის, როგორც სხეული, აღარ არსებობდა, მხოლოდ უსხეულო სურნელი იყო მნიშვნელოვანი, ეს სურნელი კი, იღლიაში ამოჩრილი, თან მიჰქონდა.

ის უჩუმრად შეხტა ფანჯრის რაფაზე და მისადგმელი კიბით ძირს დაეშვა. გარეთ ქარი ისევ ამოვარდნილიყო, ცაც გადაწმენდილიყო და ცივ მუქლურჯ ფერად ეფინებოდა არემარეს.

ნახევარი საათის მერე ერთმა მოსამსახურე ქალმა სამზარეულოში ცეცხლი დაანთო. როდესაც გარეთ გავიდა, მიყუდებული კიბე დაინახა, მაგრამ ჯერ კარგად არ იყო გამოფხიზლებული და ვერაფერს მიხვდა. შესრულდა ექვსი საათი და გათენდა. ლერენის კუნძულებს შორის უზარმაზარი მეწამული მზე გამოჩნდა. ცაზე ერთი ღრუბელიც არ იყო. გაზაფხულის ნათელი დღე იწყებოდა.

რიშიმ, რომლის ოთახიც დასავლეთისკენ გადიოდა, შვიდ საათზე გაიღვიძა. პირველად რამდენიმე თვის მასძილზე კარგად იყო გამოძინებული და ჩვეულების საწინააღმდეგოდ ერთ თხუთმეტ წუთს კიდევ ნებივრობდა, იზმორებოდა და სამზარეულოდას გამომავალ სასიამოვნო ხმაურს აყურადებდა. შემდეგ ადგა, ფანჯარა ფართოდ გამოაღო, დაინახა, რომ გარეთ კარგი ამინდი იყო.

სუფთა, გრილი დილის ჰაერი ჩაისუნთქა და ზღვის მოქცევის ხმას დაუგდო ყური. მშვენიერ გუნებაზე დადგა და რაღაც მხიარული მელოდიის სტვენა წამოიწყო.

იცვამდა და თან უსტვენდა, ოთახიდან რომ გავიდა და სწრაფი ნაბიჯით შვილის ოთახის კარს მიუახლოქდა, მაშინაც უსტვენდა. დააკაკუნა, მერე კიდევ ერთხელ დააკაკუნა, ძალიან. ჩუმად, რომ ლაურა არ შეეშინებინა ოთახიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. რიშის გაეღიმა და გადაწყვიტა, ისევ სძინავსო.

მან ფრთხილად შეარჭო გასაღები ქუჭრუტანაში, გადაატრიალა ჩუმად, ძალიან ჩუმად, რომ შვილი არ შეეშინებინა, თითქმის მოუთმენლადაც კი, რომ მძინარე ენახა და კოცნით გაეღვიძებინა, ერთხელაც, საბოლოოდ, ვიდრე სხვა კაცისთვის მოუწევდა მისი გადაცემა.

კარი გაიღო. რიში შევიდა და მზის შუქმა პირდაპირ სახეში შეანათა ოთახი თითქოს დამდნარი ვერცხლით იყო სავსე, ყველაფერი ბრნყინავდა, და ტკივილისაგან იძულებული გახდა, ერთი წამით თვალები დაეხუჭა.

როდესაც თვალები გაახილა, საწოლზე დაგდებული შიშველი. თმამოჭრილი და მიტკალივით თეთრი ლაურა დაინახა. ეს ის კოშმარი იყო, რომელიც წინა ღამეს ესიზმრა გრასში, დაავიწყდა და ახლა ელვასავით გაურბინა თავში. ყველაფერი ზუსტად ისე იყო, როგორც იმ სიზმარში, ოღონდ გაცილებით ცხადად.

47

ლაურა რიშის მკვლელობის ამბავი ისე სწრაფად გავრცელდა მთელ იმ არემარეში, თითქოს ვიღაცას გამოეცხადებინოს: „მეფე მოკვდა!“ ან „ომი დაიწყო!“ ან კიდევ: „ნაპირზე მეკობრეები გადმოსხდნენ!“ და ისეთივე თუ უფრო საშინელი პანიკა ატყდა. საგულდაგულოდ მივიწყებული შიში უცებ ისევ გაჩნდა, ისეთივე გადამდები, როგორიც გასულ შემოდგომაზე, მთელი თავისი

თანმხლები გამოვლინებებით: პანიკით, აღშფოთებით, რისხვით, ისტერიული ეჭვებითა და სასოწარკვეთით. ხალხი. ღამღამობით სახლებიდან არ გამოდიოდა, თავიანთ ქალიშვილებს შინ კეტავდნენ, სახლებს ხერგავდნენ, ერთმანეთს აღარ ენდობოდნენ და აღარ ეძინათ. ყველას ეგონა, რომ ყველაფერი მაშინდელივით გამეორდებოდა – კვირაში თითო მკვლელობა. დრო თითქოს ნახევარი წლით უკან დაბრუნდა.

ეს შიში უფრო საზარელი იყო, ვიდრე ნახევარი წლის წინ, რადგანაც თითქოს დიდი ხნის დაძლეული საფრთხის უცაბედი დაბრუნება ხალხში უსუსურობის გრძნობას ბადებდა. რაღა უნდა ექნათ, თუკი ეპისკოპოსის წყევლამაც კი არ გაჭრა! თუკი ანტუან რიშიმ, დიდმა რიშიმ, ქალაქის ყველაზე მდიდარმა მოქალაქემ, მეორე კონსულმა, ძლიერმა და ჭკვიანმა ადამიანმა, რომელსაც ყველა საშუალება ჰქონდა, საკუთარი შვილის დაცვა ვერ შეძლო! თუკი მკელელის ხელი ლაურას ღვთაებრივი სილამაზის წინაშეც კი არ შედრკა! მართლაც, ლაურა ყველას წმინდანი ეგონა, და განსაკუთრებით ახლა, სიკვდილის შემდეგ. რაღა იმედი უნდა ჰქონოდათ, რომ მკვლელი მათ დაინდობდა? ის ხომ შავ ჭირზე უფრო სასტიკი იყო, რადგანაც შავ ჭირს გაექცეოდი მაინც, ამ მკვლელს კი ვერა, როგორც ეს რიშის მაგალითმა ცხადყო. მკვლელს აშკარად ზებუნებრივი ძალა ჰქონდა, სატანასთან იყო შეკრული, თუკი თვითონ არ იყო სატანა. ასე რომ, ბევრს, პირველ რიგში შედარებით უბირ ხალხს, ისღა დარჩენოდა, რომ ეკლესიაში სიარული და ლოცვა დაეწყო. თითოეული ხელობის წარმომადგენლები თავისი წოდების მფარველს ევედრებოდნენ: ზეინკლები წმინდა ალოიზიუსს, ფეიქოები – წმინდა კრისპინიუსს, მებალეები – წმინდა ასტონიუსს, მესელსაცხებლეები – წმინდა იოსებს. მათ თავიანთი ცოლები და ქალიშვილებიც მიჰყავდათ თან და ერთად ლოცულობდნენ. ეკლესიაშივე ჭამდნენ და ეძინათ, დღისითაც კი არ გამოდიოდნენ იქიდან. სჯეროდათ, რომ მხოლოდ აქ, სასონარკვეთილი მრევლის წიალში და ღვთისმშობლის საფარველქვეშ იყვნენ დაცულნი იმ ურჩხულისაგან (თუკი საერთოდ იყო რამენაირი უსაფრთხოება).

სხვები, უფრო საზრიანები, რახან ეკლესიამ ერთხელ ვერ უშველა, ოკულტისტურ ჯგუფებად ერთიანდებოდნენ, ძალიან ძვირად ქირაობდნენ ერთ გამოცდილ ჯადოქარ ქალს გურდონიდან, გრასთან ახლო ერთ კირქვის მღვიმეში ძვრებოდნენ და იქ შავ სატანისტურ მესებს ატარებდნენ, რათა ეშმაკისათვის გული მოელბოთ და დაენახვებინათ, რომ მზად იყვნენ მისი სამსახურისათვის. კიდევ სხვანი, ძირითადად პატივცემული ბურჟუები და არისტოკრატიის განათლებული წარმომადგენლები, თანამედროეე მეცნიერული მეთოდების იმედად იყვნენ – სახლებს მაგნეტიზებას უტარებდნენ, თავიანთ ქალიშვილებს კი ჰიპნოზს, სალონებში ფლუიდურ წრეებს აყალიბებდნენ და ცდილობდნენ, ერთობლივად აზრების მანძილზე გადაცემით მკვლელის სული ტელეპათიით განედევნათ.

საეკლესიო კოლეგიებმა მოსანანიებელი მსვლელობა მოაწყვეს გრასიდან ლა-ნაპულში და ლა-ნაპულიდან გრასში. ქალაქის ხუთი მონასტრის ბერებმა უწყვეტი ღვთისმსახურება შემოიღეს ფსალმუნების გალობით და ქალაქის ხან ერთ კუთხეში გაისმოდა მათი ღაღადი, ხან მეორეში, გაბმით, დღისითაც და ღამითაც. თითქმის აღარავინ მუშაობდა.

ასე უქმად ელოდა ციებ-ცხელებით შეპყრობილი გრასის მოსახლეობა შემდეგ მკვლელობას. მკვლელობა რომ აუცილებლად მოხდებოდა, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა და ყველა ჩუმად და თითქმის მოუთმენლად ელოდა საშინელ ამბავს იმ იმედით, რომ ის თვითონ ასცდებოდა და სხვას შეეხებოდა.

მაგრამ ამჯერად ქალაქის, ოლქისა და პროვისციის ხელისუფლება აღარ აჰყვა მოსახლეობის ისტერიული განწყობას. პირველად მას შემდეგ, რაც გოგონების მკვლელი გამოჩნდა, დაიწყო გრასის, დრაგინიანის და ტულოსის მაგისტრატების, პოლიციის, ინტენდანტის, პარლამენტისა და საზღვაო ფლოტის გეგმაზომიერი და განტოტვილი თანამშრომლობა.

ამა ქცეყსის ძლიერთა ასეთი სოლიდარული მოქმედების მიზეზი, ერთი მხრივ, საერთო-სახალხო აჯანყების შიში იყო, მეორე მხრივმ კი ის, რომ ლაურა რიშის მკვლელობის შემდეგ გაჩხდა ხელ-

მოსაჭიდი ფაქტები, რაც მკვლელის ძებნის საშუალებას იძლეოდა, მკვლელი ვიღაცებმა ნახეს. ეს, როგორც ჩანს, მთრიმლავის ქარგალი უნდა ყოფილიყო, რომელსაც მკელელობის ღამეს ლა-ნაპულის ფუნდუკის თავლაში ეძინა და მეორე დღეს უკვალოდ გაუჩინარდა. ფუნდუკის პატრონის, მეჯინიბისა და რიშის აღწერილობები ერთმანეთს ემთხვეოდა: ეს იყო ერთი შეუმჩნეველი, ტანმორჩილი კაცი მოყავისფრო ქურთუკით და უხეში ტილოს ტომრით. მიუხედავად იმისა, რომ სხვა მხრივ სამივე მოწმის ჩვენებები უცნაურად ბუნდოვანი იყო – მისი ვერც სახის ნაკვთები აღწერეს, ვერც თმის ფერი და ვერც მეტყეელება, მეფუნდუკემ მაინც გაიხსენა: თუ არ ვცდები, უცნობის მიხვრა-მოხვრასა და სიარულში რაღაც მოუქნელობა იგრძნობოდა, რაც ალბათ ფეხის დაზიანების ან დამახინჯებული ტერფის ბრალი უნდა ყოფილიყოო.

ამრიგად, მკვლელობის დღესეე, შუადღიდან ამ ჩეენებებით აღჭურვილი სანაპირო დაცვის ორი ცხენოსანი რაზმი მარსელის მიმართულებით მკვლელის ძებნას შეუდგა. ერთი ჯგუფი სანაპიროს გასწვრივ გაემართა, ხოლო მეორე – ქვეყნის სიღრმეში მიმავალ გზაზე. ლა-ნაპულის ახლო-მახლო მიდამოები მოხალისეებმა შეამოწმეს. გრასის სასამართლოს ორი რწმუნებული ნიცაში გაემგზავრა, რათა იქ შეეგროვებინათ ცნობები მთრიმლავის ქარგლის შესახებ. ფრეჟიუსის, კანის და ანტიბის ნავსადგურებში ზღვაში გამსვლელი ყოველი გემი შემოწმდა, სავოიისკენ მიმავალი ყველა გზა გადაიკეტა – მგზავრებს პირადობის დამადასტურებელ საბუთებს სთხოვდნენ. იმათთვის, ვისაც კითხვა შეეძლო, გრასის, ვანსის და გურდონის ყველა კარიბჭესა და სოფლის ეკლესიების კარებზე ძებნის განცხადება იყო გაკრული მკვლელის აღწერილობით. ამ განცხადებას მაცნეები დღეში სამჯერ კითხულობდსეხნ ხმამაღლა. თუმცა კოჭლობის ხსენება აძლიერებდა ეჭვს, რომ მკვლელი თავად სატანა იყო და მოსახლეობაში პანიკის დათესვას უფრო უნყობდა ხელს, ვიდრე უტყუარი ცნობების შეგროვებას.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასამართლოს თავმჯდომარემ რიშის სახელით მკელელის დაკავებისათვის ჯილდო დააწესა, არანაკ-

ლებ ორასი ლივერისა, გრასში, ოპიოსა და გურდონში რამდენიმე მთრიმლავის ქარგალი დააკავეს დასმენით, რომელთაგანაც ერთი, თავისდა ჭირად, კოჭლი იყო. მიუხედავად რამდენიმე მოწმის მიერ დადასტურებული ალიბისა, მას წამება არ ასცდებოდა, რომ მკვლელობიდან მეათე დღეს მერიაში ქალაქის ერთი გუშაგთაგანი არ მისულიყო და მოსამართლეებისათვის არ მოეხსენებინა შემდეგი: იმ დღეს მას, გაბრიელ ტალიასკოს, დაცვის კაპიტანს, როდესაც დიუ-კურის კარიბჭესთან ჩვეულებისამებრ საგუშაგოზე იდგა, მივართა ვინმე სუბიექტმა, რომლის გარეგნობაც თითქოს უნდა ჰგავდეს ძებნილი მკვლელის აღწერილობას, და რამდენჯერმე დაჟინებით ჰკითხა, რომელი გზით დატოეა მეორე კონსულმა და მისმა ქარავანმა დილით ქალაქი. ამ შემთხვევისთვის მას არც მაშინ და არც მოგვიანებით ყურადღება არ მიუქცევია და ისეთი შეუმჩნეველი ვინმე იყო, რომ თვითონ ნამდვილად ვერც კი გაიხსენებდა, მაგრამ გუშინ შემთხვევით ის კაცი ისევ ნახა, და თანაც აქ, გრასში, დე-ლა-ლუვის ქუჩაზე, ოსტატ დრიუოსა და მადამ არნულფის სახელოსნოს წინ. მაშინ კი თვალში ეცა, რომ ეს კაცი, რომელიც სახელოსნოში შედიოდა, საგრძნობლად კოჭლობდა.

ერთი საათის შემდეგ გრენუი დაიჭირეს. ლა-საპულელმა მეფუნდუკემ და მისმა მეჯინიბემ, რომლებიც სხვა ეჭვმიტანილების ამოსაცნობად იყვნენ გრასში დარჩენილნი, მაშინვე იცნეს მთრიმლავის ქარგალი, რომელმაც მათთან ღამე გაათია. ეს ის არის, ძებნილი მკვლელი, – განაცხადეს მათ.

სახელოსნო შეამოწმეს და ფრასციისკელების მონასტრის ზეთისხილის ბაღში ქოხი გაჩხრიკეს. ერთ კუთხეში დაუფარავად ეწყო ლაურა რიშის გაჭრილი ღამის პერანგი და წითური თმა, როდესაც იატაკი გათხარეს, ერთიმეორის მიყოლებით მიაგნეს დასარჩენი ოცდაოთხი გოგონას ტანსაცმელსა და თმებს. იპოვეს ხის კეტიც - მკვლელობის, იარალი – და ტილოს ტომარა. ნივთმტკიცებებმა შემზარავი შთაბეჭდილება მოახდინა, ბრძანეს ეკლესიის ზარებისათვის შემოეკრათ. სასამართლოს თავმჯჯაომარემ განკარგულება გასცა განცხადებებიც გაეკრათ და ხალხისთვისაც ეუნყებინათ,

რომ თითქმის ერთი წლის ძებნის შემდეგ გოგონების ავად სახსენებელი მკვლელი, როგორც იქნა, დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს გაძლიერებული დაცვის მეთვალყურეობით.

48

ხალხმა პირველად ეს განცხადება არ დაიჯერა. ეგონათ, ხრიკია, რომლითაც ხელისუფლება თავისი უსუსურობის დამალვას და აღგზნებული ხალხის მღელვარების დაცხრომას ცდილობსო. კარგად ახსოვდათ ის დრო, როდესაც უმტკიცებდნენ, მკვლელი გრენობლში წავიდაო. ამჯერად შიში ძალიან ღრმად იყო ჩაბუდებული ადამიანების სულებში.

მეორე დღეს ტაძრის მოედანზე, სასამართლოს წინ, საჯაროდ გამოფინეს ნივთმტკიცებები. საშინელი სანახაობა იყო – ჩამწკრივებული, საფრთხობელასავით სარზე ჩამოცმული ოცდახუთი სამოსი და ოცდახუთი თმის ბღუჯა. მხოლოდ ამის მერე შეიცვალა საზოგადოებრივი აზრი.

აუარებელმა ხალხმა ჩაუარა ამ საზარელ გალერეას. მსხვერპლის ახლობლები, ტანსაცმელს რომ იცნობდნენ, ყვირილით ცვიოდნენ ძირს გულწასულები. დანარჩენები, ნაწილი სენსაციების სიყვარულით, ნაწილი კი იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყო, მკვლელის ჩვენებას მოითხოვდა, მალე ისეთი ყვირილი ატყდა, ბრბოთი გაჭედილ პატარა მოედანზე მდგომარეობა ისე დაიძაბა, რომ სასამართლოს თავმჯდომარემ ბრძანა, გრენუი საკნიდან გამოეყვანათ და პირველი სართულის ფანჯრიდან დაენახვებინათ ხალხისათვის.

როდესაც გრენუი ფანჯარაში გამოჩნდა, ყვირილი შეწყდა. უცებ ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, როგორც ზაფხულის ცხელ შუადღეს, როდესაც ყველა მინდვრებში მუშაობს ან სახლის ჩრდილშია შეყუჟული, ჩქამიც არ ისმოდა: არც ფეხის ხმა, არც ჩახველება, არც ამოოხვრა, რამდენიმე წუთს ხალხი პირდაღებული და თვალებდაჭყეტილი იდგა. ვერავინ იჯერებდა, რომ ამ მოხრილმა კა-

ცუნამ. ფანჯარაში რომ მოჩანდა, ამ ჭიაყელამ, ამ საცოდაობამ, ამ არარაობამ ოცდაოთხი მკვლელობა ჩაიდინა. ის მკვლელს უბრალოდ არ ჰგავდა. მართალია, ვერავინ გეტყოდათ, როგორი წარმოედგინა მკვლელი, ეს სატანა, მაგრამ ასეთი – ნამდვილად არა. ამაში ყველა ერთსულოვანი იყო, და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ მკვლელი ადამიანების წარმოდგენას არ შეესაბამებოდა და, ამდენად. მის დემონსტრირებას თითქოს ნაკლებად დამარწმუნებლად უნდა ემოქმედა, უკვე თვით ამ კაცის ფანჯარაში გამოჩენამ და იმ გარემოებამ, რომ სწორედ ის დაასახელეს მკვლელად და არა ვინმე სხვა, ძალიან დამაჯერებლად იმოქმედა ხალხზე. ყველამ გაიფიქრა: წარნოუდგენელია, არ შეიძლება, ეს იყოს მკვლელი! და იმავე წუთს მიხვდნენ, რომ ეს სიმართლე იყო.

და როცა მცველებმა კაცუნა ისევ უკან, სიბნელეში გაათრიეს, როჯესაც თვალს მიეფარა და თუნდაც სულ ერთი წამით მოგონებად, საზარელი მკვლელის ლამის სიმბოლოდ დარჩა ადამიანების ტვინებში, მხოლოდ მას შემდეგ გადაუარა ხალხს გაოგნებამ და ადგილი დაუთმო შესაბამის რეაქციას: დაღებული პირები ერთბაშად დაიხურა, ათასობით თვალი ისევ ამოძრავდა, ხალხმა იხუვლა და მეხის გრიალივით გაისმა:

– ჩვენ მოგვეცით მკვლელი! – და სასამართლოს შენობის შტურმით აღებაც კი სცადეს, რომ მკვლელი საკუთარი ხელით დაეხრჩოთ, დაეგლიჯათ, დაეფლითათ. დაცვამ დიდი გაჭირვებით მოახერხა ჭიშკრის დაკეტვა და ბრბოს შეკავება. გრენუი სასწრაფოდ ისევ თავის საკანში დააბრუნეს. ფასჯარასთას თავმჯდომარე გამოჩნდა და ხალხს სწრაფი და დაუნდობელი სასამართლოს ჩატარებას დაჰპირდა. მიუხედავად ამისა, კიდევ რამდენიმე საათი გავიდა, ვიდრე ხალხი მთლიანად დაიშლებოდა და რამდენიმე დღე გახდა საჭირო, რომ ქალაქი ასე თუ ისე დაწყნარებულიყო.

მართლაც, გრენუის პროცესი ძალიან სწრაფად მიმდინარეობდა, რადგანაც საქმეში მარტო უტყუარი ნივთმტკიცებები კი არ იყო, არამედ იმიტომაც, რომ ეჭვმიტანილმა დასაშაული უკვე დაკითხვისას აღიარა დაუფარავად.

მხოლოდ მკვლელობის მოტივზე არ გასცა დამაკმაყოფილებელი პასუხი. გამუდმებით იმას იმეორებდა, გოგონები მჭირდებოდა და იმიტომ დავხოცეო. რისთვის სჭირდებოდა და საერთოდ რას ნიშნავდა ეს „მჭირდებოდა“, არ აუხსნია.

ამის მერე აწამეს, საათობით ჰყავდათ ფეხებით დაკიდებული, შვიდი პინტა წყალი ჩაასხეს ფეხის თითებზე მარწუხებს უჭერდნენ, მაგრამ ყველაფერი უშედეგო გამოდგა. გეგონებოდა, ეს კაცი ტკივილს ვერ გრძნობსო, ხმას არ იღებდა და ისევ რომ ეკითხებოდნენ, იმეორებდა: „მჭირდებოდა“. მოსამართლეებმა ჩათვალეს, რომ გიჟი იყო, წამება შეწყვიტეს და დაადგინეს, პროცესი დაკითხვების გარეშე დაემთავრებინათ.

ერთადერთი მცირე გაჭიანურება გამოიწვია იურიდიულმა კინკლაობამ დრაგინიანის მერიასა, რომელსაც ლა-ნაპული ეკუთვნოდა, და ექსის პარლამენტთან, რადგანაც დრაგინიანიცა და ექსიც პროცესის ჩატარების უფლებას თვითონ იჩემებდნენ, მაგრამ გრასელმა მოსამართლეებმა ეს საქმე არ დათმეს. ხომ მათ დააკავეს მკვლელი, მკვლელობების დიდი უმეტესობაც მათი იურისდიქციის არეში მოხდა, და ხალხის რისხვაც მათ დაატყდებოდა თავს, მკვლელი სხვა სასამართლოსათვის რომ გადაეცათ, მისი სისხლი გრასში უნდა დაღვრილიყო.

1766 წლის 15 აპრილს გრენუის განაჩენი გამოუტანეს და საკანში წაუკითხეს: „მენელსაცხებლის ქარგალი ჟან-ბატისტ გრენუი ორმოცდარვა საათის განმავლობაში უნდა გაიყვანონ ქალაქის დიუკურის კარიბჭესთან, პირაღმა დააკრან ხის ჯვარზე და ცოცხალ სხეულზე რკინის ჯოხი თორმეტჯერ დაპკრან, რომელი დაკვრითაც მას უნდა დაემსხვრეს ხელ-ფეხის, თეძოებისა და მხრების სახსრები. შემდეგ კი იქამდე უნდა დარჩეს ჯვარზე დაკრული, ვიდრე არ მოკვდება“. ამჯერად ჯალათს სასტიკად აუკრძალეს სხვა შემთხვევებში მიღებული მოწყალება და სახსრების დამტერევის მერე დამნაშავის თოკით მოხრჩობა, თუნდაც მისი ტანჯვა კიდევ რამდენიმე დღეს გაგრძელებულიყო. შემდეგ გვამი სასაკლაოზე უნდა დაემარხათ და ადგილი არ აღენიშნათ.

გრენუი განაჩენს გულგრილად შეხვდა. სასამართლოს მოხელემ ჰკითხა, უკანასკნელი სურვილი რა გაქვსო.

– არაფერი არ მინდა, – უპასუხა გრენუიმ. მას ყველაფერი ჰქონდა, რაც სჭირდებოდა.

საკანში მღვდელი შევიდა, რათა მისგან აღსარება მიეღო, მაგრამ თხუთმეტ წუთში ისევ გარეთ გამოვიდა, ისე, რომ თავისი მისია არ შეუსრულებია. ღმერთის ხსენებაზე დამნაშავეს ისე შეუხედავს, თითქოს უფლის სახელი პირველად ახლა გაიგოო. შემდეგ თავის ტახტზე გაწვა და იმწამსვე ისე ღრმად დაიძინა, რომ შემდგომ ლაპარაკს აღარავითარი აზრი აღარ ექნებოდაო, – თქვა მღვდელმა.

მომდევნო ორი დღის განმავლობაში საპყრობილეს უამრავი ხალხი მოაწყდა, რომ სახელგანთქმული მკვლელი ახლოდან ენახათ. მცველები ხალხს საშუალებას აძლევდნენ, საკნის კარის ჭუჭრუტანიდან შეეხედათ მისთვის და ერთ შეჭყეტაში ექვს სუს ართმევდნენ. ერთმა სპილენძზე მომუშავე გრავიორმა, რომელსაც ჩანახატის გაკეთება უნდოდა, ორი ფრანკი გადაიხადა. მაგრამ ნახატი იმედის გამაცრუებელი უფრო გამოვიდა. პატიმარი, რომელსაც ხელ-ფეხზე ბორკილები ედო, მთელი დღე ტახტზე იწვა და ეძინა. პირით კედლისკენ იყო მიბრუნებული და არც დაკაკუნებაზე, არც შეყვირებაზე არ რეაგირებდა. საკანში შესვლა სასტიკად იყო აკრძალული და, ცდუნების მიუხედავად, მცველები ამ აკრძალვის დარღვევას ვერ ბედავდნენ. იყო საშიშროება, რომ პატიმარი რომელიმე მსხვერპლის ახლობლებს მოეკლათ. ამავე მიზეზით მისთვის საჭმლის გადაცემაც აკრძალული იყო, რომ ვინმეს არ მოეწამლა. მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც გრენუი ციხეში იყო, საჭმელს ეპისკოპოსის სასახლის მოსამსახურეების სამზარეულოდან იღებდა. საპატიმროს მთავარი ზედამხედველი ვალდებული იყო, საჭმელი წინასწარ გაესინჯა. ბოლო ორ დღეს გრენუი საერთოდ არაფერს აღარ ჭამდა, მარტო იწვა და ეძინა. შიგადაშიგ, როცა მცველები მისი ბორკილების ჩხარუნს გაიგონებდნენ და ჭუქრუტასაში შეიხედავდნენ, მარტო იმას დაინახავდნენ ხოლმე, როგორ მოსვამდა ერთ ყლუპ წყალს თავისი ბოთლიდან, მერე ისევ მიეგდებოდა

ტახტზე და იძინებდა. ეს კაცი ცხოვრებისაგან ისეთი გადაღლილი ჩანდა, რომ თავისი სიცოცხლის უკანასკნელი საათებიც კი არ უნდოდა ფხიზლად გაეტარებინა.

ამასობაში დიუ-კურის კარიბჭესთან სიკვდილით დასჯისათვის ადგილს ამზადებდნენ. ხუროები სამი მეტრის სიგანისა და ორი მეტრის სიმაღლის ეშაფოტს აგებდნენ. მას დიდი ფიცარნაგი, მოაჯირი და მყარი კიბე ჰქონდა. ასეთი ეშაფოტი გრასში მანამდე არ ჰქონიათ. ააგეს აგრეთვე ხის ტრიბუნები საპატიო სტუმრებისათვის და დაბალი ღობე მდაბიო ხალხის შესაკავებლად. დიუ-კურის კარიბჭის მარჯვნივ და მარცხნივ მდგარი სახლებისა და ქალაქის საგუშაგოს შენობის ფანჯრები დიდი ხნით ადრე უკვე მამასისხლად იყო გაქირავებული. უმწეოთა თავშესაფარშიც კი, რომელიც ცოტა ირიბად იდგა, ჯალათის თანაშემწემ ავადმყოფებისაგან დროებით ოთახები იქირავა და მერე უფრო სარფიანად მიაქირავა სეირის ნახვის მსურველებს. სასმელის გამყიდველები ლიტრობით ამზადებდნენ წინასწარ ძირტკბილას წყალს, გრავიორმა საპყრობილეში დამზადებული და საკუთარი ფანტაზიით შელამაზებული თავისი ჩანახატი რამდენიმე ასეულ ეგზემპლარად გაამრავლა. ქალაქს აუარებელი მოხეტიალე ვაჭარი მოაწყდა, მეფუნთუშეები სამახსოვრო ნამცხვრებს აცხობდნენ.

ჯალათმა, მესიე პაპონმა, რომელსაც, უკვე რამდენი წელი იყო, რაც არც ერთი დამნაშავე სახსრების დამსხვრევით არ დაესაჯა, მჭედელს მძიმე ოთხკუთხა რკინის ჯოხი გამოაჭედვინა და სასაკლაოზე დაიწყო სიარული, რომ იმით პირუტყვის მძორზე ევარჯიშა. მას მხოლოდ თორმეტი დარტყმა უნდა გაეკეთებინა და ამ თორმეტი დარტყმით თორმეტი სახსარი ზუსტად უხდა გადაეტეხა, ისე, რომ სხეულის ისეთი მნიშენელოვასი ნაწილები, როგორიცაა გულმკერდი ან თავი, არ დაეზიასებისა, ეს კი რთული ამოცანა იყო, რომელიც დიდ ოსტატობას მოითხოვდა,

მოსახლეობა ამ მოვლენისათვის ისე ემზადებოდა, როგორც დიდი დღესასწაულისათვის, ამ დღეს რომ არავინ იმუშავებდა, თავისთავად ცხადი იყო. ქალები საკვირაო კაბებს იუთოვებდნენ,

კაცები სერთუკებს ბერტყავდნენ და ჩექმებს იპრიალებდნენ. თუ ვინმეს სამხედრო წოდება ან თანამდებობა ჰქონდა, გილდიის ოსტატი. ადვოკატი, ნოტარიუსი, რომელიმე საძმოს თავი ან კიდევ სხვა მნიშენელოვანი ვინმე იყო, ის მუნდირს ან მანტიას იცვამდა, ორდენებს, შარფებს, ძეწკვებს იკეთებდა და ცარცივით თეთრ დაპუდრულ პარიკს იხურავდა. მორწმუნეებს გადაწყეეტილი ჰქონდათ, post festum[10] ეკლესიაში ღვთისმსახურებაზე მოეყარათ თავი, სატანის თაყვანისმცემლები ლუციფერისათვის პომპეზური სამადლობელი მესის გადახდას აპირებდნენ, განათლებული მაღალი საზოგადოება – კაბრის, ვილნევისა და ფონმიშელის ოჯახთა სასახლეებში მაგნეტისტური სვანსების ჩატარებას. სამზარეულოებში უკვე საჭმელს აკეთებდნენ, სარდაფებიდან ღვინოები ამოჰქონდათ, ბაზარში გასალამაზებლად ყვავილების თაიგულებს ყიდულობდნენ, ტაძარში კი ორგანისტსა და გუნდს ჰქონდათ რეპეტიცია.

დრუატის ქუჩაზე რიშის სახლში სიჩუმე იყო. რიშიმ თავს აუკრძალა ყოველგვარი მომზადება „განთავისუფლების დღისათვის“. ასე უწოდებდა მოსახლეობა სიკედილით დასჯის დღეს. ყველაფერი ეზიზღებოდა: ხალხის უცებ აღმდგარი შიში, სიხარულის მოუთმენელი მოლოდინი, თვით ადამიანებიც – ყველა ერთად ეზიზღებოდა, მას არ მიუღია მონაწილეობა არც ტაძრის მოედანზე მკვლელისა და მის მსხვერპლთა ჩვენებაში, არც სასამართლო პროცესში და არც მკვლელის საკნის წინ სენსაციების მოყვარულთა საზიზღარ სეირნობაში, თავისი ქალიშეილის ტანსაცმლისა და თმების ამოსაცნობად სასამართლოს წევრები სახლში დაიბარა, მოკლედ და თავშეკავებით მისცა ჩვენება და ბოლოს ითხოვა, რომ ლაურას ნივთები მისთვის სახსოვრად დაეტოვებინათ, რაც, რა თქმა უნდა, შეუსრულეს, რიშიმ ლაურას ნივთები მის ოთახში შეიტანა, გაჭრილი ღამის, პერანგი საწოლზე დადო, ბალიშზე მისი წითური თმა გაშალა, საწოლის წის დაჯდა და ოთახიდან არც დღე გადიოდა, არც ღამე, თითქოს ამ უაზრო დარაჯობით იმის გამოსწორება უნდოდა,

[10] post festum - ზეიმის მერე (ლათ.)

რაც იმ ღამეს ლა-ნაპულში მოხდა. ისე იყო აღვსილი ზიზღით და სიძულვილით მთელი ქვეყნიერებისა და საკუთარი თავის მიმართ, რომ ტირილიც კი არ შეეძლო.

მკვლელიც ეზიზღებოდა. მასში ადამიანის დანახვა არ უნდოდა, არამედ მხოლოდ საკლავისა. მხოლოდ მაშინ ნახავს, როდესაც მკელელი ჯვარზე იქნება დაკრული, და როდესაც თორმეტ, დარტყმას მიაყენებენ, მაშინ ნახავს, სულ ახლოდან... თავისთვის პირველ რიგში შეანახვინა ადგილი. და ხალხი რომ დაიშლება, რამდენიმე საათის მერე, სისხლიან ეშაფოტზე ავა მკვლელთან, გვერდით დაუჯდება და დღედაღამ უდარადჯებს, თუ საჭირო იქნება, თავისი ქალიშვილის მკვლელს თვალებში ჩააცქერდება, მთელ თავის ზიზღს მწვავე მჟავასავით სულ წვეთ-წვეთად ჩაასხამს თვალებში, მის აგონიაში, ვიდრე ის არარაობა არ ჩაძაღლდება...

მერე? მერე რაღას იზამს? ეს არ იცოდა. შეიძლება თავის ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდეს, შეიძლება ცოლი შეირთოს, ვაჟი იყოლიოს, ან იქნებ არც არაფერი ქნას და სულაც მოკვდეს. მისთვის სულერთი იყო. ამაზე დაფიქრება ისეთივე უაზრობად ეჩვენებოდა, როგორც იმაზე ფიქრი, სიკვდილის მერე რა იქნებოდა: რა თქმა უნდა, არაფერი. არაფერი ისეთი, რაც ახლავე შეეძლო სცოდნოდა...

49

სიკვდილით დასჯა საღამოს ხუთ საათზე იყო დანიშნული. სანახაობების მოყვარულთაგან ზოგი დილიდანვე მივიდა მოედანზე და ადგილები დაიკავა. თან სკამები და ტაბურეტები მოიტანეს ზედ დასაგები ბალიშებითურთ, საჭმელი და ღვინო მოაყოლეს და ბავშეებიც მოიყვანეს. როდესაც შუადღისთვის ყოველი მხრიდან სოფლელების დენა დაიწყო, მოედანი ისე გაიჭედა, რომ ახალმოსულებს ტერასებად შეფენილ ბაღებსა და მინდვრებზე და გრენობლისაკენ მიმავალ გზისპირებზე უხდებოდათ განლაყება, მოხეტიალე ვაჭრებს უკვე აღებ-მიცემობა ჰქონდათ გაჩაღებული, ხალხი ჭამდა, სვამდა, ყველგან გუ-

გუნი და მოძრაობა იყო, როგორც ბაზრობაზე. მალე ალბათ ათი ათასამდე ადამიანი შეიკრიბა, იმაზე მეტი, ვიდრე ჟასმინის დედოფლის დღესასწაულზე, მეტი, ვიდრე ყველაზე დიდი ჯვრით მსვლელობისას. ასეთი რამ გრასს არ ახსოვდა. ფერდობებზე ხალხი იყო შეფენილი. ისხდნენ ხეებზე, კედლებზე და სახურავებზე, თითო ფანჯარაში ათი, თორმეტი კაცი ეჭეჭყებოდა. მარტო მოედნის შუაგულში, თითქოს მასებისაგან გამოყოფილად, შემოღობილ ადგილას ცარიელი ადგილი იყო დატოვებული ტრიბუნისა და ეშაფოტისათვის. ეს ადგილი ახლა ისე პატარა ჩანდა, თითქოს სათამაშო ან თოჯინების თეატრის სცენა ყოფილიყოს. ამას გარდა, დატოვებული იყო ვიწრო გასასვლელი ეშაფოტიდან დიუ-კურის კარიბჭქისა და დრუატის ქუჩისაკენ.

დაახლოებით სამი საათისათვის გამოჩნდნენ მესიე პაპონი და მისი დამხმარენი. ხალხი ტაშისცემით შეეგება. მერე ხის მორებისაგან შეკრული ჯვარი მიათრიეს ეშაფოტთან და სამუშაოდ მოსახერხებელ სიმაღლეზე ოთხ მძიმე სადურგლო ჯოჯგინაზე დაამაგრეს. დურგლის ერთ-ერთმა ქარგალმა ზედ ლურსმნებით ჯვარი დააჭედა. ჯალათისა და დურგლის დამხმარეთა ყოველ მოქმედებას ხალხი ტაშს უკრავდა. და ამის შემდეგ, როცა თვით პაპონი გამოჩნდა ხელში რკინის ჯოხით, ჯვარს შემოუარა, ნაბიჯები გადათვალა და ხან ერთი და ხან მეორე მხრიდან წარმოსახვითი დარტყმების გაკეთება თაიწყო, ნამდვილი ოვაციები ატყდა.

ოთხი საათიდან ტრიბუნების შევსება დაიწყო. გამოჩნდა წარჩინებული ხალხი: მრიდარი ბატონები თავიანთი ლაქიებით, ლამაზი ქალბატონები, დიდი შლაპებითა და ბრწყინვალე ტუალეტებით. ქალაქისა და მთელი იმ არემარის არისტოკრატია შეიკრიბა, საქალაქო საბჭოს წევრები ერთიდ გამოჩნდნენ. წინ ორივე კონსული მოუძღოდათ. რიშის შავი ტანსაცმელი, შავი მაღალი წინდები ეცვა და შავი შლაპა ეხურა. საბჭოს მოსდევდნენ მაგისტრატის წარმომადგენლები სასამართლოს თავმჯდომარის მეთაურობით. ბოლოს ეპისკოპოსი გამოჩნდა ღია ტახრტრევნით. მუქიასამნისფერი სამოსი ეცვა და პატარა მწვანე ქუდი ედო თავზე. ვისაც მანამდე ქუდი არ მოეხადა, ახლა იშვლიპა თავიდან. საზეიმო, მომენტი ახლოვდებოდა.

შემდეგ ერთ ათ წუთს არაფერი მომხდარა. ბატონებმა ადგილები დაიკავეს, ხალხი იცდიდა, აღარავინ ჭამდა, ყველა ელოდა. პაპონი და მისი თანაშემწეები სარგადაყლაპულებივით იდგნენ ეშაფოტზე. ესტერელს დიდი და ყვითელი მზე დანათოდა, გრასის დაბლობიდან ოდნავი ნიავი ქროდა და ფორთოხლის ყვავილის სურნელი მოჰქონდა. ძალიან ცხელოდა და წარმოუდგენელი სიჩუმე იყო დასადგურებული.

ბოლოს კი, როდესაც უკვე გეგონებოდა, რომ დაძაბულობამ ზღვარს მიაღწია და მდუმარებას ბრბოს ღრიალი, არეულობა, შეხლა-შემოხლა ან კიდევ რამე გახეთქავდა, როგორც იქნა, ცხენების ფლოქვების ხმა და ბორბლების ღრქიალი გაისმა.

დრუატის ქუჩით პოლიციის ლეიტენანტის ორცხენშებმული დახურული კარეტა მოემართებოდა. მან ქალაქის კარიბჭე გამოიარა და ეშაფოტისაკენ მიმავალ ვიწრო ქუჩაზე გამოუხვია, სადაც უკვე ყველამ დაინახა. პოლიციის ლეიტენანტი დამნაშავის ზუსტად ასე მოყვანას მოითხოვდა, რადგან სხვაგვარად მკვლელის უსაფრთხოების გარანტიას ვერ იძლეოდა. საერთოდ კი ასე სულაც არ იყო მიღებული. საპყრობილე იმ მოედნიდან, სადაც სიკვდილით დასჯა უნდა შემდგარიყო, ხუთი წუთით იყო დაშორებული და, თუ რამე მიზეზით დამნაშავეს ფეხით არ შეეძლო ამ მანძილის გავლა, ამისთვის უბრალო ღია ვირშებმული საზიდარიც გამოდგებოდა. დამნაშავე რომ საკუთარი დასჯის ადგილზე მდიდრული ეკიპაჟით, მეეტლის, ლივრეებში გამოწყობილი ლაქიებისა და ცხენოსნების თანხლებით მოეყვანათ, ასეთი რამ ხალხს ჯერ არ ენახა.

მიუხედავად ამისა, ხალხში არეულობა ან პროტესტის შეძახილები არ დაწყებულა. პირიქით. ხალხი კმაყოფილიც კი იყო, რომ საერთოდ რაღაც ხდებოდა, ეტლის იდეა მოეწონათ კიდეც, როგორც თეატრში ხდება ხოლმე, როდესაც მაყურებელი კარგად იღებს, თუ მოულოდნელად ნაცნობი ნაწარმოების ახლებურ დადგმას უჩვენებენ. ბევრმა ჩათვალა, რომ ასეთი გამოსვლა ძალიანაც შესაფერისი იყო, ასეთ განსაკუთრებით საზიზღარ დამნაშავეს განსაკუთრებული მოპყრობაც ეკუთვნოდა. ბორკილდადებული

ჩვეულებრივი ქუჩის ყაჩაღივით ხომ არ გამოათრევედნენ მოედანზე ჯოხის ცემით. ამაში სენსაციური არაფერი იქნებოდა. სულ სხვაა, როცა გოგონების მკვლელს ეტლის რბილი დასაჯდომებიდან ააყენებდნენ და მერე ჯვარზე დააკრავდნენ – აი სწორედ ეს იქნებოდა დახვეწილი სისასტიკე.

კარეტა ეშაფოტსა და ტრიბუნას შორის გაჩერდა. ლაქიები ჩამოხტნენ, კარი გამოაღეს და პატარა კიბე ჩამოუშვეს. ჯერ პოლიციის ლეიტენანტი ჩამოვიდა, შემდეგ დაცვის ერთ-ერთი ოფიცერი და ბოლოს გრენუი. მას ლურჯი სერთუკი, თეთრი პერანგი, თეთრი აბრეშუმის წინდები და აბზინდიანი შავი ფეხსაცმელი ეცვა. ბორკილები არ ედო, არც ხელი ჰქონდა ვინმეს ჩაკიდებული. ეტლიდან თავისუფალი ადამიანივით გადმოვიდა.

შემდეგ კი მოხდა სასწაული ან რაღაც სასწაულისმაგვარი, სახელდობრ კი ისეთი წარმოუდგენელი, გაუგონარი და დაუჯერებელი რამ, რომ ყველა მოწმე ამას მოგვიანებით სასწაულს დაარქმევდა, თუკი ოდესმე ამ ამბავზე ლაპარაკს გაბედავდა, რაც არასოდეს არ მომხდარა, რადგანაც მერე ყველას რცხეენოდა, ამ საქმეში საერთოდ მონაწილეობა რომ ჰქონდა მიღებული.

სასწაული კი აი რაში მდგომარეობდა: მოულოდნელად მოედანზე და ირგვლივ ფერდობებზე ათი ათასი კაცი შეუვალი რწმენით აღივსო, რომ ეს პატარა კაცი ლურჯ სერთუკში, რომელიც ეტლიდან გადმოვიდა, არაფრით არ შეიძლებოდა მკვლელი ყოფილიყო. ის კი არა, რომ ვინმემ მისი ვინაობის სისწორეში შეიტანა ეჭვი! მათ წინ ისევ ის კაცი იდგა, რომელიც რამდენიმე დღის წის ტაძრის მოედანზე სასამართლოს ფანჯარაში დაინახეს, და რომელსაც მაშინ, ხელში რომ ჩაეგდოთ, გაცოფებულები, სიძულვილით აღსავსენი ლისჩის წესით გაასამართლებდნენ. ეს ისევ ის კაცი იყო, რომელიც ორი დღით ადრე უტყუარი ნივთმტკიცებების და საკუთარი აღიარების საფუძველზე სასამართლომ დამნაშავედ ცნო, ის, რომლის დასჯასაც ერთი წუთით ადრე ასე მოუთმენლად ნატრობდნენ. ეს ის კაცი იყო, სწორედ ის!

და მაინც ეს ის არ იყო. არ შეიძლება, ეს კაცი მკელელი ყოფილიყო. ადამიანი, რომელიც აქ იდგა, უდანაშაულობის განსახიე-

რება იყო. ეს იმ წუთში ყველამ იცოდა: ეპისკოპოსმაც, სასმელის გამყიდველმაც, მარკიზმაც, პატარა მრეცხავმა ქალმაც, სასამართლოს თავმჯდომარემაც და ქუჩის ბიჭმაც.

ეს პაპონმაც იცოდა. ხელები, რომლებითაც რკინის ჯოხი ეჭირა, აუკანკალდა, უცებ დაუსუსტდა, მუხლები მოუდუნდა და გული პატარა ბავშვივით მშიშარა გაუხდა. მას ძალა არ ეყოფოდა, რომ რკინის ჯოხი ამ პატარა, უცოდველ კაცზე აღემართა. მას უკვე ეშინოდა იმ მომენტისა, როდესაც ამ კაცს აქ, ეშაფოტზე ამოიყვანდნენ ჯალათი აქვითინდა და იძულებული გახდა, რკინის ჯოხს დაყრდნობოდა, რომ მუხლების სისუსტისაგან არ ჩაკეცილიყო, – დიდი, ძლიერი პაპონი!

არც იქ შეკრებილი ათი ათასი კაცი, ქალი, ბავშვი თუ მოხუცი გრძნობდა თავს უკეთესად. ისინი უცებ იმ პატარა გოგონებივით დასუსტდნენ, რომლებიც თავიანთი მაცდუნებლების მომხიბვლელობას ვერ უნევენ წინააღმდეგობას. ისინი წალეკა სიმპათიის, სინაზის, ბავშეური უგონო შეყვარებულობის და, ღმერთია მოწმე, სიყვარულის მძლავრმა გრძნობამ ამ პატარა მკვლელისადმი. მათ არ უნდოდათ და არც შეეძლოთ, რამე ეღონათ. ეს ქვითინივით იყო, რომელსაც წინააღმდეგობას ვერ უწევ, დიდი ხნის განმავლობაში შეკავებული ტირილივით, რომელიც სადღაც შიგნიდან, მუცლიდან ამოდის, ყველა წინაღობას მოარღვეევს, ღვარად მოედინება, გზად ყველაფერს წალეკაეს და გარეთ გადმოსკდება. ხალხი თითქოს გადნა, თითქოს შინაგანად სულიც და გონებაც ამორფულ თხევად სტიქიად ექცა. ადამიანები შიგნით მხოლოდ გულს გრძხობდნენ, პატარა გუნდას, შეუკავებლად მობაგუნეს, და ეს გული მათ – თითოეულმა მათგანმა – უკუნითი უკუნისამდე ამ პატარა ლურჯსერთუკიან კაცს მისცეს ხელში: მათ გრენუი უყვარდათ.

უკვე რამდენიმე წუთი იყო, გრენუი ეტლის გაღებულ კართან იდგა და არ ინძრეოდა. ლაქიამ, რომელიც მის გვერდით იდგა, დაიჩოქა და სულ უფრო და უფრო წინ იხრებოდა, ვიდრე მიწას არ გაერთხა და ის პოზა არ მიიღო, რომელიც აღმოსავლეთში სულთნების და ალაჰის წინაშეა მიღებული. და ამ პოზაშიც კი კანკა-

ლებდა და ქანაობდა და კიდევ უფრო გართხმას, მიწაზე დაწოლას და შიგ ჩაძვრომასაც კი ლამობდა. მოძალებული ერთგულებისაგან ლამის დედამიწის მეორე მხარეს გამძვრალიყო. დაცვის ოფიცერიც და პოლიციის ლეიტენანტიც, ორივე ბუღასავით კაცი, რომელთაც დამნაშავის ეშაფოტზე აყვანა და იქ მისი ჯალათისათვის გადაცემა ევალებოდათ, ვერც ერთ აზრიან მოძრაობას ვეღარ ასრულებდნენ. ისინი ატირდნენ, ქუდები მოიხადეს, ისევ დაიხურეს, მერე მიწაზე დაახეთქეს. ერთმანეთს გადაეხვივნენ, ისევ მოსწყდნენ ერთმანეთს. უაზროდ იქნევდნენ ხელებს ჰაერში, ცქმუტაედნენ და სახე ეღმიჭებოდათ, თითქოს წმინდა ვიტას ავადმყოფობით ყოფილიყვნენ შეპყრობილნი.

ცოტა იქით კიდევ უფრო თავშეუკავებლად საპატიო მოქალაქეები გამოხატავდნენ გრძნობებს. ყეელამ თავი აიწყვიტა. ზოგიერთმა ქალბატონმა გრენუის დანახვაზე ფეხებს შუა მუშტები ჩაიწყო და ნეტარებისაგან გმინავდა. ზოგი კი ისე იყო შეპყრობილი ამ უმშვენიერესი ყმაწვილის (ასე ეჩვენებოდათ მათ გრენუი) მიმზიდველობით, რომ გულწასული უხმოდ გადავარდა. აქ იყვნენ აგრეთვე ბატონები, რომლებიც სკამებიდან წამოცვივდნენ, ისევ დაეხეთქნენ, მერე ისევ ქშენით წამოხტნენ, დაშნის ვადაზე ხელი წაივლეს, თითქოს მისი ქარქაშიდან ამოღება უნდოდათ, და ამოწვდილი არც კი ჰქონდათ, რომ ისევ უკან ჩააგეს ისე, რომ ქარქაშის ჩხაკუნის ხმა გაისმა. ზოგს კი თვალები ზეაღეპყრო და ხელები ლოცვის პოზაში დაეკრიფა. მონსენიორ ეპისკოპოსი, გეგონება ცუდად არისო, ტანის ზედა ნაწილით წის გადახრილიყო, შუბლი მუხლებში ჩაერგო და პატარა ქუდი თავიდან გადავარდნოდა. ის სულაც არ გრძნობდა თავს ცუდად. უბრალოდ, პირყელად თავის სიცოცხლეში, რელიგიური ექსტაზით იყო შეპყრობილი, რადგანაც იხილა სასწაული, რომელიც ყველას თვალწინ მოხდა: თავად უფალმა შეაჩერა ჯალათის ხელი და, ვინც მკვლელად მიაჩნდათ, მისი ანგელოზებრივი სახე ხარმოაჩინა – ოჰ, რა სასწაულია, რომ ასეთი რამ ჯერ კიდევ ხდება მე-18 საუკუნეში! ჭეშმარიტად დიდ არს უფალი! და შენ კი რა პატარა ხარ და უსუსური, რომ ანგელოზი დაწყევლე ისე,

რომ არც კი გჯეროდა მისი დანაშაულისა, მარტო იმისათვის, რომ ხალხი დაგეწყნარებინა. ოჰ, რა თავხედობაა, რა მცირედ მორწმუნეობა! და აი, უფალმა სასწაული მოგვივლინა! ოჰ, რა დიდებული დამცირება, როგორი წყალობა მოიღო ღმერთმა ამპარტავნობის, დასათრგუნად!

ამასობაში გამყოფი ღობის იქით ხალხი უსირცხვილოდ მიეცა აღტკინებას, რომელიც გრენუის გამოჩენამ გამოიწვია. ის, ვინც დასაწყისში თანაგრძნობასა და გულის აჩუყებას გრძნობდა, ახლა ავხორცობამ შეიპყრო, და იმან კი, ვინც პირველად გაოგნება და ლტოლვა შეიგრძნო, ახლა ექსტაზს მიაღწია. ეს ლურჯსერთუკიანი კაცი ყველას წინაშე ამქვეყნად ულამაზეს, უმშვენიერეს და ყველაზე სრულყოფილ არსებად წარდგა. მონაზვნებს იგი განკაცებულ მხსნელად მოეჩვენათ, სატანის მიმდევრებს – ბნელეთის მეუფედ, განათლებულებს – უზენაეს არსებად, ქალიშვილებს – ზღაპრულ პრინცად, მამაკაცებს – საკუთარ იდეალურ სახედ. თითოეული მათგანი ისე გრძნობდა თავს, თითქოს ამ კაცს მათი ყველაზე მგძნობიარე ადგილი ეპოვოს და მათი ეროტიკული ცენტრი განეგმიროს. თითქოს ამ კაცს ათიათასობით უჩინარი ხელი ჰქონდა, რომელსაც გარშემო მყოფ ხალხს სასქესო ორგანოზე ადებდა და ყველას სათითაოდ, კაცს თუ ქალს, ისე ეფერებოდა, როგორც მათ თავიანთ ყველაზე საიდუმლო ფანტაზიებში ჰქონდათ წარმოდგენილი

ამ ყველაფრის შედეგად კი თავისი დროის ყველაზე საძაგელი დამნაშავის სიკვდილით დასჯა ისეთ უდიდეს ორგიად გადაიქცა, როგორიც მსოფლიოს ქრისტეს დაბადებამდე მეორე საუკუნიდან მოყოლებული აღარ ახსოვდა, წესიყრი ქალები ბლუზებს იხევდნენ, ისტერიული ყვირილით მკერდს იშიშვლებდსეს და აწეული კაბებით მიწაზე ენარცხებოდნენ. კაცები გიჟური გამოხედვით დაბორძიკებდნენ ამ ჟინით შეპყრობილი ხორცით მოფენილ მინდორში, აკანკალებული თითებით იღებდნეს შარვლებიდან აუტანელი ჟრუანტელისგან გამაგრებულ თავიანთ ასოებს, ქშენით ეცემოდნენ, სადაც მოხვდებოდათ და წარმოუდგენელ პოზებში გახნურჩეველ კავშირს ამყარებდნეს: მოხუცი – უმანკო ქალწულთან, დღიური

მუშა – ადვოკატის ცოლთან, შეგირდი ბიჭი – მონაზონთან. იეზუიტი – მასონ ქალთან. ყველა ერთმანეთში იყო არეული, ვის როგორ მოუხერხდებოდა. ჰაერი დამძიმებულიყო ავხორცობის მოტკბო ოფლის სუნით და სავსე იყო ათი ათასი ეშმაკეულის ყვირილით, ღუტუნით და კვნესით. ეს ჯოჯოხეთი იყო.

გრენუი იდგა და იღიმებოდა, უფრო სწორად, ადამიანებს, რომლებიც მას ხედავდნენ, ეჩვენებოდათ, რომ ის ყველაზე უცოდველი, საყვარელი, მშვენიერი და მსოფლიოში ყველაზე თავლწარმტაცი ღიმილით იღიმებოდა. მაგრამ სინამდვილეშიეს ღიმილი კი არა, მის ტუჩებზე აგრეხილი ღვარძლიანი ჩაცინება იყო და ტრიუმფსა და მთელ მის ზიზღს გამოხატავდა. მან, ჟან-ბატისტ გრენუიმ, მსოფლიოს ყველაზე მყრალ ადგილას უსუნოდ დაბადებულმა, ნაგვიდან, ჭუჭყიდან და სიდამპლიდან ამოსულმა, უსიყვარულოდ გაზრდილმა, ყოველგვარ ადამიანურ სითბოს მოკლებულმა მხოლოდ სიჯიუტისა და ზიზღის ძალით გადარჩენილმა, პატარამ, კუზიანმა, კოჭლმა, ყველგან უარყოფილმა, სულითა და ხორცით მახინჯმა, იმას მიაღწია, რომ ყველამ მოიწონა და მარტო ამას კი არა! ის ყველას უყვარს! ყველა აფასებს! ყველა აღმერთებს! მან პრომეთეს გმირობა ჩაიდინა. ის ღვთიური ნაპერწკალი, რომელიც სხვებს ისე უბრალოთ ეძლევათ და რომელიც მას ერთადერთს არ არგუნეს, თავისი გასაოცარი სიჯიუტით თვითონ მოიპოვა. მეტიც! მან ეს ნაპერწკალი თვითონ გააჩინა თავის შინაგან სამყაროში. პრომეთეზე უფრო დიდია. მან თავის თავს შეუქმნა აურა, რომელიც იმაზე ბრწყინვალე და შეუდარებელია, ვიდრე უდესმე ვინმეს ჰქონია. და ეს არც მამას მიუცია, არც დედას და, მით უფრო, არც მოწყალე ღმერთს – ყველაფერი მხოლოდ მისი საკუთარი დამსახურებაა. სინამდვილეში თვითონ არის ღმერთი, უფრო უკეთესი ვიდრე ის საკმევლით აყროლებული ღმერთი, რომელიც ეკლესიაში ცხოვრობს. მის წინ თვით ეპისკოპოსი გართხმულა სიამოვნებისაგან წკმუტუნებს. მდუდარნი და ძლიერნი, ამაყი ბატონები და ქალბატონები აღტაცებუსგან კვდებიან, მათ ირგვლივ კი ხალხს – მისს მსხვეპლთა მამებს, დედებს, და-ძმებს – მის პატივსაცემად

და მისი სახელით ორგია გაუმართავთ. ერთი ხელის დაქნევა და ისინი ღმერთს უარყოფენ და მას, დიდ გრენუის, სცემენ თაყვანს!

დიახ, ის დიდი გრენუი იყო! ხომ გამოჩნდა ახლა. ახლა ცხადში იყო ისეთი, როგორიც საკუთარი თავის მიმართ სიყვარულით აღსავსე ფანტაზიებში. მისი ცხოვრების უდიდესი ტრიუმფის, წუთი იდგა. და უცებ შეეშინდა.

მას შეეშინდა, რადგან ერთი წამითაც ვერ ტკბებოდა ამ ტრიუმფით. იმ მომენტში, როდესაც საკნიდან მზით განათებულ მოედანზე გამოვიდა და ის სუნამო ჰქონდა ნაპკურები, რომელზეც ორ წელიწადს მუშაობდა და რომლის დაუფლებასაც მთელი სიცოცხლე ლამობდა... იმ მომენტში, როდესაც დაინახა და შეიყნოსა, თუ რა გასაოცარი ზემოქმედება ჰქონდა და რა სისწრაფით დაიპყრო ირგვლივ მყოფი ხალხი, იმ მომენტში მას ისევ შემოაწვა ადამიანების მიმართ ზიზღი და ეს ტრიუმფი ისე ჩაუმწარა, რომ სიხარულს კი არა, სულ ოდნავ კმაყოფილებასაც კი ევერ გრძნობდა. ის, რასაც ყოველთვის ნატრობდა – სიყვარულს ყველასაგან – ამ წარმატების წუთებში მისთვის აუტანელი გახდა, რადგანაც თვითონ არ უყვარდა ადამიანები. სძულდა. და უცებ მიხვდა, რომ სიყვარულში კი არა, მხოლოდ სიძულეილში ჰპოვებდა კმაყოფილებას, მხოლოდ მაშინ იყო ბედნიერი, როდესაც თვითონაც სძულდა და ისიც სძულდათ.

მაგრამ სიძულვილი, რომელსაც ის ადამიანების მიმაოთ განიცდიდა, უპასუხოდ რჩებოდა. რაც უფრო ეჯავრებოდა ისინი, მით მეტად აღმერთებდა მას ხალხი, რადგანაც ისინი მხოლოდ მის მითვისებულ აურას, მის სურნელოვან ნიღაბს, მის მოპარულ სუნამოს შეიგრძნობდნენ. ეს სუნამო კი ნამდვილად გასაღმერთებელი იყო.

ახლა გრენუის ყველაზე მეტად უნდოდა, რომ ეს ადამიანები გაექრო, ეს სულელი, აყროლებული, ამძუევნებული ხალხი, და ისე გაექრო, როგორც მაშინ, როცა თავისი სულის უკუნ სამყაროში უცხო სუნებს ანადგურებდა, მას უნდიდა, რომ ხალხს დაენახა, თუ როგორ სძულდა ისინი, და ამისათვის, ამ ერთადერთხელ მათთლა გულწრფელად განცდილი გრძნობისათვის გრენუი შეეძულე-

ბინათ და მოესპოთ, როგორც თავიდანეე იყო გადაწყვეტილი. მას სიცოცხლეში ერთადერთხელ უნდოდა, თავი ისე გამოეაშკარავებინა, როგორც ამას სხეები აკეთებენ. ისინი სიყვარულს და თავიანთ სულელურ პატივისცემას გამოხატავენ ხოლმე, მას კი თავისი სიძულვილის გამოხატვა უნდოდა. უნდოდა, რომ მხოლოდ ერთხელ, თავის სიცოცხლეში ერთადერთხელ, დაენახათ მისი ნამდვილი სახე და სხვებისაგან პასუხი მიეღო თავის ერთადერთ ნამდვილ გრძნობაზე – სიძულვილზე.

მაგრამ არაფერი გამოვიდა. ვერც გამოვიდოდა რამე, და დღეს ხომ მით უფრო. ის ხომ მსოფლიოში საუკეთესო სუნამოთი იყო შენიღბული, და ამ ნიღბის ქვეშ სახე კი არ ჰქონდა, არამედ აბსოლუტური უსუნობა. უცებ გრენუი ცუდად გახდა, რადგანაც იგრძნო, რომ ისევ ის ნისლი იწყებდა ჩამოწოლას.

მაშინდელივით, გამოქვაბულში რომ ესიზმრა, მის გულში ნისლი ჩამოწვა. საკუთარი სუნის საშინელი ოხშივარი, რომელსაც ვერ გრძნობდა, რადგანაც უსუნო იყო. შეძრწუნდა, რადგანაც გრძნობდა, რომ იხრჩობოდა. მაგრამ ახლა არ ეძინა და ეს სიზმარი კი არა, ცხადი იყო. და მაშინდელივით მარტოდმარტო კი არ იწვა გამოქვაბულში, არამედ ათი ათასი კაცის წინ იდგა მოედანზე და არ უშველიდა მაშინდელივით ყვირილი, რომელიც გააღვიძებდა და გაათავისუფლებდა, და ვერც კარგ, თბილ, მშველელ სამყაროში უკან გაქცევა იხსნიდა... მისი გაცხადებული სიზმარი აქ იყო და ახლა. ეს მან თვითონ მოინდომა.

საშინელი ნისლი ისევ აწვებოდა მისი სულის ჭაობს. ამასობაში კი ხალხი ორგიასტულ ავხორცობაში ქშინავდა. უცებ მისკენ ერთი კაცი გამოექანა. ის ისე სწრაფად წამოხტა წარჩინებულთა ტრიბუნის წინა რიგიდან, რომ შავი ქუდი გადაუვარდა. მოფრიალე შავი ტანსაცმლით ყორანს თუ შურისძიების ანგელოზს ჰგავდა. ეს რიში იყო

„მომკლავს, – გაიფიქრა არენუიმ, – მარტო ეს არ მოტყუვდა ჩემი ნიღბით. ამას ვერ შევაცდენ. მისი ქალიშვილის სურნელი სისხლივით მატყვია. აუცილებლად უნდა მიცნოს და მომკლას. ასე უნდა ქმნა“.

გრენუიმ ხელები გაშალა, რომ მისკენ მომავალი ანგელოზი მიეღო. უკვე ეგონა, რომ მკერდში ხანჯლის ან დაშნის ნეტარ დარტყმას შეიგრძნობდა, ეგონა, რომ მახვილი ყველა სუნის ჯავშანს, და მახრჩობელა ნისლს კვეთდა და ცივ სისხლში ერჭობოდა, როგორც იქნა, როგორც იქნა, რაღაცაა მის გულში, რაღაც სხვა, მის გარდა. თავს ისე გრძნობდა, თითქოს გადარჩა.

მაგრამ მოულოდნელად რიში ჩაეხუტა, შურისძიების ანგელოზი კი არა, შეცბუნებული, საცოდავად მოსლუკუნე რიში. ეხვეოდა, ებღაუჭებოდა, ბედნიერების მოზღვავებისაგან ფეხზე ვეღარ დგებოდა, არ იყო არც გამათავისუფლებელი ხანჯლის დარტყმა, არც გულის გამგმირავი დაშნა. წყევლა და სიძულვილის ოდნავი გამოხატულებაც კი არ იყო. ამის მაგივრად გრენუი გრძნობდა რიშის ცრემლებით დასველებულ ლოყას და მოკანკალე პირს, რომელიც ლუღლუღებდა:

– მაპატიე, შვილო ჩემო, ჩემო საყვარელო შვილო, მაპატიე!

გრენუის თვალებში ყველაფერი გაუთეთრდა და მის შინაგან სამყაროში უკუნი ჩამოწევა. დატყვევებული ნისლი მოღრიალე, მდუღარე, აქაფებულ რძესავით სითხედ შეიკრა. ამ ნისლმა ზედ გადაუარა. ის შიგნიდან წარმოუდგენელი ძალით აწვებოდა და გამოსასვლელს ვერ პოულობდა. გრენუის გაქცევა უნდოდა. რადაც არ უნდა დასჯდომოდა, უნდა გაქცეულიყო, მაგრამ წასასვლელი არ ჰქონდა... უნდოდა, გამსკდარიყო, რომ საკუთარ თავში არ ჩამხრჩვალიყო. და, როგორც იქნა, ჩაიკეცა და გონება დაკარგა.

50

გონს რომ მოვიდა, ლაურა რიშის საწოლში იწვა. გოგონას ნივთები, ტანსაცმელი და თმები ალაგებული იყო. საწოლის გვერდზე მდგარ პატარა ტუმბაზე სანთელი ენთო. ოდნავ გაღებული ფანჯრიდან მოზეიმე ქალაქის ჟრიამული ისმოდა. ანტუან რიში მის გვერდით ტაბურეტზე იჯდა და სდარაჯობდა. მას გრენუის ხელი ეჭირა და ეფერებოდა.

ვიდრე თვალებს გაახელდა, გრენუიმ იქაურობა მიყნოს-მოყნოსა. მის შინაგან სამყაროში სიწყნარე იყო. აღარაფერი იმღვრეოდა და აწვებოდა. სულში ისევ ჩვეულ ცივ ღამეს დაესადგურებინა, რომელიც სჭირდებოდა, რომ გონება მოეკრიბა და გარე სამყაროსაკენ მიემართა. და თავისი სუნამო იყნოსა. სუნამო ოდნავ იყო შეცვლილი. მისი ნაპირები შესუსტებულიყო და ამით ლაურას სურნელი, მისი ცენტრალური სუნი, კიდევ უფრო მშვენიერი, ნაზი, მუქი, მოციციმე ალივით მოჩანდა. გრენუი თავს ისევ უსაფრთხოდ გრძნობდა. იცოდა, რომ კიდევ რამდესიმე საათს ხელს არავინ ახლებდა და ამიტომ თვალები გაახილა.

რიში უყურებდა. მის გამოხედვაში უსაზღვრო კეთილგანნყობა, სინაზე, გულის აჩუყება და გახევება იგრძნობოდა.

რიშიმ გაუღიმა, გრენუის ხელი მაგრად მოუჭირა და უთხრა:

– ყველაფერი კარგად იქნება. მაგისტრატმა განაჩენი გააუქმა. ყველა მოწმემ უარყო თავისი ჩვენება. შენ თავისუფალი ხარ. შეგიძლია, რაც გინდა, ის გააკეთო, მაგრამ ჩემთან დარჩი. ქალიშვილი დავკარგე და მინდა, რომ გიშვილო. იმას ჰგავხარ. იმასავით ლამაზი ხარ მთელი ამ ხნის მანძილზე შენი ხელი მეჭირა. შენი თმა, პირი, ხელები... მისას მაგონებს. შენს თვალებს რომ ვხედავ, მგონია, რომ ის მიყურებს შენ მისი ძმა ხარ და მინდა, რომ ჩემი ვაჟი გახდე, ჩემი სიხარული, ჩემი სიამაყე, ჩემი მემკვიდრე. მშობ-ლები ცოცხალი გყავს?

გრენუიმ თავი გააქნია და რიშის სახე სიხარულისაგან გაუწითლდა.

– ესე იგი, ჩემი შვილი გახდები? – რიში სკამიდან წამოხტა, რომ გრენუის საწოლზე ჩამომჯდარიყო, და მისი მეორე ხელიც ჩაებღუჯა, – გახდები? გახდები? გინდა, შენს მამად გამხადო? არაფერი მითხრა! არ გინდა! ჯერ ძალიან სუსტადა ხარ, რომ ილაპარაკო მარტო თავი დამიქნიე!

გრენუიმ თავი დაუქნია. რიშის სიხარულისაგან თითქოს წითელმა ოფლმა დაასხა. იგი გრენუისკეს დაიხარა და პირზე აკოცა.

– ახლა დაიძინე, ჩემო საყვარელო შვილო! – უთხრა მან და ისევ გაიმართა – მე გიდარაჯებ, ვიდრე არ ჩაგეძინება. – დიდხანს ჩუმად უყურდა ყურებდა, მერე კი წარმრთქვა:

– შენ მე ძალიან, ძალიან დიდ ბედნიერებას მანიჭებ.

გრენუის შემჩნეული ჰქონდა, როგორ იღიმებიან ადამიანები და თვითონაც ოდნავ ისევე გაჭიმა პირის კუთხეები. შემდეგ თვალები დახუჭა. ცოტა ხანს დაელოდა, რომ სუნთქვა მძინარესავით დამშვიდებოდა... სახეზე გრძნობდა რიშის სიყვარულით აღსავსე მზერას. ისიც იგრძნო, როგორ დაიხარა რიში ისევ მის საკოცნელად და მერე გადაიფიქრა იმის შიშით, რომ გრენუი არ გაეღვიძებინა. როგორც იქნა, სანთელიც ჩააქრეს და რიში ოთახიდან ფეხაკრეფით გაიპარა.

გრენუი არ განძრეულა, ვიდრე სახლი და ქალაქი არ ჩაჩუმდა. როდესაც ადგა, უკვე თენდებოდა. ჩაიცვა და დერეფანი გაიარა, გარეთ გავიდა, კიბეზე დაეშვა და სალონიდან ტერასაზე გავიდა.

ტერასიდან ქალაქის გალავანს იქით გრასის მიდამოები და დაბლობი მოჩანდა. კარგ ამინდში ალბათ ზღვასაც დაინახავდით. ახლა თხელი ნისლი, უფრო ბურუსი იყო მინდვრებზე ჩამოწოლილი, და იქიდან ბალახის, კურდღლისცოცხასა და ვარდის სუფთა, უბრალო და საოცრად დამამშვიდებელი სურნელი მოქროდა. გრენუიმ ბაღი გადაჭრა და ღობეზე გადაძვრა.

ვიდრე გაშლილ ადგილზე გავიდოდა, მალლა, მოედანზე კიდევ ერთხელ უნდა გაევლი ადამიანების სუნებში. მთელი მოედანი და მის გარშემო ფერდობები უზარმაზარ ბოძოლის ველს ჰგავდა. ყველგან მთვრალი, აღვირანსსილი ზეიმით დაქანცული ხალხი ეყარა, ზოგი შიშველი იყო, ზოგს ტანსაცმელი საბანივით გადაეფარებინა, დაძმარებული ღვინის, არყის, ოფლის, შარდის, ბავშვების განავლის და დამწვარი ხორცის სუნი იდგა. აქა-იქ კიდევ ბოლავდა რამდენიმე კოცონის სარჩენი, რომელზეც ხალხი რაღაცას წვავდა, რომელთანაც თვრებოდნენ და ცეკვავდნენ. აქა-იქ ათასობით ადამიანის ხვრინვიდან ხანდახან ლუღლუღი და სიცილი გაისმოდა. შეიძლება ვიღაცას კიდეც ეღვიძა და გონების უკანასკნელ ნაგლე-

ჯებს ახშობდა. მაგრამ არავის არ შეუმჩნევია გრენუი, რომელიც, თითქოს იქ ჭაობი ყოფილიყოს, მიმოფანტულ სხეულებზე ფრთხილად და სრაფად გადადიოდა. და ვინმემ თუ დაინახა კიდეც, ვერ იცნო სასწაული დასრულებული იყო.

მოედნის ბოლოს მისულმა გრენუიმ გრენობლისაკენ ან კაბრისაკენ მიმავალი პირდაპირი გზა კი არ აირჩია, მინდვრებზე გავლით უკანმოუხედავად დასავლეთისაკენ გასწია. როდესაც დიდი, ყვითელი და მცხუნვარე მზე ამოვიდა, ის უკვე კარგა ხნის გაუჩინარებული იყო.

გრასის მოსახლეობამ საშინლად ნაბახუსევმა გაიღვიძა. იმათაც კი, ვისაც არ დაულევია, თავი დამძიმებოდათ, მუცელში ჭრას გრძნობდნენ და ცუდ ხასიათზე იყვნენ. მოედანზე, გაჩახჩახებულ მზის შუქზე, პატიოსანი გლეხები თავიანთ ტანსაცმელს დაეძებდნენ, ორგიის დროს სადღაც რომ მიყარ-მოყარეს. წესიერი ქალები თავიანთ ქმრებსა და შვილებს ეძებდნენ, ერთმანეთს გადახლართული სრულიად უცხო ადამიანები ერთიმეორეს შორდებოდნენ. ნაცნობები, მეზობლები, ცოლ-ქმარნი ერთმანეთის წინაშე უეცრად სამარცხვინო სიშიშვლით წარდგნენ.

ეს ამბავი ბევრს ისე საშინელი, აუხსნელი და თავისი ზნეობისათვის ისე წარმოუდგენელი ეჩვენა, რომ გონებიდან ამოიშალეს და მოგვიანებით აღარაფერი ახსოვდათ. სხვები კი, რომლებიც ასე კარგად ვერ ფლობდნენ საკუთარ გრძნობებს, ცდილობდნენ, რომ არაფერი დაენახათ და არ ეფიქრათ, რაც ძალიან ჭირდა, რადგან ეს სამარცხვინო ამბავი ცხადზე უცხადესი და ყველასათვის აშკარა იყო, ვინც თავის ნივთებსა და ახლობლებს იპოვიდა, რაც შეიძლება სწრაფად და შეუმჩნევლად ეცლებოდა იქაურობას, შუადღისთვის მოედანი დაცარიელებული იყო.

ხალხი გადაუდებელი საქმეების მოსაგვარებლად საღამოსკენ გამოვიდა სახლებიდან და თანაც ყველა არა. შეხვედრისას ადამიანები ერთმანეთს სწრაფად ესალმებოდნენ და მხოლოდ უმნიშვნელო რამეებზე საუბრობდნენ. წინა დღისა და გასული ღამის შესახებ კრინტსაც არავინ ძრავდა. თუ გუშინ თავაწყვეტილები და

თავშეუკავებლები იყვნენ. ახლა ყეელამ საოცრად დაიმორცხვა. ყველა ერთნაირად გრძნობდა თავს, რადგან ყველა დამნაშავე იყო. არასოდეს ყოფილა გრასის მოქალაქეებს შორის ისეთი ურთიერთგაგება, როგორიც ახლა. სრულმა სიწყნარემ და სიმშვიდემ დაისადგურა.

მართალია, ზოგი თავისი სამსახურებრივი მოვალეობის გამო იძულებული იყო, გაერკვია, რა მოხდა. საზოგადოებრივი ცხოვრების გაგრძელება, კანონისა და წესრიგის დაცვის აუცილებლობა სწრაფ ქმედებებს მოითხოედა. უკვე ნაშუადღევს ქალაქის საბჭოს კრება შედგა. წევრები, მათ შორის მეორე კონსულიც, უსიტყვოდ გადაეხვივნენ ერთმანეთს, თითქოს ეს შეთქმულების მსგაესი ჟესტი ამ ორგანოს ხელახლა დაარსების ნიშანი იყო. შემდეგ, მომხდარი ამბისა და გრენუის სახელის ხსენების გარეშე, ერთხმად გადაწყდა, რომ ტრიბუნა და ეშაფოტი სასწრაფოდ მოეშორებინათ, მოედანი და მის გარშემო ადგილები ისევ მოეწესრიგებინათ. ამისათვის ას სამოცი ლივრი გამოიყო.

ამავე დროს გაიმართა სასამართლოს სხდომაც. მაგისტრატი ბჭობის გარეშე შეთანხმდა, რომ „საქმე გ.“ დასრულებულად ჩაეთვალათ, აქტები დაეხურათ, რეგისტრაციაში გაუტარებლად არქივში ჩაებარებინათ და ახალი საქმე აღეძრათ გრასის მიდამოებში მოქმედი აქამდე უცნობი ოცდახუთი გოგონას მკელელის წინააღმდეგ. პოლიციის ლეიტენანტმა მიიღო ბრძანება გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყების შესახებ.

მკვლელი მეორე დღესვე იპოვეს. ეჭვების საფუძველზე დააკავეს დომინიკ დრიუო, ნელსაცხებლების ოსტატი დე-ლა-ლუვის ქუჩიდან, რომლის ქოხშიც აღმოჩნდა ყველა მსხვერპლის ტასსაცმელი და თმები. მისმა უარყოფამ მოსამართლეები არ დააბნია. თოთხმეტსაათიანი წამების შემდეგ დამნაშავემ ყველაფერი აღიარა და რაც შეიძლება სწრაფი დასჯა ითხოვა, მკვლელის დასჯა მეორე დღისათვის დანიშნეს. ის გამთენიისას ჩამოახრჩვეს, დიდი აურზაურის, ემაფოტისა და ტრიბუნების გარეშე, უბრალოდ ჯალათის, მაგისტრატის რამდენიმე წარმომადგენლის, ექიმისა და მღვდლის

თანდასწრებით. სიკვდილის დადგომის დადასტურებისა და ოქმში შეტანის მერე გვამი მაშინვე დამარხეს. ამით ეს საქმე დასრულდა.

ქალაქმა ის ისედაც უკვე დაივიწყა, და ისე საფუძვლიანად, რომ მოგზაურები, რომლებიც შემდეგ გრასში ჩამოდიოდნენ და გოგონების მკვლელის ამბავს კითხულობდნენ, ვერც ერთ ნორმალურ ადამიანს ვერ პოულობდნენ, ვინც მათ რამეს მოუყვებოდა. მხოლოდ თავშესაფრის რამდენიმე გიჟი, ყველასათვის ცნობილი შეშლილები, აქა-იქ რაღაც სისულელეებს ყვებოდა დიუ-კურის მოედანზე გამართული ზეიმის შესახებ, რის გამოც მათ ოთახები დაატოვებინეს.

მალე ცხოვრება სრულიად ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. ხალხი ბეჯითად შრომობდა, კარგად ეძინა, თავის საქმეს აკეთებდა და პატიოსნად იქცეოდა. უამრავი წყაროდან და ჭიდან ისევ მოედინებოდა წყალი და გრასის ვიწრო ქუჩებს ლამით ავსებდა. ძველებურად ჭუჭყიანი ქალაქი ისევ ისე ამაყად შეფენილიყო ნაყოფიერი დაბლობის ფერდობებზე. მზე აცხუნებდა. მალე მაისი დადგა და ვარდების კრეფის დრო მოვიდა.

ნაწილი მეოთხე

51

გრენუი ღამღამობით მიდიოდა, როგორც თავისი მოგზაურობის დასაწყისში, ქალაქებს ახლაც გვერდს უქცევდა, შარაგზებს ერიდებოდა, გამთენიისას იძინებდა, საღამოს დგებოდა და გზას აგრძელებდა. ჭამდა, რასაც გზაში იპოვიდა: ბალახს, სოკოებს, ყვავილებს, მკვდარ ფრინველებს, ჭიაღუას. პროვანსი გადაკვეთა, მოპარული ნავით ორანჟის სამხრეთით მდინარე რონა გადაცურა, არდეშის დინებას გაჰყვა, სევენში ღრმად შევიდა და ალიეს მიმართულებით ჩრდილოეთისაკენ წავიდა.

ოვერნში პლონ-დე-კანტალს მიუახლოვდა. დაინახა დასავლეთით მდებარე მწვერვალი, დიდი და მთვარის შუქით მოვერცხლისფრო-მორუხოდ განათებული. იყნოსა მთიდან მომავალი გრილი ნიავი, მაგრამ სურვილი არ გასჩენია, იქით წასულიყო. გამოქვაბულში ცხოვრება აღარ ენატრებოდა. ისევე, როგორც ადამიანებთან ცხოვრება. აქაც და იქაც დაიხრჩობოდა. მას საერთოდ აღარ უნდოდა სიცოცხლე. უნდოდა, პარიზში წასულიყო და იქ მომკვდარიყო. სწორედ ეს სურდა.

ხანდახან ხელს ჯიბეში იყოფდა და თავისი სუნამოს პატარა შუშის ფლაკონს ავლებდა ხელს. ფლაკონი თითქმის სავსე იყო. გრასში გამოსვლისათვის მხოლოდ ერთი წვეთი იხმარა. დარჩენილი სუნამო მთელი მსოფლიოს დასაპყრობად ეყოფოდა. რომ მოენდომებინა, პარიზმი ათიათასობით კი არა, ასიათასობით კაცს აღაფრთოვანებ-

და. ან ვერსალში გაისეირნებდა და მეფეს ფეხებს დააკოცნინებ-და, პაპს სურნელოვან წერილს გაუგზავნიდა და თავს ახალ მესიად გაასაღებდა, მეფეებსა და იმპერატორებს ნოტრ-დამში ამქვეყნიურ ღმერთად, უზენაეს იმპერატორადაც კი აკურთხებინებდა თავს, თუკი საერთოდ შეიძლება ღმერთის იმპერატორად კურთხევა...

ამ ყველაფრის გაკეთება შეეძლო, რომ მოენდომებინა. საამისო ძალაუფლება ჰქონდა. ხელში ეჭირა ძალა, რომელიც ფულზე, ტერორის, სიკვდილის ძალაზე უფრო ძლიერი იყო. ეს იყო უძლე-ველი, ადამიანებისათვის სიყვარულის შთაგონების ძალა. ამ ძა-ლას ერთადერთი რამ არ შეეძლო: გრენუისთვის საკუთარი სუნის მიცემა. და ამ სუნამოთი მთელი მსოფლიოს თვალში ღმერთადაც რომ გამოჩენილიყო, საკუთარ სუნს მაინც ვერ იგრძნობდა და ვე-რასოდეს გაიგებდა, ვინ იყო სინამდვილეში. მაშ მიუფურთხებია სამყაროსათვის, მიუფურთხებია თავისი თავისა და თავისი სუნა-მოსთვისაც.

ხელზე, რომლითაც სუნამო ეჭირა, ნაზი სუნი ჰქონდა, და ცხვირთან რომ მიიტანდა და დაყნოსავდა, სევდა ეუფლებოდა ხოლ-მე. მაშინ რამდენიმე წუთით სიარულიც ავიწყდებოდა, ჩერდებოდა და სურნელს ისრუტავდა. „არავინ იცის, რა კარგია ეს სუნამო სი-ნამდვილეში“, ფიქრობდა ის, „არავინ იცის, რა კარგად არის გაკე-თებული. სხვები ხომ მხოლოდ მისი ზემოქმედების ქვეშ ექცევიან და არც კი იციან, რომ მათ სუნამო აჯადოებს. ერთადერთი, ვინც ამ სუნამოს ნამდვილი სილამაზე შეიგრძნო, მე ვარ, რადგანაც მე შევქმენი. მაგრამ თან ერთადერთი ვარ, ვისაც ვერ მოაჯადოებს. ეს სუნამო მარტო ჩემთვისაა უაზრობა“.

ერთხელ, როდესაც უკვე ბურგუნდიაში იყო, გრენუიმ გაიფიქ-რა: „ღობესთან რომ ვიდექი, ბაღის ქვემოთ, სადაც წითურთმიანი გოგოსა თამაშობდა, და მისი სურნელი ჩემკენ წამოვიდა, – ... უფრო სწორად, სურნელის დაოურება, რადგან მისი გვიანდელი სურნელი მაშის ხომ ჯერ კიდევ არ არსებობდა! – ...რასაც მაშინ ვგრძნობდი, ხომ არ იყო ეს ის, რასაც მოედინზე ჩემი სუნამოთი გაბრუებული ადამიანები განიცდიდნენ?“ მაგამ მერე ეს აზრი უკუაგდო: „არა,

ცოტა სხვანაირად იქნებოდა. ხომ ვიცოდი, რომ სუნს ვაღმერთებდი და არა იმ გოგონას. ადამიანებს კი ეგონათ, რომ მე მაღმერთებდნენ, და სინამდვილეში რაც აგიჟებდათ, მათთვის ბოლომდე უცნობი დარჩა“.

შემდეგ გრენუის აღარაფერი უფიქრია, რადგანაც ფიქრი არ უყვარდა. მალე ორლეანში აღმოჩნდა. სიულისთან ლუარა გადაკვეთა და ერთი დღის მერე პარიზის სუნი იგრძნო. 1767 წლის 28 ივნისს დილის ექვს საათზე სენ-ჟაკის ქუჩით ქალაქში შევიდა.

ცხელი დღე იყო. მანამდე იმ წელიწადს ასეთი სიცხე არ ყოფილა. ათასნაირი სუნი და სიმყრალე იფრქვეოდა, როგორც გამსკდარი ჩირქგროვიდან. ჰაერი არ იძვროდა. ბოსტნეული ბაზრის დახლებზე შუადღემდე ჩამოჭკნა. ხორცი და თევზი გაფუჭებას იწყებდა. ვიწრო ქუჩებში სიმყრალე იდგა. თვითონ მდინარეც კი თითქოს აღარ მოძრაობდა, იდგა და ყარდა. ყველაფერი ისე იყო, როგორც გრენუის ამქვეყნად მოსვლის დღეს.

გრენუი ახალი ხიდით მარჯვენა სანაპიროზე ბაზრისა და „უმანკოთა სასაფლაოსაკენ“ გადავიდა. იქვე არკადაში მიწაზე დაჯდა. სასაფლაოს ტერიტორია ყუმბარებით დათხრილი ბრძოლის ველივით იშლებოდა მის თვალწინ: დაღარული, თავის ქალებითა და ძვლებით გადაჭედილი. წამლად ერთი ხე, ბუჩქი ან ბალახი არსად ჩანდა. ეს სიკვდილის ნაგავსაყრელი იყო.

არავინ ჩანდა. ისეთი ხრნსის სუნი იდგა, რომ მესაფლავეებიც კი წასულიყვნენ. ისინი მარტო მზის ჩასვლის შემდეგ გამოჩნდნენ, რომ ჩირაღდნების შუქზე შუაღამემდე საფლავები ეთხარათ ხვალისთვის. მესაფლავეები უკვე დიდი ხნის წასულები იყვნენ, რომ იქაურობა სხვადასხვა ჯურის ხალხით გაივსო. აქ იყვნენ ქურდები, მკვლელები, ყაჩალები, მეძავები, დეზერტირები, მცირენლოვანი დამნაშავეები. საჭმლის მოსამზადებლად და სიმყრალის ჩასახშობად პატარა კოცონი დაანთეს,

თავიდან, როდესაც გრენუი არკადიდან გამოვიდა და მათ შეერია, ის ვერ შენიშნეს. დაუბრკოლებლად მივიდა კოცონთან, თითქოს ერთ-ერთი მათგანი ყოფილიყოს. ამან ადამიანები მოგვიანებით

უფრო მეტად დაარწმუნა იმაში, რომ ეს მოჩვენება ან ანგელოზი უნდა ყოფილიყო, ან კიდევ რაღაც სხვა ზებუნებრივი არსება, რადგან სხვა დროს უცხოს მიახლოებას ძალიან ადვილად გრძნობდნენ.

ეს პატარა ლურჯსერთუკიანი კაცი კი უცებ მათ გვერდით გაჩნდა, თითქოს მიწიდან ამოძვრაო. ხელში პატარა ფლაკონი ეჭირა და გახსნა. პირველად ყველა ამას იხსენებდა: ვიღაც იდგა მათ გვერდით და ფლაკონს ხსნიდა. მერე ამ ფლაკონის შიგთავსი მთელ ტანზე გადაისხა და უცებ მანათობელი ცეცხლივით გასაოცარი სილამაზით გასხივოსნდა.

ერთი წამით ხალხმა მოწიწებისა და გაოცებისაგან უკან დაიხია, მაგრამ იმ წუთშივე იგრძნეს, რომ ეს უკანდახევა მზადება იყო იმისათვის, რომ მოწიწება ვნებაში და გაკვირვება აღფრთოვანებაში გადაზრდილიყო. ეს ანგელოზისდარი ადამიანი მათ მორევივით იზიდავდა, ამ ძალას წინ ვერავინ აღუდგა. არც არავინ ცდილობდა, რადგან თავად ნება აძლიერებდა ამ გრძნობას და ადამიანებს თავისკენ ეწეოდა.

ხალხმა გრენუის გარშემო წრე შეკრა. ოცი, ოცდაათი კაცი სულ უფრო ახლოს მიდიოდა მასთან. მალე ამ წრეში ყველა ვეღარ ეტეოდა და ცდილობდნენ, ერთმანეთისათვის ხელი ეკრათ, გაეწიათ, შემძვრალიყენენ, თითოეულ მათგანს უნდოდა მასთან ახლოს ყოფნა.

ბოლოს ერთბაშად თავშეკავებაც გაუქრათ და წრეც აირია. ანგელოზს დაეძგერნენ, წააქციეს, მიწაზე დააგდეს. ყველას უნდოდა მასთან შეხება, მისი ნაწილის დაუფლება, თუნდაც ფრთის, ერთი ბუმბულის თუ მისი საოცარი ცეცხლის ნაპერწკალისა. ტასსაცმელი შემოახიეს, თმები დააგლიჯეს, კანი ააძრეს, დაბდღვნეს, ხორცში კბილებს და ბრჭყალებს ასობდსეს აფთრებივით.

მაგრამ ადამიანის სცეჯლი გამძლეა და ასე ადვილად ვერ დაგლეჯ. ცხენებზე გამობმული დამნაშავის დაგლეჯაც კი ძნელია. და აი, მალე ხანჯლები აელვარდა. მას კუწავნდნენ, ნაჯახები და დანები ეცემოდა სახსრებს, ძვლების მტვრევის ხმა ისმოდა და ერთ წუთში ანგელოზი ოცდაათ ნაზილად დაგლიჯეს. ხრო-

ვის თითო წევრს თითო ნაჭერი შეხვდა. ავხორცული სიხარბით შეპყრობილნი აქეთ-იქით გაიქცა-გამოიქცნენ და ყველამ თავისი ნაჭერი გადასანსლა. ნახევარ საათში ჟან-ბატისტ გრენუისაგან აღარაფერი დარჩა.

როდესაც კანიბალები ჭამას მორჩნენ და ისევ კოცონთან შეიკრიბნენ, ხმას არავინ იღებდა. ზოგიერთმა დააბოყინა, ზოგმაც პატარა ძვალი გამოიღო პირიდან და ენა გააწკლაპუნა, ვიღაცამ კი ფეხით ლურჯი სერთუკის ნაგლეჯი შეაგდო ცეცხლში. ყველა ცოტა დაბნეული იყო და ერთმანეთის შეხედვას ვერ ბედავდნენ. მკვლელობა თუ რამე სხვა დანაშაული ყველას პქონდა ჩადენილი, კაცსაც და ქალსაც. მაგრამ კაცის შეჭმა? ასეთი საშინელების ჩადენა თუ შეეძლოთ, არ ეგონათ. უკვირდათ, რა ადვილად შეძლეს ეს, და დაბნეულობის მიუხედავად, სინდისის ქენჯნის ნატამალსაც კი არ გრძნობდნენ. პირიქით! მუცლები ჰქონდათ ცოტა დამძიმებული, თორემ სხვაფრივ ძალიან მსუბუქად გრძნობდნენ თავს. ბნელი სულები უცებ ძალიან სასიამოვნოდ გაუნათდათ, სახეებზე კი უცოდეელი, ნაზი ბედნიერების გამომეტყველება მოეფინათ ალბათ ამით იყო გამოწვეული მორცხვობა, თვალების აწევასა და ერთმანეთისათვის შეხედვას რომ ვერ ბედავდნენ.

როდესაც ცოტა ხნის მერე, ჯერ მალვით და შემდეგ უკვე ღიად, ეს გაბედეს, ჩაეცინათ. საოცრად ამაყები იყვნენ. მათ პირველად თავის სიცოცხლეში რაღაც გააკეთეს სიყვარულის სახელით.